ELECTORAL
HISTORY OF GEORGIA

# საქართველოს არჩევნების ისტორია

1990
2018

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# ELECTORAL HISTORY OF GEORGIA

# საქართველოს არჩევნების ისტორია

## 1990-2018

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

INTERNATIONAL FOUNDATION FOR ELECTORAL SYSTEMS
IFES

# სარჩევი


წინასიტყვაობა ... 4
შესავალი ... 8
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები ... 10
საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის 1991 წლის 31 მარტის არჩევნები ... 29
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი ... 32
საქართველოს პრეზიდენტის 1991 წლის 26 მაისის არჩევნები ... 40
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 ივნისის არჩევნები... 48
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 სექტემბრის არჩევნები ... 54
საქართველოს პარლამენტის 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები ... 62
საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნები ... 76
საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნები ... 94
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1996 წლის 22 სექტემბრის არჩევნები ... 99
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა 1998 წლის 15 ნოემბრის არჩევნები ... 105
საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები ... 112
საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 9 აპრილის არჩევნები ... 122
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის 2001 წლის 4 ნოემბრის არჩევნები ... 129
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოების 2002 წლის 2 ივნისის არჩევნები ... 133
საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები ... 141
საქართველოს 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმი პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების შესახებ ... 151
საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე არჩევნები ... 153
საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 28 მარტის ხელახალი არჩევნები ... 157
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნები ... 163
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოების 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნები ... 167
საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე არჩევნები ... 174
საქართველოს 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შესახებ ... 180
საქართველოს 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტი პარლამენტის არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების შესახებ ... 182
საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნები ... 184
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნები ... 192
საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოებისა და საქართველოს დედაქალაქის – თბილისის მერის 2010 წლის 30 მაისის არჩევნები ... 196
საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები ... 208
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები ... 216
საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნები ... 220
საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნები ... 225
საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები ... 240
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები ... 250
მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები ... 256
საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები ... 270

# TABLE OF CONTENTS

Preface ..... 5
Introduction ..... 9
28 October 1990 Elections of the Supreme Council of the Soviet Socialist Republic of Georgia ..... 11
31 March 1991 Georgia Local Self-Government Elections ..... 31
31 March 1991 Georgian Independence Restoration Referendum ..... 32
26 May 1991 Georgian Presidential Elections ..... 41
23 June 1991 Elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara ..... 49
29 September 1991 Elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia ..... 55
11 October 1992 Georgian Parliamentary Elections ..... 63
5 November 1995 Georgian Parliamentary Elections ..... 77
5 November 1995 Georgian Presidential Elections ..... 123
22 September 1996 Elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara ..... 94
15 November 1998 Georgia Local Self-Government Elections ..... 101
31 October 1999 Georgian Parliamentary Elections ..... 107
9 April 2000 Georgian Presidential Elections ..... 113
4 November 2001 Elections of the Parliament of the Autonomous Republic of Adjara and the Chair of the Autonomous Republic of Adjara ..... 131
2 June 2002 Elections of Local Self-Government Bodies of Georgia ..... 135
2 November 2003 Georgian Parliamentary Elections ..... 143
2 November 2003 Georgia's Referendum on Reducation of Members of Parliament ..... 152
4 January 2004 Extraordinary Presidential Elections of Georgia ..... 154
28 March 2004 Repeat Parliamentary Elections of Georgia ..... 159
20 June 2004 Elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara ..... 165
5 October 2006 Elections of Local Self-Government Bodies of Georgia ..... 169
5 January 2008 Extraordinary Presidential Elections of Georgia ..... 175
Georgia's 5 January 2008 Plebiscite on Joining the North Atlantic Treaty Organization ..... 181
Georgia's 5 January 2008 Plebiscite on Holding Parliamentary Elections in Spring ..... 183
21 May 2008 Georgian Parliamentary Elections ..... 185
3 November 2008 Elections of the Supreme Council of Autonomous Republic of Adjara ..... 193
30 May 2010 Elections of the Local Self-Government Representative Body of Georgia – Sakrebulos and the Mayor of the capital of Georgia – Tbilisi ..... 197
1 October 2012 Georgian Parliamentary Elections ..... 209
1 October 2012 Elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara ..... 217
27 October 2013 Georgian Presidential Elections ..... 221
15 June 2014 Elections of Representative and Executive Bodies of Local Self-Governments of Georgia ..... 227
8 October 2016 Georgian Parliamentary Elections ..... 241
8 October 2016 Elections to the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara ..... 244
21 October 2017 Elections of Representative body of the Municipality – Sakrebulo and the Mayor of the Self-Governing City / Self-Governing Community ..... 257
28 October 2018 Georgian Presidential Elections ..... 271

ძვირფასო მკითხველო,

დემოკრატიული საარჩევნო კულტურის დამკვიდრება წარმატებული ქვეყნის მშენებლობისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იცოდეს, რა გზას გადის ჩვენი ქვეყანა საარჩევნო დემოკრატიის განვითარებისთვის.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია – ინსტიტუცია, რომელსაც სხვა ჩართულ მხარეებთან ერთად განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და საზოგადოებისთვის სანდო არჩევნების ჩატარებაზე, მუდმივად ცდილობს წვლილი შეიტანოს არჩევნების ისტორიის პოპულარიზაციაში.

საქართველოში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით ჩვენ უკვე გამოვეცით ორი მნიშვნელოვანი კრებული. 2018 წელს დაიბეჭდა „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“. კრებულში აღწერილია 1919 წელს გამართული დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც გამორჩეული იყო თავისი დემოკრატიულობითა და თავისუფლებით საქართველოს, და არამარტო საქართველოს, არჩევნების ისტორიაში. 2019 წელს კი დაიბეჭდა „ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. გამოცემაში თვალნათლივ ჩანს, როგორ იქმნებოდა თვითმმართველობის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი ჩვენს ქვეყანაში და უშუალოდ თვითმმართველობების არჩევის პროცესი.

ამჯერად საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება გაეცნოს, თუ როგორ ვითარდებოდა საარჩევნო პროცესები მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა საქართველოში მრავალპარტიული არჩევნების გამართვა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, დემოკრატიული განვითარების თითქმის 70 წლიანი წყვეტის შემდეგ.

გამოცემა 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნებიდან 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩათვლით პერიოდს მოიცავს. კრებულში წარმოდგენილია ინფორმაცია ამ პერიოდში გამართული თითოეული არჩევნების შედეგებისა და საარჩევნო გარემოს შესახებ, ასევე საარჩევნო კამპანიებისა და სააგიტაციო მასალების ამსახველი დოკუმენტური ფოტომასალა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია უკეთესად გადმოვცეთ აღნიშნული პერიოდის საარჩევნო კულტურა და მისი განვითარება წლების განმავლობაში.

კრებული მკითხველს საშუალებას მისცემს დაინახოს ის ურთულესი გზა, რომლის გავლაც მოუწია ქვეყანას და საარჩევნო ადმინისტრაციას მაშინ, როდესაც არ არსებობდა საარჩევნო გამოცდილება და საარჩევნო კულტურა ფაქტიურად ახლიდან მკვიდრდებოდა.

გამოცემის საარქივო მასალების მოძიებასა და დამუშავებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ავტორს, ისტორიკოს ირაკლი ირემაძეს, რომელმაც შრომატევადი საქმიანობა გასწია. სწორედ მისი ჩართულობით გახდა შესაძლებელი ზემოაღნიშნული სამი კრებულის გამოცემა.

საქართველოს საარჩევნო ადამინისტრაციის სახელით, მსურს განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიმართ ამ მნიშვნელოვანი პროცესის მხარდაჭერისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, რომლის ერთ-ერთ საუკეთესო შედეგსაც წარმოადგენს ქართულ-ინგლისური კრებული უახლესი არჩევნების ისტორიის შესახებ.

საუკეთესო სურვილებით,

**თამარ ჟვანია**
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

Dear Reader,

The establishment of the democratic electoral culture is one of the more important aspects of building a successful state. Thus, it is of great importance, for the people, to know our nation's path of developing electoral democracy.

The Election Administration (EA) of Georgia – an institution, along with other participating parties, responsible for conducting elections that are in line with international standards and are trusted by the public at large, continually tries to popularize the election history.

We have already published two important editions about the past elections held within the country. The first, First Universal Democratic Elections in Independent Georgia – a collection dedicated to the 1919 Elections of the Constituent Assembly, which was rather exceptional for its democracy and freedom not only in the Georgian history but the election history in general – was published in 2018. The second, Elections of Local Self-government Bodies in the Democratic Republic of Georgia – an edition chronicling the process of the creation of a crucial institution, self-government bodies, and the very process of the self-government elections – was printed in 2019.

Now, members of the public will be able to familiarize themselves with the evolution of the electoral processes following the possibility of holding multiparty elections in Georgia within the Soviet Union after almost 70 years of cessation of the democratic development.

The edition covers the period from the 1990 Elections of the Supreme Council of Georgia till the 2018 Presidential Election. The publication includes - the necessary information regarding the results and atmosphere of the elections in question; and, also, the photographs of the agitation and electoral materials used by the participants. The aforementioned documents serve to better illustrate the cultural underpinnings of the past and to showcase the development of the electoral processes over the years.

The edition will allow the reader to witness the most complicated of the paths taken by the country with neither the necessary electoral experience nor the culture needed for conducting elections.

The archival materials were researched and processed by the author of the edition, historian Irakli Iremadze. Indeed, due to his labor and efforts were the aforementioned three publications made possible.

On behalf of the Election Administration (EA) of Georgia, I would like to express my gratitude to the International Foundation for Electoral Systems (IFES) for its support and productive cooperation. Its determination created the Anglo-Georgian edition about the modern election history of Georgia.

With best regards,

**TAMAR ZHVANIA**
Chairperson of the Central Election Commission of Georgia

ძვირფასო მკითხველო,

საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) სახელით, რომელმაც საქართველოში მოღვაწეობა დემოკრატიული არჩევნების მხარდასაჭერად პირველად 1990-იან წლებში დაიწყო, ვულოცავ პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს არჩევნების ისტორიის შესახებ ამ მნიშვნელოვანი პუბლიკაციის გამოცემას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და ავტორებს.

რთულია იმისი წარმოდგენა, რომ მხოლოდ 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა და აირჩია საარჩევნო დემოკრატიის გეზი. საქართველომ გამოიჩინა სიმტკიცე წარმატებებისა თუ გამოწვევების პირობებში, რაც მას წილად ხვდა დემოკრატიის გზაზე, ამ პროცესში, ერთგვარად, დააწესა მაღალი სტანდარტი და მეზობელი თუ მეგობარი ქვეყნების წინაშე საკუთარი თავი წარმოაჩინა, როგორც კარგი პრაქტიკის ეტალონმა.

წინამდებარე კრებული აღწერს, თუ როგორ გაიარა საქართველომ საკუთარი, უნიკალური საარჩევნო გზა, როდესაც სწავლობდა პარტნიორი ქვეყნების დემოკრატიების შედარებით პრაქტიკას. შედეგად, საქართველოში, უკანასკნელ დეკადაში, პირველად სამხრეთ კავკასიაში მოხდა საარჩევნო ყუთთან გამოხატული თავისუფალი არჩევანის შედეგად ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა. ამ სიახლის განვითარება არ უნდა იქნეს მკითხველის მიერ უგულებელყოფილი; დემოკრატიული ინსტიტუტები, პრინციპები და პრაქტიკები მყისიერად არ ყალიბდება და მათი შენარჩუნებაც არ არის მარტივი პოსტსაბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ძლიერი მეზობელი სახელმწიფოები მუდმივად ცდილობენ, ზეგავლენა მოახდინონ საქართველოს პოლიტიკურ კურსზე.

ამრიგად, დიდი მადლიერებით ვულოცავ ჩემს კოლეგებს ამ პუბლიკაციის გამოცემასა და ყველა მიღწეულ წარმატებას მთლიანობისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაში, რაც დამოუკიდებელ საქართველოში არჩევნების მთავარ მახასიათებლად იქცა. როგორც ამომრჩევლები, ისე კანდიდატები შეიძლება დიდი ენთუზიაზმით მსჯელობდნენ აქტუალურ საკითხებზე, მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტად ეს დავა მშვიდობიანი დიალოგის სახით წარიმართება და წყდება არჩევნების გზით, ვინაიდან ქალების, ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხმა სულ უფრო ხშირად ისმის საარჩევნო სივრცეში.

დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი მკითხველს აჩვენებს ახალ პერსპექტივებს დამოუკიდებელი საქართველოს არჩევნების ისტორიის შესახებ. ის უზრუნველყოფს მნიშვნელოვან კონტექსტს დღევანდელ მოვლენებთან მიმართებით და ასახავს როგორც წარმატებებს, ისე იმ გამოწვევებს, რომლებიც მომავალ არჩევნებსაც უკავშირდება. ვუსურვებ ჩემს კოლეგებს საქართველოში ისეთივე წარმატებასა და სიმტკიცეს მომდევნო 30 წლის განმავლობაში, როგორიც მათ დაანახეს მსოფლიოს გასულ წლებში.

საუკეთესო სურვილებით,

**ენტონი ბანბერი**

*საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES) პრეზიდენტი*

Dear Reader,

On behalf of the International Foundation for Electoral Systems (IFES), which first began working in Georgia to support democratic elections in the 1990s, I congratulate the Central Election Commission and the authors of this important publication on the history of Georgian elections in the post-Soviet period.

It is difficult to imagine that only 30 years have passed since Georgia regained its independence and embarked on its path based on electoral democracy. Georgia has shown resilience in navigating the triumphs and challenges of its democratic journey, and in the process has set a high standard among its peers and established itself as a model of good practice cited by neighbors and friends near and far.

The present volume details how Georgia has forged its own, unique electoral path while learning from the comparative practices of fellow democracies. What has resulted is a Georgian model that has seen, within the last decade, the South Caucasus's first peaceful transfer of power based on the will of the people expressed through the ballot box. The novelty of this development should not be lost on the reader; the institutions, principles and practices of democracy are not quickly established nor easily maintained in the post-Soviet space, particularly when considering the ongoing efforts of larger neighbors to affect Georgia's political trajectory.

It is thus with great appreciation that I congratulate my colleagues on this publication and all that has been achieved in building a high standard of integrity and transparency that has become the hallmark of elections in independent Georgia. Voters and candidates alike may argue with great passion over the issues of the day, but increasingly these disputes are addressed through peaceful dialogue and expressed electorally, as a growing diversity of voices representing women, young people, ethnic minority populations and persons with disabilities increasingly have a say in the outcome.

I am confident that this book will give readers new perspectives on independent Georgia's electoral history. It provides important context to events happening today and outlines the successes as well as challenges that will frame future elections. I wish my colleagues in Georgia as much success and fortitude over the next 30 years as they have shown in the last 30.

With best regards,

**ANTHONY BANBURY**

*President and CEO*
*International Foundation for Electoral Systems (IFES)*

# შესავალი

საქართველოში არჩევნების ისტორია XIX საუკუნის II ნახევრიდან იწყება. სწორედ ამ პერიოდში შემოიღო რუსეთის იმპერიამ ამიერკავკასიის ქალაქებში არჩევითი თვითმმართველობა. ამ დროისათვის არსებული რეპრესიული საარჩევნო კანონმდებლობა მკაცრად იყო შეზღუდული და ქონებრივ-სოციალური ცენზი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა, მაგრამ არჩევნების ტრადიციის ფორმირება ამგვარ პირობებშიც ხერხდებოდა. 1905 წლის რევოლუციამ რუსეთის იმპერიის მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა – საფუძველი ჩაეყარა წარმომადგენლობითი ორგანოს, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები არც პირდაპირი იყო და არც საყოველთაო, ხოლო მოქალაქეთა ნების გამოხატვა, მეტწილად, იზღუდებოდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთის იმპერია დემოკრატიზაციის ფართომასშტაბიანმა პროცესმა მოიცვა: ჩატარდა სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობათა არჩევნები, 1917 წლის ნოემბერში კი რუსეთის დამფუძნებელი კრების პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები გაიმართა, თუმცა შემდგომში ბოლშევიკების მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება ძალადობრივად გარეკეს და ამ არჩევნების შედეგები, ფაქტობრივად, უარყოფილ იქნა.

დემოკრატიული არჩევნების ისტორია ჩვენს ქვეყანაში, 1918 წლის 26 მაისის შემდეგ დამოუკიდებლად არსებულ სახელმწიფოში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობების – სამაზრო ერობების – არჩევნებით იწყება. საქართველოს მოქალაქეებმა 1918-1920 წლებში 20 სამაზრო და 26 საქალაქო თვითმმართველობა აირჩიეს. 1919 წლის 14-16 თებერვალს მოქალაქეებმა საარჩევნო უბნებზე კენჭი უყარეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით-საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელ კრებას.

მას შემდეგ, რაც 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუცია დაამტკიცა, დაგეგმილი იყო ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების ჩატარება. 1921 წლის თებერვალში მოქალაქეები მობილიზებულნი იყვნენ წითელი არმიის შემოტევათა მოსაგერიებლად, თუმცა ოზურგეთის მაზრის მაცხოვრებლებს, იმავდროულად, 1921 წლის 6 მარტისათვის დანიშნული ერობის არჩევნების სამზადისიც ჰქონდათ.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციამ დემოკრატიზაციის პროცესი შეაჩერა. თავდაპირველად, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება მეტ-ნაკლებად დასაშვებად მიიჩნიეს, თუმცა მალევე, რეჟიმის გამკაცრების კვალდაკვალ, კომუნისტურის გარდა, ნებისმიერი სხვა პარტიის საქმიანობა სრულად შეიზღუდა და აიკრძალა. შემდგომი 69 წლის განმავლობაში სხვადასხვა დონის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები მუდმივად იმართებოდა, თუმცა მათში მხოლოდ „კომუნისტური პარტიისა“ და „უპარტიოთა“ ბლოკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების პოლიტიკური შესაძლებლობა გაჩნდა მხოლოდ 1990 წელს, როდესაც რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები გაიმართა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი დაამტკიცა.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საქართველოში დემოკრატიული, საყოველთაო და მრავალპარტიული არჩევნების მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრადიცია ჩამოყალიბდა. 1990 წლიდან 2020 წლის მაისამდე არჩევნები 35-ჯერ გაიმართა და მათი რიცხვობრივი მაჩვენებელი ამგვარია:

საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები – 9,

საპრეზიდენტო არჩევნები – 7,

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები – 7,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები – 1,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები – 7,

რეფერენდუმი – 2,

პლებისციტი – 1.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა, რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური ძვრების შესაბამისად, გამუდმებით იცვლებოდა. საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმებისას და, ზოგადად, საარჩევნო ადმინისტრაციის განვითარების პროცესში საქართველოს ფინანსური და ადამიანური რესურსით ეხმარებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები.

ეს წიგნი 1990 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნების, რეფერენდუმებისა თუ პლებისციტთა აღწერილობითი კვლევაა. მასში თავმოყრილია ყველა ტიპის არჩევნების შესახებ არსებული საარჩევნო დოკუმენტაცია, ასევე – ცნობები საარჩევნო ადმინისტრაციისა თუ მისი საქმიანობის შესახებ, საარჩევნო სუბიექტთა თაობაზე მოძიებული ინფორმაცია, სააგიტაციო-საინფორმაციო პლაკატები, კენჭისყრათა შედეგები, საარჩევნო სტატისტიკა და არჩევნებთან დაკავშირებული არაერთი სხვა მასალა.

# INTRODUCTION

Election history in Georgia dates back to the second half of the 19th century when the Russian Empire introduced elected self-governments in the cities of the Caucasus.

There was indeed a very limited and repressive electoral legislation for this period, with great property and social restrictions, but even in these conditions, the tradition of elections was being formed. The revolution of 1905 significantly improved the legal status of the citizens of the Russian Empire, and the elections of the representative body – the State Duma – were introduced. Indeed, the elections to the State Duma were not direct and universal, but the will of the citizens was largely expressed by limited mechanisms.

Following the February Revolution of 1917, large-scale democratization processes began throughout the Russian Empire, Self-government Elections of Uyezds and City Councils were held. In November 1917, direct and general elections of the Constituent Assembly of Russia were held, though, as a result of the violent crackdown on the Constituent Assembly elected by the Bolsheviks, the results of this election were virtually rejected.

After 26 May 1918, the history of democratic elections in independent Georgia began in the summer of 1918, with the local self-governments – Elections of Khmosanis (members) at Erobas — Self-Governing of Uyezds of the Democratic Republic of Georgia. In 1918-1920, the citizens of Georgia elected self-governments – 20 Uyezds and 26 City Councils. On February 14-16, 1919, citizens went to the polling stations to elect the highest representative-legislative body of the Democratic Republic of Georgia – the Constituent Assembly.

Following the approval of the Constitution by the Constituent Assembly on 21 February 1921, local self-government and legislative body elections were scheduled. In February 1921, in parallel with the mobilization of citizens to defend themselves from the attacks of the Red Army, the residents of Ozurgeti Uyezd were preparing for the Eroba elections, which were scheduled for 6 March 1921.

After the occupation of the Democratic Republic of Georgia by Soviet Russia, the process of democratization ceased. Initially, multi-party elections were allowed under the regime, but soon the activities of parties other than the Communist Party were completely restricted and banned, following the tightening of the regime. For the next 69 years, elections of representative bodies of different levels were held, but only representatives of the Communist Party and "non-partisan" blocs took part.

The political opportunity for democratic multi-party elections in the Soviet Republic of Georgia only emerged in 1990, when the elections to the Supreme Council of the Republic were held. Based on the 31 March 1991 referendum on the restoration of Georgia's independence, on 9 April 1991 the Supreme Council of Georgia approved the Act of Restoration of Georgia's Independence.

An important political tradition of democratic, universal, and multi-party elections has been established in Georgia over the past 30 years. From 1990 to May 2020, 35 elections were held, including:

Elections of the legislative body – 9

Presidential Elections – 7

Local self-government Elections – 7

Elections of the representative body of Autonomous Republic of Abkhazia – 1

Elections of the representative body of Autonomous Republic of Adjara – 7

Referendum – 2

Plebiscite – 1

After the restoration of independence, Georgia's electoral legislation has been constantly changing in line with the current political shifts in the republic. International organizations and foundations have been providing financial and human resources assistance to Georgia during the electoral legislation reform and for the development of the election administration in general.

This book is a descriptive study of each election, referendum, and plebiscite held since 1990. The book presents election documents on all types of elections, information on the election administration and its activities, information about electoral subjects and agitation-information posters, election results, election statistics, and various election-related materials.

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ საქართველოში ანტისაბჭოთა მოძრაობა მეტად გაძლიერდა. ანტისამთავრობო მიტინგები არ წყდებოდა. დემოკრატიული არჩევნების ჩატარება აუცილებლობად იქცა. მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობაშიც მსგავსი პროცესები მიდიოდა. ანტისაბჭოთა წინააღმდეგობა ბალტიისპირეთსა და აზერბაიჯანში განსაკუთრებით მძლავრი იყო. პოლიტიკურ მოძრაობათა გააქტიურების კვალდაკვალ, საბჭოთა რეჟიმის ცენტრი ერთგვარი დემოკრატიზაციის პროცესის დასაწყებად ფიქრსა და მოქმედებას შეუდგა. მოკავშირე სუბიექტების მთავრობებს ნება დართეს, რესპუბლიკათა წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები ჩაეტარებინათ.

1990 წლის 20 ივნისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქმედმა უზენაესმა საბჭომ დაადგინა, 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ძალდატანებითი ოკუპაცია დაეგმო. ამასთანავე, გადაწყდა, უახლოეს მომავალში უზენაესი საბჭოს ახალი დემოკრატიული არჩევნები ჩაეტარებინათ.

საქართველოს მოქალაქეებს მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ და ეს, მას შემდეგ, რაც საქართველო 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო, 69 წლის დაგვიანებით, პირველად ხდებოდა. საბჭოთა რეჟიმის პირობებში არჩევნები მეტწილად მხოლოდ ბუტაფორიული გახლდათ, რადგანაც ეს იყო არჩევნები არჩევანის უფლების გარეშე. საარჩევნო ბიულეტენებში, როგორც წესი, ერთადერთი პოლიტიკური სუბიექტი (კანდიდატი) შეჰყავდათ – „კომუნისტური პარტიისა და უპარტიოთა“ ბლოკის წარმომადგენელი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, კენჭისყრისას ამომრჩეველთა 99%-ზე მეტის მხარდაჭერას იღებდა.

1990 წლის ზაფხულში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსსრ) უზენაესი საბჭო და საქართველოში მოქმედი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციები უზენაესი საბჭოს ახალი მრავალპარტიული არჩევნებისათვის საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებას ერთობლივად შეუდგნენ. ამავე წლის აგვისტოს დასაწყისამდე საარჩევნო კანონმდებლობის სამი განსხვავებული პროექტი მომზადდა.[1]

1990 წლის 1 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ საარჩევნო დებულების სამი ვერსია გამოქვეყნდა. მათგან ერთი, ამერიკული და ფრანგული მოდელის მსგავსად, სრული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შემოღებას ვარაუდობდა, ხოლო ორი – შერეულ მაჟორიტარულ-პროპორციულ საარჩევნო სისტემას, თუმცა მათ ერთმანეთისაგან მანდატების გადანაწილების პროპორცია განასხვავებდა. კერძოდ, ერთი პროპორციულ და მაჟორიტარულ არჩევნებზე დაახლოებით 300 მანდატის თანაბარ განაწილებას ითვალისწინებდა, ხოლო მეორე, ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობიდან გამომდინარე – 79 ერთმანდატიანი ოლქის შექმნას, რესპუბლიკის მრავალმანდატიან ოლქებად დაყოფასა და ცალკეულ ოლქში პროპორციული მიკროსიებით დეპუტატების არჩევას. ამგვარ მრავალმანდატიან ოლქებში საერთო ჯამში 222 დეპუტატი უნდა აერჩიათ, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა 301 მანდატით უნდა განსაზღვრულიყო.[2] ამგვარი შერეული სისტემები, თავის მხრივ, უამრავ კითხვას აჩენდა. კანონზე მომუშავე პოლიტიკურ მხარეთა განცხადებით, ბუნდოვანი იყო მრავალმანდატიან ოლქებში დამოუკიდებელ კანდიდატთა მონაწილეობის საკითხი. კერძოდ, გაუგებარი რჩებოდა, როგორ მოხდებოდა ამგვარ სისტემით პარტიული მიკროსიების არსებობის პარალელურად დამოუკიდებელი კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობა.

სამივე პროექტი ითვალისწინებდა ამა თუ იმ საარჩევნო ცენზს, დაკავშირებულს პასიურ საარჩევნო უფლებასთან, კანდიდატის ასაკთან, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ვადებსა და ენის ცოდნასთან. ოპოზიციურ პარტიათა საარჩევნო ცენზების თანახმად, რეგისტრაციის მოსურნე კანდიდატს უნდა დაესაბუთებინა, რომ ფლობდა ქართულ ენას და საქართველოში ცხოვრობდა არანაკლებ 10 წლისა, ეს კი მიუღებელი იყო მმართველი კომუნისტური პარტიისათვის.[3]

---

1 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმ. 2869, ფურ. 20.

2 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმ. 2869, ფურ. 31.

3 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმ. 2870, ფურ. 31.

# 28 OCTOBER 1990 ELECTIONS OF THE SUPREME COUNCIL OF SOVIET SOCIALIST REPUBLIC OF GEORGIA

Following the tragic events of 9 April 1989, the anti-Soviet movement got even stronger, and anti-government rallies were held continually. The demand for the conduct of democratic elections emerged. Similar processes were underway in most of the Soviet Union's republics; anti-Soviet resistance was particularly strong in the Baltic States and Azerbaijan. In the wake of the intensification of political movements, the center of the Soviet regime began to think and act to a certain degree to launch the democratization process. Allied subjects' governments were allowed to hold elections of representative bodies in republics.

On 20 June 1990, the acting Supreme Council of the Soviet Socialist Republic of Georgia decided to condemn the forced occupation of Georgia by Soviet Russia in February-March of 1921. It also decided to hold a new democratic election to the Supreme Council shortly.

For the first time in 69 years since the Soviet occupation of Georgia in February-March of 1921, citizens of Georgia have been allowed to participate in democratic multi-party elections. Elections held under the Soviet regime were purely mock-up because they were elections without the right to vote. As a rule, only political subject (candidate), representative of bloc – "Communist party and non-partisans", was included in the ballot papers, which certainly would have received over 99% support in the elections.

In summer 1990, the Supreme Council of the Soviet Socialist Republic (SSRG) of Georgia and acting political and public organizations in Georgia launched joint work to develop the legislative framework for new multiparty elections. Until the beginning of August of the same year, three different drafts of electoral legislation were prepared.[1]

On 1 August 1990, "the Communist" newspaper published three versions of the election regulations. One of these meant the introduction of a completely majoritarian electoral system similar to the American and French models. While two constituted a mixed majoritarian-proportional electoral system, however, the difference between the two was the proportion of mandates being distributed. Namely, one of the versions involved the equal distribution of about 300 seats through the proportional and majoritarian contest in elections, the second version actually included establishing 79 single-member districts due to the administrative structure of the country, as well as division of the republic into multi-member districts and the election of MPs with micro-district proportional lists in certain districts. In such multi-member districts, a total of 222 deputies had to be elected, and the number of members of the legislative body had to be determined by 301 seats.[2] However, such mixed systems raised many questions. According to law-making political parties, the participation of independent candidates in multi-member districts was unclear. In particular, it remained ambiguous, how could independent candidates participate in elections in parallel with party micro-district lists in such a system?

All three projects included different eligibility requirements related to passive suffrage, candidate age, years of continuous residence in Georgia, and language skills. According to eligible criteria of the opposition parties, the candidate wishing to register should have proved the knowledge of Georgian language and a confirmation of at least 10 years of residence in Georgia, which were unacceptable to the ruling Communist Party.[3]

Finally, during the summer of 1990, the total of 982 responses were received from Soviet citizens of Georgia and this or that union on three versions of the electoral legislation proposed by the government for public discussion. Opinions on the project were submitted by regular citizens, professional unions, parties, societies, labour unions who came up with various proposals. Mainly were arguing about number of MPs, because by all three projects, the number of parliamentarians exceeded 300, which, according to citizens, was not appropriate for the size of Georgia and was a great luxury.[4]

1 Central Archives of Contemporary History, Foundation 1165, Description 8, Case N 2869, p. 20.
2 Central Archives of Contemporary History, Foundation 1165, Description 8, Case N 2869, p. 31.
3 Central Archives of Contemporary History, Foundation 1165, Description 8, Case N 2870, p. 31.
4 Central Archives of Contemporary History, Foundation 1165, Description 8, Case N 2870, p. 30.

საბოლოოდ, 1990 წლის ზაფხულში ხელისუფლებამ საჯარო განხილვისათვის მოქალაქეთა სამსჯავროზე გამოიტანა საარჩევნო კანონმდებლობის სამივე ვერსია, რასაც საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა და ამა თუ იმ გაერთიანების მხრიდან 982 გამოხმაურება მოჰყვა. პროექტების შესახებ აზრს გამოთქვამდნენ რიგითი მაცხოვრებლები, პროფესიული გაერთიანებები, პარტიები, საზოგადოებები, შრომითი კოლექტივები, რომლებიც სხვადასხვა წინადადებით გამოდიოდნენ. ძირითადად, კამათობდნენ პარლამენტართა რაოდენობის საკითხზე, რადგან პარლამენტართა რაოდენობა, სამივე პროექტის თანახმად, 300-ს აღემატებოდა, ეს კი, მოქალაქეთა შეფასებით, ქვეყნის მასშტაბს არ შეესაბამებოდა და საქართველოსათვის მეტისმეტი ფუფუნება იქნებოდა.[4]

1990 წლის 17 აგვისტოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე გამოვიდა ვრცელი მოხსენებით – „დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების მტკიცე სამართლებრივი საფუძვლები“. საბჭოთა რეჟიმის თავკაცი საქართველოში საკუთარ მოხსენებაში ყურადღებას ამახვილებდა პროგრესულ და დემოკრატიულ ნორმებზე უკვე არსებულ კანონმდებლობაში. მან სესიის მონაწილეებს აცნობა, რომ მომდევნო დღეს უზენაეს საბჭოს ახალი საარჩევნო საკანონმდებლო პროექტს უკვე ოფიციალურად წარუდგენდა.[5]

1990 წლის 18 აგვისტოს სსსრ-ის უზენაესმა საბჭომ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი დაამტკიცა. კანონი 61 მუხლისაგან შედგებოდა. მასში დეტალურად იყო გაწერილი არჩევნების ჩატარების წესი და საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი. არჩევნების საფუძვლები პირველივე მუხლში იყო განსაზღვრული: „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – უზენაესი საბჭოს არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. უზენაეს საბჭოში აირჩევა 250 დეპუტატი ხუთი წლის ვადით. აქედან 125 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 125 პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე – სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით. საქართველოს უზენაესი საბჭოს ყველა წევრს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვს“.[6]

საარჩევნო კანონის მეორე მუხლი აზუსტებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებების ნორმებს და განსაზღვრავდა ცენზებს, რომლებიც პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისათვის გადამწყვეტი იქნებოდა. კერძოდ, ამის მიხედვით, დგინდებოდა, რომ „საქართველოს უზენაეს საბჭოს დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისთვის 23 წელი შეუსრულდა და საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, პოლიტიკური კუთვნილების, სარწმუნოების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად. საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორზე[7] მეტი საბჭოს წევრი. ის პირნი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, არ მონაწილეობენ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში. არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე, ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან“.[8]

კანონის თანახმად, უზენაესი საბჭოს დეპუტატის კანდიდატის დასახელების უფლება მიენიჭათ პოლიტიკურ პარტიებს, კავშირებსა და მოძრაობებს, ასევე – ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს.

უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული კანონით განისაზღვრა, რომ არჩევნების ორგანიზებისათვის აუცილებლად უნდა შეექმნათ სამდონიანი საარჩევნო კომისიები, კერძოდ, ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც მოქმედი უზენაესი საბჭო და არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები დააკომპლექტებდნენ. გარდა ამისა, ყველა საარჩევნო ოლქში უნდა შექმნილიყო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისია. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და 4 წევრს ირჩევდა სსსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო კომისიის სხვა წევრებს ასახელებდნენ საარჩევნო სუბიექტები, რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი.

4 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმ. 2870, ფურ. 30.

5 გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 18 აგვისტო, გვ. 1,2.

6 გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 21 აგვისტო, გვ. 1.

7 თავდაპირველად პროექტებში გაწერილი იყო, რომ უზენაესი საბჭოს წევრი ვერ იქნებოდა სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, თუმცა ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ როგორც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ასევე ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენლები. საბოლოოდ, ეს ნორმა შეიცვალა და ამგვარი სახე მიიღო.

8 გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 21 აგვისტო, გვ. 1.

On 17 August 1990, at the Session of the Supreme Council of the Soviet Socialist Republic of Georgia, Givi Gumbaridze, Chairman of the Presidium, made a lengthy report entitled "The Strong Legal Grounds for Democratic, Multiparty Elections". In his report, the head of the Soviet regime in Georgia emphasized the progressive and democratic norms already existing in legislation. Gumbaridze informed the participants that the next day he would officially submit a new electoral legislative project to the Supreme Council.[5]

On 18 December 1990, the Supreme Council of SSRG approved the law on Elections of Supreme Council of Georgia. The law consisted of 61 articles and it detailed the rule of conducting elections and other specifics related to election procedures. The very first article defined the grounds of elections – "The elections to the supreme council of the supreme body of the state government of Georgia shall be held by secret ballot on the basis of universal, equal and direct suffrage. The 250 members are elected for a five-year term to the Supreme Council. Of these, 125 will be elected in single-member districts, and 125 based on proportional representation across all party lists in Georgia. All members of the Supreme Council of Georgia have equal rights and responsibilities".[6]

Article 2 of the Election Law specified the universal suffrage norms and defined electoral qualification, which would become crucial in the realization of passive suffrage. Namely, based on this "Elections of Deputies of Supreme Council of Georgia is universal: Citizens of Georgia who are permanently residing in Georgia who have turned 18 on Election Day have the right to vote. A citizen of Georgia who is a permanent resident of Georgia, who has turned 23 years of age on the Election Day and has resided permanently in Georgia for at least 10 years, regardless of his/her origin, social and property status, racial and national affiliation, sex, education, language, political affiliation, religion, and the type and nature of activities may be elected. A citizen of Georgia may not be a member of more than two[7] councils simultaneously. Persons serving in military or paramilitary units not subject to the jurisdiction of the Georgian state authorities shall not participate in the elections of the Supreme Council of Georgia; mentally ill citizens do not participate in the elections, who have been declared incompetent by the court, as well as those who are in detention facility[8] by a court order".

According to the law, political parties, unions and movements, as well as initiative groups of voters, were given the right to nominate deputies to the Supreme Council.

The law approved by the Supreme Council for organizing elections stipulated the necessity of establishing three-tier election commissions; namely, a Central Election Commission was set up, comprised by the acting Supreme Council and political parties running in the elections; District Election Commissions (DECs) and Precinct Election Commissions (PECs) were to be established in all electoral districts. The CEC chairperson and 4 members were elected by the Presidium of the Supreme Council of the USSG, while other members of the commission were nominated by the electoral subjects and autonomous republics and districts within the republic. The CEC deputy chairperson and 4 members were elected by the Presidium of the Supreme Council of the USSG and the rest members were nominated by political subjects. DEC members were electing commission's chairperson and secretary. DEC was electing PEC deputy chairperson, secretary and not less than two members, while other members were nominated by electoral subjects.[9]

Legislation defined the rules for mobilizing and spending financial resources for political subjects and candidates during the pre-election period. Special foundations were created for these expenses. The Central Election Commission was distributing basic funds allocated from state budget to registered political subjects' and candidates' funds, while election subjects could obtain donations and resources independently of no more than four times the amount allocated by the CEC. All election subjects participating in elections were required to submit financial reports within one month after the election, which were verified by the CEC. State agencies provided election subjects with free TV broadcasting, venues for meetings and rallies. In addition, state newspapers were making commitments to publish electoral lists and programs.

The election law stipulated guarantees for conducting a free election campaign and cases of obstructing electoral agitation was severely punished.

According to the election law, elections would be considered held if half of the registered voters participated. According

5 Newspaper "Communist", 18 August 1990, p.1-2.

6 Newspaper "Communist", 21 August 1990, p. 1.

7 Initial drafts stipulated that no member of the Supreme Council could be a member of any other representative body, but members of the Autonomous Republic and District Councils as well as members of local councils opposed this record. Eventually, this norm was changed and it turned into this form.

8 Newspaper "Communist", 21 August 1990, p.1.

9 Newspaper "Communist", 21 August 1990, p. 2.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 4 წევრს ირჩევდა სსსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო დანარჩენ წევრებს ასახელებდნენ პოლიტიკური სუბიექტები. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები ირჩევდნენ კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანსა და, სულ ცოტა, ორ წევრს საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევდა, ხოლო სხვა წევრებს საარჩევნო სუბიექტები ასახელებდნენ.[9]

კანონმდებლობა განსაზღვრავდა პოლიტიკური სუბიექტებისა და კანდიდატებისთვის ფინანსური რესურსების მობილიზებისა და ხარჯვის წესს წინასაარჩევნო პერიოდში. ამ ხარჯებისთვის იქმნებოდა სპეციალური ფონდები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ საბაზო დაფინანსებას ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრირებულ პოლიტიკურ სუბიექტებსა და კანდიდატთა ფონდებზე ანაწილებდა, ხოლო საარჩევნო სუბიექტებს შეეძლოთ, მიეღოთ შემოწირულობა და დამოუკიდებლად მოეზიდათ რესურსები, არაუმეტეს ცესკოს მიერ გამოყოფილი თანხის ოთხმაგი ოდენობისა. არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტი ვალდებული იყო, არჩევნებიდან ერთი თვის ვადაში წარედგინა ფინანსური ანგარიშები, რომლებსაც ცესკო ამოწმებდა. სახელმწიფო უწყებები საარჩევნო სუბიექტებს უსასყიდლოდ უთმობდნენ როგორც სატელევიზიო სივრცეს, ასევე ადგილს შეხვედრებისა თუ მიტინგებისთვის. ამასთანავე, სახელმწიფო გაზეთები კისრულობდნენ ვალდებულებას, გამოექვეყნებინათ საარჩევნო სიები და პროგრამები.

საარჩევნო კანონმდებლობა საარჩევნო კამპანიის თავისუფლად ჩატარების გარანტიას იძლეოდა და, ამავე დროს, მკაცრად სჯიდა ყველას, ვინც ხელს უშლიდა აგიტაციას.

საარჩევნო კანონის თანახმად, არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლებოდა, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ნახევარი. პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანოში სადეპუტატო მანდატებს მიიღებდა მხოლოდ ის პარტია, რომელიც არჩევნების შედეგად ნამდვილი ხმების 4%-ს მაინც მოაგროვებდა, ხოლო მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გამარჯვებულად ჩაითვლებოდა კანდიდატი, რომელიც ნამდვილი ხმების 50%-ს ან მეტს დააგროვებდა.[10]

1990 წლის 18 აგვისტოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, გივი გუმბარიძის, ბრძანებით, გაუქმდა მანამდე მოქმედი ცენტრალური, ავტონომიური, საოლქო და საუბნო (საკოლექტივო) საარჩევნო კომისიები.

1990 წლის 24 აგვისტოს სსსრ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი ჟორდანია. ამავე დადგენილების თანახმად, კომისიის წევრებად დაამტკიცეს თეიმურაზ გიორგაძე, პარმენ მარგველაშვილი, ოთარ მენაბდე და მანანა ქურდაძე.[11]

1990 წლის აგვისტოს ბოლოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა დადგენილება საარჩევნო ოლქების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო 79 ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგებოდა, საარჩევნო კანონის თანახმად კი, რესპუბლიკა 125 ოლქად იყოფოდა, ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე ოლქი იყო შექმნილი. მაგალითად, ქალაქ თბილისში 26 საარჩევნო ოლქი შეიქმნა, ქუთაისში – 5, ოზურგეთის რაიონში – 2, ზუგდიდის რაიონში – 2. ამასთანავე, დამოუკიდებელ ოლქად მიიჩნეოდა ქალაქი ზუგდიდი. ქალაქი სოხუმი 3 ოლქად დაიყო, ქალაქი ბათუმი კი – 2 ოლქად. ორ-ორ ოლქად დაიყო თელავის, ზესტაფონის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, გალის, გაგრისა და კიდევ რამდენიმე რაიონი.

1990 წლის 6 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა სია გამოქვეყნდა. საარჩევნო კომისია 35 წევრისგან შედგებოდა. კომისიამ თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია თენგიზ სიგუა, პოლიტიკური მოძრაობა „შოთა რუსთაველის საზოგადოების“ წევრი. კომისიის მდივნის მოვალეობა დაეკისრა ლევან მესხს, რომელიც პოლიტიკურ გაერთიანება „სახალხო ფრონტში“ იყო გაწევრიანებული.[12]

1990 წლის 7 სექტემბერს სსსრ-ის უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა საოლქო საარჩევნო კომისიის ის წევრები, რომელთა დანიშვნაც კანონმდებლობით პრეზიდიუმს ევალებოდა.[13]

9 გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 21 აგვისტო, გვ. 2.
10 გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 21 აგვისტო, გვ. 3.
11 გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 25 აგვისტო, გვ. 1.
12 გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 6 სექტემბერი, გვ. 1.
13 გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 8 სექტემბერი, გვ. 2-4.

to the proportional electoral system, only the party that would receive at least 4% of the actual votes in the elections would receive MP seats at legislative body. In the majoritarian electoral district, the candidate who received 50% or more[10] of the actual votes would be considered the winner.

On 18 August 1990, by the order of Givi Gumbaridze, Chair of the Presidium of the Supreme Council of the SSR, previously existing Central, Autonomous, District and Precinct (Collective) Election Commissions were abolished.

On 24 August 1990, by the decree of the Presidium of the Supreme Council of the SSRG, Irakli Jordania, Correspondent-Member of the Georgian Academy of Sciences, was approved as Chairperson of the Central Election Commission of Georgia. According to the same decree, Teimuraz Giorgadze, Parmen Margvelashvili, Otar Menabde, and Manana Kurdadze[11] were approved as the commission members.

In late August of 1990, the Central Election Commission issued a decree on electoral districts. Since Georgia was administratively divided into 79 administrative units, while based on election law, Republic was divided into 125 districts, several districts were established in a certain administrative unit. For instance, 26 electoral districts were established in Tbilisi city, 5 in Kutaisi, 2 in Ozurgeti district[12], 2 in Zugdidi district, while Zugdidi city was considered an independent electoral district. Sokhumi city was divided into 3 districts, Batumi city into 2 districts. Telavi, Zestaponi, Kobuleti, Khelvachauri, Gali, Gagra, and a few more districts were divided into 2 districts respectively.

On 6 September 1990, the newspaper "Communist" published the list of members of the Central Election Commission. The election commission was composed of 35 members. The Commission elected Tengiz Sigua as the deputy chairperson, from political movement – Shota Rustaveli Society. Levan Meskhi was appointed as the Commission Secretary, who was[13] a member of Political Union "People's Front".

On 7 September 1990, the Supreme Council of the SSRG approved those members of the District Election Commissions, whose appointment was prescribed[14] to the Presidium by law.


საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, გაზეთი „კომუნისტი", 1990 წლის 6 სექტემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The Central Election Commission members, the newspaper "Communist", 6 September 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

10 Newspaper "Communist", 21 August 1990, p. 3.

11 Newspaper "Communist", 25 August 1990, p. 1.

12 District – a type of administrative unit of several post-Soviet states, hereafter referred to as district.

13 Newspaper "Communist", 6 September 1990, p.1.

14 Newspaper "Communist", 8 September 1990, p. 2-4.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სექტემბრის პირველივე დღეებში დაარეგისტრირა არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები. თითოეული მათგანი ვალდებული იყო, წარედგინა საარჩევნო სია, შემდგარი არანაკლებ 125 და არა უმეტეს 250 კაცისაგან. საწყის ეტაპზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 35 პარტია გაატარა რეგისტრაციაში, მათგან 27 პარტია 6 საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბდა, ხოლო 8 პარტია დამოუკიდებლად იყრიდა კენჭს. ცესკომ საარჩევნო სუბიექტებს საარჩევნო ნომრები მიანიჭა:

1. **„თავისუფლება“** – საარჩევნო ბლოკი:
   რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია,
   „დასი“ (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის),
   ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია,
   მწვანეთა პარტია,
   ეროვნული თანხმობის ასოციაცია,
   ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი;
2. **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია;**[14]
3. **საქართველოს კომუნისტური პარტია;**
4. **საქართველოს აგრარული კავშირი;**
5. **„თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“** – საარჩევნო ბლოკი:
   ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი,
   მშვიდობისა და თავისუფლების პარტია;
6. **საქართველოს სახალხო პარტია;**
7. **სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება;**
8. **საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“;**
9. **საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი** – საარჩევნო ბლოკი:
   ეროვნული ერთიანობის პარტია,
   მთიელთა პოლიტიკური კავშირი;
10. **სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი;**
11. **„განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“** – საარჩევნო ბლოკი:
    კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია,
    პროგრესულ-დემოკრატიული პარტია,
    შრომის პარტია;
12. **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“** – საარჩევნო ბლოკი:
    ჰელსინკის კავშირი,
    წმინდა ილია მართლის საზოგადოება,
    მერაბ კოსტავას საზოგადოება,
    ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი,
    ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი,
    ლიბერალ-დემოკრატიული კავშირი,
    ეროვნულ-ქრისტიანული პარტია;
13. **საქართველოს სახალხო ფრონტი;**
14. **„დემოკრატიული საქართველო“** – საარჩევნო ბლოკი:
    ილია ჭავჭავაძის საზოგადოება,
    რესპუბლიკური პარტია,
    თავისუფალ დემოკრატთა კავშირი,
    ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება,
    არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება,
    დემოკრატიული სახალხო ფრონტი,
    დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია.[15]


საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების

საარჩევნო ბიულეტენი

28 ოქტომბერი 1990 წ.

შემოხაზეთ იმ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:

1. „თავისუფლება“ — საარჩევნო ბლოკი:
რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია
„დასი“-ი (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის)
ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია
მწვანეთა პარტია
ეროვნული თანხმობის ასოციაცია
ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი
2. საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტია
3. საქართველოს კომუნისტური პარტია
4. საქართველოს აგრარული კავშირი
5. „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“ — საარჩევნო ბლოკი:
ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი
მშვიდობისა და თავისუფლების პარტია
6. საქართველოს სახალხო პარტია
7. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება
8. საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“
9. „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირი“ — საარჩევნო ბლოკი:
ეროვნული ერთიანობის პარტია
მთიელთა პოლიტიკური კავშირი
10. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
11. „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ — საარჩევნო ბლოკი:
კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
პროგრესულ-დემოკრატიული პარტია
შრომის პარტია
12. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ — საარჩევნო ბლოკი:
ჰელსინკის კავშირი
წმინდა ილია მართლის საზოგადოება
მერაბ კოსტავას საზოგადოება
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი
ლიბერალურ-დემოკრატიული კავშირი
ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
13. საქართველოს სახალხო ფრონტი
14. „დემოკრატიული საქართველო“ — საარჩევნო ბლოკი:
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
რესპუბლიკური პარტია
თავისუფალ დემოკრატთა კავშირი
ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება
არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება
დემოკრატიული სახალხო ფრონტი
დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული საარჩევნო ბიულეტენის პროექტი, გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წლის 9 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Draft ballot paper of the Central Election Commission, the newspaper "Communist", 9 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

14 ამ პარტიას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მემკვიდრედ მიაჩნდა თავი, თუმცა მის იდეოლოგიურ ღირებულებებთან საერთო ბევრი არაფერი ჰქონდა.

15 გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 9 ოქტომბერი, გვ. 1.



**შუა** ღამემდე არ ქრება ამ დღეებში სინათლე სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის პირველ სართულზე, რომელიც მდებარეობს თბილისში, ჩიტაძის ქუჩის № 6 სახლში, სადაც დაბინავებულია საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

* * *

**სურათებზე: ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია (ცენტრში), მისი მოადგილე თენგიზ სიგუა და კომისიის მდივანი ლევან მესხი; მიმდინარეობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.**

**მიხეილ კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წლის 27 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The Central Election Commission's session, the newspaper "Communist", 27 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

In the beginning of September, the Central Election Commission (CEC) registered election subjects participating in elections. Each election subject was required to submit a minimum list of 125 and a maximum of 250 persons. Initially, the CEC registered 35 parties; of these 27 parties were formed into 6 election blocs and 8 parties were running independently. CEC assigned election numbers to election subjects, namely:

1. **"Freedom"** – election bloc:
   Republican Federalist Party,
   "Troupe" – (Democratic Choice for Georgia),
   Liberal-Democratic National Party,
   Green Party,
   National Accord Association,
   Christian Democratic Union;
2. **Social Democratic Party of Georgia:**[15]
3. **Communist Party of Georgia;**
4. **Georgian Agrarian Union;**
5. **"Concord, Peace, Revival"** – election bloc:
   National Unity and Revival Union,
   Peace and Freedom Party;
6. **People's Party of Georgia;**
7. **All-Georgian Rustaveli Society;**
8. **Georgian political organization "Stalin";**
9. **Georgian National Unity Party and the Union of Mountaineers** – election bloc:
   National Unity Party,
   Political Union of Mountaineers;
10. **All-Georgian Farmers Union;**
11. **"Liberation and Economic Revival** – election bloc:
    Constitutional Democratic Party,
    Progressive Democratic Party,
    Labour Party;
12. **"Round Table—Free Georgia"** – election bloc:
    Helsinki Union,
    St. Ilia the Righteous Society,
    Merab Kostava Society,
    Union of Georgian Traditionalists,
    National Front - Radical Union,
    Liberal Democratic Union,
    National Christian Party;
13. **People's Front of Georgia;**
14. **"Democratic Georgia"** – election bloc:
    Ilia Chavchavadze Society,
    Republican Party,
    Union of Free Democrats,
    Ivane Javakhishvili Society,
    Archil Jorjadze Society,
    Democratic Popular Front,
    "National Party of Georgian Demographic Society".[16]

15 The party considered itself the successor to the ruling Social Democratic Workers' Party of the Democratic Republic of Georgia, although it had little to do with any valuable ideological legacy with that political force.

16 Newspaper "Communist", 9 October 1990, p.1.

წინასწარი რეგისტრაციის შემდეგ, საარჩევნო სიების შემოწმების შედეგად, ცესკომ 3 საარჩევნო სუბიექტს, საარჩევნო კანონის დარღვევის გამო, საბოლოო რეგისტრაციაზე უარი განუცხადა. მიზეზი, ძირითადად, ის იყო, რომ სიაში შეყვანილი პირები ვერ აკმაყოფილებდნენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და შეუსაბამობაში იყვნენ საარჩევნო ცენზებთან. რეგისტრაციიდან მოხსნილმა საარჩევნო სუბიექტებმა ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრეს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კი დამატებით რეგისტრაციიდან მოხსნილი სუბიექტების მხრიდან კანონდარღვევათა შესასწავლად საგანგებო კომისია შეიქმნა. საბოლოოდ, საარჩევნო ბიულეტენიდან ამოიღეს შემდეგი საარჩევნო სუბიექტები: №4 – საქართველოს აგრარული კავშირი, №8 – საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი", №9 – საარჩევნო ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი".

კანონის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდა ქართულად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზურად, ხოლო ამა თუ იმ ოლქში მოქალაქეებისათვის გასაგებ ენაზე – სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად და რუსულად.

1990 წლის 12 ოქტომბრიდან გაზეთმა „კომუნისტმა", როგორც ოფიციალურმა სამთავრობო გაზეთმა, საკანონმდებლო ვალდებულების თანახმად, საარჩევნო სუბიექტების საკანდიდატო პროპორციული სიებისა და ცალკეულ ოლქებში დასახელებულ მაჟორიტარ კანდიდატთა სიების გამოქვეყნება დაიწყო. დაიბეჭდა აბსოლუტურად ყველა საარჩევნო სუბიექტის პროპორციული სია, რომელშიც მითითებული იყო კანდიდატის სახელი, გვარი და მამის სახელი, ასევე – დაბადების თარიღი, პროფესია, სამუშაო ადგილი, მისამართი და პარტიული მიკუთვნებულობა.[16] საქართველოს კომუნისტური პარტიის საარჩევნო სიის პირველ ნომრად დასახელებული იყო გივი გუმბარიძე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ხოლო მთავარ ოპოზიციურ საარჩევნო ბლოკს – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" – ქართული ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი ზვიად გამსახურდია უძღვებოდა. სწორედ ის იყო ბლოკის საარჩევნო სიის სათავეშიც. სხვა პოლიტიკური სუბიექტების სიათა პირველ ნომრებად, როგორც წესი, პოლიტიკური გაერთიანების ლიდერები სახელდებოდნენ.[17]


ნიმუში

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნები

საარჩევნო ბიულეტენი

28 ოქტომბერი 1990 წ.

შემოხაზეთ იმ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:

1. „თავისუფლება" — საარჩევნო ბლოკი:
საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია
„დასი" (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის)
საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია
საქართველოს მწვანეთა პარტია
საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაცია
საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი
2. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია
3. საქართველოს კომუნისტური პარტია
5. „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება" — საარჩევნო ბლოკი:
საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი
სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტია
6. საქართველოს სახალხო პარტია
7. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება
10. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
11. „დამოუკიდებლობა და ეკონომიკური აღორძინება" — საარჩევნო ბლოკი:
საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია
საქართველოს შრომის პარტია
12. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" — საარჩევნო ბლოკი:
საქართველოს ჰელსინკის კავშირი
სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება
+სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება
+ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
+საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი
საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი
საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია
13. საქართველოს სახალხო ფრონტი
14. „დემოკრატიული საქართველო" — საარჩევნო ბლოკი:
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
საქართველოს რესპუბლიკური პარტია
საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი
ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება
არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება
საქართველოს დემოკრატიული სახალხო ფრონტი
საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების ეროვნული პარტია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საბოლოოდ დამტკიცებული საარჩევნო ბიულეტენი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Final ballot paper approved by the Central Election Commission
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

საარჩევნო სუბიექტებს ოფიციალურმა პრესამ – არაერთი გვერდი, სახელმწიფო ტელევიზიამ კი საეთერო დრო დაუთმო. გაზეთ „კომუნისტში" 1990 წლის 17-24 ოქტომბრის ნომრებში თითოეული მათგანის საარჩევნო პლატფორმა შუქდებოდა. პოლიტიკური სუბიექტები მიმოიხილავდნენ გარდამავალი პერიოდისათვის არსებულ გამოწვევებს – ეროვნულ საკითხს, ეკონომიკურ გარდაქმნებსა და საბჭოთა კავშირის ცენტრთან ურთიერთობას.[18]

16 გაზ. „კომუნისტი", 1990 წლის 12-13 ოქტომბერი.

17 გაზ. „კომუნისტი", 1990 წლის 12-13 ოქტომბერი.

18 გაზ. „კომუნისტი", 1990 წლის 17-24 ოქტომბერი.

After the pre-registration, as a result of verification of the election lists, the CEC rejected to register the 3 election subjects due to violation of the election law. The key reason was that the persons on the list failed to meet the requirements of the law and were incompatible with electoral qualification. The election subjects, who were removed from registration, appealed the decision to the court. A special commission was set up at the Central Election Commission to investigate the violation of the norms of the law by the subjects removed from additional registration. Eventually, the following election subjects: N4 Georgian Agrarian Union, N8 Georgian political organization "Stalin", N9 Georgian Political Union of National Integrity and the Union of Mountaineers – election bloc, were removed from the ballot paper.

According to the law, ballot papers were printed in Georgian, in the Autonomous Republic of Abkhazia in Abkhazian, and in Armenian, Azerbaijani, Osetian, and Russian languages spoken by citizens in this or that district.

From 12 October 1990, the "Communist" newspaper, as the official government newspaper, began publishing its proportional lists of election subjects and the lists of majoritarian candidates nominated in certain districts in accordance with the legislation. A proportional list of all election subjects was printed, indicating the candidate's name and surname and his/her father's name, year of birth, profession, place of work, address, and party affiliation.[17] Givi Gumbaridze, Chair of the Presidium of the Supreme Council of the Soviet Socialist Republic of Georgia was at the top of the election list of the Communist Party of Georgia. At the top of the election list of main opposition election bloc "Round Table–Free Georgia" was Zviad Gamsakhurdia, the leader of the Georgian anti-Soviet resistance movement. At the top of election lists of other political subjects usually were the leaders of the political unions.[18]

State press dedicated numerous pages and state television airtime to election subjects. The newspaper "Communist" published the election platforms of all election subjects in the October 17-24, 1990 issues. The political subjects were discussing at the platforms the existing challenges for the transition period: national issues, economic transformations, and relations with the Soviet Union's center.[19]

The Central Election Commission, together with other state agencies, was verifying the election lists in September-October and special and additional lists were also compiled throughout the republic.

Given that the Communist Party and the supreme government institutions were fully grown into the Soviet system, this would have resulted in large legal loopholes during democratic elections. For instance, the main newspaper "Communist", besides the Council of Ministers and Supreme Council, represented the key body for Communist Party, which was printing specifically the Communist Party's propaganda material prior to the elections.




კომუნისტური პარტიის მხარდამჭერი მოწოდებები, გაზეთი „კომუნისტი", 1990 წლის 27 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Appeals to support the Communist Party, the newspaper "Communist", 27 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

17 Newspaper "Communist", 12-13 October 1990.
18 Newspaper "Communist", 12-13 October 1990.
19 Newspaper "Communist", 17-24 October 1990.

სექტემბერ-ოქტომბერში ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო სიებს სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად აზუსტებდა, სპეციალური და დამატებითი სიები კი მთელი რესპუბლიკის მასშტაბით დგებოდა.

საბჭოთა სისტემაში კომუნისტური პარტია და უმაღლესი სახელისუფლებო ინსტიტუტები ერთმანეთთან სრულად იყო შეზრდილი, ეს კი, დემოკრატიული არჩევნების პირობებში, მნიშვნელოვან სამართლებრივ ხარვეზებს აჩენდა. მაგალითად, მინისტრთა საბჭოსა და უზენაესი საბჭოს გარდა, კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მთავარი ორგანო იყო გაზეთი „კომუნისტი", რომელიც უშუალოდ არჩევნების წინ სწორედ რომ კომუნისტური პარტიის საპროპაგანდო მასალას ბეჭდავდა.

აქტიურ საარჩევნო კამპანიას აწარმოებდნენ ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტებიც. ბეჭდვითი ორგანო თითოეულს საკუთარი ჰქონდა. კანონის თანახმად, მათთვის გამოყოფილი იყო საეთერო დროც და ფინანსური რესურსიც. წინასაარჩევნო კამპანიისას განსაკუთრებით აქტიურობდა მთავარი ოპოზიციური ბლოკი – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო". საარჩევნო სუბიექტები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მიტინგებსაც მართავდნენ და საარჩევნო პლაკატებსაც აქტიურად იყენებდნენ.







კომუნისტური პარტიის მხარდამჭერი მოწოდებები, გაზეთი „კომუნისტი", 1990 წლის 27 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Appeals to support the Communist Party, the newspaper "Communist", 27 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

Opposition election subjects were also active in the election campaign, each with their own press outlets, with the airtime on TV and financial resources prescribed by law. Main opposition bloc “Round Table – Free Georgia” was particularly actively involved in the pre-election campaign. Election subjects were conducting rallies throughout the republic and actively using election posters.




გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, 1990 წლის 26 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The newspaper “Tavisupali Sakartvelo”, 26 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ბლოკ „თავისუფლების“ საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Freedom” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის, ზვიად ძიძიგურის, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Zviad Dzidziguri, a majoritarian candidate of “Round Table – Free Georgia” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Round Table – Free Georgia” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Round Table – Free Georgia” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*







ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატის, პოეტ მუხრან მაჭავარიანის, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Mukhran Machavariani, a poet and majoritarian candidate of “Round Table – Free Georgia” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

კანდიდატები საარჩევნო ბლოკიდან „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წლის 28 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Candidates of “Concord, Peace, Revival” election bloc, The newspaper “Literaturuli Sakartvelo”, 28 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის სპეციალური საერთაშორისო პრესცენტრი შექმნა და საბჭოთა თუ დასავლურ მედიასაშუალებებს, რომლებიც არჩევნების გასაშუქებლად საბჭოთა საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ, ინფორმაციას მისი მეშვეობით აწვდიდა. ცესკოს თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია პრესკონფერენციას ჟურნალისტებისათვის პრესცენტრში თითქმის ყოველდღიურად მართავდა.

არჩევნების წინა დღეებში გაზეთ „კომუნისტში“ იბეჭდებოდა განცხადებები, რომლებითაც მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ. ანალოგიურ მოწოდებებს ავრცელებდა ტელევიზიაც.


ხვალ საქართველოს
უზენაესი საბჭოს
არჩევნებია.
ყველანი არჩევნებზე!

გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წლის 27 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The newspaper “Communist”, 27 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*


დღეს საქართველოში პირველად ტარდე-
ბა უზენაესი საბჭოს არჩევნები მრავალპარ-
ტიულობის საფუძველზე. ისახება რეალური
შესაძლებლობა, რომ შეიქმნას ჭეშმარიტად
ეროვნული პარლამენტი, რომელიც მნიშვნე-
ლოვანწილად განსაზღვრავს ჩვენი რესპუბ-
ლიკის ნაბიჯებს დამოუკიდებლობისა და თა-
ვისუფლების გზაზე!
ყველანი არჩევნებზე!

გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წლის 28 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The newspaper “Communist”, 28 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები, 1990 წლის 28 ოქტომბერი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Elections of the Supreme Council of Georgia, 28 October 1990
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

The Central Election Commission (CEC) set up a special international press center for elections to the Supreme Council, providing information to Soviet and Western media outlets visiting Soviet Georgia to cover the elections. Irakli Jordania, the CEC Chairperson was holding press-conference nearly every day for journalists at the press center.

Days leading up to the elections, the newspaper "Communist" published statements calling on citizens to vote. Similar appeals were broadcast on TV as well.



ამომრჩევლები საარჩევნო უბნებზე, გაზეთი „კომუნისტი", 1990 წლის 28 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Voters at polling stations, the newspaper "Communist", 28 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*





ამომრჩევლები საარჩევნო უბნებზე,
გაზეთი „კომუნისტი", 1990 წლის 28 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Voters at polling stations, the newspaper "Communist", 28 October 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

1990 წლის 31 ოქტომბერს, კენჭისყრის დასრულების შემდეგ, თენგიზ სიგუამ, ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ, საერთაშორისო პრესცენტრში შეკრებილ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამომრჩეველთა აქტივობამ, წინასწარი შედეგებით, 65%-ს გადააჭარბა და, არსებული მონაცემებით, პროპორციული სისტემით 4%-იანი ბარიერი მხოლოდ ორმა საარჩევნო სუბიექტმა გადალახა: ხმების დაახლოებით 54% მიიღო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ხოლო 29.58% – საქართველოს კომპარტიამ. წინასწარი შედეგებითვე გამოვლენილი იყო 56 ოლქში გამარჯვებულ მაჟორიტარ დეპუტატთა ვინაობაც: 34 ოლქში მრგვალი მაგიდის კანდიდატებმა გაიმარჯვეს, 16 ოლქში – კომპარტიის წევრებმა, 4 ოლქში დამოუკიდებელმა კანდიდატებმა მოიპოვეს წარმატება, თითო-თითო მანდატი კი, არსებული ინფორმაციით, ერგოთ „სახალხო ფრონტსა" და ბლოკს „დემოკრატიული საქართველოსათვის". ცესკოს წარმომადგენლის განცხადებით, თუკი დანარჩენ ოლქებში საბოლოოდ ხმების 50%-ს ან მეტს ვერავინ მიიღებდა, დაინიშნებოდა ხელახალი არჩევნები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებდა საუკეთესო შედეგის მქონე პირველი ორი კანდიდატი.[19] კანდიდატები სატელევიზიო ეთერითა თუ არჩევნებისათვის აუცილებელი სხვა რესურსებით განმეორებითი კენჭისყრისას კვლავაც უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ.

1990 წლის 7 ნოემბერს გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული შედეგების საბოლოო ოქმი და მონაცემები პროპორციული საარჩევნო სისტემით ხმების განაწილებისა და იმ 56 საარჩევნო ოლქის შესახებ, სადაც გამარჯვებულები პირველივე ტურში გამოვლინდნენ. ცესკოს მონაცემებით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული 3 444 002 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობდა 2 406 742, აქტივობამ შეადგინა 69.88 %, ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა მიიღო 2 311 923 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა 67.18%-ს შეადგენდა. 84 797 ბიულეტენი ბათილად იქნა მიჩნეული.[20]

პროპორციული სისტემით საარჩევნო სუბიექტებს შორის ამომრჩეველთა ხმები ამგვარად გადანაწილდა:

№1. „თავისუფლება" – 71 602 – 3.10%;
№2. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია – 32 699 – 1.41%;
№3. საქართველოს კომუნისტური პარტია – 683 824 – 29.58%;
№5. „თანხმობა, მშვიდობა, აღორძინება" – 80 262 – 3.47%;
№6. საქართველოს სახალხო პარტია – 15 496 – 0.67%;
№7. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება – 53 673 – 2.32%;
№10. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი – 8 029 – 0.35%;
№11. „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება" – 33 687 – 1.46 %;
№12. „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" – 1 248 111 – 53.99%;
№13. საქართველოს სახალხო ფრონტი – 43 771 – 1.89%;
№14. „დემოკრატიული საქართველო" – 40 769 – 1.76%.[21]

არჩევნების შემდეგ პროპორციული სისტემით მანდატები ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის გადანაწილდა: ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" 81 მანდატი მოიპოვა, ხოლო საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ – 44.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 1990 წლის 11 ნოემბერს იმ 59 საარჩევნო ოლქში, სადაც ძირითადი არჩევნებისას გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, მაჟორიტარული სისტემით არჩევნების მეორე ტური დაინიშნა. მეორე ტურში, მეტწილად, „მრგვალი მაგიდისა" და კომპარტიის კანდიდატები იყრიდნენ კენჭს: 59 ოლქიდან 47-ში კენჭს იყრიდა კომპარტიის კანდიდატი, „მრგვალ მაგიდას" კი კანდიდატი თითქმის ყველა ოლქში ჰყავდა წარდგენილი. თუმცა მეორე ტურში მონაწილეობდნენ სხვებიც – სახალხო ფრონტის, რუსთაველის საზოგადოების, ბლოკ „დემოკრატიული საქართველოს" წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები.

არჩევნების მეორე ტურის შემდეგ, რომელიც 1990 წლის 11 ნოემბერს გაიმართა, მაჟორიტარული სისტემით მანდატები ამგვარად განაწილდა: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" – 43, კომუნისტური პარტია – 17, სახალხო ფრონტი – 11, ბლოკი „დემოკრატიული საქართველო" – 2, შოთა რუსთაველის საზოგადოება – 1, ხოლო დანარჩენი მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვება დამოუკიდებელმა კანდიდატებმა მოიპოვეს.

არჩევნებში საკანონმდებლო ორგანოს მანდატი 17 ქალს ერგო, მათგან 10 კენჭს იყრიდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო ბლოკის სიით, 4 – ერთიანი კომუნისტური პარტიის სიით, ხოლო 3 არჩეულ იქნა ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში. უზენაეს საბჭოში ეთნიკურ უმცირესობათაგან 8 წარმომადგენელი აირჩიეს. მათგან ხუთმა დეპუტატის მანდატი მაჟორიტარული სისტემით მოიპოვა, ორმა – კომუნისტური პარტიის სიით, ხოლო ერთმა – „მრგვალი მაგიდის" ბლოკის საარჩევნო სიით.

19 გაზ. „კომუნისტი", 1990 წლის 2 ნოემბერი, გვ. 1.
20 გაზ. „კომუნისტი", 1990 წლის 7 ნოემბერი, გვ. 2.
21 გაზ. „კომუნისტი", 1990 წლის 7 ნოემბერი, გვ. 2.

Following the elections, on 31 October 1990, Deputy Chairperson of the CEC Tengiz Sigua told reporters gathered at the international press center that preliminary voter turnout exceeded 65%. According to preliminary results, only two electoral subjects crossed the 4% threshold by a proportional system; namely, election bloc – "Round Table – Free Georgia" with around 54% of votes and the Communist Party of Georgia with 29.3 % of votes. Preliminary results also showed majoritarian MPs having won in 56 districts. Candidates of Round Table won in 34 districts, Communist Party in 16 districts, and independent candidates won in 4 districts. According to information, each of the People's Front and the bloc "Democratic Georgia" won one mandate respectively. According to the CEC representative, if no candidate received 50% or more of the votes in the rest districts, the second round of elections would take place, with the two best-performing candidates[20] running. During the second round of elections, candidates would enjoy TV coverage and other resources needed for elections.

On 7 November 1990, the newspaper "Communist" published the summary protocol of the election results approved by the Central Election Commission, which included the distribution of votes by a proportional system, as well as the results of the 56 electoral districts in which the winner was announced in the first round. According to the CEC data, 2 406 742 voters out of 3 444 002 registered in the Soviet Socialist Republic of Georgia participated in voting and voter turnout stood at 69.88 %; 2 311 923 voters took part in the polling totaling to 67.18% of voters. 84 797 ballots[21] were deemed invalid.

The votes among election subjects by proportional system were distributed as follows:

N1. "Freedom" – 71 602 3.10%;

N2. Social Democratic Party of Georgia – 32 699 – 1.41%;

N3. Communist Party of Georgia – 683 824 – 29.58%;

N5. "Concord, Peace and Revival" – 80 262 – 3.47 % ;

N6. People's Party of Georgia – 15 496 – 0.67%;

N7. All-Georgian Rustaveli Society – 53 673 – 2.32%;

N10. All-Georgian Farmers Union – 8 029 – 0.35%;

N11. "Liberation and Economic Revival" – 33 687 – 1.46 %;

N12. "Round Table – Free Georgia" – 1 248 111 – 53.99%;

N13. People's Front of Georgia – 43 771 – 1.89%;

N14. "Democratic Georgia" – 40 769 – 1.76%[22].

Following the elections, the mandates were distributed among the two political subjects by the proportional system: "Round Table – Free Georgia" received 81 mandates, while the Communist Party of Georgia – 44.

On 11 November 1990, the second round of elections by the majoritarian electoral system were appointed in 59 electoral districts where no winner was revealed during the first round, according to the decision of the CEC. In the second round, mostly candidates of the "Round Table" and the Communist Party were running: of 59 districts candidates of Communist Party were running in 47, in nearly all districts candidates of the "Round Table" were running. Also, candidates of People's Front, Rustaveli Society, "Democratic Georgia" bloc and independents were taking part in the second round.

Following the second round of elections held on 11 November 1990, the mandates distributed by the majoritarian system were as follows: "Round Table – Free Georgia" – 43, Communist Party – 17, People's Front – 11, "Democratic Georgia" bloc – 2, Shota Rustaveli Society – 1, and independent candidates won the race in other majoritarian districts.

17 women were elected at the legislative body, of these 10 were elected from "Round Table – Free Georgia" election bloc list, 4 from all Communist Party list, and 3 women candidates were elected in single-member majoritarian districts. 8 representatives of ethnic minorities were elected to the Supreme Council, 5 of them won seats by the majoritarian system, two were elected from the Communist Party's list; while one from the "Round Table" bloc's list.

20 Newspaper "Communist", 2 November 1990, p. 1.

21 Newspaper "Communist", 7 November 1990, p.2.

22 Newspaper "Communist", 7 November 1990, p. 2



ძლევაი საკვირველი

„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ბლოკის გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, 1990 წლის 6 ნოემბრის გამოშვების პირველი გვერდი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The newspaper “Tavisupali Sakartvelo” of “Round Table – Free Georgia” political bloc
Cover of 6 November 1990 issue
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




მოქალაქეები არჩევნებში „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვებას ზეიმობენ, გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, 1990 წლის 18 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Citizens celebrate the victory of “Round Table – Free Georgia” in elections
The newspaper “Tavisupali Sakartvelo”, 18 Novemeber 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა, გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, 1990 წლის 18 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The first session of the newly elected Supreme Council, the newspaper “Tavisupali Sakartvelo”, 18 November 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

1990 წლის 14 ნოემბრის დილის 10:00 საათზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახლად არჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა გაიხსნა. მასზე საბჭოს თავმჯდომარედ არჩევნებში გამარჯვებული ბლოკის – „მრგვალი მაგიდის“ – ლიდერი ზვიად გამსახურდია აირჩიეს.

The first session of the newly elected Supreme Council of the Soviet Socialist Republic of Georgia opened on 14 November 1990 at 10 am. At the first meeting, Zviad Gamsakhurdia, the leader of the winner election bloc – “Round Table” in elections, was elected as the Chairman of the Council.

# საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის 1991 წლის 31 მარტის არჩევნები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის თებერვალში დაადგინა, რომ რესპუბლიკის მასშტაბით ადგილობრივ მმართველობათა საკრებულოების წევრთა არჩევნები ჩაეტარებინათ. საკრებულოები მანამდე მოქმედ საბჭოურ რაიონულ კომიტეტებს უნდა ჩანაცვლებოდა. საბჭოს დადგენილებით, არჩევითი ხდებოდა მხოლოდ რაიონის ადგილობრივ მმართველობათა წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები, ხოლო ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები, ე.წ. აღმასკომები, შეიცვლებოდა პრეფექტურებით, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ პირდაპირი წესით დანიშნული პირები – რაიონის (ქალაქის) პრეფექტები – უხელმძღვანელებდნენ.

უზენაესმა საბჭომ დაადგინა, ადგილობრივ მმართველობათა საკრებულოების წევრთა არჩევნები დაეგეგმათ 1991 წლის 31 მარტისთვის, როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი სარეფერენდუმოდ უნდა გამოეტანათ. კენჭისყრის შედეგად უნდა დაენერგათ ორდონიანი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა – დაეკომპლექტებინათ რაიონული საკრებულოები და აერჩიათ რაიონში შემავალი თითოეული სოფლის საკრებულოს წევრები.

ადგილობრივი მმართველობების შესახებ საარჩევნო კანონი და თავად ამ ორგანოთა საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩო 1991 წლის მარტში ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაუმართავი იყო. კანონის დახვეწა და სრულყოფა საკრებულოთა არჩევნების შემდეგ კვლავაც გრძელდებოდა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 9 აპრილის ნომერში გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობების შესახებ კანონი გამოქვეყნდა.[22]

1991 წლის თებერვლის დასაწყისში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების – საკრებულოების – არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პარტიათა რეგისტრაცია დაიწყო. პოლიტიკურ სუბიექტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად 1991 წლის 8 თებერვალი განისაზღვრა.

ადგილობრივ მმართველობათა საკრებულოების სრულფასოვანი არჩევნების ჩატარებაზე უშუალოდ აისახებოდა მოუწესრიგებელი საარჩევნო კანონმდებლობა – ოფიციალურ პრესაში არჩევნების საბოლოო და უტყუარი სტატისტიკა თითქმის არ მოიპოვებოდა, ხოლო დაუხვეწავმა საკანონმდებლო ბაზამ არჩეული საკრებულოების წევრთა მანდატების პროპორციულობის ზუსტი აღნუსხვა შეუძლებელი გახადა.

პირველ ეტაპზე ადგილობრივ მმართველობათა 1991 წლის 31 მარტის არჩევნები ყველა სასოფლო საკრებულოში ვერ შედგა. ამის გამო, მომდევნო თვეებში პრესაში ცალკეულ საკრებულოებში ჩატარებული თუ დაგეგმილი არჩევნების შესახებ ცნობები ფრაგმენტულად კვლავაც იბეჭდებოდა.

ზოგადად, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით საკრებულოს წევრთა მანდატების უმრავლესობა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" ბლოკმა მოიპოვა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, პრესასა და საარქივო მასალებში მანდატების განაწილების ზუსტი სტატისტიკა, სამწუხაროდ, არ მოიპოვება. სრული ინფორმაცია მხოლოდ ქალაქ თბილისის ათი რაიონისა და დაბა წყნეთის ადგილობრივი საკრებულოების რჩეულ წევრთა შესახებაა შემორჩენილი. თითოეული საკრებულო 40 წევრისაგან შედგებოდა. თბილისის რაიონებსა და დაბა წყნეთში არჩეული იყო 11 ადგილობრივი საკრებულო და 440-მდე დეპუტატი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენდა საარჩევნო ბლოკს „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო". არჩევნებში ათეულობით დამოუკიდებელმა კანდიდატმა გაიმარჯვა. მანდატების გარკვეული რაოდენობა გადაეცა წარმომადგენლებს სახალხო ფრონტიდან, დამოუკიდებელი კომპარტიიდან, დემოგრაფიული საზოგადოების პარტიიდან, ბლოკიდან „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება", საზოგადოებიდან „ლემი", ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიდან, საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირიდან. მანდატების გარკვეული რაოდენობა გადაეცათ აგრეთვე სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს.[23]

22 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 9 აპრილი, გვ. 2.

23 ქალაქ თბილისის რაიონებისა და დაბა წყნეთის საკრებულოებში არჩეულ დეპუტატთა სიისათვის იხ. http://www.ivote.ge/archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi-1991/14483-qalaq-thbilisis-raionebisa-da-daba-tsynethis-sakrebuloebshi-archeul-depututtha-sia.html?lang=ka-GE

ადგილობრივი მმართველობების არჩევნებისათვის აქტიური კამპანია არ გაუჩაღებიათ. ალბათ ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ პოლიტიკურ ძალთა მთელი ყურადღება დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმისკენ იყო მიპყრობილი. 1991 წლის 31 მარტს, გარდა რეფერენდუმისა, ადგილობრივი საკრებულოების წევრთა არჩევნებიც იყო დანიშნული, თუმცა ოფიციალური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ნომრის გარეკანიდან თუ იტყობინებოდა.[24]

ადგილობრივი მმართველობის არჩევნები, ტრადიციის შესატყვისად, ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ იყო ორგანიზებული.

1991 წლის აგვისტოში, მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სათანადო მონაცემები წარუდგინა, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 5 807 235 მანეთის საერთო ოდენობით საკრებულოთა არჩევნების საერთო ხარჯების ანგარიში დაამტკიცა.[25]



საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 60 (80) | პარასკევი, 29 მარტი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

31 მარტი — რეფერენდუმი, საკრებულოების არჩევნები

„საქართველოს რესპუბლიკის“ ცნობა ადგილობრივი საკრებულოების არჩევნებთან დაკავშირებით, 1991 წლის 29 მარტი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Notice of “Sakartvelos Respublika” on Local Sakrebulo Elections, 29 March 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

24 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 29 მარტი, გვ. 1.

25 იხ. უზენაესი საბჭოს 1991 წლის 10 აგვისტოს დადგენილება.

# 31 MARCH 1991 LOCAL SELF-GOVERNMENT ELECTIONS

The Supreme Council of the Soviet Socialist Republic of Georgia decided in February 1991 to hold Local Self-Government – Sakrebulo Elections throughout the republic. The sakrebulos were to replace former Soviet districts' committees. According to the ordinance of the Council, only local self-government representative bodies – Sakrebulos of the district were to be elected, while the local executive bodies the so-called executive committees would be replaced by prefectures led directly by persons – prefects of district (city) appointed by the central government.

The Supreme Council defined that Local Self-Government – Sakrebulos Elections would be held on 31 March 1991 when the referendum regarding restoration of independence was planned. The two-tiered system of local self-government had to be introduced as a result of the vote – to staff districts' Sakrebulos and elect the members of Sakrebulos of each village within the districts'.

An election law on local-self government and legislative framework of the activities of these bodies was still vague and faulty in March 1991. Enhancement and sophistication of the law continued after the sakrebulo elections. On 9 April 1991, the newspaper "Sakartvelos Respublika" published the law on local governments during the transitional period.[23]

In early February 1991, the Central Election Commission (CEC) began registering parties seeking to run in elections of local government bodies – Sakrebulos. The deadline for registration of political subjects was defined 8 February 1991.

Irregular election legislation was directly reflected in the conduct of full-fledged elections of local governments Sakrebulos. A final or flawless statistics about elections were almost nowhere found in the official press, and a lack of legislative base made it impossible to accurately track the proportionality of elected Sakrebulos members' mandates.

At the first stage, local government elections of 31 March 1991 were not held in all rural Sakrebulos. Because of this, over the coming months, reports of the held or planned elections in certain Sakrebulos by the press was still fragmentarily printed.

Generally, the majority of mandates of Sakrebulos throughout the republic was received by "Round Table – Free Georgia" bloc, however, as mentioned above, exact statistics on the distribution of mandates in the press or archival materials, unfortunately, cannot be obtained. Full information is only available on the elected members of local Sakrebulos of the ten districts in Tbilisi city and Tskneti township. Each Sakrebulo was composed of 40 members. 11 local Sakrebulos and around 440 deputies were elected in districts of Tbilisi and Tskneti township, of these the overwhelming majority, represented the election bloc "Round Table – Free Georgia". Dozens of independent candidates won the election. A number of mandates were given to representatives from the People's Front, Independent Communist Party, Demographic Society Party, bloc "Liberation and Economic Revival", Society "Lemi", Christian Democratic Union, Georgian Agrarian Union, also to other political subjects.[24]

No active campaigning took place for local government elections. Perhaps the reason was that all the attention of the political forces was directed to the referendum on the restoration of independence. Besides the referendum, elections of members of local Sakrebulos were also appointed on 31 March 1991, though, the official newspaper "Sakartvelos Respublika" has mentioned about it only on its several issues' covers.[25]

According to tradition Local Government Elections were organized by Central, District, and Precinct Commissions.

In August 1991, after the CEC submitted the relevant data, Supreme Council of Georgia approved a total expenditure report of 5 807 235 manetis for the sakrebulo elections.[26]

23 Newspaper "Sakartvelos Respublika", 9 April 1991, p.2.

24 For information about the list of deputies elected to Sakrebulos of Tbilisi city districts and Tskneti township, please visit: http://www.ivote.ge/archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi-1991/14483-qalaq-thbilisis-raionebisa-da-daba-tsynethis-sakrebuloeb-shi-archeul-depututtha-sia.html?lang=ka-GE

25 Newspaper "Sakartvelos Respublika", 29 March 1991, p.1.

26 See the decree of Supreme Council of 10 August 1991.

# საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი

მას შემდეგ, რაც ოპოზიციურმა ბლოკმა – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ – 1990 წლის 28 ოქტომბერს უზენაესი საბჭოს არჩევნებში გაიმარჯვა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სათავეში ისეთი პოლიტიკური ძალა აღმოჩნდა, რომელიც ღიად და შეუნიღბავად ანტისაბჭოთა სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. საბჭოთა კავშირის რღვევა 1990 წლის ბოლოსათვის, ფაქტობრივად, შეუქცევად პროცესად იქცა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო ერთიანი სახელმწიფოს გადარჩენას ცდილობდა და საამისოდ ახალ სამოკავშირეო პლატფორმას ქმნიდა. მოსკოვი იმასაც ლამობდა, რომ მოქალაქეებისაგან ერთგვარი ლეგიტიმაცია მიეღო, ამის საუკეთესო გზად კი უმაღლეს საბჭოს კავშირის ყოფნა-არყოფნის საკითხის რეფერენდუმზე გატანა ესახებოდა. 1991 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ დანიშნა რეფერენდუმი, რომლის მიზანიც ახალი სამოკავშირეო პლატფორმის საფუძველზე ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნება იყო.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშნული რეფერენდუმის საპასუხოდ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 28 თებერვალს მიიღო დადგენილება, რომლითაც 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმი საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გააუქმა. ამავე დადგენილების თანახმად, 1991 წლის 31 მარტს რესპუბლიკაში უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი, რომელიც 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხს გადაწყვეტდა.

მართლაც, საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკაში საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება აკრძალა, თუმცა, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებითა და მოსკოვის ხელშეწყობით, აფხაზეთში ის მაინც გაიმართა. აქტივობამ 52%-ს გადააჭარბა, ხოლო რეფერენდუმში მონაწილეთა 98%-ზე მეტმა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი.[26]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ორგანიზებისათვის სპეციალური ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია ჩამოაყალიბა. უზენაესმა საბჭომ სარეფერენდუმო კომისიის თავმჯდომარედ არჩილ ქირაქაძე აირჩია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნების ამომრჩეველთა საერთო სიის საფუძველზე და სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით, რეფერენდუმისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სია დააზუსტა. ამ სიის მიხედვით, ამომრჩეველთა რიცხვი 3 672 403-ს შეადგენდა.[27] ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ რეფერენდუმის ჩასატარებლად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები შექმნა. სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის გამო, სარეფერენდუმო კომისიები ვერ ჩამოყალიბდა ჯავისა და ყორნისის რაიონებში, ასევე – ქალაქ ცხინვალსა და ცხინვალის რაიონის ნაწილში. რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადა გუდაუთის რაიონმა და ქალაქმა ტყვარჩელმა. შემდგომში ტყვარჩელმა, მართალია, გადაწყვეტილება შეცვალა, მაგრამ, შემჭიდროებული ვადების გამო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აქ არჩევნების ორგანიზება ვეღარ შეძლო.

1991 წლის მარტიდან მოყოლებული, რათა რეფერენდუმის საკითხი დადებითად გადაეწყვიტათ, პრესა და ტელევიზია აქტიურ სააგიტაციო საქმიანობას შეუდგა. თითქმის ყველა ქართულ გაზეთში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მხარდამჭერთა წერილები და მოწოდებები იბეჭდებოდა. იმართებოდა ფართომასშტაბიანი მიტინგები. რეფერენდუმის მხარდასაჭერად მოქალაქეებთან შეხვედრებს მართავდნენ „მრგვალი მაგიდისა“ და სხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები.

26 რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთში დისლოცირებულმა საბჭოთა ჯარის მოსამსახურეებმა.

27 სიაში არ შედიოდნენ საბჭოთა ჯარის მოსამსახურეები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ.

# 31 MARCH 1991 INDEPENDENCE RESTORATION REFERENDUM OF GEORGIA

Following the victory of opposition bloc “Round Table – Free Georgia” in Supreme Council Elections of 28 October 1990, the Soviet Socialist Republic of Georgia was led by a political force that was openly and demonstratively imbued with the anti-Soviet spirit. The collapse of the Soviet Union by the end of 1990 has, in fact, become an irreversible process. The Soviet Union’s Supreme Council sought to save the united state and for that reason established a new allied platform. Moscow was also keen to get some legitimacy from citizens, and the best way to do so was to push to hold the referendum on the Supreme Council’s presence or absence. In early 1991, the Soviet Union’s Supreme Council appointed the referendum aiming to maintain a united state on the basis of a new allied platform.

In response to referendum appointed by the Soviet Union’s Supreme Council, on 28 February 1991, the Supreme Council of Georgia adopted decree which abolished the 17 March 1991 referendum throughout the entire territory of the Republic of Georgia. According to the same decree, the referendum, which should have been held in the republic on 31 March 1991 should have decided the question of restoring Georgian statehood under the Independence Act of 26 May 1918.

Indeed, the Supreme Council banned the conduct of the allied referendum in the Republic of Georgia, though, with the decision of the local authorities of the Autonomous Soviet Socialist Republic of Abkhazia and with the support of Moscow, the referendum was still held in Abkhazia. Voter turnout in Abkhazia exceeded 52%, and more than 98% of voters in the referendum supported the maintenance of the Soviet Union.[27]

The Supreme Council of the Republic of Georgia established a special Central Referendum Commission to organize the 31 March 1991 referendum. The Supreme Council elected Archil Tchirakadze as the chairperson of the Central Referendum Commission. The Central Election Commission, on the basis of the general list of voters in the 28 October 1990 Supreme Council Elections and in coordination with state agencies, specified a unified voter list for the referendum. According to this list, the number of voters totaled 3 672 403.[28] The Central Referendum Commission created district and precinct election commissions to conduct the referendum. Due to the ongoing military conflict in the former Autonomous Region of South Ossetia, the referendum commissions were not established in the Java and Kornisi districts, also in Tskhinvali city and in part of Tskhinvali district. Gudauta district and Tkvarcheli city refused to participate in the referendum. Tkvarcheli subsequently reversed the decision, but due to tight deadlines, the Central Election Commission was unable to organize the elections there.

Since March 1991, the press and television have begun active agitation to resolve the referendum positively. Almost all Georgian newspapers published letters and calls for support for the restoration of Georgia’s independence. Large-scale rallies were held. Representatives of “Round Table” and other political parties were holding meetings with citizens for support of the referendum.

27 Soviet troops stationed in Abkhazia took part in the referendum.

28 The list did not include Soviet troops stationed on Georgian territory.



„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ სარეფერენდუმო მიტინგი მთავრობის სახლის წინ, თბილისი, 1991 წლის 28 მარტი
*ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Rally for referendum by “Round Table – Free Georgia” in front of Government House, Tbilisi, 28 March 1991
*The photograph is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



# მიტინგი მთავრობის სახლთან

28 მარტს პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ გამართა მიტინგი მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედანზე.

„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ სარეფერენდუმო მიტინგი მთავრობის სახლის წინ, თბილისი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 29 მარტი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Rally for referendum by “Round Table – Free Georgia” in front of Government House, Tbilisi, the newspaper “ Sakartvelos Respublika”, 29 March 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



## ხვალ რეფერენდუმია!

# პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლების“ მიმართვა

### საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისადმი

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ტარდება რეფერენდუმი ერთადერთი კითხვით „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

ეს რეფერენდუმი მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და თუ იგი ერთი ნაბიჯით მაინც მიგვაახლოვებს თავისუფლებასთან, უფლება არა გვაქვს ხელიდან გავუშვათ ეს შესაძლებლობა.

ქართველი ერი საუკუნეების მანძილზე იბრძოდა თვითმყოფადობისათვის. და ამ ბრძოლაში მას მრავალი ერის შვილი ედგა გვერდით, რომელთა სახელები დღემდე მადლიერებით მოიხსენება.

თანამემამულენო!

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტში ასე წერია:

„მუხლი 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

მუხლი 6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“.

ამავე იდეალებს დაეფუძნება თავისუფალი საქართველო.

ამიტომ, რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მოვუწოდებთ, მივიდნენ საარჩევნო უბნებში და ხმა მისცენ დემოკრატიულ, დამოუკიდებელ საქართველოს.

**ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტია „დას“-ი;**
**დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა კავშირი;**
**ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი.**

ოპოზიციური ბლოკი „თავისუფლება“ ამომრჩეველს რეფერენდუმის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წლის 30 მარტი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Opposition bloc “Freedom” calls on voters to support referendum, the newspaper “Akhalgazrda Iverieli”, 30 March 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



## 31 მარტის რეფერენდუმისთვის

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ, თბილისის ტელეგრაფის ოსი ეროვნების თანამშრომლები, შეშფოთებულნი ვართ სამაჩაბლოში შექმნილი მდგომარეობით. ყველა დაბადებული ვართ საქართველოში, გვაქვს შერეული ოჯახები. ჩვენი სამშობლო საქართველოა. აქ დავიბადეთ და აქვე უნდა დავიმარხოთ ქართველების გვერდით. ჭირში და ლხინში ყოველთვის ერთად ვიყავით და ვიქნებით კიდეც.

წლების მანძილზე ჩვენს დაწესებულებაში გვერდი-გვერდ ვმუშაობთ ქართველებთან ერთად. არც ერთი წუთით ჩვენ არ გვიგრძვნია განსხვავება და ის, რომ ჩვენ ვართ სხვა ეროვნების. ამიტომ ჩვენი თხოვნაა და მოწოდებაც, რომ მოვუხმოთ გონიერებას და ნუ ავყვებით ცენტრის პროვოკაციას. ვიცხოვროთ ისე, როგორც აქამდე ვცხოვრობდით ქართველების გვერდით და გავიზიაროთ მათი ჭირი და ლხინი.

ჩვენი კოლექტივის ოსი ეროვნების თანამშრომლები ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და მოგიწოდებთ ყველა არაქართველს, ვისაც საქართველოში ცხოვრება უნდა, 31 მარტს მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს რეფერენდუმში და მხარი დავუჭიროთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

**ოსი ეროვნების თანამშრომელთა სახელით:**
**ზოზიროვა,**
**გაბიევი,**
**ხუბაევა,**
**ხანაკოევი.**
**სულ 20 ხელმოწერა.**

31 მარტის რეფერენდუმის მხარდასაჭერი მოწოდება თბილისის ტელეგრაფის ოსი მოსამსახურეების ხელმოწერით, გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი", 1991 წლის 26 მარტი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.*

Ossetian employees' signed appeal on the Tbilisi Telegraph to support March 31 referendum, the newspaper "Akhalgazrda Iverieli", 26 March 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



**თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?**

ვისთვისაც ქვირფასია საქართველო და ვისაც ის სამშობლოდ ეგულება, ვისაც მისი სჯერა, ვინც მისი კეთილმოსურნეა, ვინც მონობისათვის არაა დაბადებული, მისთვის არსებობს ერთადერთი პასუხი

**დიახ!**

რეფერენდუმის მხარდასაჭერი მოწოდება გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში", 1991 წლის 30 მარტი
*ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Appeal to support the referendum in newspaper "Akhalgazrda Iverieli"
30 March 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის"
1991 წლის 31 მარტის გამოშვების პირველი გვერდი, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გადაღებული ფოტო
*ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Cover page of 31 March 1991 issue of newspaper "Sakartvelos Respublika",
photo taken after 9 April 1989 tragedy
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

1991 წლის 31 მარტს, ჯავის, ყორნისისა და გუდაუთის რაიონების, ქალაქ ტყვარჩელის, ქალაქ ცხინვალის და, ნაწილობრივ, ცხინვალის რაიონის გამოკლებით, საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო უბნები გაიხსნა. საერთო-სახალხო გამოკითხვის მონაწილეს პასუხი უნდა გაეცა ერთადერთ შეკითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“ დასაშვები პასუხი ორგვარად ჟღერდა: „დიახ“ ან „არა“.

On 31 March 1991, with the exception of Java, Kornisi, and Gudauta districts, Tkvarcheli city, Tskhinvali city and partially Tskhinvali district, polling stations were opened throughout the entire territory of the Republic of Georgia. The participant of the general public survey had to answer the only question: “Do you agree to restore Georgia’s independence under the Independence Act of 26 May 1918?” with two admissible answers either “yes” or “no.”


საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტი

სარეფერენდუმო ბიულეტენი

თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?

დიახ არა

(შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი პასუხი)

1991 წლის 31 მარტის სარეფერენდუმო ბიულეტენი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Ballot paper of 31 March 1991 referendum
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




მოქალაქეები საარჩევნო უბნებზე, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 2 აპრილი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Citizens at polling stations, 31 March 1991 referendum, the newspaper “Sakartvelos Respublika”, 2 April 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (საბჭოს გადაწყვეტილებით – საქართველოს პრეზიდენტი) საარჩევნო უბანზე, 1991 წლის 31 მარტი, რეფერენდუმი. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 2 აპრილი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Chairman of the Supreme Council of Georgia (President based on the decision of the Council) at the polling station, 31 March 1991 referendum, the newspaper “Sakartvelos Respublika”, 2 April 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

1991 წლის 2 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. ცესკოს განცხადებით, რეფერენდუმში ამომრჩეველთა 90.8% მონაწილეობდა. სარეფერენდუმო კითხვას დადებითად უპასუხა 98.9%-მა, ხოლო მონაწილეთა 0.58%-ის პასუხი უარყოფითი იყო.[28]

On 2 April 1991, the Central Referendum Commission published preliminary results in the newspaper “Sakartvelos Respublika”. 90.8% of voters took part in the referendum, according to the CEC. 98.9% of participants answered the referendum question positively and 0.58% negatively.[29]



საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი (წინასწარი მონაცემები)

ამომრჩეველთა რაოდენობა საქართველოს რესპუბლიკაში — 3.657.477.
რეფერენდუმის მონაწილეთა რაოდენობა — 3.302.572 (90,8%).
საკითხის დადებითად გადაწყვეტის მომხრე ამომრჩეველთა რაოდენობა („დიახ“ — 3.266.285, რაც შეადგენს რეფერენდუმის მონაწილეთა 98,9 %-ს, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 89,3 %-ს.
საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის მომხრე ამომრჩეველთა რაოდენობა („არა“) — 17.400, რაც შეადგენს რეფერენდუმის მონაწილეთა 0,53 %-ს, ხოლო ამომრჩეველთა სრული რაოდენობის 0,48 %-ს.

ხმა ღვთისა და ხმა ერისა

რეფერენდუმის წინასწარი შედეგები, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 2 აპრილი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Preliminary results of the referendum, the newspaper “Sakartvelos Respublika”, 2 April 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის გასაშუქებლად საქართველოს ათეულობით ჟურნალისტი და დამკვირვებელი ეწვია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჟურნალისტთათვის სასტუმრო „მეტეხში“ სპეციალური პრესცენტრი გახსნა.

Dozens of journalists and observers visited Georgia to cover the 31 March 1991 referendum. The Central Election Commission opened a special press-center for journalists at the hotel “Metekhi”.



რეფერენდუმის შედეგებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია

ცენტრალური სარეფერენდუმო საარჩევნო კომისიის პრესკონფერენცია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 3 აპრილი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Press-conference of the Central Election Commission, the newspaper “Sakartvelos Respublika”, 3 April 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

28 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 2 აპრილი, გვ. 1.

29 Newspaper “Sakartvelos Respublika”, 2 April 1991, p.1.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის სხდომა, რომელზეც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საბოლოო შედეგები დამტკიცდა, 1991 წლის 4 აპრილს გაიმართა. ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ დაადგინა:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 3 672 403;
2. რეფერენდუმში მონაწილეთა რიცხვი – 3 334 286 – ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90.79%-ს შეადგენდა;
3. კენჭისყრაში მონაწილეობდა 3 326 100 მოქალაქე, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 90.57% იყო;
4. სარეფერენდუმო შეკითხვას „დიახ" უპასუხა და საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა 3 205 493-მა მოქალაქემ ანუ კენჭისყრაში მონაწილეთა 99.08%-მა;
5. სარეფერენდუმო შეკითხვას „არა" უპასუხა და საკითხის უარყოფითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა 16 917-მა მოქალაქემ ანუ კენჭისყრაში მონაწილეთა 0.51%-მა;
6. 13 690 ბიულეტენი ბათილად გამოცხადდა.[29]

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საარჩევნო აქტივობამ 61.27% შეადგინა.[30] რეფერენდუმზე გამოტანილ საკითხს მხარი დაუჭირა კენჭისყრაში მონაწილეთა 97.73%-მა, რაც ავტონომიური რესპუბლიკის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 59.84% იყო. სარეფერენდუმო შეკითხვას უარყოფითად უპასუხა კენჭისყრაში მონაწილეთა მხოლოდ 1.42%-მა, ეს კი ამომრჩეველთა 0.87%-ს შეადგენდა.[31] განსაკუთრებით მაღალი აქტივობა დაფიქსირდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც კენჭისყრაში ამომრჩეველთა 96.64% მონაწილეობდა.[32] ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში რეფერენდუმი მხოლოდ ცხინვალის რაიონის 7 სასოფლო საკრებულოში გაიმართა და მასში 10 182 ამომრჩეველი მონაწილეობდა. სარეფერენდუმო კითხვაზე დადებითი იყო 10 180 მოქალაქის პასუხი, ხოლო 2 ბიულეტენი გაბათილდა.[33]

29 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 5 აპრილი, გვ. 1.
30 რეფერენდუმი არ ჩატარდა გუდაუთის რაიონსა და ქალაქ ტყვარჩელში.
31 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 5 აპრილი, გვ. 1.
32 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 5 აპრილი, გვ. 1.
33 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 5 აპრილი, გვ. 1.

The session of the Central Referendum Commission where the final results of the 31 March 1991 referendum were adopted was held on 4 April 1991. The Central Referendum Commission defined that:

1. The total number of voters in the Republic of Georgia was 3 672 403;
2. 3 334 286 citizens took part in referendum amounting to 90.79% of the total number of voters;
3. 3 326 100 citizens took part in voting amounting to 90.57% of the total number of voters;
4. 3 205 493 citizens answered the referendum question "yes" and voted in favor of the positive resolution of the issue amounting to 99.08% of participants in the polling;
5. 16 917 citizens answered the referendum question "no" and voted in favor of the negative resolution of the issue amounting to 0.51% of participants in the polling;
6. 13 690 ballots were announced invalid.[30]

According to the summary protocol, voter turnout the Autonomous Republic of Abkhazia stood at 61.27%[31]. 97.73% of participants in the polling voted in favor of the question posed in the referendum amounting to 59.84% of the total number of voters of the Autonomous Republic. Only 1.42% of the participants in the voting answered negatively to the referendum question, which was 0.87% of the voters.[32] Particularly high turnout was reported in the Autonomous Republic of Adjara, where 96.64% of voters cast ballots. The referendum in the former Autonomous Region of South Ossetia was held only in 7 Sakrebulos of Tskhinvali district with 10 182 voters had cast ballots.[33] 10 180 citizens answered positively to the referendum question and 2 ballot papers were deemed invalid.[34]

30 Newspaper "Sakartvelos Respublika", 5 April 1991, p. 1.
31 Referendum was not held in Gudauta district and Tkvarcheli city.
32 Newspaper " Sakartvelos Respublika", 5 April 1991, p. 1.
33 Newspaper "Sakartvelos Respublika", 5 April 1991, p. 1.
34 Newspaper " Sakartvelos Respublika", 5 April 1991, p. 1.



რეფერენდუმი

## საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისაგან

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის 1991 წლის 4 აპრილის შემაჯამებელი ოქმი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 5 აპრილი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Summary protocol of the Central Referendum Commission of the Republic of Georgia on 4 April 1991,
the newspaper “ Sakartvelos Respublika”, 5 April 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

# საქართველოს პრეზიდენტის 1991 წლის 26 მაისის არჩევნები

საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის მარტში საგაზაფხულო სესიაზე ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია, თუმცა ამავე სხდომაზე მკაფიოდ იქნა გაცხადებული, რომ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართებოდა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებიდან მალევე რესპუბლიკის უზენაესი საბჭო სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირის – პრეზიდენტის არჩევნებისათვის სამზადისს შეუდგა.

საქართველოს რესპუბლიკას, რომელმაც დამოუკიდებლობა ახლაღა აღიდგინა, სამართლებრივი მემკვიდრეობა საბჭოეთიდან ერგო, იქ კი პრეზიდენტის ინსტიტუტი არ არსებობდა, ამიტომაც პრეზიდენტის არჩევნებისათვის სრულიად ახალი საკანონმდებლო ჩარჩო უნდა შეემუშავებინათ. 1991 წლის 18 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონი დაამტკიცა. საარჩევნო კანონის პირველი მუხლი არჩევნების საფუძვლებს აკონკრეტებდა: „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით“.[34] კანონის მეცხრე მუხლი განსაზღვრავდა იმ სუბიექტთა ჩამონათვალს, რომლებსაც არჩევნებზე კანდიდატის წარდგენა შეეძლოთ: „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკაში რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებს/ორგანიზაციებს, მოძრაობებს, კავშირებსა და ა.შ.“ ტექსტში ჩამონათვალი გრძელდებოდა: „პარტიებს/საარჩევნო ბლოკებს, რომელთა მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით“.[35]

კანონი, საარჩევნო ფონდებთან მიმართებაში, იზიარებდა 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნების რეგულაციას, რომლის მიხედვითაც საარჩევნო კამპანიისათვის განსაზღვრულ თანხას თითოეულ კანდიდატს ცენტრალური საარჩევნო კომისია ურიცხავდა, ხოლო თავად კანდიდატს დამატებითი რესურსის მოძიება შემოწირულობების სახით შეეძლო. საარჩევნო კამპანიის ხელის შემშლელი ფაქტები კანონითვე დადგენილი სადამსჯელო ღონისძიებებით რეგულირდებოდა.

პრეზიდენტობის კანდიდატად მოქალაქის წარდგენისათვის აუცილებელ ცენზებს საპრეზიდენტო არჩევნების საკანონმდებლო ჩარჩო აზუსტებდა. კერძოდ, მეჩვიდმეტე მუხლში გაცხადებული იყო, რომ „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს დაბადებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, ოცდათხუთმეტიდან სამოცდაათ წლამდე ასაკისა, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ ბოლო 5 წლისა, მიუხედავად სოციალური, ქონებრივი მდგომარეობის, სქესის და საქმიანობისა“.[36] ეს მუხლივე განსაზღვრავდა იმ წესებს, რომლებიც კანდიდატის რეგისტრაციისათვის მის მომხრეთა მხრიდან მხარდაჭერის დამადასტურებელ ხელმოწერათა შეგროვების აუცილებელ პროცედურას ეხებოდა: „პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა ჯგუფის პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 23 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია. მასში უნდა იყოს არანაკლებ 10 000 ამომრჩევლის ხელმოწერა“.[37] წარდგენილ ხელმოწერათა შორის, სულ ცოტა, 9 000 ნამდვილი და უშეცდომო უნდა ყოფილიყო, სხვა შემთხვევაში კანდიდატი რეგისტრაციას ვერ გაივლიდა. კანონის თანახმად, იქმნებოდა ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. კანონი ასევე განსაზღვრავდა მეორე ტურის გამართვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ პირველ ტურში, რომელშიც მონაწილეობას ამომრჩეველთა 50% მაინც მიიღებდა, ხმათა საკმარის რაოდენობას ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებდა.

34 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქ. 2938, გვ. 13.

35 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქ. 2938, გვ. 14.

36 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქ. 2938, გვ. 17.

37 უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქ. 2938, გვ. 18.

# 26 MAY 1991 PRESIDENTIAL ELECTIONS OF GEORGIA

In March 1991, the Supreme Council of Georgia elected Zviad Gamsakhurdia as President of the Republic of Georgia at the spring session. Though, in the same session, it was clearly stated that Presidential Elections would take place in the republic.

Based on the results of the 31 March 1991 referendum, on 9 April 1991, the Supreme Council of Georgia declared the restoration of Georgia's independence. Shortly after the Independence Restoration Act was passed, the Supreme Council of the Republic launched preparations for the elections of the highest official of the state – President.

Given the newly restored independent Republic of Georgia having legal inheritance from Soviet Georgia, where there was no presidential institute, prompted the need to prepare a completely new legislative framework for the presidential election. On 18 April 1991, the Supreme Council of the Republic of Georgia approved a law regarding elections of the president of the Republic of Georgia. The first article of election law was specifying the grounds of elections – "The President of the Republic of Georgia shall be elected by universal suffrage, on the basis of universal, equal and direct suffrage. The President of the Republic of Georgia shall be elected for the five-year term".[35] Article 9 of the election law was defining the list of subjects eligible to nominate candidates in elections, namely "Political parties / organizations, movements, unions, etc. registered in the Republic of Georgia have the right to nominate candidates for the president of the Republic of Georgia. Hereinafter – "Parties/election blocs that operate throughout the territory of the Republic of Georgia, as well as voters' groups by submitting a statement".[36]

The election law was in line with the 28 October 1990 Supreme Council Election's regulations regarding election funds, according to which the Central Election Commission transferred the amount allocated for conducting the election campaign to each candidate, and the candidate itself could seek additional resources through donations. The law also stipulated the rules of punishment for obstructing the election campaign.

The legislative framework of Presidential Elections was specifying the electoral qualification needed to nominate a citizen as a presidential candidate. In particular, Article 17 stated, "A citizen of the Republic of Georgia, from 35 to 70 years of age, who has been a permanent resident of the Republic of Georgia for at least the last five years, regardless of social and property status, sex or activity[37,] maybe nominated as a candidate for President of the Republic of Georgia". The same article specified the mechanisms to confirm the signatures of the supporters required to register a candidate – "the responsible representatives of the party, election bloc, and group of voters must submit to the Central Election Commission, no later than 23 days before the elections, the list of voters/supporters' of the candidate. It must contain at least 10 000 signatures".[38] Of the signatures submitted, at least 9 000 must have been genuine and faultless, otherwise the candidate would not have been registered. According to the law, central, district and precinct election commissions were established. The law also stipulated the possibility of holding the second round if no candidate received enough votes in the first round, where at least 50% of voters had cast their ballots.

35 Central Archives of Contemporary History, Foundation 1165, Description 8, Case N 2938, p. 13.
36 Central Archives of Contemporary History, Foundation 1165, Description 8, Case N 2938, p. 14.
37 Central Archives of Contemporary History, Foundation 1165, Description 8, Case N 2938, p. 17.
38 Central Archives of Contemporary History, Foundation 1165, Description 8, Case N 2938, p. 18.

1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას, ძირითადად, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისათვის დაზუსტებულ-დამტკიცებულ საარჩევნო სიებს ეყრდნობოდნენ. თუმცა მას შემდეგ, რაც 1991 წლის აპრილში რაჭასა და ზემო იმერეთში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც, მიწისძვრის გამო ამ რაიონებიდან გადაადგილებული პირები იმჟამინდელი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით დამატებით უნდა აღენუსხათ. საგანგებო ჩანაწერისა და განმარტების საფუძველზე, შესაბამისი რაიონების საუბნო კომისიების სპეციალურ სიებში უნდა შეეყვანათ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ ამბროლაურის, ონისა და საჩხერის რაიონში ჩასული სპეციალური ჯგუფის წევრებიც.[38]

1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა თითქმის სრულად შეიცვალა. კომისიის ახალ თავმჯდომარედ არჩილ ქირაქაძე აირჩიეს, კომისიის შემადგენლობა კი 24 კაცით განისაზღვრა.

1991 წლის აპრილში არჩევნებში მონაწილეობის მოსურნე პირთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩილ ქირაქაძის თავმჯდომარეობით რეგისტრაციაში 6 კანდიდატი გაატარა:

1. ზვიად გამსახურდია,
2. ირაკლი შენგელაია,
3. ჯემალ მიქელაძე,
4. ვალერიან ადვაძე,
5. თამაზ კვაჭანტირაძე,[39]
6. ნოდარ ნათაძე.

საარჩევნო კანონის თანახმად, თითოეულ კანდიდატს სახელმწიფო ტელევიზიის საეთერო დრო ეთმობოდა, ხოლო კანდიდატთა პროგრამებსა და მოწოდებებს ოფიციალური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებდა.[40]



ვაქვეყნებთ პრეზიდენტობის კანდიდატთა ტელევიზიით გამოსვლების დაზუსტებულ გრაფიკს 21-დან 25 მაისამდე

| | გამოსვლის დღეები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| | გამოსვლის საათები | | | | |
| ზვიად გამსახურდია | 22.40; | 22.40; | 22.40; | 22.40; | 22.40; |
| ირაკლი შენგელაია | 20.20; | 20.20; | 20.20; | 20.20; | 20.20; |
| ჯემალ მიქელაძე | 20.00; | 20.00; | 20.00; | 20.00; | 20.00; |
| ვალერიან ადვაძე | 21.40; | 21.40; | 21.40; | 21.40; | 21.40; |
| თამაზ კვაჭანტირაძე | 19.40; | 19.40; | 19.40; | 19.40; | 19.40; |
| ნოდარ ნათაძე | 19.20; | 19.20; | 19.20; | 19.20; | 19.20; |

ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საპრეზიდენტო კანდიდატების სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში გამოსვლის გრაფიკი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 21 მაისი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Presidential candidates' schedule on state television, the newspaper "Sakartevelos Respublika", 21 May 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ოფიციალური პერიოდული გამოცემა „საქართველოს რესპუბლიკა“ უხვად ბეჭდავდა ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა წერილებსა და მოწოდებებს.

Letters and appeals in support of Zviad Gamsakhurdia were widely printed on the pages of the official newspaper "Sakartvelos Respublika".



ვაქარწყლებთ ცრუ აზრს

ქართველი ინტელიგენცია მხარდაჭერას უცხადებს პრეზიდენტობის კანდიდატ ზვიად გამსახურდიას, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 24 მაისი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Georgian intelligentsia supports presidential candidate Zviad Gamsakhurdia, the newspaper "Sakartvelos Respublika", 24 May 1991.
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

38 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 21 მაისი, გვ. 1.

39 მოგვიანებით ამ კანდიდატმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, თუმცა, საარჩევნო ვადებიდან გამომდინარე, საარჩევნო ბიულეტენში კანდიდატის სახელი და გვარი მაინც ფიქსირდებოდა.

40 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 22-23 მაისი.



საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ

კარი I. ზოგადი დებულებები

მუხლი I. არჩევნების საფუძველი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის I8 წელი შეუსრულდა.

ის პირნი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, არ მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები პრეზიდენტის არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები პირდაპირია:



\- I3 -

პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნების პირველ ტურში, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფებს ამ კანონით დადგენილი წესით.

ხელახალი არჩევნების დროს საარჩევნო ღონისძიებანი ტარდება ამ კანონით დადგენილი წესით ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტი

თბილისი.
1991 წლის I8 აპრილი.
№ 203-Iს

68

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში*

The law “Regarding Presidential Elections of Republic of Georgia” adopted by the Supreme Council of Georgia
*The Document is preserved at the National Archives of Georgia*

In the 1991 Presidential Elections, mainly were relying on the specified and approved voter lists during the 31 March 1991 referendum, though, due to powerful earthquakes in Racha and Zemo Imereti in April 1991, the Central Election Commission issued a decree; based on it, displaced persons from these areas were included in the supplementary lists of actual residential areas. Also, members of special groups sent in Ambrolauri, Oni, and Sachkhere districts for earthquake elimination work were included in the special lists of these districts' precinct commissions based on the special records and explanations[39].

During the 1991 Presidential Elections, the composition of the Central Election Commission changed almost completely. Archil Tchirakadze was elected as the new chair of the commission, totaling commission's composition to 24 members.

In April 1991, the registration of persons running for the elections was underway. The Central Election Commission registered 6 candidates under the chairmanship of Archil Chirakadze:

1. Zviad Gamsakhurdia,
2. Irakli Shengelaia,
3. Jemal Mikeladze,
4. Valerian Advadze,
5. Tamaz Kvatchantiradze,[40]
6. Nodar Natadze.

According to the election law, each candidate was given airtime on state television, as well as candidates' programs and appeals were printed on the pages of the official newspaper “Sakartvelos Respublika”.

39 Newspaper “Sakartvelos Respublika”, 21 May 1991, p.1.

40 The candidate later refused to run in the election, but the name and surname of the candidate were still included in the ballot paper due to election terms.

წინასაარჩევნო კამპანია, ძირითადად, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში წარიმართა. კანდიდატები საარჩევნო მიტინგებს მართავდნენ, საეთერო დროსაც იყენებდნენ და პროგრამებსა თუ პლაკატებსაც ავრცელებდნენ.

Pre-election campaign was mainly held in a free and democratic environment. Candidates were holding election rallies and using airtime, spreading programs, and posters.




ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის, ზვიად გამსახურდიას, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Zviad Gamsakhurdia, presidential candidate of “Round Table – Free Georgia” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის, ზვიად გამსახურდიას, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Zviad Gamsakhurdia, presidential candidate of “Round Table – Free Georgia” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




თავისუფალ დემოკრატთა კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატის, თამაზ კვაჭანტირაძის, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Tamaz Kvatchantiradze, presidential candidate of the Union of Free Democrats
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის, ზვიად გამსახურდიას, მხარდამჭერი სამეგრელოში
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

A citizen supporting Zviad Gamsakhurdia, presidential candidate of "Round Table – Free Georgia" bloc in Samegrelo
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

განსაკუთრებულ პოლიტიკურ ვითარებაში დასაშვები იყო, ჩატარებულიყო წინასწარი კენჭისყრა და ამას საარჩევნო კანონიც ითვალისწინებდა. 1991 წლის დასაწყისიდან ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური სიტუაცია გამწვავდა. მოვლენათა ამგვარი განვითარების გამო, ამ რეგიონებში წინასწარი ხმის მიცემა დაიგეგმა, თუმცა ქალაქ ტყვარჩელში, გუდაუთის რაიონში, ქალაქ ცხინვალში, ყორნისისა და ჯავას რაიონებში, ცესკოს შეფასებით, კენჭისყრა ვერ შედგა. შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარემ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით წინასწარი ხმის მიცემის გაუქმების განკარგულება გამოსცა.[41]

1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებმა თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩაიარა. ამომრჩეველთა აქტივობამ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, 83%-ს მიაღწია.

According to the election law, early voting was permitted in case of special political circumstances. Since the beginning of 1991, the political situation in the Former Region of South Ossetia and the Autonomous Republic of Abkhazia worsened. Due to such developments, early voting was planned in these regions, however, based on the CEC assessment, no early voting was held in Tkvarcheli city, Gudauta district, Tskhinvali city, Kornisi and Java districts. Accordingly, the CEC Chairperson issued the ordinance on revoking early elections throughout the republic.[42]

Presidential Elections of the Republic of Georgia on 26 May 1991 was held in a free and democratic environment. Voter turnout stood at 83%, according to the Central Election Commission.



მოქალაქეთა ჯგუფი საარჩევნო უბანზე, 1991 წლის 26 მაისი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში*

Group of citizens at the polling station, 26 May 1991
*The document is preserved at the National Archives of Georgia*

41 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 25 მაისი, გვ. 1.

42 Newspaper "Sakartvelos Respublika", 25 May 1991, p.1.



საარჩევნო უბანი, 1991 წლის 26 მაისი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში*

Polling Station, 26 May 1991
*The document is preserved at the National Archives of Georgia*



პრეზიდენტობის კანდიდატი ზვიად გამსახურდია საარჩევნო უბანზე, 1991 წლის 26 მაისი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში*

Zviad Gamsakhurdia, presidential candidate at the polling station, 26 May 1991
*The document is preserved at the National Archives of Georgia*



პრეზიდენტობის კანდიდატი ზვიად გამსახურდია და მოქალაქეთა ჯგუფი საარჩევნო უბანზე, 1991 წლის 26 მაისი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 28 მაისი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Zviad Gamsakhurdia, presidential candidate and group of citizens at the polling station,26 May 1991
The newspaper "Sakartvelos Respublika", 28 May 1991
*The newspaper is preserved at the National Archives of Georgia*

1991 წლის 28 მაისს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" პრეზიდენტის არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემების თანახმად, ხმათა 86.52 % ზვიად გამსახურდიამ მიიღო, მეორე ადგილზე ხმების 7.59%-ით ვალერიან ადვაძე გავიდა.

On 28 May 1991, the newspaper "Sakartvelos Respublika" released preliminary results of Presidential Elections. According to preliminary data of the Central Election Commission, Zviad Gamsakhurdia received 86.52 % of votes, and Valerian Advadze took the second position with 7.59% of votes.



1991 წლის 26 მაისი

ასე რომ, ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტია

არჩევნების წინასწარი შედეგები, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 28 მაისი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Preliminary results of elections, the newspaper "Sakartvelos Respublika", 28 May 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

1991 წლის 3 ივნისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სხდომაზე საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. ოქმის თანახმად, სიებში რეგისტრირებული 3 594 810 ამომრჩევლიდან საარჩევნო უბანზე 2 978 247 გამოცხადდა, კენჭისყრაში კი 2 968 945 ამომრჩეველი მონაწილეობდა. 39 918 ბიულეტენი ბათილად იქნა მიჩნეული. კანდიდატებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ზვიად გამსახურდია – 2 565 362 – 86.5%,
2. ირაკლი შენგელაია – 26 886 – 0.9%,
3. ჯემალ მიქელაძე – 51 717 – 1.7%,
4. ვალერიან ადვაძე – 240 243 – 8.1%,
5. თამაზ კვაჭანტირაძე – 8 553 – 0.3%,
6. ნოდარ ნათაძე – 36 266 – 1.2%.[42]

The Central Election Commission approved a summary protocol of the presidential election at the session held on 3 June 1991. Based on the protocol, of 3 594 810 voters registered in the lists, 2 978 247 voters came to the polling stations, and 2 968 945 voters cast their votes. 39 918 ballots were deemed invalid.

The votes were distributed among the candidates as follows:

1. Zviad Gamsakhurdia – 2 565 362 – 86.5%
2. Irakli Shengelaia – 26 886 – 0.9%
3. Jemal Mikeladze – 51 717 – 1.7%
4. Valerian Advadze – 240 243 – 8.1%
5. Tamaz Kvatchantiradze – 8 553 – 0.3%
6. Nodar Natadze – 36 266 – 1.2%[43]



საქართველოს პრეზიდენტის 1991 წლის 26 მაისის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of 26 May 1991 Georgian Presidential Elections
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

საარჩევნო კანონის შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, უზენაესმა საბჭომ, დაამტკიცა საპრეზიდენტო არჩევნებისათვის გაწეული ხარჯების ნუსხა, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარუდგინა. უზენაესი საბჭოს დადგენილებით, 1991 წლის 26 მაისის არჩევნებზე სულ 2 169 231 მანეთი დაიხარჯა: საოლქო და საუბნო კომისიის ხარჯებმა 1 821 480 მანეთი შეადგინა, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიისამ – 347 751 მანეთი.

According to the election law, within a month following the Presidential Elections, the supreme legislative body of the Republic of Georgia – the Supreme Council has approved the list of expenditures made for the Presidential Elections, which was submitted by the Central Election Commission to the legislative body. According to the decree of the Supreme Council, 2 169 231 manetis were spent on 26 May 1991 elections. DEC and PEC commissions' expenditures amounted to 1 821 480 manetis, and CEC expenditures totaled 347 751 manetis.

42 ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივი, 1991 წლის 3 ივნისის სხდომის შემაჯამებელი ოქმი.

43 The Central Election Commission's archive, the summary protocol of session held on 3 June 1991.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 ივნისის არჩევნები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაწყებული პროცესები რესპუბლიკის მმართველობაში კომუნისტური ხელისუფლების მშვიდობიანი გზით ჩანაცვლებას გულისხმობდა. ასეთივე ვითარება იყო საბჭოთა საქართველოს რეგიონებშიც.
1990 წლის ნოემბერში აჭარის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მრავალპარტიული არჩევნების საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირებისათვის მუშაობას შეუდგა.

1990 წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან ადგილობრივმა პრესამ საარჩევნო კანონის სხვადასხვა ვარიანტის პროექტების გამოქვეყნება და ამ საკითხის შესახებ დისკუსია წამოიწყო.[43] პროექტის პირველი ვერსია უზენაესი საბჭოს 100 დეპუტატისთვის თავისუფალი და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა. პროექტის მიხედვით, უზენაესი საბჭოს დასაკომპლექტებლად შერეული საარჩევნო სისტემა უნდა გამოეყენებინათ, რაც პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით მანდატების თანაბრად გადანაწილებას განაპირობებდა. საბჭოს წევრთაგან ორმოცდაათს პროპორციული სისტემით აირჩევდნენ, ორმოცდაათსაც ერთმანდატიან ოლქებში ეყრებოდა კენჭი. უზენაესი საბჭოს წევრები 5 წლის ვადით უნდა აერჩიათ.[44]

აჭარის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საარჩევნო კანონის სხვაგვარი ვარიანტიც შეიმუშავა და საზოგადოებას 1990 წლის დეკემბერში წარუდგინა.[45] ეს საკანონმდებლო ინიციატივა, მეტწილად, კანონპროექტის პირველ ვერსიას ემთხვეოდა და შერეულ საარჩევნო სისტემასა და 100 მანდატის თანაბრად გადანაწილებას ითვალისწინებდა. შენიშვნები, რომლებსაც პროექტის ორივე ვარიანტთან დაკავშირებით გამოთქვამდნენ, უმთავრესად, მანდატთა რაოდენობის შემცირების აუცილებლობას შეეხებოდა, რადგანაც პატარა ავტონომიურ რესპუბლიკაში ასკაციანი უზენაესი საბჭოს არსებობა მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ.

1990 წლის 3 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია გაიმართა. სესიაზე საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, თ. ხახავამ, საბჭოს წევრებს საარჩევნო კანონის პროექტის უკვე შემუშავებული ორი ვერსია გააცნო და არჩევნების შესახებ კანონის დამტკიცება საბჭოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეიტანა.[46]

აჭარის საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 4 იანვრის სხდომაზე არჩევნების შესახებ კანონიც დაამტკიცა და უზენაესი საბჭოს არჩევნების თარიღიც – 1991 წლის 3 მარტი – განსაზღვრა.

საარჩევნო კანონი, რომელიც უზენაესმა საბჭომ საარჩევნო სუბიექტებთან, კანდიდატებთან, საარჩევნო ცენზებთან, არჩევნების წესებთან დაკავშირებით დაამტკიცა, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების 1990 წლის კანონს ზედმიწევნითი სიზუსტით იმეორებდა. უზენაესი საბჭოს პროექტებისაგან განსხვავებით, 1991 წლის 4 იანვარს დამტკიცებული კანონით აჭარის უზენაესი საბჭოს წევრთა რაოდენობა 80 კაცით განისაზღვრა. მათგან 40 პროპორციული სისტემით აირჩეოდა, ხოლო 40 – მაჟორიტარულით. უზენაეს საბჭოს 5 წლის ვადით ირჩევდნენ. პროპორციული სისტემით მანდატს მოიპოვებდა პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც 4%-იან ბარიერს გადალახავდა, ხოლო მაჟორიტარულ ოლქში ის კანდიდატი გაიმარჯვებდა, რომელიც ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტს მოიპოვებდა. თუ ხმების 50%-ს კანდიდატთაგან ვერავინ მოაგროვებდა, არჩევნების მეორე ტური დაინიშნებოდა. არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდებოდა, თუ მასში ამომრჩეველთა ნახევარი მაინც მიიღებდა მონაწილეობას. სხვა შემთხვევაში, ხელახალი არჩევნები გაიმართებოდა.[47]

აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნების ვადა არაერთხელ შეიცვალა – ჯერ კენჭისყრა, თავდაპირველად გამოცხადებული 3 მარტის ნაცვლად, 31 მარტისათვის გადაიტანეს, ხოლო შემდეგ, რეფერენდუმის

43 გაზ. „აჭარა", 1990 წლის 14 ნოემბერი, გვ. 1-4.
44 გაზ. „აჭარა", 1990 წლის 14 ნოემბერი, გვ. 1.
45 გაზ. „აჭარა", 1990 წლის 21 დეკემბერი, გვ. 1.
46 გაზ. „აჭარა", 1991 წლის 17 იანვარი, გვ. 1-2.
47 გაზ. „აჭარა", 1991 წლის 9 იანვარი, გვ. 1.

# 23 JUNE 1991 ELECTIONS OF THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

The processes that took place in the political life of the Soviet Socialist Republic of Georgia following the elections of the Supreme Council of 28 October 1990, involved the peaceful replacement of the Communist government with the governance of the Republic. The same situation was observed in regions of Soviet Georgia. In November 1990, the Presidium of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara started working to form a legislative framework for multi-party elections.

Since mid-November 1990, the local press has been publishing drafts of various versions of election law and has initiated a discussion on this issue.[44] The first version of the draft envisioned the conduct of free and multi-party elections for 100 members of the Supreme Council. According to the draft, a mixed electoral system was to be used to compose the Supreme Council, which would have led to the equal distribution of mandates by the proportional and majoritarian system. 50 members of the Council would be elected by the proportional system and 50 in single-member districts. The members of the Supreme Council were to be elected for a 5-year term.[45]

The Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara also developed a different version of the election law and presented[46] it to the public in December 1990. This legislative initiative, largely, matched with the first version of the draft and envisioned the mixed electoral system with equal distribution of 100 mandates. The remarks voiced regarding both versions of the project focused primarily on the need to reduce the number of mandates because having the Supreme Council with 100 members in the small autonomous republic was not considered appropriate.

On 3 January 1990, a session of the Supreme Council of Autonomous Republic of Adjara was held. T.Khakhava, Chairperson of the Council's Presidium, presented to the Council members the two draft versions of the election law and put on the agenda of the next session the adoption of the law on elections.[47]

The Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara approved the Law on Elections at the session held on 4 January 1991 and set 3 March 1991 as the date for the Supreme Council Elections.



კანონი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1991 წლის 4 იანვრის კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ მისი მიღების დღიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. ხახვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კაკალაძე

ქ. ბათუმი, 1991 წლის 4 იანვარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

საგაზეთო ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ საარჩევნო კანონის დამტკიცების შესახებ, გაზეთი „აჭარა", 1991 წლის იანვარი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

A newspaper notice on election law approved by the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara, the newspaper "Adjara", January 1991
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*



კანონი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დღეს — 1991 წლის 3 მარტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. ხახვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კაკალაძე

ქ. ბათუმი, 1991 წლის 4 იანვარი.

საგაზეთო ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ არჩევნების თარიღის დამტკიცების შესახებ, გაზეთი „აჭარა", 1991 წლის იანვარი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

A newspaper notice on approval of election date by the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara, the newspaper "Adjara", January 1991
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

44 Newspaper "Adjara", 14 November 1990, p. 1-4.
45 Newspaper "Adjara", 14 November 1990, p. 1.
46 Newspaper "Adjara", 21 December 1990, p. 1.
47 Newspaper "Adjara", 17 January 1991, p.1-2.

დანიშვნის გამო, არჩევნების თარიღად 1991 წლის 28 აპრილი გამოცხადდა.[48] მოგვიანებით უზენაესი საბჭოს არჩევნები კიდევ რამდენიმეჯერ გადაიდო და საბოლოო თარიღად 1991 წლის 23 ივნისი დადგინდა.

1991 წლის იანვარში უზენაესმა საბჭომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა დაამტკიცა. კომისიის თავმჯდომარედ დავით თამაზაშვილი აირჩიეს. კომისიაში პოლიტიკური კავშირებისა და პარტიების წარმომადგენლები შეიყვანეს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომამ 1991 წლის 14 იანვარს 40 ერთმანდატიანი ოლქის საზღვრები დაადგინა. ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით, ერთმანდატიანი ოლქებიდან 14 ქალაქ ბათუმში შეიქმნა, 10 – ქობულეთის რაიონში, 9 – ხელვაჩაურის რაიონში, 2 – ქედის რაიონში, 2 – შუახევის რაიონში, 3 კი – ხულოს რაიონში. 1991 წლის 22 იანვრის სხდომაზე აჭარის ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიებში მის მიერ დასანიშნ პირთა სიები დაამტკიცა.

აჭარის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ბიულეტენების ფორმა და შედგენის წესები დაადგინა. საარჩევნო ღონისძიებათა კალენდარი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, არჩევნების თარიღის შესატყვისად მუდმივად იცვლებოდა, გაზეთებშიც გამოქვეყნდა.

1991 წლის თებერვლის ბოლოს აჭარის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებიც დაამტკიცა და ამასთან ერთად ბიულეტენის ფორმა და მასში შესატანი პარტიებისა თუ საარჩევნო ბლოკების ჩამონათვალიც განსაზღვრა.

1991 წლის აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში 6 საარჩევნო სუბიექტი მონაწილეობდა:

1. საარჩევნო ბლოკი **„აჭარა“**: საქართველოს სახალხო ფრონტის ხელვაჩაურის, ქედისა და შუახევის რაიონული ორგანიზაციები; საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ბათუმის საქალაქო ორგანიზაცია,

2. საარჩევნო ბლოკ **„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“** აჭარის რეგიონული ორგანიზაცია: საქართველოს ჰელსინკის კავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაცია; სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების აჭარის რეგიონული ორგანიზაცია; საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაცია; საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის ხელვაჩაურის რეგიონული ორგანიზაცია; სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება,

3. **საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია,**

4. საარჩევნო ბლოკი **„ეკონომიკური აღორძინება“:** საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის აჭარის ორგანიზაცია; საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია,

5. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაცია,[49]

6. **სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აჭარის ორგანიზაცია.**

მას შემდეგ, რაც კენჭისყრა გადაიდო, დამატებითი რეგისტრაცია გაიარა სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავლანელთა) პარტიის ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს ორგანიზაციათა საარჩევნო სიამ.


საარჩევნო ბიულეტენი

31 მარტი, 1991 წ.

შემოხაზეთ იმ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევთ ხმას:

1. „აჭარა“ — საარჩევნო ბლოკი:
საქართველოს სახალხო ფრონტის ხელვაჩაურის, ქედისა და შუახევის რეგიონალური ორგანიზაციები.
საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანიზაცია.

2. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია — საარჩევნო ბლოკი:
საქართველოს ჰელსინკის კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია.
სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია.
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აჭარის რეგიონალ-
საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის ხელვაჩაურის რეგიონალური ორგანიზაცია.
სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება.

3. საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია.

4. „ეკონომიკური აღორძინება“ — საარჩევნო ბლოკი:
საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია.
საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია.

5. საქართველოს ახალგაზრდული კავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაცია.

6. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ბიულეტენი, გაზეთი „აჭარა“, 1991 წლის მარტი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Ballot paper of the Elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara, the newspaper “Adjara”, March 1991
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

48 გაზ. „აჭარა“, 1991 წლის 16 მარტი, გვ. 1.

49 შემდგომში ის არჩევნებიდან მოიხსნა.

The election code approved by the Supreme Council in regards to election subjects, candidates, electoral qualification, and election rules, was identical to the election law of 1990 Elections of Supreme Council of Georgia. Unlike the drafts of the Supreme Council, by the law approved on 4 January 1991, the number of the members of the Supreme Council of Adjara was fixed at 80 persons. Of them, 40 were elected by the proportional system and 40 – by majoritarian. The Supreme Council was to be elected for a 5-year term. A political subject that would overcome the 4% threshold would win the mandate by the proportional system; in the majoritarian district, the candidate that would won more than 50% of the vote would win. If no one received 50% of the votes, the second round of elections would be held. The elections would have been declared held if at least half of the electorate had cast ballots. In other case, repeat elections would have been held.[48]

The date of the Supreme Council Elections of Adjara was changed more than once – the initial polling date of March 3 was moved to March 31 and then due to the appointment of the referendum, 28 April 1991 was announced[49] as the E-day. Later, the Supreme Council Elections were several times postponed, and 23 June 1991 was announced as the final date.

In January 1991, the Supreme Council approved the composition of the Central Election Commission. Davit Tamazashvili was elected as the chairman of the commission. Representatives of political unions and parties were included in the commission. The boundaries of 40 single-member districts were established at the session of the Central Election Commission of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara held on 14 January 1991. Based on the number of voters, 14 single-member districts were established in Batumi city, 10 in Kobuleti district, 9 in Khelvachauri district, 2 in Keda region, 2 in Shuakhevi district and 3 in Khulo district. At the 22 January 1991 session, the Central Election Commission (CEC) of Adjara approved the lists of persons to be nominated at the District Election Commissions (DECs).

The CEC of Adjara defined the form and rules of drawing up ballot papers. Election calendar which, of course, was constantly changing to match election dates, was also published in newspapers.

In late February 1991, the CEC of Adjara also approved the election subjects participating in the elections, together with determining the form of the ballot paper and the list of parties or election blocs to be included therein.

The total of 6 election subjects participated in the 1991 Supreme Council Elections of Adjara:

1. Election bloc **"Adjara"**: People's Front of Georgia's organizations in Khelvachauri, Keda, and Shuakhevi districts; a local organization of Republican Party of Georgia in Batumi,

2. Election bloc **"Round Table – Free Georgia"** regional organization in Adjara; Regional organization of the Helsinki Union of Georgia in Adjara; Regional organization of St. Ilia the Righteous Society of Georgia in Adjara; Regional organization of Union of Georgian Traditionalists in Adjara; Regional organization of National Christian Party of Georgia in Khelvachauri; Selim Khimshiashvili Society of Georgia,

3. **Independent Communist Party of Georgia's** district organization in Adjara,

4. Election bloc – **"Economic Revival"**: Constitutional Democratic Party of Georgia's organization in Adjara; Progressive Democratic Party of Georgia's organization in Adjara,

5. **Georgian Youth Union's** district organization in Adjara,[50]

6. **All-Georgian Rustaveli Society's organization in Adjara**

After the voting was postponed, the election list of the Georgian Peace and Freedom (Afghan) Party of Georgia of the Batumi City, Kobuleti, Khelvachauri, Keda, Shuakhevi, and Khulo organizations were additionally registered.

During 1991, the official newspaper of the Autonomous Republic of Adjara "Adjara" was actively publishing the candidate lists of each election subject. Aslan Abashidze, the acting chairman of the Supreme Council of Adjara was at the top of the election list of the ruling bloc of Georgia – "Round Table - Free Georgia". The list included several current MPs of the Supreme Council, including the newly appointed prefects of Batumi and districts. Electoral lists by the proportional system of other subjects were led by the heads of local party organizations.

The Central Election Commission (CEC) of Adjara, as envisaged by the election law, determined the schedule for the use of state institutions, the press and media outlets, which was necessary for the conduct of the pre-election campaign. According to the CEC decision, the election subjects could have used: 1. Adjara TV from 4 June until

48 Newspaper "Adjara", 9 January 1991, p.1.

49 Newspaper "Adjara", 16 March 1991, p.1.

50 At the later stage was removed from elections.

1991 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური გაზეთი „აჭარა" თითოეული საარჩევნო სუბიექტის საკანდიდატო სიებს აქტიურად აქვეყნებდა. საქართველოს მმართველი საარჩევნო ბლოკის – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" – აჭარის ორგანიზაციის საარჩევნო სიას სათავეში ედგა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ასლან აბაშიძე. სიაში შედიოდა უზენაესი საბჭოს რამდენიმე მოქმედი დეპუტატი, აქვე იყვნენ ქალაქ ბათუმისა და რაიონების ახლად დანიშნული პრეფექტებიც. პროპორციული სისტემით სხვა სუბიექტების საარჩევნო სიებს სათავეში ედგნენ პარტიათა ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

აჭარის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, როგორც ამას საარჩევნო კანონი ითვალისწინებდა, განსაზღვრა სახელმწიფო დაწესებულებების, პრესისა და მედიასაშუალებების გამოყენების განრიგი, რაც წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად იყო აუცილებელი. ცესკოს გადაწყვეტილების თანახმად, საარჩევნო სუბიექტებს შეეძლოთ გამოეყენებინათ: 1. აჭარის ტელევიზია 4 ივნისიდან 21 ივნისამდე ყოველდღიურად არანაკლებ 13 წუთისა; 2. აჭარის რადიო ყოველდღიურად არანაკლებ 10 წუთისა; 3. პერიოდული ბეჭდური გამოცემები „აჭარა" და „ადჟარია" სააგიტაციო მასალისა და პროგრამის გასავრცელებლად.[50] ამომრჩეველი საარჩევნო სუბიექტების პროგრამებს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ეცნობოდა, საარჩევნო პროგრამათა სრულ ტექსტებს კი გაზეთი „აჭარა" აქვეყნებდა.

საარჩევნო შეხვედრებს ყველა საარჩევნო სუბიექტი მართავდა. თავდაპირველად ეს პროცესი რეფერენდუმის აგიტაციის ფონზე მიმდინარეობდა.

აჭარის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 ივნისის არჩევნები მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში წარიმართა. ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობამ 60.2% შეადგინა.[51]

იმ მონაცემების თანახმად, რომლებიც აჭარის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1991 წლის 26 ივნისს გამოაქვეყნა, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიან საარჩევნო სიაში რეგისტრირებული 228 749 ამომრჩევლიდან საარჩევნო უბანზე 137 817 გამოცხადდა. მათგან 11 298 ხმა ბათილად იქნა მიჩნეული, ასე რომ, უშუალოდ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 137 185 ამომრჩეველმა. რაც შეეხება თანაფარდობას, პოლიტიკურ სუბიექტთა შორის ხმები ამგვარად გადანაწილდა:

1. საარჩევნო ბლოკი „აჭარა" – 24 992 – 19.81%,
2. საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" რეგიონალური ორგანიზაცია – 59 949 – 47.5%,
3. საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია – 22 180 – 17.57%,
4. საარჩევნო ბლოკი „ეკონომიკური აღორძინება" – 7 855 – 6.19%,
6. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 4 375 – 3.46%,
7. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავღანელთა) პარტიის ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონული ორგანიზაციები – 6 825 – 5.46%.[52]

აჭარის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, 40 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან თერთმეტში[53] არჩევნები არ შედგა, რადგან უბანზე ამომრჩეველთა 50%-ზე ნაკლები გამოცხადდა, რის გამოც განმეორებითი არჩევნები დაინიშნა. 29 ერთმანდატიან ოლქში არჩევნების პირველი ტური შედგა, თუმცა გამარჯვებული მხოლოდ ხუთში გამოვლინდა, 24 საარჩევნო ოლქში კი საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს კენჭი ხელმეორედ უნდა ეყარა.[54]

აჭარის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის თანახმად, პროპორციული სისტემით 4%-იანი საარჩევნო ბარიერი გადალახა და მანდატები მოიპოვა ხუთმა საარჩევნო სუბიექტმა. პროპორციული სისტემის 40 მანდატი ამგვარად გადანაწილდა:

1. საარჩევნო ბლოკი „აჭარა" – 8 მანდატი,
2. საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 21 მანდატი,
3. საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია – 7 მანდატი,
4. საარჩევნო ბლოკი „ეკონომიკური აღორძინება" – 2 მანდატი,
5. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავღანელთა) პარტიის ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის, ხულოს, ქედის ორგანიზაციების პარტიული სია – 2 მანდატი.

1991 წლის 10 ივლისს ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში ხელახალი არჩევნები და არჩევნების მეორე ტური გაიმართა.

50 გაზ. „აჭარა", 1991 წლის 1 ივნისი, გვ. 1.

51 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 26 ივნისი, გვ. 1.

52 გაზ. „აჭარა", 1991 წლის 26 ივნისი, გვ. 1.

53 ასეთი იყო, ძირითადად, ქალაქ ბათუმის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქები.

54 გაზ. „აჭარა", 1991 წლის 26 ივნისი, გვ. 1.

21 June, not less than 13 minutes daily; 2. Adjara radio not less than 10 minutes daily; 3. Periodicals "Adjara" and "Adjaria" to distribute agitation material and program.[51] Voters were informed about the programs of the election subjects through the press, radio, and television, and the full texts of the election programs were published by the newspaper "Adjara".

Election meetings were conducted by all election subjects. Initially, this process took place simultaneously along with referendum agitation.



საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" აჭარის ორგანიზაციის ლიდერის, ასლან აბაშიძის, წინასარეფერენდუმო და წინასაარჩევნო შეხვედრა მუსლიმან სასულიერო პირებსა და მრევლთან, გაზეთი „აჭარა", 1991 წლის აპრილი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Pre-referendum and pre-election meeting between Aslan Abashidze, a leader of election bloc "Round Table – Free Georgia" in Adjara and Muslim clerics and parishioners, the newspaper "Adjara", April 1991
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგები

საერთო სიაში ირიცხებოდა 228.749 ამომრჩეველი. კენჭისყრაში მონაწილეობდა 137.817 კაცი, ანუ 60,2 პროცენტი. ხმები განაწილდა შემდეგნაირად:
საარჩევნო ბლოკმა „აჭარამ" მიიღო 24.992 ხმა — 19,31 პროცენტი;
აჭარის რეგიონალურმა ორგანიზაციამ „მრგვალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ" — 59.949 — 47,51 პროცენტი;
საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციამ — 22.180 — 17,57 პროცენტი;
საარჩევნო ბლოკმა „ეკონომიკურმა აღორძინებამ" — 7.855 — 6,19 პროცენტი;
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აჭარის რეგიონალურმა ორგანიზაციამ — 4.375 — 3,46 პროცენტი;
სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონულმა ორგანიზაციებმა — 6.835 — 5,46 პროცენტი.
ორმოციდან 24 საარჩევნო ოლქში არჩევნები გაიმართება განმეორებით, 11 ოლქში მოეწყობა კენჭისყრის მეორე ტური.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები არჩეული არიან ხუთ ოლქში.
თამაზ ზენძიაძე,
საქინფორმის კორ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ, 1991 წლის 26 ივნისი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

A notice of newspaper " Sakartvelos Respublika" about the results of Elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara, 26 June 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

23 June 1991 elections to the Supreme Council of Adjara were peaceful and democratic. According to the Central Election Commission of the Autonomous Republic, voter turnout[52] in the elections was 60.2%.

According to the data published by the Central Election Commission of Adjara on 26 June 1991, of 228 749 registered voters in the unified voter list of the Autonomous Republic, 137 817 came to the polling station. 11 298 of them were considered invalid, so 137 185 voters directly participated in the elections. As for the ratio, the votes among political entities were distributed as follows:

1. Election bloc " Adjara"– 24 992 – 19.81 %,
2. Election bloc "Round Table - Free Georgia" regional organization – 59 949 – 47.5%,
3. Independent Communist Party of Georgia's district organization in Adjara - 22 180 – 17.57%,
4. Election bloc "Economic Revival" – 7 855 – 6.19%,
6. All-Georgian Rustaveli Society's regional organization in Adjara – 4 375 – 3.46 %,
7. Peace and Freedom (Afghan) Party of Georgia of the Batumi City, Kobuleti, Khelvachauri, Keda, Shuakhevi, and Khulo districts' organizations – 6 825 – 5.46 %.[53]

According to the Central Election Commission of Adjara, no elections were held in eleven[54] of the 40 single-member majoritarian districts, because less than 50% of voters came to precinct and repeat elections were called. The first round of elections was held in 29 single-member districts, however, the winner was revealed only in five districts, and in 24 electoral districts, the two candidates with the best results had to be re-elected[55].

According to the summary protocol of the Central Election Commission of Adjara, five election subjects crossed the 4% electoral threshold by the proportional system and won seats. 40 mandates by the proportional system were distributed as follows:

1. Election bloc "Adjara" – 8 mandates,
2. Election bloc "Round Table – Free Georgia" regional organization in Adjara – 21 mandates,
3. Independent Communist Party of Georgia's district organization in Adjara - 7 mandates,
4. Election bloc "Economic Revival" – 2 mandates,
5. Party list of Peace and Freedom (Afghan) Party of Georgia of the Batumi City, Kobuleti, Khelvachauri, Keda, Shuakhevi, and Khulo organizations – 2 mandates.

On 10 July 1991, repeat elections and the second round of elections were held in single-member majoritarian districts.

51 Newspaper "Adjara", 1 June 1991, p. 1.
52 Newspaper "Sakartvelos Respublika", 26 June 1991, p.1.
53 Newspaper "Adjara", 26 June 1991, p. 1.
54 Generally, this applied to single-member electoral districts in Batumi city.
55 Newspaper "Adjara", 26 June 1991, p. 1.

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 სექტემბრის არჩევნები

ცვლილებები, რომლებიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ოპოზიციურ ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" გამარჯვებამ გამოიწვია, ჯაჭვური რეაქციასავით გადაედო საქართველოს სსრ-ის ავტონომიურ ერთეულებს. 1991 წლის 23 ივნისს უზენაესი საბჭოს არჩევნები გაიმართა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 1990 წლის სექტემბერში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა, რისი მიზეზიც საქართველოს სსრ-დან ოლქის გამოყოფის სურვილი იყო. ამის გამო, 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ავტონომიური ოლქის სტატუსის გაუქმების დადგენილება მიიღო. პოლიტიკური დაპირისპირება შემდგომში სამხედრო კონფლიქტსა და ომში გადაიზარდა.

1991 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აწ უკვე გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარდა, აფხაზეთის ავტონომიური ერთეულიც არსებობდა.[55] 1991 წლის ზაფხულისათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური პროცესები, მეტწილად, მშვიდობიან გარემოში მიმდინარეობდა, თუმცა 1980-იანი წლების აფხაზურ ნაციონალისტურ მოძრაობათა გამოძახილი კვლავ მძაფრად იგრძნობოდა. მიმართვა, რომელიც ლიხნის ყრილობამ 1989 წელს მიიღო და რომლითაც აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა რეალურად საქართველოდან გასვლასა და 1920-იანი წლების სტატუსის აღდგენის მოითხოვდა, პოლიტიკური თვალსაზრისით, კვლავ აქტუალური იყო, ეს კი, ფაქტობრივად, აფხაზეთის დამოუკიდებელ (საქართველოსთან მცირედი ბმით დაკავშირებულ) პოლიტიკურ სუბიექტად ჩამოყალიბებას გულისხმობდა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც სამხრეთ ოსეთში მიღებული ხისტი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და დაუსრულებელი სამხედრო კონფლიქტის გამოცდილება უკვე ჰქონდა, ამ შემთხვევაში ბევრად ზომიერი და, გარკვეული თვალსაზრისით, დამთმობი პოლიტიკის მომხრე აღმოჩნდა. 1991 წლის ზაფხულის თვეებში ქართული და აფხაზური მხარეები აქტიურად ცდილობდნენ, ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობის კომპრომისული ვარიანტი შეემუშავებინათ.

1991 წლის 5 ივლისს „აფხაზეთის ხმამ", გაზეთმა, რომელიც სოხუმში გამოდიოდა, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონის პროექტი გამოაქვეყნა.[56] პროექტის თანახმად, ავტონომიურ ერთეულში 65 დეპუტატი უნდა აერჩიათ ერთმანდატიან ოლქებში, რომლებიც, კანონის განმარტებითვე, მოქალაქეთა ეროვნული თავისებურებების (შემადგენლობის) გათვალისწინებით შეიქმნებოდა. მომდევნო კვირებში აფხაზეთის მოქმედმა უზენაესმა საბჭომ პოზიციები შეაჯერა და არჩევნების შესახებ კანონი დაამტკიცა. საბოლოოდ, კანონის მიხედვით, უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რაოდენობა 65 კაცით განისაზღვრა, ხოლო მე-15 მუხლში ერთმანდატიანი ოლქების ეროვნული ნიშნით შექმნის რეგულაციაც გაიწერა. ბოლოს და ბოლოს, მოლაპარაკებების შედეგად, რომლებიც თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ვლადისლავ არძინბას, შორის მიმდინარეობდა, გადაწყდა: ცენტრალურ ხელისუფლებას ოლქებისათვის ეროვნული ნიშნით განაწილება უნდა შეეთავაზებინა, რის შემდეგაც ეროვნებით აფხაზი დეპუტატები სისტემაზე მნიშვნელოვან გავლენას მოიპოვებდნენ.

ეროვნულ ჯგუფებს შორის ოლქთა რაოდენობის განაწილების პროპორციები, რომლებიც კანონით იყო გაწერილი, ეროვნულ ჯგუფთა დემოგრაფიულ პროპორციებს არ თანხვდებოდა, ხოლო ოლქების ეროვნული ნიშნით დანაწილება დიდ პრობლემას ქმნიდა, რადგან ეროვნებები, ამა თუ იმ რაიონის (გალის, გუდაუთის) გარდა, მთელ ავტონომიურ რესპუბლიკაში შერეულად ცხოვრობდნენ.

აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 27 აგვისტოს საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილება მიიღო. ამის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში 28 აფხაზური, 26 ქართული და 11 სხვა (ძირითადად, სომხურ-რუსული

55 1991 წლის 9 აპრილს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა და მას „საქართველოს რესპუბლიკა" ეწოდა, თუმცაღა აფხაზეთის ავტონომიური ერთეული კვლავ „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის" სახელს ატარებდა.

56 გაზ. „აფხაზეთის ხმა", 1991 წლის 5 ივლისი, გვ. 13.

# 29 SEPTEMBER 1991 ELECTIONS OF THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

The changes caused by the victory of the opposition bloc "Round Table – Free Georgia" in the 28 October 1990 elections to the Supreme Council of the Soviet Socialist Republic of Georgia spread like a chain reaction to the autonomous units of the Georgian SSR. On 23 June 1991 Elections of the Supreme Council were held in the Autonomous Republic of Adjara. Shortly before the elections to the Supreme Council of Georgia, in September 1990, the political situation in the South Ossetian Autonomous Region became tense due to the desire to separate the region from the Georgian SSR. Because of this, on 11 December 1990, the Supreme Council of Georgia adopted a decree abolishing the status of an autonomous region. The political confrontation later escalated into military conflict and war.

After 9 April 1991 in addition to the Autonomous Republic of Adjara and the now abolished South Ossetian Autonomous Region, the Autonomous Republic of Abkhazia was also considered[56] part of the Republic of Georgia. By summer 1991, political processes in the Autonomous Republic of Abkhazia were largely peaceful, however, the echo of the Abkhaz nationalist movements of the 1980s was still strong. The appeal, adopted by the Likhni Congress in 1989 demanding the Autonomous Soviet Socialist Republic of Abkhazia to be withdrawn from Georgia and restore its status of the 1920s, from a political point of view was still relevant, which, actually, meant the establishment of Abkhazia as an independent (with little connection to Georgia) political entity. The central government of Georgia, which has already experienced the tough political decisions and endless military conflict in South Ossetia, was in favor of a much more moderate and, to some extent, compromising policy. In summer 1991, the Georgian and Abkhaz parties actively sought to develop a compromised version of the autonomous republic's electoral legislation.

On 5 July 1991, a newspaper "Apkhazetis Khma" being published in Sokhumi, released[57] a draft law about electing the deputies to the Supreme Council of the Autonomous Soviet Socialist Republic of Abkhazia. According to the draft, 65 deputies in the autonomous unit should have been elected in single-member districts, which, according to the law, would be created taking into account the national characteristics (composition) of the citizens. In the following weeks, the then Supreme Council of Abkhazia reaffirmed its position and approved the election law. Finally, according to the law, the number of deputies of the Supreme Council was determined by 65 people, and in Article 15 the regulation on the creation of single-member districts on the basis of nationality was also written. In the end, as a result of negotiations between the central government of Tbilisi and the then chairman of the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia, Vladislav Ardzinba, it was decided that: the central government had to propose population distribution to the districts based on the nationality, after which the Abkhaz deputies would have gained significant influence in the system.

The proportions of the distribution of the number of districts among the national groups, which were prescribed by law, did not correspond to the demographic proportions of the national groups; and the division of districts by nationality was a big problem, because the nationalities, except for this or that region (Gali, Gudauta), lived in mixed areas throughout the Autonomous Republic.

On 27 August 1991, the Supreme Council of Abkhazia adopted a decree amending the election law. According to it, 28 Abkhaz, 26 Georgian and 11 other (mostly Armenian-Russian) electoral districts of national groups were to be established within the Autonomous Republic of Abkhazia. Based on the law, in each of these districts, only the representative of the nationality to which the law belonged would be elected. For example, only those citizens who would have "Abkhazian" indicated in the nationality column in their Soviet passport would have registered as candidates in Abkhazian districts. The similar principle also applied to Georgian districts; any citizen registered in the Autonomous Republic of Abkhazia, who was not registered as a "Georgian" and / or "Abkhazian" in the relevant column, could register as a candidate in the districts allocated for other nationalities.

56 On 9 April 1991 Georgia has been declared an independent republic and was called "Republic of Georgia", though, autonomous unit of Abkhazia was still carrying the name of "Abkhaz Autonomous Soviet Socialist Republic".

57 Newspaper "Apkhazetis Khma", 5 July 1991, p. 13.

მოსახლეობის) ეროვნული ჯგუფის საარჩევნო ოლქები უნდა შექმნილიყო. კანონის მიხედვით, ამ ოლქთაგან თითოეულში მხოლოდ იმ ეროვნების წარმომადგენელს აირჩევდნენ, რომელსაც კანონი აღნიშნულ ოლქს მიაკუთვნებდა. მაგალითად, აფხაზურ ოლქებში კანდიდატად რეგისტრაციას მხოლოდ ის მოქალაქე გაივლიდა, რომელსაც საბჭოთა პასპორტში ეროვნების გრაფაში მითითებული ექნებოდა „აფხაზი". ამგვარი პრინციპი მოქმედებდა ქართულ ოლქებთან მიმართებითაც, ხოლო სხვა ეროვნებებისთვის გამოყოფილ ოლქებში კანდიდატად რეგისტრაცია შეეძლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შესაბამის გრაფაში „ქართველი" ან/და „აფხაზი" არ ეწერებოდა.

მანდატების ამგვარი განაწილება ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. ამას გარდა, 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა დაახლოებით ამგვარი იყო: ქართველები – 46%, აფხაზები – 18%, სომხები – 15%, რუსები – 14%. კანონის თანახმად, ეთნიკურად აფხაზ მოქალაქეებს მნიშვნელოვანი პოლიტიკური უპირატესობა ენიჭებოდათ და, საარჩევნო კანონიდან გამომდინარე, მანდატების 43% ერგებოდათ, ხოლო ქართველებისათვის, ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფისათვის, მანდატების 40% იყო გამოყოფილი. ამასთანავე, კანონის თანახმად, იმ მოქალაქეებს, რომლებიც „სხვა ერებად" მოიაზრებოდნენ და მოსახლეობის 36%-ს შეადგენდნენ, წილად ხვდებოდათ მანდატების მხოლოდ 17%.

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, არჩევნების დღედ 1991 წლის 29 სექტემბერი განისაზღვრა. ცენტრალური საარჩევნო კომისია იმ ბრძანებულების შესაბამისად დაკომპლექტდა, რომელიც 1991 წლის 20 ივლისს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ვლადისლავ არძინბამ, გამოსცა. შემდეგ საოლქო და საუბნო კომისიებიც შეიქმნა.[57] დაზუსტდა ერთმანდატიანი ოლქების საზღვრებიც, თუმცა ოლქები ერთი ზომისა მაინც არ იყო. მაგალითად, გალის რაიონის ოლქებს, რომლებიც, ძირითადად, ქართველი კანდიდატებისთვის იყო ნავარაუდევი, საშუალოდ 4–6.5 ათასი ამომრჩეველი ჰყავდა, გუდაუთის, გაგრისა და ოჩამჩირის აფხაზ კანდიდატთა ოლქები კი ხშირად 2 000-ზე ნაკლებ ამომრჩეველს აერთიანებდა.[58]

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნისა და 14 წევრისაგან შედგებოდა. უზენაეს საბჭოს კომისიის წევრებად არჩეული ჰყავდა აფხაზეთში მცხოვრები თითქმის ყველა ძირითადი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები.

1991 წლის აგვისტოს მეორე ნახევრიდან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო. აფხაზებისათვის გამოყოფილი 28 ოლქიდან უმეტესობაში 1 ან 2 კანდიდატი დარეგისტრირდა, ქართულ ოლქთა დიდ ნაწილში კი გამარჯვებისთვის სამი და მეტი კანდიდატი იბრძოდა. კანდიდატთა შორის იყვნენ მოქმედი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა, მოქმედ რაიონულ კომიტეტთა პირველი მდივნები, მათ შორის – ოჩამჩირის რაიკომის მდივანი სერგეი ბაღაფში, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, სასოფლო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, აქტივისტები, ჟურნალისტები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები და მუშები. აფხაზურ ოლქებში კენჭს იყრიდნენ, ძირითადად, დამოუკიდებელი კანდიდატები, მოქმედი თუ ყოფილი კომუნისტი ჩინოვნიკები და აფხაზეთის სახალხო ფორუმის – „აიდგილარას" – წევრები.[59] ერთმანდატიან ოლქებში საკუთარი კანდიდატები დაასახელეს საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებათა წარმომადგენლებმა.[60] მათ შორის, რა თქმა უნდა, მმართველი ბლოკის – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" – კანდიდატები ჭარბობდნენ.[61] არჩევნებზე კანდიდატები წარადგინა საქართველოს მწვანეთა პარტიამ, რუსთაველის საზოგადოებამ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და ა.შ. ვიდრე ქართულ პარტიათა წარმომადგენლები ერთმანეთს თავგამოდებით ექიშპებოდნენ, ზოგიერთი პარტია, თუმცაღა ამაოდ, კანდიდატთა ერთიან სიაზე მოლაპარაკებას მაინც ცდილობდა.

57 გაზ. „აფხაზეთის ხმა", 1991 წლის 22 აგვისტო, გვ. 1.

58 გაზ. „აფხაზეთის ხმა", 1991 წლის 9 აგვისტო, გვ. 1.

59 გაზ. „აფხაზეთის ხმა", 1991 წლის 12 სექტემბერი, გვ. 2.

60 გაზ. „აფხაზეთის ხმა", 1991 წლის 12 სექტემბერი, გვ. 2.

61 გაზ. „ოქროს საწმისი", 1991 წლის 12 სექტემბერი, გვ. 2-3.



# აფხაზეთის ასსრ კანონი

„აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების თაობაზე" აფხაზეთის ასსრ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს კანონი საარჩევნო დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, გაზეთი „აფხაზეთის ხმა", 1991 წლის 28 აგვისტო
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Law of the Supreme Council of Abkhazia on amendments made to the Election Regulation, the newspaper "Apkhazetis Khma", 28 August 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

Such distribution of mandates has caused discontent among a significant proportion of citizens in the Autonomous Republic. Besides, according to the 1989 census, the ethnic composition of the population of the Autonomous Republic was approximately as follows: Georgian – 46%, Abkhaz – 18%, Armenian – 15%, Russian – 14%. According to the law, ethnic Abkhaz citizens gained a significant political advantage, and, according to the election law, 43% of mandates were allocated to them, while 40% mandates were to Georgians – the largest ethnic group. According to the same law, those citizens that were seen "other nations" amounted to 36% of the population and 17 % of mandates were allocated to them.

Based on the decision of the Supreme Council of the Autonomous Soviet Socialist Republic of Abkhazia, 29 September 1991 was announced as the E-day. The Central Election Commission was established in accordance with the order issued on 20 July 1991 by the Chairman of the Supreme Council, Vladislav Ardzinba. After the district and precinct commissions were established.[58] The boundaries of single-member districts were also specified, though districts still were not the same size. For example, the districts of Gali district, which were mainly anticipated for Georgian candidates, had an average of 4-6.5 thousand voters. Gudauta, Gagra and Ochamchire districts of Abkhaz candidates often had[59] less than 2 000 voters.

The Central Election Commission of the Autonomous Republic of Abkhazia consisted of a chairman, a deputy chairman, a secretary of the commission and 14 members. The Supreme Council elected the representatives of almost all major ethnic groups living in Abkhazia as members of the commission.

In the second half of August 1991, the Central Election Commission (CEC) began registering candidates. In most of the 28 districts allocated for Abkhazians, 1 or 2 candidates were registered, and in most of the Georgian districts, 3 or more candidates fought for victory. Among the candidates were Vladislav Ardzinba, the then Chairman of the then Supreme Council, first secretaries of the district Committees, including Secretary of Ochamchire's district Committee Sergei Baghapsh, representatives of the academia, chairs of rural unions, activists, journalists, heads of collective farms and workers.

Mostly independent candidates, current or former communist officials, and members[60] of the Abkhaz People's Forum – "Aidgilari" was running in Abkhazian districts. Representatives[61] of political unions of Georgia named their candidates in single-member districts. Among them, surely, candidates of the ruling bloc "Round Table – Free Georgia" were predominantly[62] represented. Georgian Green Party, Rustaveli Society, Ilia Chavchavadze Society, etc. nominated their candidates for the elections. While members of the Georgian parties were selflessly at odds with each other, some parties, however, tried but in vain to negotiate a single list of candidates.

58 Newspaper "Apkhazetis Khma", 22 August 1991, p.1.
59 Newspaper "Apkhazetis Khma", 9 August 1991, p. 1.
60 Newspaper "Apkhazetis Khma", 12 September 1991, p.2.
61 Newspaper "Apkhazetis Khma", 12 September 1991, p.2.
62 Newspaper "Okros Satsmisi", 12 September 1991, p. 2-3.



# მიმართვა აფხაზეთში მოქმედი ოპოზიციური პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი

ძვირფასო მეგობრებო! მოგმართავთ საქართველოსათვის ესოდენ მძიმე წუთებში, როდესაც მთელი ქართველი ერი განსაცდელშია. წინააღმდეგობა, რომელიც დღითი დღე იზრდება და მივყავართ კატასტროფისაკენ, ყოველი ჩვენთაგანისაგან მოითხოვს მაქსიმალურ გონიერებას, ემოციების მოთოკვას და სიტუაციის რეალურ შეფასებას.

რეალობა კრიზისულია, და რაც უფრო სავალალოა, ჯერ კიდევ ვერ გამოიკვეთა მდგომარეობიდან გამოსვლის სანუგეშო პერსპექტივა. თბილისში შექმნილი დღევანდელი ვითარება ყველა ჩვენგანს გვირთულებს აფხაზეთში არსებულ პრობლემებს და ამიტომაც, როგორც არასდროს, გვმართებს ურთიერთგაგება და თანადგომა, რათა გამოინახოს დაძაბული სიტუაციის განმუხტვის გზები.

კარს მომდგარია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები, რომელიც გვავალებს ძალების მაქსიმალურ დაძაბვას.

ძვირფასო მეგობრებო! დროზე გავუწოდოთ ერმთანეთს ხელი, რამეთუ შთამომავლობა და ისტორია არ გვაპატიებს ნებსით თუ უნებლიედ დაშვებულ შეცდომებს.

სოხუმი,
1991 წლის 19 სექტემბერი.

# არ შედგა

19 სექტემბერს საღამოს სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის შენობაში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დაგეგმილი [illegible] აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრის გამართვა 29 სექტემბრისათვის დანიშნული აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებული პრობლემების განსახილველად.

შეხვედრა არ შედგა საზოგადოებაში ამ ღონისძიების ჩატარებისადმი აზრთა სხვადასხვაობის გამო.

მიმართვა ოპოზიციური პარტიებისადმი ერთიან პოზიციაზე შესათანხმებლად, გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 1991 წლის სექტემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Appeal to the opposition parties to agree on a common position, the newspaper “Apkhazetis Khma”, September 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ქართული და აფხაზური პრესა მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობის მოწოდებებით მიმართავდა, გაზეთის არშიაზე კი არჩევნების თარიღს მუდმივად ახსენებდა.

The Georgian and Abkhazian press have been urging citizens to take part in the elections, while the newspaper constantly headlined and reminded the date of the elections.



2 აფხაზეთის ხმა

# 29 სექტემბერს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნებია

# დეპუტატობის კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამები

წინასაარჩევნო მოწოდება, გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 1991 წლის სექტემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The pre-election appeal, the newspaper “Apkhazetis Khma”
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ქართულ და აფხაზურ გაზეთებში კანდიდატთა საარჩევნო პროგრამები და პოლიტიკურ სუბიექტთა საარჩევნო პლატფორმები ქვეყნდებოდა.[62] ადგილობრივი ოფიციალური ტელევიზია კანდიდატებს ეთერს უთმობდა, პოლიგრაფიულ საწარმოებში კი წინასაარჩევნო მასალა იბეჭდებოდა. ყოველივე ამას მათ კანონი ავალდებულებდა. თუმცა პრესა ბეჭდავდა სტატიებს იმის შესახებაც, რომ ხელოვნურად შექმნილ ოლქებში, რომლებიც საარჩევნო კანონის თანახმად ჩამოყალიბდა, ამომრჩეველი ერთობ დაბნეული იყო და მასში ნიჰილიზმი შეიმჩნეოდა, რადგან ეთნიკურად ჭრელ დასახლებებში, არცთუ იშვიათად, კენჭს იყრიდა ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის კანდიდატი, სხვა კი აქტიურ საარჩევნო კამპანიას არ ან ვერ აწარმოებდა.

1991 წლის 29 სექტემბრის დილის 7 საათზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საარჩევნო უბნები გაიხსნა. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში დაბალი აქტივობა შეიმჩნეოდა. არჩევნების დასრულების შემდეგ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, 65 ოლქიდან 12-ში საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა 50%-ზე ნაკლები გამოცხადდა.

Candidates' election programs and election platforms of political subjects were published[63] in Georgian and Abkhazian newspapers. Local official television was allocating airtime to the candidates, and pre-election material was published in polygraphic enterprises. All of this was required by the law. However, the press also published articles stating that in the artificially created districts, which were formed according to the election law, the voter was somewhat confused and nihilistic, because in ethnically diverse settlements, not infrequently, a candidate from one particular ethnic group ran in the elections, the other did not or could not run an active election campaign.

Polling stations were opened in the Autonomous Republic of Abkhazia at 7 am on 29 September 1991. The low turnout was seen in single-member electoral districts. According to the information published after the elections, less than 50% of the voters came at polling stations of 12 districts out of 65.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები, მოქალაქეები საარჩევნო უბნებზე, გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 1991 წლის 2 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Elections of the Supreme Council of Autonomous Republic of Abkhazia Citizens at polling stations, the newspaper "Apkhazetis Khma", 2 November 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



62 გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 1991 წლის 16-21 სექტემბერი; გაზ. „ოქროს საწმისი“, 1991 წლის 12 სექტემბერი, გვ. 3-4.

63 Newspaper "Apkhazetis Khma", 16-21 September 1991; the newspaper "Okros Satsmisi", 12 September 1991, p. 3-4.

1991 წლის 8 ოქტომბერს „აფხაზეთის ხმამ“ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. ცესკოს განცხადებით, 1991 წლის 29 სექტემბერს პირველივე ტურში 38 დეპუტატი აირჩიეს, მათ შორის – 26 აფხაზი, 8 ქართველი და 4 სხვა ეროვნების. არჩევნები შედგა, მაგრამ 14 საარჩევნო ოლქში, რომელთაგან 12 ქართველი დეპუტატებისთვის იყო განსაზღვრული, ხოლო 2 – სხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის ივარაუდებოდა, პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ცესკოს განცხადებით, რამდენიმე ოლქის შედეგები კიდეც გასაჩივრდა. გასაჩივრებულთა შორის აღმოჩნდა გაგრის №7 ერთმანდატიანი ოლქიც, რომელიც აფხაზი კანდიდატებისთვის იყო განსაზღვრული. ადგილობრივი ცესკოს გადაწყვეტილებით, ამ ოლქის შედეგები ხელახლა დაითვალეს და განმეორებითი არჩევნების გამართვის გადაწყვეტილება მიიღეს. შემდეგ რამდენიმე სხვა საარჩევნო უბნის შედეგებიც გაუქმდა. პირველ ეტაპზე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი უბანზე არ გამოცხადდა. შესაბამისად, 13 საარჩევნო ოლქში, რომელთაგანაც 2 აფხაზთათვის, 6 ქართველთათვის და 5 სხვა ერებისთვის იყო განკუთვნილი, ხელახალი არჩევნების გამართვა აუცილებლობად იქცა.[63]

არჩევნების მეორე ტური, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 1991 წლის 18 ოქტომბერს გაიმართა, ხელახალი არჩევნები კი 1991 წლის 1 დეკემბერს ჩატარდა.

On 8 October 1991, “Apkhazetis Khma” published preliminary results of Elections of the Supreme Council of Abkhazia. According to the CEC, on 29 September 1991, 38 deputies were elected in the first round, including 26 Abkhazians, 8 Georgians and 4 other ethnic groups. Elections were held, but in 14 districts, of which 12 were for Georgian MPs and 2 for other nationalities, the winner in the first round could not be determined. According to the CEC, results of elections were appealed in several districts. Among the appealed was the Gagra N7 single-member district, which was designated for Abkhaz candidates. According to the decision of the local CEC, the results of this district were recounted, and repeat elections were called. Then the results of several other polling stations were revoked. In the first round, more than half of the voters did not come to the polling station. Accordingly, it became necessary[64] to hold repeat elections in 13 districts, of these 2 allocated for Abkhazians, 6 – Georgians, and 5 to other nationalities.

According to the decision of the Central Election Commission, the second round of elections was held on 18 October 1991, and repeat elections were held on 1 December 1991.


ოქტომბერი, 1991 წ.

არჩევნები ჩატარდა. არჩევნები გრძელდება

მხარი-დავუჭიროთ „მწვანეებს“


პირველ დეკემბერს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა განმეორებითი არჩევნები

გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ განცხადება ხელახალ არჩევნებთან დაკავშირებით, 1991 წლის ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Statement of the newspaper “Apkhazetis Khma” about Repeat Elections,
*November 1991 The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*


არჩევნები ჩატარდა, არჩევნები გრძელდება

მხარი დავუჭიროთ «მწვანეთა» კანდიდატს

საქართველოს მწვანეთა პარტიის კანდიდატების მხარდასაჭერი მოწოდებები, გაზეთი „აფხაზეთის ხმა“, 1991 წლის ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Appeals of support towards candidates of Green Party of Georgia,
the newspaper “ Apkhazetis Khma”, November 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

63 გაზ. „აფხაზეთის ხმა“, 1991 წლის 8 ოქტომბერი, გვ. 1.

64 Newspaper “Apkhazetis Khma”, 8 October 1991, p. 1.

მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის 18 ოქტომბერს უზენაესი საბჭოს არჩევნების მეორე ტური ჩატარდა, 1991 წლის ნოემბერში ამა თუ იმ გაუქმებულ უბანზე კენჭისყრა გაიმართა, ხოლო 1991 წლის 1 დეკემბერს ხელახალი არჩევნებიც შედგა, უზენაესი საბჭო სრულად მაინც ვერ დაკომპლექტდა. ქალაქ გაგრის №13 ოლქში, დაბალი აქტივობის გამო, განმეორებითი არჩევნები ჩაიშალა. ხელმეორე არჩევნების მიუხედავად, სამმა ოლქმა დეპუტატი მაინც ვერ აირჩია და ორი კვირის ვადაში მეორე ტური დაინიშნა, დარჩენილ ერთ ოლქში კი განმეორებითი კენჭისყრა 1992 წლის იანვარ-თებერვლისთვის დაიგეგმა.

და მაინც, მიუხედავად მეორე ტურისა და ხელახალი არჩევნებისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო სრულად კვლავაც ვერ დაკომპლექტდა.

Although the second round of the Supreme Council elections was held on 18 October 1991, the voting took place in this or that revoked polling station in November 1991, and even repeat elections were held on 1 December 1991, still the Supreme Council failed to fully staff. Due to low turnout in city of Gagra N13 district, the repeat elections failed. Despite the repeat elections, three districts still did not manage to elect their deputies and in the two-week time, the second round was appointed, and repeat elections were planned in one remaining district in January-February 1992.

Nevertheless, despite the second round and repeat elections, the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia was not fully formed.



**აფხაზეთი: არჩევნებზე ისევ საჭიროა განმეორებითი ტური**

**სოხუმი**, 4 დეკემბერი. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების მესამე ეტაპზეც ვერ მოხერხდა საბოლოოდ ჩამოეყალიბებინათ ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის შემადგენლობა. 11 საარჩევნო ოლქში, სადაც 1 დეკემბერს გაიმართა ხელახალი არჩევნები, ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის წინასწარი მონაცემებით, არჩეულია 7 დეპუტატი. სამ საარჩევნო ოლქში, სადაც არ ყოფილა ამომრჩეველთა ქვორუმი, ორი თვის განმავლობაში გაიმართება განმეორებითი არჩევნები, ქალაქ გაგრის № 13 კოლხიდის საარჩევნო ოლქში კი განმეორებითი კენჭისყრა გაიმართება ორი კვირის ვადაში. ამას იუწყება საქართველოს ეროვნული ინფორმაციული სააგენტო — სეისის საკუთარი კორესპონდენტი თენგიზ ჭიბუტი.

სეისი

ცნობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხელახალი არჩევნების შესახებ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 5 დეკემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Notice on Repeat Elections of the Supreme Council of Autonomous Republic of Abkhazia, the newspaper "Sakartvelos Respublika", 5 December 1991
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

# საქართველოს პარლამენტის 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები

1991 წლის ბოლოს დედაქალაქში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დაწყებული განხეთქილება 1991-1992 წლის მიჯნაზე ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებასა და ფაქტობრივ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. 1992 წლის იანვრის დასაწყისში საქართველოს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია პარლამენტის ალყაშემორტყმულ შენობას აფარებდა თავს.

1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტმა მომხრეებთან ერთად პარლამენტის შენობას თავი დააღწია და საქართველო დატოვა. ძალაუფლება ხელში აიღო ოპოზიციურმა სამხედრო დაჯგუფებამ, ე.წ. სამხედრო საბჭომ, რომლის სათავეშიც ზვიად გამსახურდიას ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, საქართველოს ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი თენგიზ კიტოვანი და არალეგალური სამხედრო გაერთიანების – „მხედრიონის" – მეთაური ჯაბა იოსელიანი იმყოფებოდნენ. 1992 წლის მარტში სამხედრო საბჭომ ძალაუფლება სახელმწიფო საბჭოს გადააბარა. ეს ინსტიტუცია, რომელშიც ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიათაგან თავი თითქმის ყველას მოეყარა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა. სახელმწიფო საბჭოს მეთაურად მოსკოვიდან მოიწვიეს ედუარდ შევარდნაძე – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ყოფილი ხელმძღვანელი.

სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირება ზვიად გამსახურდიასა და მისი ოპოზიციის მომხრეთა შორის 1992 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ წყდებოდა. ამავე წლის ივლისამდე სამხედრო შეტაკებები ღიად მიმდინარეობდა სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს, რუსეთის ხელშეწყობით, ოსი სეპარატისტები აკონტროლებდნენ. სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ათეულობით ათასი ეთნიკურად ქართველი საქართველოს მოქალაქე გამოაძევეს. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მანამდეც უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური ვითარება 1992 წლის აგვისტოში უკვე ღია სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა. აფხაზთა სეპარატისტულ სამხედრო დაჯგუფებებს, აშკარად თუ ფარულად, აფხაზეთში განლაგებული რუსული სამხედრო შენაერთები ეხმარებოდნენ.

სამოქალაქო ომი, ფაქტობრივად, არ სრულდებოდა, ორ სეპარატისტულ რეგიონში კი სამხედრო მოქმედებები ხან ღიად მიმდინარეობდა, ხანაც დროებით შეჩერებული იყო. სხვა მხრივ, საქართველოს რესპუბლიკა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან წელიწად-ნახევრის შემდეგაც კი, ჯერ არც საერთაშორისო საზოგადოების სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახლდათ და არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დემოკრატიულად არჩეული და ლეგიტიმურად დაკომპლექტებული ხელისუფლების არსებობა სახელმწიფოსათვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო – საქართველო მოქალაქეთა წინაშეც და საერთაშორისო ასპარეზზეც სწორედ ასე უნდა წარმდგარიყო.

ამ გარდაუვალი აუცილებლობის გამო, 1992 წლის ზაფხულში სახელმწიფო საბჭო საპარლამენტო არჩევნების სამზადისს შეუდგა. გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკამ 1992 წლის გაზაფხულზე აღადგინა 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ხელისუფლების მთავარ შტოდ საკანონმდებლო ორგანოს მიიჩნევდა. რესპუბლიკის ყველა სხვა სახელისუფლებო ორგანო სწორედ პარლამენტს უნდა დაქვემდებარებოდა.

საპარლამენტო არჩევნები, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1992 წლის 11 ოქტომბრისთვის დაიგეგმა. საბჭოსვე დადგენილებით, ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები უნდა შექმნილიყო. 1992 წლის ზაფხულის მიწურულს სახელმწიფო საბჭომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ მერაბ ალექსიძე დაამტკიცა. შემდგომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები საარჩევნო სუბიექტებმა დანიშნეს. 1992 წლის სექტემბრისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისია 44 წევრისაგან შედგებოდა.[64] 1992 წლის სექტემბრის განმავლობაში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება

63 გაზ. „აფხაზეთის ხმა", 1991 წლის 8 ოქტომბერი, გვ. 1.

64 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივი, 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

# 11 OCTOBER 1992 PARLIAMENTARY ELECTIONS OF GEORGIA

The rift between the opposition and the government in the capital in late 1991 escalated into a large-scale military confrontation and a de facto civil war between 1991 and 1992. In early January 1992, Georgia's democratically elected president, Zviad Gamsakhurdia, took shelter in the besieged parliament building.

On 6 January 1992, the president together with his supporters, escaped from the parliament building and left Georgia. The opposition military group, the so-called military council, led by Tengiz Sigua, former head of Zviad Gamsakhurdia's government and composed of Tengiz Kitovani, head of the Georgian National Guard, and Jaba Ioseliani, commander of the illegal military unit "Mkhedrioni" took the power. In March 1992, the Military Council handed over power to the State Council. This institution, in which almost all of the political parties opposed to Zviad Gamsakhurdia have gathered, expanded significantly. Eduard Shevardnadze, a former foreign minister and former leader of the Communist Party of the Soviet Socialist Republic of Georgia, was invited from Moscow to chair the State Council.

The bloody civil resistance between Zviad Gamsakhurdia and his opposition supporters during 1992 in fact, did not stop there. Until July, military clashes were openly taking place in the former South Ossetian Autonomous Region, much of which was controlled by Ossetian separatists with Russian support. Tens of thousands of ethnic Georgian citizens have been deported from separatist-held territory. The already tense political situation in the Autonomous Republic of Abkhazia escalated into open military conflict in August 1992. The Abkhaz separatist military groups were openly or covertly assisted by Russian military units stationed in Abkhazia.

In fact, the civil war was not ending, and military operations in two separatist regions were sometimes openly underway and sometimes temporarily suspended. Though, the Republic of Georgia, even a year and a half after the restoration of the country's independence, had not yet become a full-fledged representative of the international community or a member of the United Nations. In view of all this, the existence of a democratically elected and legitimately formed government was essentially important for the state - should have presented itself so before Georgia's citizens and the international arena.

Given this unavoidable necessity, the State Council began preparations for the Parliamentary Elections in the summer of 1992. In addition, in the spring of 1992, the Republic of Georgia restored the Constitution of the Democratic Republic of Georgia of 21 February 1921, which considered the legislative body to be the main branch of government. All other government bodies of the republic were to be subordinated to the parliament.

Parliamentary Elections were scheduled for 11 October 1992 by decision of the State Council. Based on the decree of the Council, the central, district and precinct election commissions should have been established. In late summer of 1992, the State Council approved Merab Aleksidze as the Chairperson of the Central Election Commission. Subsequently, members of the Central Election Commission were appointed by the election subjects. By September 1992, the Central Election Commission consisted[65] of 44 members. During September 1992, the composition of the district and precinct election commissions was underway. Voter lists[66] were specified at polling stations. Eventually, 3 471 866 citizens were included[67] in the election list. The aspect of Georgian citizens being internally displaced from the former South Ossetian Autonomous Region had been a major problem in specifying voter lists. The relocation of internally displaced persons (IDPs) to their new homes was initially extremely chaotic, which was a source of difficulty. At the same time, due to the escalating conflict in Abkhazia, a large number of Georgian citizens were on the front line. In addition, the conflict effectively barred elections in this or that region of the Autonomous Republic. It was very difficult to hold elections in the districts of Samegrelo, which was controlled by the supporters of President Gamsakhurdia and were not subject to the State Council.

The legislation drafted by the State Council for the Parliamentary Elections was, in fact, a combination of a majoritarian and proportional electoral systems. The

65 For the summary protocol of 1992 Parliamentary Elections, see the archive of the Central Election Commission.

66 Newspaper "Sakartvelos Respublika", 9 September 1992, p.1.

67 For the summary protocol of 1992 Parliamentary Elections, see the archive of the Central Election Commission.

მიმდინარეობდა. საუბნო კომისიებში ზუსტდებოდა ამომრჩეველთა სიებიც.[65] საბოლოოდ, საარჩევნო სიაში 3 471 866 მოქალაქე შეიყვანეს.[66] საარჩევნო სიების დაზუსტებისას ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებულ საქართველოს მოქალაქეთა ფაქტორი დიდ პრობლემას ქმნიდა. ახალ საცხოვრებელ სივრცეებში იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლება, თავდაპირველად, მეტად ქაოსურად მიმდინარეობდა, რაც იყო კიდეც სირთულის მიზეზი. ამავე დროს, აფხაზეთში გამწვავებული კონფლიქტის გამო, საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი ფრონტის ხაზზე იმყოფებოდა. ამას გარდა, კონფლიქტი ავტონომიური რესპუბლიკის ამა თუ იმ რაიონში არჩევნების ჩატარებას, ფაქტობრივად, გამორიცხავდა. დიდ სირთულეს ქმნიდა არჩევნების გამართვა სამეგრელოს იმ რაიონებშიც, რომლებიც პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა მიერ კონტროლდებოდა და სახელმწიფო საბჭოს არ ექვემდებარებოდა.

კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო საბჭომ საპარლამენტო არჩევნებისათვის შეიმუშავა, ფაქტობრივად, მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემის კომბინაცია იყო. საქართველოს რესპუბლიკა ერთმანდატიან და მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებად იყოფოდა. მაჟორიტარული სისტემისათვის რესპუბლიკის მასშტაბით 84 ერთმანდატიანი ოლქი შეიქმნა.[67] ერთმანდატიან ოლქებში გამარჯვებულად ცხადდებოდა ის კანდიდატი, რომელიც ხმათა უმრავლესობას მოაგროვებდა. ამასთანავე, პროპორციული სისტემისათვის შეიქმნა 10 მრავალმანდატიანი ოლქი, სადაც 150 მანდატი გადანაწილდებოდა.[68] მრავალმანდატიან ოლქებზე მანდატები ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით ნაწილდებოდა – ყველაზე მეტი ანუ 24 მანდატი ერგებოდა მრავალმანდატიან ოლქს №6, ყველაზე ცოტა ანუ 5 მანდატი კი – ოლქს №7. მრავალმანდატიან ოლქებში საარჩევნო ბარიერად უბანზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა ხმების მინიმუმ 2% განისაზღვრა.[69] მრავალმანდატიან ოლქებში თითოეულ ამომრჩეველს ჰქონდა სამი ხმის უფლება და იგი კენჭს უყრიდა ოლქში წარდგენილ საკანდიდატო სიებს მისთვის სასურველი რიგითობით – სამბალიანი სისტემით. თითოეული ოლქისათვის ბუნებრივი ბარიერი (ე.წ. კვოტა) მანდატების რაოდენობის მიხედვით გამოითვლებოდა. დარჩენილი ხმები ნებისმიერ მრავალმანდატიან ოლქში მთელ რესპუბლიკაში პრეფერენციის (უპირატესობის) წესით ნაწილდებოდა. ეს პოლიტიკურ სუბიექტებს შესაძლებლობას აძლევდა, დამატებითი მანდატები ე.წ. საკომპენსაციო სიით მოეპოვებინათ.[70]

სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებულ საარჩევნო კანონმდებლობას ერთი საინტერესო მახასიათებელი ჰქონდა: საარჩევნო კანონის თანახმად, საყოველთაო არჩევნებისას პარლამენტთან ერთად ირჩევდნენ პარლამენტის თავმჯდომარესაც, რომელსაც სახელმწიფოს მეთაურის წოდება მიენიჭებოდა. პარლამენტის თავმჯდომარეობის ანუ სახელმწიფოს მეთაურობის კანდიდატი არ უნდა ყოფილიყო რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენელი.[71]

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებზე ერთადერთ კანდიდატად მოქმედი სახელმწიფო საბჭოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე დარეგისტრირდა. ოფიციალურად, შევარდნაძის კანდიდატურა დაასახელა საინიციატივო ჯგუფმა, რომელსაც აკადემიკოსები, პროფესორები და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები შეადგენდნენ.[72]


საქართველოს რესპუბლიკის
პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები
11 ოქტომბერი, 1992

1. შევარდნაძე ედუარდ ამბროსის ძე — 1928, ისტორიკოსი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, უპარტიო

საარჩევნო ბიულეტენი, 1992 წლის 11 ოქტომბრის პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Ballot paper of 11 October 1992 Parliament Chair's Elections
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

65 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 9 სექტემბერი, გვ. 1.

66 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივი, 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

67 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივი, 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

68 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივი, 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

69 ძალაში დარჩა ძველი საარჩევნო რეგულაცია, რომელიც არჩევნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევდა შემდგარად, თუ მასში ამომრჩეველთა 50%-ზე მეტი მიიღებდა მონაწილეობას.

70 იხ. საქართველო – არჩევნების ისტორია 1990-2010, ცესკო, გვ. 8.

71 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 2 სექტემბერი, გვ. 2.

72 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 4 და 9 სექტემბერი.

Republic of Georgia was divided into single-member and multi-member electoral districts. The total of 84 single-member districts were established for majoritarian system throughout the republic. The winner in the single-member districts was the candidate with the majority of votes. In addition, 10 multi-member districts were established for the proportional system, where 150 seats would be distributed[69]. Mandates in multi-member districts were divided according to the number of voters - the most so 24 mandates were allocated to N6 multi-member district and the fewest so 5 seats to N7 district. In multi-member districts, threshold at least 2% was set[70] of the votes cast at the polling station. In multi-member districts each voter was entitled to three votes and he/she voted for the candidate lists submitted to the district with the desired sequence - a three-point system. A threshold (so-called quota) for each district was calculated based on the number of mandates. The remaining votes were distributed in any multi-member district throughout the Republic by preference (advantage). This enabled political subjects to get[71] additional mandates through the so-called compensation list.

The election legislation approved by the State Council had one interesting feature: According to the election law, during the general elections in addition to the parliament, the chairperson of the parliament was also elected, who was automatically given the title of head of state. The candidate for chairperson of the parliament so the head of state should not have been a representative[72] of any political subject.


საარჩევნო ბიულეტენი

საქართველოს რესპუბლიკის
პარლამენტის არჩევნები

11 ოქტომბერი

მრავალმანდატიანი ოლქი

დემოკრატიული პარტია
„ქარტია 91"
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
საქართველოს მთიელთა კავშირი
ბლოკი „ერთობა"
საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
მამულის აღორძინების საზოგადოება
ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია
საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი
ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი"
საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი


სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა"
საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია
საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია
საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო" (მ„ეს")
საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი
ეროვნული კონგრესის საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება
საქართველოს სახალხო პარტია (სსპ)
ქართველ მეფიცულთა კავშირი
საქართველოს ფიზიკურად მშრომელთა (მუშურ-გლეხური) პარტია „ცხოვრების ძეგლი"
საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია
საქართველოს ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი
სრულიად საქართველოს [illegible] კავშირი
საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
ბლოკი „მშვიდობა"
საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტია
საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების ეროვნული პარტია
სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება


ბლოკი „11 ოქტომბერი"
სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია
საქართველოს მწვანეთა პარტია

საარჩევნო ბიულეტენი, 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 9 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Ballot paper, 11 October 1992 Parliamentary Election, the newspaper "Sakartvelos Respublika", 9 October 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

68 For the summary protocol of 1992 Parliamentary Elections, see the archive of the Central Election Commission.
69 For the summary protocol of 1992 Parliamentary Elections, see the archive of the Central Election Commission.
70 The old election regulation remained in force, which considered the elections to be valid only if more than 50% of the voters took part in election.
71 See Georgia – Election History 1990-2010, the CEC, p. 8.
72 Newspaper "Sakartvelos Respublika", 2 September 1992, p. 2.

1992 წლის სექტემბერში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა 36 საარჩევნო სუბიექტი. მათგან 4 საარჩევნო ბლოკს წარმოადგენდა.[73]

საარჩევნო კანონის თანახმად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის შექმნა სპეციალური საარჩევნო ფონდი და საარჩევნო სუბიექტს შეეძლო, ის საარჩევნო კამპანიისათვის გამოეყენებინა. საარჩევნო კანონის მიხედვით, ნებისმიერი სუბიექტის საარჩევნო ფონდის საერთო მოცულობა არ უნდა ყოფილიყო 100 000 მანეთზე მეტი.[74]

1992 წლის 19 სექტემბრიდან ოფიციალურმა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" საარჩევნო სიების გამოქვეყნება დაიწყო. გაზეთში დაიბეჭდა ყველა საარჩევნო სუბიექტის სია და დასახელდა ერთმანდატიან და მრავალმანდატიან ოლქებში კანდიდატთა შემადგენლობა. 1991 წლის 3 ოქტომბრამდე საარჩევნო სიები იბეჭდებოდა გაზეთის თითქმის ყველა ნომერში.[75] საარჩევნო სიებს აქვეყნებდნენ სხვა ქართული გაზეთებიც. „საქართველოს რესპუბლიკაში" იბეჭდებოდა პოლიტიკურ სუბიექტთა საარჩევნო პროგრამებიც.[76] ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის შესახებ ცნობების წაკითხვა შესაძლებელი იყო ოფიციალური პრესის ფურცლებზე.[77]

საარჩევნო საკანდიდატო სიები 1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დამტკიცდა, თუმცა, საარჩევნო კანონმდებლობისა და პროცედურების დარღვევის გამო ან სულაც პირადი განცხადების საფუძველზე, არაერთი ათეული გვარი ამოიღეს.[78]

საარჩევნო სუბიექტთა ჩამონათვალი, რომელიც კომისიამ საბოლოოდ დაამტკიცა, საარჩევნო ბიულეტენის სახით გამოქვეყნდა და ეს საქართველოს არჩევნების ისტორიაში ყველაზე გრძელი ბიულეტენი აღმოჩნდა. მრავალმანდატიანი ოლქების საარჩევნო ბიულეტენში შემდეგი საარჩევნო სუბიექტები შეიყვანეს:

- დემოკრატიული პარტია;
- „ქარტია 91";
- ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
- ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი;
- საქართველოს მთიელთა კავშირი;
- ბლოკი „ერთობა" – ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავღანელთა) პარტია;
- საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია;
- მამულის აღორძინების საზოგადოება;
- ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია;
- საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი,
- ილია ჭავჭავაძის საზოგადოება;
- საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი;
- ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი" – საქართველოს მთიელთა კავშირი, საქართველოს ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის პარტია;
- საქართველოს სამართლიანობის კავშირი;
- სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა";
- საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია;
- საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია;
- საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი საქართველო";
- საქართველოს რადიკალ-მონარქისტული კავშირი;
- ეროვნული კონგრესის საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება;
- საქართველოს სახალხო პარტია (სსპ);
- ქართველ შეფიცულთა კავშირი;
- საქართველოს ფიზიკურად მშრომელთა (მუშურ-გლეხური) პარტია „ცხოვრების იმედი";
- საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია;
- საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია;
- საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი;
- სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი;

73 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 9 ოქტომბერი, გვ. 1.
74 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 16 სექტემბერი, გვ. 1.
75 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 19 სექტემბერი – 3 ოქტომბერი, გვ. 3-4
76 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 18 სექტემბერი, გვ. 4.
77 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 6 ოქტომბერი, გვ. 2.
78 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 7 ოქტომბერი, გვ. 2.

Eduard Shevardnadze, acting head of the State Council was registered as the sole candidate for Parliamentary Elections of Georgia so the Head of State. Officially, Shevardnadze's candidature was nominated by an initiative group consisting[73] of academics, professors, and representatives of the art sphere.

The Central Election Commission registered 36 election subjects in September 1992. Of these, four were[74] election blocs.

According to the election law, the Central Election Commission set up a special election fund for each election subject and the election subject could use it for the election campaign. According to the election law, the total amount of the election fund of any subject should not have exceeded[75] 100 000 maneti.

Since 19 September 1992, the official newspaper "Sakartvelos Respublika" started releasing election lists. The newspaper published a list of all election subjects, including the composition of the candidates in the single and multi-member districts. Prior to 3 October 1991, voter lists were published in almost every issue[76] of the newspaper. Other Georgian newspapers also published election lists. Election programs[77] of political subjects were also published in "Sakartvelos Respublika". It was possible to read the information about the session of the Central Election Commission on pages[78] of the official press.

Election candidate lists were approved in September-October 1992, however, a number of dozens of surnames were removed[79] due to violations of election law and procedures or on the basis of personal statements.

The list of election subjects, which was finally approved by the commission, was published as a ballot paper, and it turned out to be the longest ballot in the history of Georgian elections. The following election subjects were included in the ballot paper of multi-member districts:

- Democratic Party;
- "Charter-91";
- National Democrat Party;
- Union of Georgian Traditionalists;
- Union of Georgian Mountaineers;
- "Unity" bloc – Liberal-Democratic National Party, the Georgian Peace and Freedom (Afghan) Party of Georgia;
- Christian-Liberal Party of Georgia;
- Society for the Revival of the Fatherland;
- Party of Nations Friendship and Justice;
- Union of National Concord and Revival of Georgia;
- Ilia Chavchavadze Society;
- Union of God's Children of Georgia;
- "Georgian Political Union of National Integrity and Mountaineers" Bloc – Union of Georgian Mountaineers, Unity and Social Equality Party of Georgia;
- Union of Justice of Georgia;
- Union of Recovery of Justice " Voice of the Nation";
- Party of National Integrity of Georgia;
- Socialist Party of Georgian Workers;
- Political Union of Citizens of Georgia "United Georgia"
- Radical Monarchist Union of Georgia;
- National Congress Society of Saint Ilia the Righteous of Georgia;
- People's Party of Georgia (PPG);
- Union of Sworn Georgians;
- Party of Physically Working People (Workers and Peasants)-"Hope of Life";
- National-Legal Party of Georgia;
- National Independence Party of Georgia;
- Georgian National Front-Radical Union;
- All Georgian Farmers Union;
- Constitutional Democratic Party of Georgia;
- "Peace" bloc – Georgian League for Economic and Social Progress, Agrarian Union of Republic of Georgia, Democratic Union of Georgia, Justice Party of Georgia, Georgian Monarchist (Constitutional) Party, All-Georgian Political Organization "Lemi";
- National-Radical Party of Georgia;
- National Party of Georgian Demographic Society;
- Merab Kostava Society of Georgia;
- "11 October" Bloc – Republican Party of Georgia, political organization "Democratic Choice for Georgia" (DCG), Christian-Democratic Union of Georgia, People's Front of Georgia;
- Selim Khimshiashvili Society of Georgia;
- Social Democrat Party of Georgia;
- Green Party[80] of Georgia.

---

73 Newspaper "Sakartvelos Respublika", 4-9 September 1992.
74 Newspaper "Sakartvelos Respublika", 9 October 1992, p.1.
75 Newspaper "Sakartvelos Respublika", 16 September 1992, p.1.
76 Newspaper "Sakartvelos Respublika", 19 September – 3 October 1992, p. 3-4
77 Newspaper "Sakartvelos Respublika", 18 September 1992, p. 4.
78 Newspaper "Sakartvelos Respublika", 6 October 1992, p. 2.
79 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 October 1992, p. 2.
80 Newspaper "Sakartvelos Respublika", 9 October 1992, p. 1.

- საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია;
- ბლოკი „მშვიდობა“ – საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგა, საქართველოს რესპუბლიკის აგრარული კავშირი, საქართველოს დემოკრატიული კავშირი, საქართველოს სამართლიანობის პარტია, საქართველოს მონარქისტული (კონსტიტუციური) პარტია, სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“;
- საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტია;
- საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია;
- სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება;
- ბლოკი „11 ოქტომბერი“ – საქართველოს რესპუბლიკური პარტია, პოლიტიკური ორგანიზაცია „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის“ („დასი“), საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, საქართველოს სახალხო ფრონტი;
- სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება;
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია;
- საქართველოს მწვანეთა პარტია.[79]

პოლიტიკურ სუბიექტებს სახელმწიფო ტელევიზია საეთერო დროს უთმობდა და სატელევიზიო დებატებიც იმართებოდა. მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობისკენ ოფიციალური პრესაც მოუწოდებდა და სახელმწიფო ტელევიზიაც.

State television allocated airtime to political subjects, and debates on TV were also held. The official press and state television called on citizens to participate in elections.


11 ოქტომბერს საქართველოში არჩევნებია

არჩევნებამდე, რომელიც საქართველოს ბედს გადაწყვეტს, 20 დღე რჩება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილი ცნობა მოქალაქეებს არჩევნებამდე დარჩენილი დღეების რაოდენობას ატყობინებს, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 20 სექტემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The notice published on the front page of the newspaper “Sakartvelos Respublika” informs citizens about remaining days before the elections, the newspaper “Sakartvelos Respublika”, 20 September 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*


ხვალ, 11 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის არჩევნებია! პარლამენტის აურჩევლობა უეჭველი დამარცხებაა. პარლამენტის არჩევა არ არის საბოლოო გამარჯვება, მაგრამ დიდი გამარჯვების დასაწყისია!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მოწოდება ამომრჩევლისადმი, 1992 წლის 10 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The newspaper “Sakartvelos Respublika” appeals to voters, 10 October 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

79 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 9 ოქტომბერი, გვ. 1.

პოლიტიკურ სუბიექტთა წინასაარჩევნო საპარლამენტო კამპანია, მეტწილად, თავისუფალ გარემოში მიმდინარეობდა: ატარებდნენ მიტინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს, ავრცელებდნენ წინასაარჩევნო ბროშურებსა და პლაკატებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა.

The pre-election parliamentary campaign of political subjects was largely conducted in a free environment - they were running rallies, information meetings, and disseminating pre-election brochures and posters, which were especially actively used.




გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მოწოდება ამომრჩევლისადმი, 1992 წლის 10 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The newspaper "Sakartvelos Respublika" appeals to voters, 10 October 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




მწვანეთა პარტიის საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 3 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Poster of Green Party of Georgia
The newspaper "Sakartvelos Respublika", 3 October 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



საარჩევნო ბლოკ „მშვიდობის“ საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „დემოკრატიული საქართველო“
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Poster of election bloc "Peace", the newspaper "Demokratiuli Sakartvelo"
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




საარჩევნო ბლოკ „მშვიდობის“ საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „დემოკრატიული საქართველო“ , 1992 წლის 7 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Poster of election bloc "Peace", the newspaper "Demokratiuli Sakartvelo", 7 October 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*







საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Union of Georgian Traditionalists
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო პლაკატები
*დოკუმენტები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election posters of National Democratic Party
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election Poster of Merab Kostava Society of Georgia
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*







საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საარჩევნო პლაკატები
*დოკუმენტები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election posters of National Independence Party of Georgia
*The documents are preserved at the National Parliamentary Library of Georgia*







საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Union of God’s Children of Georgia
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ქალთა დაცვის კავშირის საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Women's Protection Union
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ნაძალადევის ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ჯაბა იოსელიანის, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Jaba Ioseliani, majoritarian MP candidate of Nadzaladevi district
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის, ედუარდ შევარდნაძის, საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „აჭარა“, 1992 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Election poster of Eduard Shevardnadze, candidate for chairperson of parliament, the newspaper " Adjara", October 1992
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნები, მეტწილად, თავისუფალ გარემოში ჩატარდა. არჩევნებს ათეულობით უცხოელი ჟურნალისტი და დამკვირვებელი ესწრებოდა და აშუქებდა. დამკვირვებლებმა პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით ცესკოს რეკომენდაციები მიაწოდეს.

The 11 October 1992 elections were largely held in a free environment. Dozens of foreign journalists and observers attended and covered the elections. Observers provided the CEC with recommendations on procedural issues.



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი ედუარდ შევარდნაძე და მისი მეუღლე ნანული შევარდნაძე, 1992 წლის 11 ოქტომბერი, საარჩევნო უბანი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 13 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Eduard Shevardnadze, candidate for chairperson of parliament of Georgia and his spouse Nanuli Shevardnadze, 11 October 1992, polling station, the newspaper "Sakartvelos Respublika", 13 October 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, 1992 წლის 11 ოქტომბერი, საარჩევნო უბანი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" , 1992 წლის 13 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Ilia II Catholicos-Patriarch of All Georgia, 11 October 1992, polling station, the newspaper "Sakartvelos Respublika", 13 October 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი განცხადებით, 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობამ 74%-ს გადააჭარბა.[80]

According to the Central Election Commission, voter turnout in the 11 October 1992 Parliamentary Elections exceeded[81] 74%.



ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, წინასწარი მონაცემებით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე 32 პარტიამ და ოთხმა ბლოკმა მიიღო შემდეგი რაოდენობის მანდატები:
დემოკრატიული პარტია – 10 მანდატი,
„ქარტია-91" – 9,
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 13,
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 7,
საქართველოს მთიელთა კავშირი – 1,
საარჩევნო ბლოკი „ერთობა" – 14,
მამულის აღორძინების საზოგადოება – 1,
ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია – 2,
საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი – 4,
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – 7,
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი – 2,
საარჩევნო ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი" – 1,
საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი – 2,
საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია – 1,
საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია – 3,
საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი – 1,
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია – 4,
საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი – 1,
სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი – 1,
საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია – 1,
საარჩევნო ბლოკი „მშვიდობა" – 29,
სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება – 5,
საარჩევნო ბლოკი – „11 ოქტომბერი" – 18,
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია – 2,
საქართველოს მწვანეთა პარტია – 11.

1992 წლის 11 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგები მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 20 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Preliminary results of 11 October 1992 Parliamentary Elections in Georgia according to multi-member districts, The newspaper "Sakartvelos Respublika", 20 October 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

80 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივი, 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

81 For the summary protocol of 11 October 1992 Parliamentary Elections, see the archive of the Central Election Commission.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1992 წლის 27 ოქტომბერს სხდომაზე საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. მასში წარმოდგენილი იყო შემდეგი ცნობები:

1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა – 3 471 866,
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა – 2 575 197,
3. ბათილი ბიულეტენების რაოდენობა – 50 399,
4. პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის (ედუარდ შევარდნაძის) მიერ მიღებული ხმების რაოდენობა – 2 472 345.[81]

ცესკოს განცხადებით, სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო, 84 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან ცხრაში – ჯავის, ცხინვალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გაგრის, გალის, გუდაუთისა და ტყვარჩელის ოლქებში – არჩევნები გადაიდო.[82]

შემაჯამებელ ოქმში შეტანილი იყო მონაცემები 75 ერთმანდატიანი ოლქიდან: ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა და თითოეული ოლქის გამარჯვებული კანდიდატის ვინაობა.

მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მონაცემებისა და პრეფერენციების დათვლის შემდეგ, მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით განსაზღვრული 150 მანდატი პოლიტიკურ სუბიექტთა შორის ამგვარად გადანაწილდა:

1. დემოკრატიული პარტია – 10 მანდატი,
2. „ქარტია 91“ – 9 მანდატი,
3. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 12 მანდატი,
4. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 7 მანდატი,
5. საქართველოს მთიელთა კავშირი – 1 მანდატი,
6. ბლოკი „ერთობა“ – 14 მანდატი,
7. მამულის აღორძინების საზოგადოება – 1 მანდატი,
8. ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია – 2 მანდატი,
9. საქართველოს თანხმობისა და აღორძინების კავშირი – 4 მანდატი,
10. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება – 7 მანდატი,
11. საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი – 2 მანდატი,
12. ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი“ – 1 მანდატი,
13. საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი – 2 მანდატი,
14. საქართველოს სახელმწიფოებრივი ეროვნული მთლიანობის პარტია – 1 მანდატი,
15. საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია – 4 მანდატი,
16. საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი – 1 მანდატი,
17. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია – 4 მანდატი,
18. სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი – 2 მანდატი,
19. საქართველოს კონსტიტუციური დემოკრატიული პარტია – 1 მანდატი,
20. ბლოკი „მშვიდობა“ – 29 მანდატი,
21. სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება – 5 მანდატი,
22. ბლოკი „11 ოქტომბერი“ – 18 მანდატი,
23. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია – 2 მანდატი,
24. საქართველოს მწვანეთა პარტია – 11 მანდატი.[83]

ცესკოს გადაწყვეტილებით, არჩევნები გაუქმდა ჩუღურეთის 3 და ლაგოდეხის 2 უბანზე, სადაც ხელახალი არჩევნები უნდა გამართულიყო.

არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრის მანდატი თორმეტმა ქალმა კანდიდატმა მოიპოვა. არჩეულ პარლამენტში ეთნიკურ უმცირესობათა 5 წარმომადგენელი შევიდა.

1992 წლის ოქტომბრის ბოლოს, მას შემდეგ, რაც არჩევნების შედეგები გამოქვეყნდა, უცხოელი დიპლომატები და სახელმწიფოს ლიდერები ედუარდ შევარდნაძეს პარლამენტის თავმჯდომარეობასა და სახელმწიფოს მეთაურად არჩევას ულოცავდნენ.




ედუარდ შევარდნაძესა და საარჩევნო ბლოკ „მშვიდობას“ არჩევნებში გამარჯვებას ულოცავენ, გაზეთ „დემოკრატიული საქართველოს“ პირველი გვერდი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Front page of newspaper “Demokratiuli Sakartvelo”, Congratulations on victory in elections to Eduard Shevardnadze and election bloc “Peace”
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

81 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივი, 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.
82 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივი, 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.
83 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივი, 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

The Central Election Commission (CEC) adopted the summary protocol of the Parliamentary Elections at the session held on 27 October 1992. It contained the following information:

1. The total number of voters – 3 471 866,
2. The number of participants in elections – 2 575 197,
3. The number of invalid ballot papers – 50 399,
4. The number of votes received by thr candidate (Eduard Shevardnadze) for chairperson of parliament – 2 472 345.[82]

According to the CEC, due to the military-political situation, elections were postponed[83] in nine out of 84 single-member districts namely in Java, Tskhinvali, Zugdidi, Tsalenjikha, Chkhorotsku, Gagra, Gali, Gudauta, and Tkvarcheli.

The summary protocol included data from 75 single-member districts: the total number of voters, the number of participants in the election, and winner candidates in each district.

After counting the data and preferences of the multi-member districts, the 150 mandates according to the multi-member districts were distributed among the political subjects as follows:

1. Democratic Party – 10 mandates,
2. "Charter 91" – 9 mandates,
3. National Democratic Party – 12 mandates,
4. Union of Georgian Traditionalists – 7 mandates,
5. Union of Georgian Mountaineers – 1 mandate,
6. "Unity" bloc – 14 mandates,
7. Society for the Revival of the Fatherland – 1 mandate,
8. Party of Nations Friendship and Justice – 2 mandates,
9. Union of National Concord and Revival of Georgia – 4 mandates,
10. Ilia Chavchavadze Society – 7 mandates,
11. Union of God's Children of Georgia – 2 mandates,
12. "Georgian Political Union of National Integrity and Mountaineers" bloc – 1 mandate,
13. Social Equality Union of Georgia – 2 mandates,
14. Party of National Integrity of Georgia – 1 mandate,
15. Socialist Party of Georgian Workers – 4 mandates,
16. Radical Monarchist Union of Georgia – 1 mandate,
17. National Independence Party of Georgia – 4 mandates,
18. All Georgian Farmers Union – 2 mandates,
19. Constitutional Democratic Party of Georgia – 1 mandate,
20. "Peace" bloc – 29 mandates,
21. Merab Kostava Society of Georgia – 5 mandates,
22. "11 October" bloc – 18 mandates,
23. Social Democratic Party of Georgia – 2 mandates,
24. Green Party of Georgia – 11 mandates.[84]

According to the CEC decision, the elections were canceled in 3 polling stations of Chughureti and 2 polling stations of Lagodekhi, where repeat elections were called.

The total of 12 women candidates won seats in parliament as a result of elections. 5 members of ethnic minorities entered the elected parliament.

At the end of October 1992, after the election's results were announced, foreign diplomats and state leaders congratulated Eduard Shevardnadze on his election as chairperson of parliament and head of state.



მილოცვები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

როგორც თქვენს თანამემამულეს, ნება მომეცით, პირადად მოგილოცოთ ბრწყინვალე წარმატება კვირას გამართულ პარლამენტის არჩევნებში. ხალხის მიერ მიცემული მანდატი დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებთ, მაგრამ გამორჩეული მომზადებისა და ცოდნის წყალობით თქვენ ნამდვილად შეძლებთ გაუძღვეთ საქართველოს მის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე გამოცდის ჟამს.

უაღრესად გულთბილად ვიგონებ თქვენს შესანიშნავ სტუმართმოყვარეობას, რომელიც გამიწიეთ გასულ მაისში, როდესაც ჯიმ ბეიკერთან ერთად ვეწვიე საქართველოს, და ახლა მოუთმენლად ველი ჩვენს შემდგომ ურთიერთობას.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს და მხურვალედ გილოცავთ

ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი,

გაერთიანებული ძალების მთავარსარდალი ევროპაში.

ბატონო თავმჯდომარევ,

უდიდესი სიამოვნებით შევიტყვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ თქვენი არჩევის ამბავი.

ევროპის კომისიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ და გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენი მისიის განხორციელებაში.

კომისია შეშფოთებით ადევნებს თვალს თქვენს ქვეყანაში მოვლენათა განვითარებას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს კიდევ უფრო გამწვავდა, და იმედს გამოთქვამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით გამოიძებნება მშვიდობიანი მოგვარების გზა.

ჟაკ დელორი.

ქართული წარმომავლობის ამერიკელი გენერლის – ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილისა და ევროპის კომისიის თავმჯდომარის – ჟაკ დელორის მისალოცი წერილები ედუარდ შევარდნაძეს, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წლის 20 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Greeting letters from John (Malkhaz) Shalikashvili, an American General of Georgian origin, and Jacques Delors, President of the European Commission, to Eduard Shevardnadze,
the newspaper "Sakartvelos Respublika", 20 October 1992
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

82 For the summary protocol of 11 October 1992 Parliamentary Elections, see the archive of the Central Election Commission.

83 For the summary protocol of 11 October 1992 Parliamentary Elections, see the archive of the Central Election Commission

84 For the summary protocol of 11 October 1992 Parliamentary Elections, see the archive of the Central Election Commission..

# საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნები

საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც 1992 წლის 11 ოქტომბერს აირჩა, გარდა არსებული პოლიტიკური კრიზისის დაძლევისა, სხვა ფუნქციაც ჰქონდა – სწორედ მას უნდა შეემუშავებინა საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამართლებრივ-პოლიტიკური დოკუმენტი, კონსტიტუცია. საქართველოს პარლამენტი ახალი კონსტიტუციის შექმნაზე ორწელიწად-ნახევარი მუშაობდა და ამ პროცესში ჩაბმული იყო მრავალი ადამიანი – არაერთი წარმომადგენელი თითქმის ყველა საპარლამენტო პარტიიდან, მრავალი პროფესორი და ამა თუ იმ საზოგადოებრივ გაერთიანებათა წევრი.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნისათვის სრულიად ახალი პოლიტიკური სისტემის ფორმირებას გულისხმობდა, პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს დაამტკიცა. რესპუბლიკა, ფაქტობრივად, საპრეზიდენტო მმართველობის სისტემაზე გადავიდა, პარლამენტს კი წარმომადგენლობით-საკანონმდებლო ფუნქცია ეკისრებოდა. ახლად მიღებული კონსტიტუციის ესა თუ ის გარდამავალი მუხლი შემდგომში პარლამენტის არჩევნების ჩასატარებლად გარკვეულ რეგულაციებსაც განსაზღვრავდა. მაგალითად, კონსტიტუციის გარდამავალი მუხლის თანახმად, პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა იმ პარტიას, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისათვის 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერას წარუდგენდა.

1995 წლის 1 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა არჩევნების შესახებ ახალი კანონი დაამტკიცა. საწყისი მუხლები არჩევნების საფუძვლებსა და საყოველთაო საარჩევნო უფლებას განსაზღვრავდა: „მუხლი I. არჩევნების საფუძვლები – 1. საქართველოს პარლამენტის არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. 2. საქართველოს პარლამენტი აირჩევა 5 წლის ვადით. პარლამენტის 150 წევრი აირჩევა ერთიანი პარტიული სიებით პროპორციული სისტემის, ხოლო პარლამენტის 85 – ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე; მუხლი II. საყოველთაო საარჩევნო უფლება – საქართველოს პარლამენტის საყოველთაოდ არჩევის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, განათლებისა, პოლიტიკური შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა“.[84]

1995 წლის 1 სექტემბერს მიღებული საარჩევნო კანონი განსაზღვრავდა და აზუსტებდა კონსტიტუციის გარდამავალ მუხლებს არჩევნებში პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ: „მუხლი VIII. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატთა დასახელების უფლება – არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიას, რომელიც დადასტურებულია 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერით მაინც ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისთვის, მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში კი – წარდგენის უფლების მქონე პარტიას, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატს, აგრეთვე პირს, რომლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებულია 1 000 ხელმოწერით მაინც ან რომელიც ბოლო არჩევნებში არჩეული იყო პარლამენტის წევრად“.[85]

საარჩევნო კანონის თანახმად, არჩევნების ორგანიზებისათვის იქმნებოდა საარჩევნო კომისიები. კერძოდ, კანონი განსაზღვრავდა: „მუხლი XVII. საარჩევნო სისტემა – პარლამენტის არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები: ა. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია; ბ. საოლქო საარჩევნო კომისიები; გ. საუბნო საარჩევნო კომისიები; მუხლი XVIII. საარჩევნო კომისიების შემადგენლობა – 1. საარჩევნო კომისიებში არჩეული ან დანიშნული შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე; 2. საარჩევნო კომისიებში თითო წევრის დანიშვნის უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიებს, რომლებმაც ბოლო არჩევნებში მოიპოვეს

84 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2.

85 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2.

# 5 NOVEMBER 1995 PARLIAMENTARY ELECTIONS OF GEORGIA

In addition to overcoming the current political crisis, the legislative body, which was elected on 11 October 1992 had another function - it had to draft the main legal-political document of the Republic of Georgia, the Constitution. The Georgian parliament has been working for two and a half years to create a new constitution, and many people have been involved in the process - numerous representatives from almost all parliamentary parties, many professors, and members of this or that public union.

The Constitution of the Republic of Georgia, which provided for the formation of a completely new political system for the country, was approved by Parliament on 24 August 1995. The republic, in fact, moved to a presidential system of government, and the parliament had a representative-legislative function. Transitional articles of the newly adopted constitution later set out certain regulations for the conduct of Parliamentary Elections. For example, according to the transitional article of the Constitution, a party that submitted a signature of 50 000 voters to the Central Election Commission (CEC) for registration had the right to participate in the Parliamentary Elections.

On 1 September 1995, the Parliament of Georgia approved a new law on Parliamentary Elections in Georgia. The initial articles defined the grounds for elections and the universal suffrage: "Article I. Basics of Elections - 1. Elections to the Parliament of Georgia shall be held by secret ballot based on universal, equal and direct suffrage. 2. The Parliament of Georgia shall be elected for a five-year term. 150 MPs shall be elected by the unified party lists of the proportional system, 85 MPs shall be elected through majoritarian electoral system based on single-member electoral districts; Article II. Universal suffrage - a citizen of Georgia who has reached the age of 18 on the day of the elections has the right to vote in the Parliament of Georgia. And a citizen of Georgia from the age of 25 who has lived permanently in Georgia for at least 10 years, regardless of race, language, sex, religion, education, political opinion, national, ethnic and social affiliation, origin, property and rank status[85], may be elected".

The election law adopted on 1 September 1995, defined and specified the transitional articles of the Constitution on the registration of parties and candidates in elections: "Article VIII. The right to participate in the Parliamentary Elections of Georgia and to nominate candidates for the membership of the Parliament – the party registered following the rules established by law has the right to participate in the elections, which is confirmed by the signatures of at least 50 000 voters or who has a representative in Parliament at the time of appointment of the election; in elections by majoritarian system - the party with the right to nominate, a candidate nominated by the election bloc, as well as a person whose nomination has been confirmed by at least 1 000 signatures or who was elected a member[86] of Parliament (MP) in the last election".

According to the election law, election commissions were established to organize the elections. In particular, the law stated: "Article XVII. Electoral system - election commissions are established to conduct Parliamentary Elections: a. Central Election Commission of Georgia; b. District Election Commissions (DECs); c. Precinct Election Commissions (PECs); Article XVIII. Composition of Election Commissions – 1. A citizen of Georgia with the right to vote may be elected or appointed to election commissions; 2. Parties registered in accordance with the rules established by law, which have won the mandate of a member of the Parliament of Georgia in the last elections, have the right to appoint one member in the election commissions. In case any of these parties is canceled or fails to receive a mandate in the newly elected Parliament, the authority of the appointed member shall be terminated; 3. At least five parties registered under the rules established by law shall have the right to appoint jointly one member in the election commissions, who failed to win a mandate in the last elections ... If any of these parties is canceled or not registered, the authority of the appointed member is terminated ... 7. The election commission may not include members of state government of Georgia and of representative bodies of local self-governments, heads of state government and governing bodies and their deputies, a candidate for the membership of the Parliament at state government and representative body of self-government, a representative of the party and election bloc participating in the elections, a proxy of an MP candidate".[87]

The Parliament of Georgia was approving the Chair of the

85 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p. 2.

86 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p. 2.

87 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p. 2.

საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი. იმ შემთხვევაში, თუ ამ პარტიათაგან რომელიმე გაუქმდა ან ვერ მიიღო მანდატი ახლად არჩეულ პარლამენტში, დანიშნული წევრის უფლებამოსილება წყდება; 3. საარჩევნო კომისიებში თითო წევრის დანიშვნის უფლება აქვთ აგრეთვე კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ არანაკლებ ხუთ პარტიას ერთობლივად, რომელთაც ვერ მოიპოვეს მანდატი ბოლო არჩევნებში... იმ შემთხვევაში, თუ ამ პარტიათაგან რომელიმე გაუქმდა ან არ გატარდა საარჩევნო რეგისტრაციაში, დანიშნული წევრის უფლებამოსილება წყდება... 7. საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება დაინიშნონ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით ორგანოთა წევრები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პარლამენტის წევრობის კანდიდატი, სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში, არჩევნებში მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებული, პარლამენტის წევრობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი“.[86]

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის ორ წევრს საქართველოს პარლამენტი ამტკიცებდა, თითო-თითო წევრს კი აჭარისა და აფხაზეთის უზენაესი საბჭოები ნიშნავდნენ. თავის მხრივ, ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავდა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ორ წევრს, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისია – საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და ორ წევრს.[87] ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისია თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და კომისიის წევრებისაგან შედგებოდა.

საარჩევნო სუბიექტების თავისუფალი საქმიანობის გარანტიებს საარჩევნო კანონი განსაზღვრავდა. სუბიექტებს უფლება ენიჭებოდათ, მიეღოთ შემოწირულობები, ეწარმოებინათ თავისუფალი საარჩევნო კამპანია, გამოეყენებინათ სახელმწიფო ტელევიზიისა და გამომცემლობათა რესურსები. კანონით ისჯებოდა ყველა, ვინც საარჩევნო საქმიანობისათვის ხელის შეშლას ეცდებოდა. საარჩევნო კანდიდატები არჩევნების მიმდინარეობისას ხელშეუხებლობის გარანტიით სარგებლობდნენ.[88] 1995 წლის ნოემბერში, საარჩევნო კანონის ამ მუხლის შესაბამისად, ცესკომ მაჟორიტარობის კანდიდატის, ჯაბა იოსელიანის, უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების დადგენილება გამოსცა. მართლაც, საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას კონკრეტულ პროცედურათა დაუცველად კანდიდატის დაკავება კანონით იკრძალებოდა.

არჩევნების შედეგების შეჯამების წესებს საარჩევნო კანონი განსაზღვრავდა: „მუხლი 54. არჩევნების შედეგების შეჯამება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში – 1. საქართველოს პარლამენტის არჩევნები პარტიული სიების მიხედვით ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც, ხოლო ერთმანდატიან ოლქში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ერთი მესამედი მაინც; 2. თუ პარლამენტის წევრი პირველ ტურში ვერ აირჩა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგების მქონე ორი კანდიდატი. მეორე ტურის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს; 3. ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე, არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 20 დღისა, თავის სხდომებზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და შეაქვს ოქმში... 6. პარლამენტის წევრთა მანდატები მიეკუთვნება მხოლოდ იმ პარტიულ სიას, რომელმაც მიიღო არჩევნების მონაწილეთა ხმების 5% მაინც. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 150-ზე და გაიყოს ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას; 7. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარად მიღებული მანდატების რაოდენობის ჯამი 150-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს. თუ ორი ან მეტი პარტიის სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება მას, რომელიც საარჩევნო ბიულეტენში რიგით წინ იყო“.[89]

86 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2.
87 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2.
88 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 3-4.
89 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 4.

CEC of Georgia and two members of the Commission, one member was appointed by the Supreme Council of Adjara and one by the Supreme Council of Abkhazia respectively. From its part, the CEC was appointing the chair of the DEC and two members, while DEC was appointing PEC's chair and two members[88]. The central, district, and precinct election commissions were composed of chairperson, deputy chairperson, secretary and commission members.

The election law determined the guarantees of the free activities of the election subjects. The subjects were given the right to receive donations, run a free election campaign, and use the resources of state television and publishing houses. All those who tried to obstruct the election activity were punished by law. The election candidates were enjoying[89] the guaranteed immunity during elections. In November 1995, in accordance with this article of the Election Law, the CEC issued a decree on releasing the majoritarian candidate, Jaba Ioseliani, from illegal detention. Indeed, during the election process, the detention of a candidate without following the specific procedures was prohibited by law.

The rules of summarizing the election results were determined by the election law: "Article 54. Summarizing the election results in the Central Election Commission – 1. Parliamentary Elections of Georgia shall be considered held according to the party lists, if at least one-third of the total number of voters participated in the elections, while elections in a single-member district shall be deemed held if at least one-third of the total number of voters in the district has participated; 2. If a member of parliament is not elected in the first round, a second round will be held with the participation of two candidates with better results. The CEC sets the date of the second round. The candidate who receives the most votes will be considered elected; 3. Based on the protocols received from the district and precinct election commissions, the CEC summarizes the results of Parliamentary Elections of Georgia at its sessions no later than 20 days after the elections and enters them in the protocol ... 6. The mandates of members of parliament belong only to the party list that received at least 5% of the votes cast. To determine the number of seats won by a party list, the number of votes cast to that list must be multiplied by 150 and divided by the total number of votes received by such parties. The whole part of the number received represents the number of mandates received by the list; 7. If the total number of seats received is less than 150, one seat from the non-distributed seats will be given to the party lists which received a higher number of votes in the elections. If the number of votes received by two or more party lists is equal, the mandate belongs to him / her, who was in the front row[90] of the ballot paper."

The Election Law of 1 September 1995, considering the specifics of single-member districts, also specified the issue of the expected mandates for the districts of the Autonomous Republic of Abkhazia: "transitional Article 2 - before the establishing the necessary conditions for Parliamentary Elections of Georgia in Abkhazia, the persons elected from Abkhazia in 1992 elections, who are members of the Parliament of Georgia at the time of adoption of this Law, their powers of MPs to be extended. Once the E-day of the members of the Parliament of Georgia to the single-member districts in Abkhazia is called, their powers will be terminated[91]. "

Shortly after the adoption of the election law, the Parliament of Georgia approved Professor Ivane Kighuradze as the Chairperson of the CEC and set 5 November 1995 as the date for the Parliamentary Elections.

At the 11 September 1995 session, the CEC elected Giorgi Zesashvili as Deputy Chairperson and Nugzar Skhirtladze as the Secretary of the Commission. At the same session, the Commission approved[92] the chairs of the DECs and the lists of members of the commissions to be appointed by the CEC to the commissions.

At the 19 September 1995 session, the CEC adopted a decree on the rules for the establishment and use of special election foundations for election subjects, besides, it clarified the obligation to submit activity reports produced by the same foundations. The CEC was assigned[93] to examine the expenses incurred by the foundations and identifying possible violations. In the same session, the CEC approved the instructions to be guided with when determining the compliance of election subjects' lists and majoritarian candidates' data with the law.

In September-October 1995, the CEC was registering election subjects and candidates. Those wishing to participate in the elections had the right to submit[94] the lists to the CEC until

88 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p. 2.

89 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p. 3-4.

90 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p. 4.

91 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p. 4.

92 Newspaper "Sakartvelos Respublika",14 September 1995, p. 1.

93 Newspaper "Sakartvelos Respublika", 27 September 1995, p. 1.

94 Newspaper "Sakartvelos Respublika", 6 October 1995, p. 1.

1995 წლის 1 სექტემბრის საარჩევნო კანონი, ერთმანდატიანი ოლქების სპეციფიკის გათვალისწინებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ოლქებისათვის ნავარაუდევი მანდატების საკითხსაც აზუსტებდა: „გარდამავალი მუხლი 2 – აფხაზეთში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნამდე 1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეულ პირებს, რომლებიც ამ კანონის მიღების დროისთვის არიან საქართველოს პარლამენტის წევრები, უგრძელდებათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. აფხაზეთში ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევის დღის დანიშვნისთანავე მათი უფლებამოსილება შეწყდება“.[90]

საქართველოს პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ საარჩევნო კანონის მიღებიდან მალევე პროფესორი ივანე კიღურაძე დაამტკიცა, ხოლო საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღად 1995 წლის 5 ნოემბერი განსაზღვრა. 1995 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე ცესკომ თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია გიორგი ზესაშვილი, ხოლო კომისიის მდივნად – ნუგზარ სხირტლაძე. ამავე სხდომაზე კომისიამ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები და კომისიებში ცესკოს მიერ დასანიშნ კომისიის წევრთა სიები დაამტკიცა.[91]

1995 წლის 19 სექტემბრის სხდომაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომელიც საარჩევნო სუბიექტთათვის სპეციალური საარჩევნო ფონდების შექმნისა და სარგებლობის წესებს, ამას გარდა კი, ამავე ფონდების მიერ წარმოებული საქმიანობის ანგარიშების წარდგენის ვალდებულებას აზუსტებდა. ფონდების მიერ გაწეული ხარჯების შესწავლა და შესაძლო კანონდარღვევის გამოვლენა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეკისრა.[92] ცესკომ ამავე სხდომაზე დაამტკიცა ინსტრუქციები, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელათ, რათა საარჩევნო სუბიექტთა სიებისა და მაჟორიტარულ კანდიდატთა მონაცემების გადამოწმებისას კანონთან მათი შესაბამისობა დაედგინათ.

1995 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო სუბიექტთა და კანდიდატთა რეგისტრაციას აწარმოებდა. არჩევნებში მონაწილეობის მსურველებს უფლება ჰქონდათ, სიები ცესკოში 6 ოქტომბრამდე წარედგინათ.[93] რამდენიმე საარჩევნო სუბიექტმა, საარჩევნო კანონთან შეუსაბამობის მიზეზით, რეგისტრაციაში გატარებაზე უარი მიიღო.[94]

„ქალთა დაცვის კავშირისა“ და „დემოკრატიული საქართველოს“ პარტიათა მხარდამჭერების ხელმოწერები კანონით წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, რის გამოც ამ პოლიტიკურ ორგანიზაციათა პარტიულ სიებს 1995 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე რეგისტრაცია გაუუქმეს. ამას გარდა, საარჩევნო სიებიდან ამოიღეს ათობით სხვა კანდიდატის გვარიც, რადგან მათი მონაცემები კანონით დადგენილ ნორმებს არ აკმაყოფილებდა. სიებიდან ამოიღეს ისინიც, ვის მონაცემებსაც მხარდამჭერთა თანხმობის დამადასტურებელი წერილები არ ერთვოდა. საბოლოო ჯამში, კანონის საფუძველზე, რეგისტრაციიდან მოიხსნა დეპუტატობის ათობით დამოუკიდებელი კანდიდატი.

1995 წლის 18 ოქტომბრის სხდომის მსვლელობისას ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განსაზღვრა არჩევნებში რეგისტრირებული 54 საარჩევნო სუბიექტის – ბლოკებისა და პარტიების – რიგითობა. ცესკოს მიერ გამოცემულ დადგენილებაში განცხადებული იყო: „ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს, წილისყრის შედეგად პარტიების რიგითობა განისაზღვროს ასეთი თანმიმდევრობით:

1. საქართველოს სამართლიანობის კავშირი,
2. სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“,
3. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია,
4. ბლოკი – „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატები“ (საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია),
5. დემოკრატიული პარტია,
6. სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი,
7. აფხაზეთი – ჩემი სახლია,
8. პარტია „სამშობლო“,
9. ქალთა დაცვის კავშირი,[95]
10. ბლოკი – „ქრისტიან დემოკრატია – ევროპული არჩევანი“ (საქართველოს სახალხო პარტია, საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი),

90 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 4.
91 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 14 სექტემბერი, გვ. 1.
92 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 27 სექტემბერი, გვ. 1.
93 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 6 ოქტომბერი, გვ. 1.
94 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 3 ოქტომბერი, გვ. 1.
95 აღადგინეს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ.

6 October. Several election subjects were refused[95] to register due to non-compliance with the election law.

Signatures of supporters of "Women's Protection Union" and "Democratic Georgia" parties did not comply with the requirements prescribed by the law and therefore the registration of party lists of the mentioned political organizations was canceled at the session held on 14 October 1995. In addition, surnames of dozens of candidates were removed from election lists because their data did not meet the norms prescribed by the law. Those were removed from the lists whose data was not supported with letters of the consent of supporters. In total, based on the law, dozens of MP independent candidates were removed from registration.

The CEC determined the sequence of 54 election subjects – blocs and parties registered in the elections at the session held on 18 October 1995. The decree issued by the CEC stated: the CEC by casting lots determines the sequence of the parties, namely:

1. Union of Justice of Georgia,
2. All-Georgian Political Organization "Lemi",
3. National Independence Party of Georgia,
4. "United Communist Party of Georgia and Social Democrats" bloc (United Communist Party of Georgia, Social Democratic Party of Georgia),
5. Democratic Party,
6. All-Georgian Union for Revival,
7. Abkhazia – My Home,
8. Party "Fatherland",
9. Women's Protection Union,[96]
10. "Christian Democracy – European Choice" bloc (People's Party of Georgia, Christian Democratic Union of Georgia),
11. Progressive Party of Georgia,
12. Socialist Party of Georgia,
13. Peace and Freedom (Afghan) Union of All-Georgia,
14. "New Georgia",
15. Communist Party of Georgia,
16. Intellectuals League of Georgia,[97]
17. Freedom Party of Georgia,
18. Christian Democratic Party of Georgia,
19. Agrarian Union of Georgia,
20. Merab Kostava Society,
21. Party for Social Protection of the Population,
22. "Zviadi's Way – Voice of Nation" bloc (Union of Recovery of Justice "Voice of the Nation, Renewal Party of Georgia),
23. "National Dasi",
24. Georgian League for Economic and Social Progress-Bourgeois Democratic Party,
25. Liberal Democratic National Party,
26. NDP (National Democrat Party),
27. Stalin Communist Party,
28. All-Georgian Union of Traditional Families,
29. "Democratic Georgia",[98]
30. Political Organization "Fatherland",
31. Political Movement of Georgia "Fatherland, Language, Faith",
32. Union of God's Children,
33. Party of Nations' Friendship and Justice,
34. Political Organization "Trade Unions to the Elections",
35. "Shield of Fatherland" ("All-State National Integrity Party of Georgia "Shield of Fatherland"),
36. Conservative (Monarchist) Party of Georgia,
37. Agrarian Party of Georgia,
38. Economic Revival - the Yellows Bloc (Constitutional-Democratic Party, Progressive-Democratic Party),
39. Ilia Chavchavadze Society,
40. Liberal-Conservative Party of Georgia,
41. Political Union "Support",
42. Political Union of Citizens "Georgia's Women for Elections",
43. Party for National Unity and Social Justice of Georgia,
44. Union for Law-Governed State,
45. Citizen's Union of Georgia ,
46. "21st Century-Konstantin Gamsakhurdia Society-United Georgia" bloc (National-Political Movement "Heart of Georgia", Konstantine Gamsakhurdia Society),
47. Political Movement "Georgia's Future",
48. Society "Elections",
49. "Progress" bloc (Democratic Union of Georgia, Political Union – Young Democrats' Union "Our Choice", Political Union "Georgian Owners", Election Union "Tbilisi"),
50. Union of Georgian Traditionalists,
51. "Georgian Union of Reformers" bloc – "National Concord" (Political Union of Citizens "Georgian Union of Reformers", Union of Athletes of Georgia, Political Union of Citizens "Kolkheti"),
52. "Republicans" (United Republican Party of Georgia),
53. "Union of Revival of Family of Georgia",
54. Bloc "For Life" (Movement of Georgia's Citizens "For Life", Union of Georgian Mountaineers).[99]

95 Newspaper "Sakartvelos Respublika", 3 October 1995, p. 1.

96 Recovered after the cancelation of registration.

97 Recovered after the cancelation of registration.

98 Initially, registration was restored to the party, but eventually was removed from the election and was not included in the summary protocol.

99 The Central Election Commission, 18 October 1995.

11. საქართველოს პროგრესისტული პარტია,
12. საქართველოს სოციალისტური პარტია,
13. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავღანელთა) კავშირი,
14. „ახალი საქართველო“,
15. საქართველოს კომუნისტური პარტია,
16. საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა,[96]
17. საქართველოს თავისუფლების პარტია,
18. საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია,
19. საქართველოს აგრარული კავშირი,
20. მერაბ კოსტავას საზოგადოება,
21. მოსახლეობის სოციალური დაცვის პარტია,
22. ბლოკი „ზვიადის გზა – ხმა ერისა“ (სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, საქართველოს განახლების პარტია),
23. „ეროვნული დასი“,
24. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგა – ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტია,
25. ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტია,
26. ედპ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია),
27. სტალინური კომუნისტური პარტია,
28. სრულიად საქართველოს საგვარეულო კავშირი,
29. „დემოკრატიული საქართველო“,[97]
30. პოლიტიკური ორგანიზაცია „მამული“,
31. საქართველოს პოლიტიკური მოძრაობა „მამული, ენა, სარწმუნოება“,
32. ღვთისშვილთა კავშირი,
33. ხალხთა მეგობრობის და სამართლიანობის პარტია,
34. პოლიტიკური ორგანიზაცია „პროფკავშირები – არჩევნებზე“,
35. „სამშობლოს ფარი“ (საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია „სამშობლოს ფარი“),
36. საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია,
37. საქართველოს აგრარული პარტია,
38. ბლოკი „ეკონომიკური აღორძინება – ყვითლები“ (კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, პროგრესულ-დემოკრატიული პარტია),
39. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება,
40. საქართველოს ლიბერალურ-კონსერვატიული პარტია,
41. პოლიტიკური კავშირი „თანადგომა“,
42. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ქალები არჩევნებისათვის“,
43. საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის პარტია,
44. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გაერთიანება,
45. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი,
46. ბლოკი „XXI საუკუნე – კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება – ერთიანი საქართველო“ (ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს გული“, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება),
47. პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს მომავალი“,
48. საზოგადოება „არჩევნები“,
49. ბლოკი „პროგრესი“ (საქართველოს დემოკრატიული კავშირი, პოლიტიკური გაერთიანება – ახალგაზრდა დემოკრატთა კავშირი „ჩვენი არჩევანი“, პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს მესაკუთრეები“, საარჩევნო გაერთიანება „თბილისი“),
50. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი,
51. ბლოკი „საქართველოს რეფორმატორთა კავშირი“ – „ეროვნული თანხმობა“ (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს რეფორმატორთა კავშირი“, საქართველოს სპორტსმენთა კავშირი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კოლხეთი“),
52. „რესპუბლიკელები“ (საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია),
53. „საქართველოს ოჯახთა აღორძინების კავშირი“,
54. ბლოკი „სიცოცხლისათვის“ (საქართველოს მოქალაქეთა მოძრაობა „სიცოცხლისათვის“, საქართველოს მთიელთა კავშირი).[98]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიების საზღვრები დაადგინა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით ამომრჩეველთა ერთიანი სიები დააზუსტა.

სექტემბერ-ოქტომბერში პარტიები საჯარო შეხვედრებს, წინასაარჩევნო მიტინგებსა და კონცერტებს ატარებდნენ. პრესა საარჩევნო სუბიექტთა პროგრამებსა და პლაკატებს ბეჭდავდა. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მკითხველს ამა თუ იმ სუბიექტის საარჩევნო პროგრამას აცნობდა. „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც მოქმედი მთავრობის პოლიტიკური გაერთიანება იყო, საკუთარ მასალებს სამთავრობო პრესაში სხვაზე ხშირად აქვეყნებდა. პრესაში „მოქალაქეთა კავშირის“ მიმართ ლოიალურად განწყობილ პოლიტიკურ სუბიექტთა საარჩევნო მასალასაც ხშირად გადააწყდებოდით.

96 აღადგინეს რეგისტრაციიდან მოხსნის შემდეგ.

97 თავდაპირველად, პარტიას რეგისტრაცია აღუდგინეს, თუმცა საბოლოოდ არჩევნებიდან ის მაინც მოხსნეს და არც შემაჯამებელ ოქმში შეიტანეს.

98 ცენტრალური საარჩევნო კომისია, 1995 წლის 18 ოქტომბერი.

The CEC determined the boundaries of the precinct election commissions and in cooperation with other state agencies specified the unified voter lists.

In September-October, the parties were holding public meetings, pre-election rallies and concerts. The press was publishing programs and posters of election subjects. The newspaper "Sakartvelos Respublika" informed the readers about election programs of this or that election subject. "Citizen's Union of Georgia", a political union of the ruling government was more frequently publishing its materials in the government press than others. One would often find election material of political subjects loyal to the "Citizens' Union" in the press.




საქართველოს მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Citizen's Union of Georgia,
the newspaper "Sakartvelos Respublika", October 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of All-Georgian Union for Revival,
the newspaper "Sakartvelos Respublika", October 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




პოლიტიკურ კავშირ „თანადგომის" საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Political Union "Support",
the newspaper "Sakartvelos Respublika", October 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*







საარჩევნო ბლოკ „პროგრესის“ საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Progress” bloc,
the newspaper “Sakartvelos Respublika”, October 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

საქართველოს სოციალისტური პარტიის საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Socialist Party of Georgia,
the newspaper “Sakartvelos Respublika”, October 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




საქართველოს სახალხო პარტიის საარჩევნო პლაკატები, 1995 წელი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election posters of People’s Party of Georgia, 1995
*The document are preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის საარჩევნო პლაკატი, 1995 წელი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Liberal Democratic National Party, 1995
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




მაჟორიტარობის კანდიდატ ჯაბა იოსელიანის საარჩევნო პლაკატი, 1995 წელი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Jaba Ioseliani, a majoritarian candidate, 1995
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ტელევიზიებისა და გაზეთების მეშვეობით მოქალაქეებს არჩევნების თარიღს ახსენებდნენ და მასში მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ.

By television and newspapers, citizens were reminded of the E-day and called for participation in it.

საარჩევნო მოწოდება, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის ოქტომბერ-ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Appeal for elections, the newspaper “Sakartvelos Respublika”, October-November 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

პრესა საარჩევნო პროცესის, პარტიათა პროგრამებისა და დაპირებების შესახებ შარჟებსა და კარიკატურებს ბეჭდავდა.

The press has been circulating cartoons and caricatures about the election process, party programs, and promises.




საარჩევნო შარჟი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 30 სექტემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election cartoon, the newspaper “Sakartvelos Respublika”, 30 September 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




საარჩევნო კოლაჟი, გაზეთი „რეზონანსი“, 1995 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election collage, the newspaper “Rezonansi”, October 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*


5 ნოემბერი არჩევნების დღეა!

1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების პროცესში დარღვევებიც იყო და კონკრეტულ სუბიექტთა სასარგებლოდ გაყალბების მცდელობაც. არჩევნებს ესწრებოდა და თვალყურს ადევნებდა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი – ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), ევროსაბჭოს მისია და სხვ. სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში ნათლად იყო გაცხადებული რეკომენდაციები საარჩევნო კანონის დასახვეწად და საარჩევნო პროცედურების, თუნდაც ხმის დათვლის წესის, გასაუმჯობესებლად. მას შემდეგ, რაც არჩევნების შედეგები შეჯამდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ივანე კილურაძე საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფისა და გაუმჯობესების მოთხოვნით გამოდიოდა.[99]

არჩევნების დასრულების შემდეგ საარჩევნო აქტივობის წინასწარმა მაჩვენებელმა ყველა დააბნია. თავდაპირველად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა განცხადებით, აქტივობამ დაახლოებით 1.9 მილიონი შეადგინა, თუმცა, საბოლოო დათვლით, არჩევნებში მონაწილეთა რიცხვმა 2.1 მილიონს გადააჭარბა. ამან ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტების პროტესტი გამოიწვია და მათ არჩევნების გაყალბებაზე დაიწყეს საუბარი.[100]

1995 წლის 16 ნოემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შემაჯამებელი ოქმი გამოსცა. ოქმში ვკითხულობდით:

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 3 121 075,

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 127 946-მა ამომრჩეველმა,

ამომრჩეველთა აქტივობამ 68.2% შეადგინა,

კენჭისყრაში მონაწილეობდა 2 079 462 ამომრჩეველი,

ბათილად მიჩნეულ იქნა 113 588 ბიულეტენი (5%).[101]

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, რესპუბლიკის 85 ერთმანდატიანი ოლქიდან არჩევნები 77 ოლქში იყო დანიშნული. ჯავის №34 და ცხინვალის №42 ოლქთა ტერიტორიაზე არჩევნები იმთავითვე გადაიდო. არჩევნები ვერ შედგა რუსთავის №20 ოლქში, რადგან უბანზე ამომრჩეველთა 50%-ზე ნაკლები გამოცხადდა. არჩევნების პირველ ტურში მაჟორიტარული სისტემით გამარჯვებული დარჩენილი 74 ოლქიდან მხოლოდ 32-ში გამოვლინდა. 42 ოლქში არჩევნების მეორე ტური დაინიშნა. პირველ ტურში გამარჯვებული ქალაქ თბილისის ერთ ოლქშიც კი ვერ გამოვლინდა.
1995 წლის 19 ნოემბერსა და 3 დეკემბერს მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური ორ ეტაპად გაიმართა. 19 ნოემბერს არჩევნების მეორე ტურში რამდენიმე ოლქის ზოგიერთი უბნის შედეგები გაუქმდა. ამის გამო, საბოლოოდ, მეორე ტურისათვის 1995 წლის 3 დეკემბერს ხელახალი არჩევნების ჩატარება გახდა საჭირო. 1995 წლის 5 ნოემბერს რუსთავის საარჩევნო ოლქში ჩაშლილი არჩევნები 1996 წლის 2 ივნისს ხელმეორედ გაიმართა.[102]

75 მაჟორიტარული მანდატი, შემაჯამებელი ოქმების თანახმად, შემდეგნაირად გადანაწილდა:

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 19,[103]

სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი – 6,

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3,

საქართველოს სოციალისტური პარტია – 4,

ბლოკი „პროგრესი“ – 4,

ბლოკი „თანადგომა“ – 3,

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 2,

საქართველოს რეფორმატორთა კავშირი „ეროვნული თანხმობა“ – 2,

საქართველოს რესპუბლიკური პარტია – 1,

ცენტრალური საარჩევნო კომისია მოქალაქეებს ამომრჩეველთა ბარათებსა და საარჩევნო ინსტრუქციებს ურიგებდა.

99 გაზ. „რეზონანსი“, 1995 წლის 30 ნოემბერი, გვ. 1.

100 გაზ. „რეზონანსი“, 1995 წლის 16-17 ნოემბერი, გვ. 1.

101 ეს მაჩვენებელი ოპოზიციაში ეჭვებს ბადებდა, რადგანაც წინა წლების არჩევნების ანალოგიურ მაჩვენებლებს რამდენჯერმე აღემატებოდა და, რეალურად, ოპოზიციური პარტიების შანსებს ამცირებდა.

102 ცენტრალური საარჩევნო კომისიის 16 ნოემბრის, 24 ნოემბრის, 7 დეკემბრისა და 1996 წლის 7 ივნისის შემაჯამებელი ოქმები დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

103 1996 წლის ივნისის მონაცემებით – რუსთავის ოლქის ჩათვლით.

The Central Election Commission was distributing voter cards and instructions on elections to citizens.


ჟამი დიდი არჩევნისა

ამომრჩეველთა სამახსოვრო

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის ოქტომბერ-ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The instruction developed by the Central Election Commission,
the newspaper "Sakartvelos Respublika", October-November 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

There were also irregularities in the process of 5 November 1995 Parliamentary Elections and attempts to falsify for the benefit of specific subjects. A number of domestic and international observers were attending and monitoring the elections including the Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE), Council of Europe Mission, etc. Reports of the observation missions clearly showed the recommendations to enhance the electoral law and electoral procedures, at least for improving the rule of counting votes. After the election results were summed up, the chairperson of the Central Election Commission (CEC), Ivane Kighuradze, was calling[100] on excelling and improving the election legislation.

Following the elections, preliminary voter turnout confused everyone. Initially, according to the CEC members, turnout amounted to 1.9 million, though, after final vote counting, the number of voters exceeded 2.1 million. The mentioned prompted the protest of certain political subjects speaking[101] about election fraud.

On 16 November 1995, the CEC issued the summary protocol which stated:

The total number of voters was 3 121 075,

2 127 946 voters took part in elections,

The voter turnout amounted to 68.2%,

2 079 462 voters took part in polling,

113 588 (5%)[102] ballot papers were deemed invalid.

According to the summary protocol, elections were appointed in 77 districts of 86 single-member districts of the republic. The elections were postponed in the first place in the territory of №34 Java and №42 Tskhinvali districts. The elections were not held in N20 Rustavi district where less than 50% of voters came to the precincts. The winner in the first round of elections held by the majoritarian system was revealed in only 32 districts out of 74 remaining districts. The second round of elections was called in 42 districts. The winner of the first round could not be revealed even in one district of Tbilisi. The second round of majoritarian elections was held in two stages on 19 November 1995 and 3 December respectively. On 19 November, the results of certain precincts of several districts were annulled in the second round. Because of this, eventually, it became necessary to hold repeat elections on 3 December 1995 along with the second round. Repeat[103] elections were held on 2 June 1996 in Rustavi electoral district where it previously failed on 5 November 1995.

According to the summary protocol, 75 majoritarian mandates were distributed as follows:

100 Newspaper "Rezonansi", 30 November 1995, p. 1.

101 Newspaper "Rezonansi", 16-17 November 1995, p.1.

102 This figure raised suspicions in the opposition as it was several times higher than in previous years' elections and, in fact, reduced the chances of opposition parties.

103 The summary protocols of the Central Election Commission of November 16, November 24, December 7 and June 7, 1996 are preserved in the archives of the Central Election Commission.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გაერთიანება – 1,

საზოგადოება „ლემი“ – 1,

დამოუკიდებელი კანდიდატები – 29.[104]

პროპორციული სისტემით პარტიებისა და ბლოკების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა, 1995 წლის 16 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ამგვარად ნაწილდებოდა:[105]

| პარტიები და პოლიტიკური ბლოკები | ხმების რაოდენობა | % |
|---|---|---|
| 1. საქართველოს სამართლიანობის კავშირი | 22 190 | 1.04 |
| 2. სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“ | 8 722 | 0.41 |
| 3. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია | 39 788 | 1.87 |
| 4. ბლოკი „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატები“ (საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია) | 95 506 | 4.49 |
| 5. დემოკრატიული პარტია | 37 643 | 1.77 |
| 6. სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი | 145 626 | 6.84 |
| 7. აფხაზეთი – ჩემი სახლია | 44 191 | 2.08 |
| 8. პარტია „სამშობლო“ | 8 561 | 0.40 |
| 9. ქალთა დაცვის კავშირი | 20 384 | 0.96 |
| 10. ბლოკი „ქრისტიან-დემოკრატია – ევროპული არჩევანი“ (საქართველოს სახალხო პარტია, საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი) | 8 607 | 0.4 |
| 11. საქართველოს პროგრესისტული პარტია | 5 673 | 0.27 |
| 12. საქართველოს სოციალისტური პარტია | 80 747 | 3.79 |
| 13. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავღანელთა) კავშირი | 43 017 | 2.02 |
| 14. ახალი საქართველო | 14 030 | 0.66 |
| 15. საქართველოს კომუნისტური პარტია | 44 117 | 2.07 |
| 16. საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა | 4 746 | 0.22 |
| 17. საქართველოს თავისუფლების პარტია | 8 188 | 0.38 |
| 18. საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია | 5 854 | 0.38 |
| 19. საქართველოს აგრარული კავშირი | 7 420 | 0.35 |
| 20. მერაბ კოსტავას საზოგადოება | 49 829 | 2.34 |
| 21. მოსახლეობის სოციალური დაცვის პარტია | 15 898 | 0.75 |
| 22. ბლოკი „ზვიადის გზა – ხმა ერისა“: სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“, საქართველოს განახლების პარტია | 25 213 | 1.18 |
| 23. „ეროვნული დასი“ | 4 523 | 0.21 |
| 24. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგა – ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტია | 5 611 | 0.26 |
| 25. ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტია | 5 515 | 0.26 |
| 26. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ) | 169 218 | 7.95 |

104 ცენტრალური საარჩევნო კომისიის 16 ნოემბრის, 24 ნოემბრის, 7 დეკემბრისა და 1996 წლის 7 ივნისის შემაჯამებელი ოქმები დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

105 იხ. ცესკოს 1995 წლის 16 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი, დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

Citizen's Union of Georgia – 19,[104]

All-Georgian Union for Revival – 6,

National Democratic Party – 3,

Socialist Party of Georgia – 4,

"Progress" bloc – 4,

"Progress" bloc – 3,

Union of Georgian Traditionalists – 2,

Georgian Union of Reformers "National Concord" – 2,

Republican Party of Georgia – 1,

Union for Law-Governed State – 1,

Society "Lemi" – 1,

Independent Candidates – 29.[105]

The number of votes received by the parties and blocs by the proportional system was distributed[106] according to the summary protocol of 16 November 1995:

| Parties and Political Blocs | Number of Votes | % |
|---|---|---|
| 1. Union of Justice of Georgia | 22 190 | 1.04 |
| 2. All-Georgian Political Organization "Lemi" | 8 722 | 0.41 |
| 3. National Independence Party of Georgia | 39 788 | 1.87 |
| 4. "United Communist Party of Georgia and Social Democrats" bloc (United Communist Party of Georgia, Social Democratic Party of Georgia) | 95 506 | 4.49 |
| 5. Democratic Party | 37 643 | 1.77 |
| 6. All-Georgian Union for Revival | 145 626 | 6.84 |
| 7. Abkhazia – My Home | 44 191 | 2.08 |
| 8. Party "Fatherland" | 8 561 | 0.40 |
| 9. Women's Protection Union | 20 384 | 0.96 |
| 10. "Christian Democracy – European Choice" bloc (People's Party of Georgia, Christian Democratic Union of Georgia) | 8 607 | 0.4 |
| 11. Progressive Party of Georgia | 5 673 | 0.27 |
| 12. Socialist Party of Georgia | 80 747 | 3.79 |
| 13. Peace and Freedom (Afghan) Union of All-Georgia | 43 017 | 2.02 |
| 14. New Georgia | 14 030 | 0.66 |
| 15. Communist Party of Georgia | 44 117 | 2.07 |
| 16. Intellectuals League of Georgia | 4 746 | 0.22 |
| 17. Freedom Party of Georgia | 8 188 | 0.38 |
| 18. Christian Democratic Party of Georgia | 5 854 | 0.38 |
| 19. Agrarian Union of Georgia | 7 420 | 0.35 |
| 20. Merab Kostava Society | 49 829 | 2.34 |
| 21. Party for Social Protection of the Population | 15 898 | 0.75 |
| 22. "Zviadi's Way – Voice of Nation" bloc | 25 213 | 1.18 |

104 Data including Rustavi district, according to the data of June 1996.

105 The summary protocols of the Central Election Commission of November 16, November 24, December 7, and June 7, 1996 are preserved in the archives of the Central Election Commission.

106 See the summary protocol of 16 November 1995 is preserved in the archives of the Central Election Commission.

| | | |
|---|---|---|
| **27.** სტალინური კომუნისტური პარტია | 46 174 | 2.17 |
| **28.** სრულიად საქართველოს საგვარეულო კავშირი | 4 791 | 0.23 |
| 30. პოლიტიკური ორგანიზაცია „მამული" | 5 729 | 0.27 |
| 31. საქართველოს პოლიტიკური მოძრაობა „მამული, ენა სარწმუნოება" | 4 339 | 0.20 |
| 32. ღვთისშვილთა კავშირი | 13 661 | 0.64 |
| 33. ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია | 6 412 | 0.30 |
| 34. პოლიტიკური ორგანიზაცია „პროფკავშირები – არჩევნებზე" | 6 969 | 0.33 |
| 35. „სამშობლოს ფარი" (საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია „სამშობლოს ფარი") | 3 807 | 0.18 |
| 36. საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია | 3 743 | 0.18 |
| 37. საქართველოს აგრარული პარტია | 6 095 | 0.29 |
| 38. ბლოკი „ეკონომიკური აღორძინება – ყვითლები" - კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, პროგრესულ-დემოკრატიული პარტია | 6 564 | 0.31 |
| 39. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება | 15 510 | 0.73 |
| 40. საქართველოს ლიბერალურ-კონსერვატიული პარტია | 7 123 | 0.33 |
| 41. პოლიტიკური კავშირი „თანადგომა" | 45 747 | 2. 15 |
| 42. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ქალები არჩევნებისათვის" | 12 865 | 0.60 |
| 43. საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის პარტია | 5 999 | 0.28 |
| 44. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი გაერთიანება | 19 675 | 0.92 |
| 45. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი | 504 586 | 23.71 |
| 46. ბლოკი „XXI საუკუნე – კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება – ერთიანი საქართველო" – ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს გული", კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება | 88 405 | 4.15 |
| **47.** პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს მომავალი" | 15 316 | 0.72 |
| **48.** საზოგადოება „არჩევნები" | 3 825 | 0.18 |
| **49.** ბლოკი „პროგრესი" - საქართველოს დემოკრატიული კავშირი, პოლიტიკური გაერთიანება - ახალგაზრდა დემოკრატთა კავშირი „არჩევანი", პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს მესაკუთრეები", საარჩევნო გაერთიანება „თბილისი" | 29 189 | 1.37 |
| **50.** ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი | 89 752 | 4.22 |
| **51.** ბლოკი „საქართველოს რეფორმატორთა კავშირი – ეროვნული თანხმობა" – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს რეფორმატორთა კავშირი", საქართველოს სპორტსმენთა კავშირი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კოლხეთი" | 61 424 | 2.89 |
| **52.** „რესპუბლიკელები" (საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია) | 35 051 | 1.65 |
| **53.** „საქართველოს ოჯახთა აღორძინების კავშირი" | 7 141 | 0.34 |
| **54.** ბლოკი „სიცოცხლისათვის" - საქართველოს მოქალაქეთა მოძრაობა „სიცოცხლისათვის", საქართველოს მთიელთა კავშირი | 32 534 | 1.53 |

| | | |
|---|---|---|
| **23.** "National Dasi" | 4 523 | 0.21 |
| **24.** Georgian League for Economic and Social Progress-Bourgeois Democratic Party | 5 611 | 0.26 |
| **25.** Liberal Democratic National Party | 5 515 | 0.26 |
| **26.** National Democrat Party (NDP) | 169 218 | 7.95 |
| **27.** Stalin Communist Party | 46 174 | 2.17 |
| **28.** All-Georgian Union of Traditional Families | 4 791 | 0.23 |
| 30. Political Organization "Fatherland" | 5 729 | 0.27 |
| 31. Political Movement of Georgia "Fatherland, Language, Faith" | 4 339 | 0.20 |
| 32. Union of God's Children | 13 661 | 0.64 |
| 33. Party of Nations' Friendship and Justice | 6 412 | 0.30 |
| 34. Political Organization "Trade Unions to the Elections" | 6 969 | 0.33 |
| 35. "Shield of Fatherland" ("All-State National Integrity Party of Georgia "Shield of Father land") | 3 807 | 0.18 |
| 36. Conservative (Monarchist) Party of Georgia | 3 743 | 0.18 |
| 37. Agrarian Party of Georgia | 6 095 | 0.29 |
| 38. "Economic Revival – the Yellows" bloc | 6 564 | 0.31 |
| 39. Ilia Chavchavadze Society | 15 510 | 0.73 |
| 40. Liberal-Conservative Party of Georgia | 7 123 | 0.33 |
| 41. Political Union "Support", | 45 747 | 2. 15 |
| 42. Political Union of Citizens "Georgia's Women for Elections" | 12 865 | 0.60 |
| 43. Party for National Unity and Social Justice of Georgia | 5 999 | 0.28 |
| 44. Union for Law-Governed State | 19 675 | 0.92 |
| 45. Citizen's Union of Georgia | 504 586 | 23.71 |
| 46. "21st Century-Konstantin Gamsakhurdia Society-United Georgia" Bloc | 88 405 | 4.15 |
| **47.** Political Movement "Georgia's Future" | 15 316 | 0.72 |
| **48.** Society "Elections" | 3 825 | 0.18 |
| **49.** "Progress" bloc | 29 189 | 1.37 |
| **50.** Union of Georgian Traditionalists | 89 752 | 4.22 |
| **51.** "Georgian Union of Reformers - National Concord" bloc | 61 424 | 2.89 |
| **52.** "Republicans" | 35 051 | 1.65 |
| **53.** "Union of Revival of Family of Georgia" | 7 141 | 0.34 |
| **54.** Bloc "For Life" | 32 534 | 1.53 |

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, 5%-იანი საარჩევნო ბარიერი მხოლოდ სამმა საარჩევნო სუბიექტმა გადალახა და, შესაბამისად, მანდატებიც მოიპოვა:

№45 – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 90 მანდატი,

№26 – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ) – 31 მანდატი,

№6 – სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი – 25 მანდატი.[106]

ზემოთ ნახსენებმა სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა, ჯამში, ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 38.51% დააგროვა. დაკარგულ-გაფანტულ-გაბათილებულ ხმათა რაოდენობამ 61%-ს გადააჭარბა.

არჩევნების საბოლოო შედეგები გამოქვეყნებისთანავე გააპროტესტა თითქმის ყველა იმ საარჩევნო სუბიექტმა, რომელმაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოიპოვა, თუმცა, ცესკოს შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ბარიერი ვერ გადალახა. პროტესტი გამოთქვეს შემდეგმა  პოლიტიკურმა ძალებმა ტრადიციონალისტთა კავშირმა, რომელმაც ხმების 4.22% დააგროვა, ბლოკმა „XXI საუკუნე – კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება – ერთიანი საქართველო“ ხმათა 4.15%-ით, საქართველოს სოციალისტურმა პარტიამ ხმათა 3.79%-ით და ბლოკმა „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატები“ ხმათა 4.49%-ით. საარჩევნო სუბიექტები გაბათილებული ბიულეტენების მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებდნენ. მათი განცხადებით, ბათილად მიჩნეულ ბიულეტენთა უმრავლესობაში სწორედ ის ოპოზიციური პარტიები იყო შემოხაზული, რომლებიც საარჩევნო ბარიერის ზღვარზე იმყოფებოდნენ. პოლიტიკურ სუბიექტთა ნაწილმა საარჩევნო შედეგები აღიარა.

პარლამენტში 14 ქალი დეპუტატი აირჩიეს. საპარლამენტო არჩევნების შედეგად, პარლამენტის წევრის მანდატი მოიპოვა ეთნიკური უმცირესობების 16-მა წარმომადგენელმა.

მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შედეგები გამოაქვეყნა, ოფიციალური სამთავრობო პრესა საზეიმო განცხადებებით აჭრელდა.

According to the summary protocol, only three election subjects passed 5% electoral threshold, thus, the mandates were received by:

№45 – Citizen's Union of Georgia – 90 mandates,

№26 – National Democratic Party (NDP) – 31 mandates,

№6 – All-Georgian Union for Revival – 25 mandates.[107]

In total, three political subjects noted above received only 38.51% of votes. The number of lost-scattered-annulled votes exceeded 61%.

The final results of the elections were protested by almost all election subjects who received significant support but failed to cross the threshold under the CEC's summary protocol. Objections were made by Traditionalist's Union that gained 4.22% of votes, "21st Century-Konstantin Gamsakhurdia Society-United Georgia" bloc with 4.15%, Socialist Party of Georgia with 3.79% and "United Communist Party of Georgia and Social Democrats" bloc with 4.49%. Election subjects were indicating at the high rate of annulled ballot papers. According to them, in most of the invalid ballots those opposition parties were marked that were on the verge of the election threshold. Part of the political subjects recognized the election results.

14 women MPs were elected to parliament. As a result of the Parliamentary Elections, 16 members of ethnic minorities won the mandate of members of parliament.

After the Central Election Commission announced the results, the official government press was full of solemn statements.




გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The newspaper "Sakartvelos Respublika", November 1990
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

106 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 16 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი, დაცული ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

107 See the summary protocol of 16 November preserved in the archives of the Central Election Commission.

# საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნები

კონსტიტუციამ, რომელიც 1992 წელს არჩეულმა პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს დაამტკიცა, ფაქტობრივად, რესპუბლიკაში ახალი მმართველობითი სისტემა შემოიღო. ახალმა კონსტიტუციამ საპრეზიდენტო რესპუბლიკად გარდაქმნა ქვეყანა, რომელიც 1992-1995 წლებში, ფორმალურად მაინც, სუპერსაპარლამენტო სახელმწიფოდ მოიაზრებოდა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ იმავე პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის – თანამდებობას უდავოდ ახასიათებდა არაერთი ისეთი თავისებურება, რომელიც პრეზიდენტის ინსტიტუტის განუყრელი მახასიათებელი იყო.

1995 წლის 1 სექტემბერს მოქმედმა პარლამენტმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონი დაამტკიცა და ამასთანავე, დანიშნა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, რომლებიც 1995 წლის 5 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო.[107] პრეზიდენტის არჩევის შესახებ კანონის პირველივე მუხლში გაცხადებული იყო: „საქართველოს პრეზიდენტს ირჩევენ საქართველოს მოქალაქეები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით, ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ".[108] კანონი განსაზღვრავდა წესებს, რომელთა დაცვითაც არჩევნები უნდა გამართულიყო. როგორც სხვა შემთხვევაში, ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბება კვლავაც არჩევნების ორგანიზატორთა პრეროგატივა იყო.

კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანიისათვის ფონდების ფორმირების საკითხს საარჩევნო კანონივე არეგულირებდა. სახელმწიფო თითოეული კანდიდატისათვის გარკვეულ ფინანსურ რესურსს გამოჰყოფდა. თუმცა, გარდა ამისა, გარკვეული წესების დაცვის შემთხვევაში, თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება ჰქონდა, მიეღო შემოწირულობა, რომლის ანგარიშსაც ცესკოს არჩევნების დასრულებისთანავე წარუდგენდა.

საარჩევნო კანონის მე-15 მუხლი საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატის წარდგენის წესებს განსაზღვრავდა. აქ ვკითხულობდით: „1. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში. 2. ყოველ პარტიას და ყოველ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს პრეზიდენტის თითო კანდიდატი. 3. კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, ამომრჩეველთა ჯგუფმა არჩევნებიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა, განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რის შედეგადაც მას უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერთა ხელმოწერები. განცხადებას უნდა დაერთოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა კენჭისყრაზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა და საქართველოში ცხოვრების ვადა, აგრეთვე პარტიის, ამომრჩეველთა ჯგუფის რწმუნებულის ვინაობა. მას უნდა დაერთოს კანდიდატის დაბადების მოწმობის ასლი; განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის ხელმძღვანელი პირი, ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრი.
4. პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად პარტიის, ამომრჩეველთა ჯგუფის რწმუნებულმა არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-40 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია. მასში უნდა იყოს არანაკლებ 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერა".[109]

საარჩევნო კანონი ასევე მეორე ტურისა და ხელახალი არჩევნების ნორმებს არეგულირებდა. კერძოდ, ხელახალი არჩევნები ინიშნებოდა იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა უბანზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლები, ხოლო არჩევნების მეორე ტური ინიშნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ არჩევნებისას ხმების ნახევარზე მეტს კანდიდატთაგან ვერავინ მოაგროვებდა.

107 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1.
108 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1.
109 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1.

# 5 NOVEMBER 1995 PRESIDENTIAL ELECTIONS OF GEORGIA

The constitution, approved on 24 August 1995 by a parliament elected in 1992, effectively introduced a new system of government in the republic. A new constitution transformed the country into the presidential republic which in 1992-1995, at least formally, was deemed super-parliamentary state. However, it should be noted that at the same time, the position of the Speaker of the Parliament – Head of State – was undoubtedly characterized by a number of features that were inseparable from the institution of the President.

On 1 September 1995, the current Parliament approved the Law on the Elections of the President of the Republic of Georgia, and concurrently, scheduled the presidential and Parliamentary Elections to be held[108] on 5 November 1995. The first article of the law on the election of the president stated: "The President of Georgia is elected by the citizens of Georgia on the basis of universal, equal and direct suffrage, by secret ballot for a five-year term, the same person can be elected as president consecutively only twice[109]." The law was defining the rules by which elections were to be held. As in another case, the establishment of central, district, and precinct election commissions continued to be the prerogative of election organizers.

The matter of forming funds for the pre-election campaign of the candidates was also regulated by the election law. The state was allocating certain financial resources to each candidate. Though, additionally, by following certain rules, each election subject was allowed to receive a donation, the report of which was submitted to the CEC as soon as the elections were completed.

Article 15 of election law defined the rules of nominating the candidate in Presidential Elections. It stated: "1. A citizen of Georgia by birth with the right to vote from the age of 35, who has lived in Georgia for at least 15 years and lives in Georgia on the day of the election, maybe elected as President of Georgia. 2. Each party and each initiative group may submit one presidential candidate. 3. In order to nominate a candidate, the party, a group of voters, must apply to the Central Election Commission (CEC) no later than 50 days before the election, after which they have the right to collect the signatures of their supporters. The written consent of the person nominated for the president must be attached to the application. The application must indicate the name and surname of the presidential candidate, date of birth, profession, position (activity), place of work and residence; party affiliation and years of residence in Georgia, and also the identity of the representative of party, the group of voters. A copy of the candidate's birth certificate must be attached to it; The statement must be signed by the party leader, all members of a group of voters. 4. To register presidential candidate, representative of the party, group of voters no later than 40 days before elections should submit the candidate's list of supporters to the CEC. It must contain signature[110] of at least 50 000 voters".

The election law also regulated the norms of the second round and repeat elections. Namely, repeat elections were appointed if less than half of the registered voters at the precinct participated in the elections. The second round was scheduled if none of the candidates received more than half of the votes in the elections.


საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:
საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.
თბილისი, 1995 წლის 1 სექტემბერი.

დადგენილება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 1 სექტემბერს,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის 7 სექტემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The decree on appointing Georgian Presidential Elections approved by Georgian Parliament on 1 September 1995,
the newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

108 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p.1.
109 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p.1.
110 Newspaper "Sakartvelos Respublika", 7 September 1995, p. 1.

1995 წლის ოქტომბერში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საბოლოოდ პრეზიდენტობის 6 კანდიდატი დაარეგისტრირა:

1. ედუარდ შევარდნაძე – მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური, საბჭოთა საქართველოს ყოფილი პირველი პირი და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი,
2. ჯუმბერ პატიაშვილი – საბჭოთა საქართველოს ყოფილი პირველი პირი,
3. როინ ლიპარტელიანი – იურისტი, აგრონომი,
4. ქართლოს ღარიბაშვილი – იურისტი, ადვოკატი,
5. აკაკი ბაქრაძე – პუბლიცისტი, კრიტიკოსი და პროფესორი, საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყოფილი ლიდერი,
6. პანტელეიმონ გიორგაძე – საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი, საბჭოთა არმიის გენერალ-მაიორი.

პრეზიდენტობის კანდიდატებს, რომლებსაც მოქალაქეებისათვის საკუთარი საარჩევნო პროგრამები უნდა წარედგინათ, სახელმწიფო ტელევიზიამ საეთერო დრო უსასყიდლოდ გამოუყო. საარჩევნო პროგრამებს აქვეყნებდა ბეჭდური მედიაც – ოფიციალური გაზეთები თუ დამოუკიდებელი პრესა.[110] სახელმწიფო გაზეთები და ტელევიზიები ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას გამორჩეულად დიდ დროს უთმობდნენ. მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთელი გამოშვება ხშირად შევარდნაძის გამოსვლებს ეძღვნებოდა. ამასთანავე, ცესკოს დადგენილების მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც არჩევნების მომენტისათვის ამ პოსტზე იმყოფებოდა, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა და საარჩევნო პროგრამაზე საუბარი ეკრძალებოდა.

საქართველო პრეზიდენტთან ერთად კენჭს უყრიდა პარლამენტსაც. არჩევნებში მონაწილე სუბიექტთა დიდი ნაწილი ამა თუ იმ საპრეზიდენტო კანდიდატს ღიად ემხრობოდა. მაგალითად, თუკი ედუარდ შევარდნაძეს მხარს უჭერდა 20 პოლიტიკური სუბიექტი, აკაკი ბაქრაძეს თანადგომას 3 პარტია უცხადებდა, ჯუმბერ პატიაშვილსა და პანტელეიმონ გიორგაძეს კი თითო-თითო პარტია გულშემატკივრობდა.

კანდიდატები საარჩევნო კამპანიისას საარჩევნო პლაკატებს, ე.წ. ფლაერებსა და სხვა ბეჭდურ მასალასაც იყენებდნენ.

In October 1995 the CEC eventually registered 6 presidential candidates:

1. Eduard Shevardnadze – Incumbent chair of parliament – head of state, former first person of Soviet Georgia and former Minister of Foreign Affairs of the Soviet Union,
2. Jumber Patiashvili – Former first person of Soviet Georgia,
3. Roin Liparteliani – Lawyer, agronomist,
4. Kartlos Gharibashvili – Lawyer, attorney,
5. Akaki Bakradze – Publicist, critic, and professor, former leader of the Rustaveli Society of Georgia,
6. Panteleimon Giorgadze – Leader of United Communist Party of Georgia, major general of the Soviet Army.



პრეზიდენტობის კანდიდატები,
გაზეთი „კვირის პალიტრა", 1995 წლის 16-23 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Presidential candidates, the newspaper "Kviris Palitra", 16-23 October 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

State television allocated free airtime to presidential candidates who had to present their election programs to the citizens. Print media was also releasing election programs including official newspapers and independent press[111]. State newspapers and televisions were devoting an exceptionally long time to cover the pre-election campaign of Eduard Shevardnadze. For instance, issues of the newspaper "Sakartvelos Respublika" was frequently dedicated to Shevardnadze's speeches. At the same time, according to the CEC decree, the chair of the Parliament, who was holding this position at the time of the elections, was forbidden to participate in the pre-election agitation and discussions about the election program.

110 გაზ. „რეზონანსი", 1995 წლის 4 ნოემბერი, გვ. 2-4.

111 Newspaper "Rezonansi", 4 November 1995, p. 2-4.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი სახალისო კარიკატურები იბეჭდებოდა.

The newspaper “Sakartvelos Respublika” published funny cartoons in support of Eduard Shevardnadze.






ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი კარიკატურები, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Caricatures in support of Eduard Shevardnadze, the newspaper “Sakartvelos Respublika”, October 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

Georgia, along with the presidential election, also voted for the parliament. Most of the subjects running in the elections openly supported this or that presidential candidate.
For example, if Eduard Shevardnadze was supported by 20 political subjects, Akaki Bakradze was supported by 3 parties, and Jumber Patiashvili was supported by one and Panteleimon Giorgadze by one respectively.

Candidates used election posters, the so-called flyers, and other print materials in the election campaign.




ედუარდ შევარდნაძის საარჩევნო პლაკატი, 1995 წელი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Eduard Shevardnadze, 1995
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ოფიციალური პრესა მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებდა.

The official press called on citizens to participate in elections.




გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საარჩევნო მოწოდება
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Electoral appeal of the newspaper “Sakartvelos Respublika”
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

წინასაარჩევნო პროცესსა და თავად არჩევნების მიმდინარეობას მონიტორინგს უწევდა ათეულობით საერთაშორისო და ათასობით ქართველი დამკვირვებელი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის კონსულტანტი, ევროკავშირის მხარდაჭერით, ირლანდიის ცესკოს თავმჯდომარე პატრიკ ბრედელი იყო.

1995 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნები, მეტწილად, მშვიდ ვითარებაში წარიმართა. ოპოზიციონერი კანდიდატების შეფასებით, მთელი სახელისუფლებო რესურსი ედუარდ შევარდნაძის კამპანიას ხმარდებოდა. თვალშისაცემი იყო სამთავრობო კანდიდატის სასარგებლოდ კენჭისყრის შედეგების გაყალბების მცდელობაც. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოლქებში, რომლებსაც სეპარატისტები აკონტროლებდნენ, არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა. ცხინვალისა და ჯავის რაიონის უმეტეს ნაწილში კენჭისყრა გადაიდო, ხოლო ათეულობით უბანზე, მოქალაქეთა დაბალი აქტივობის გამო, საერთოდაც ჩაიშალა. რუსთავის საარჩევნო ოლქში განსაკუთრებით დაბალი აქტივობა შეიმჩნეოდა.

Dozens of international and thousands of Georgian observers monitored the pre-election process and observed the polling. With the support of the European Union, Patrick Bradley, Chair of the CEC of Ireland was the CEC's adviser.

The 5 November 1995 presidential election was largely peaceful. According to opposition candidates, all government resources were spent on Eduard Shevardnadze's campaign. Attempts to falsify the voting results in favor of the governmental candidate were also noticeable. Elections in the districts of the Autonomous Republic of Abkhazia, which were controlled by separatists, failed. Voting was postponed in most parts of Tskhinvali and Java's districts. The elections failed due to low voter turnout in dozens of polling stations. A particularly low voter turnout was seen in Rustavi electoral district.



საქართველომ არჩევანი გააკეთა

„როგორც პრეზიდენტმა, მთელი ძალ-ღონე და ენერგია მოვახმარო საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას... 2000 წლისთვის საქართველო იქნება ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული, აყვავების გზაზე დამდგარი სახელმწიფო".

ედუარდ შევარდნაძე

„მე მჯერა ჩემი ხალხის, მწამს მისი მომავლის. მას არ დაუმსახურებია უცხო ქვეყნებისაკენ სამათხოვროდ გაწვდილი ხელით სილატაკეში ცხოვრება. უნდა ვიხსნათ ადამიანი ძალადობისაგან, ცარიელი დაპირებისაგან, შევუქმნათ მათ პატიოსნად შრომისა და ოჯახის შენარჩუნების პირობები".

ჯუმბერ პატიაშვილი

1995 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნები, პრეზიდენტობის კანდიდატები ედუარდ შევარდნაძე და ჯუმბერ პატიაშვილი ხმის მიცემისას,
გაზეთი „ალია საქართველო“, 1995 წლის 6-8 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

5 November 1995 Presidential Elections, Eduard Shevardnadze and Jumber Patiashvili presidential candidates cast votes, the newspaper "Alia Sakartvelo", 6-8 November 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



1995 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნები, პრეზიდენტობის კანდიდატი ედუარდ შევარდნაძე ხმის მიცემისას, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
1995 წლის 6 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

5 November 1995 Presidential Elections
Eduard Shevardnadze, the presidential candidate casts the vote,
the newspaper "Sakartvelos Respublika", 6 November 1995
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, 1995 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობამ 68.86% შეადგინა.

6 ნოემბერს გამოქვეყნებული წინასწარი შედეგების თანახმად, ედუარდ შევარდნაძე დაახლოებით 75%-იანი მხარდაჭერით არჩევნების პირველივე ტურში იმარჯვებდა.[111]

1995 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. ოქმში განცხადებული იყო:

საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა – 3 106 557,

არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა – 2 139 369,

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა – 2 121 510,

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა – 57 280.

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, კანდიდატებს შორის ამომრჩეველთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

როინ ლიპარტელიანი – 7 948 – 0.47%,

აკაკი ბაქრაძე – 31 350 – 1.48%,

ჯუმბერ პატიაშვილი – 414 303 – 19.58%,

პანტელეიმონ გიორგაძე – 10 697 – 0.5%,

ედუარდ შევარდნაძე – 1 589 909 – 74.04%,

ქართლოს ღარიბაშვილი– 10 023 – 0.47%.[112]

The voter turnout on 5 November 1996 Presidential Elections amounted to 68.86%, according to the CEC.

According to the preliminary results published on 6 November, Eduard Shevardnadze won[112] in the first round of elections with about 75% support. At the 14 November 1995 session, the CEC adopted the summary protocol of Presidential Elections. The protocol stated:

The total number of voters in Presidential Elections was 3 106 557,

The total number of participants in elections was 2 139 369,

The number of participants in polling was 2 121 510,

The number of invalid ballot papers was 57 280.

According to the summary protocol, the votes among candidates were distributed as follows:

Roin Liparteliani – 7 948 – 0.47%,

Akaki Bakradze – 31 350 – 1.48%,

Jumber Patiashvili – 414 303 – 19.58%,

Panteleimon Giorgadze – 10 697 – 0.5%,

Eduard Shevardnadze – 1 589 909 – 74.04%,

Kartlos Gharibashvili - 10 023 – 0.47%.[113]



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

1995 წლის 14 ნოემბერი

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი

ოქმი

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1995 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე შეაჯამა 1995 წლის 5 ნოემბერს ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგები და დაადგინა:

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ........ 3,106,557
არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა ........ 2,139,369
კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა ........ 2,121,510
ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ........ 57,280

2. არჩევნებში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა
ლიპარტელიანი როინი ........ 7,948
ბაქრაძე აკაკი ........ 31,350
პატიაშვილი ჯუმბერი ........ 414,303
გიორგაძე პანტელეიმონი ........ 10,697
შევარდნაძე ედუარდი ........ 1,589,909
ღარიბაშვილი ქართლოსი ........ 10,023

3. საქართველოს პრეზიდენტად არჩეულია შევარდნაძე ედუარდი.

კომისიის თავმჯდომარე
თავმჯდომარის მოადგილე
კომისიის მდივანი
კომისიის წევრები

1995 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი
*დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of 5 November 1995 Presidential Elections
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission*

111 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 7 ნოემბერი, გვ. 1.

112 იხ. 1995 წლის 5 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი. დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

112 Newspaper “Sakartvelos Respublika”, 7 November 1995, p.1.

113 See the summary protocol of 5 November 1996 Presidential Elections. The document is preserved in the archives of the Central Election Commission.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1996 წლის 22 სექტემბრის არჩევნები

საარჩევნო კანონი, რომელიც 1991 წლის 4 იანვარს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ აამოქმედა, ავტონომიური ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს 5 წლის ვადით არჩევის უფლებას იძლეოდა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" 1992 წლის იანვარში უმაღლეს პოლიტიკურ ეშელონებში ხელისუფლებას ძალადობრივი მეთოდებით ჩამოაცილეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაში ფორმალურად კვლავაც 1991 წლის 23 ივნისს ამ ბლოკის სიებით გასული პოლიტიკოსები რჩებოდნენ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი უკვე არა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" ბლოკს, არამედ „საქართველოს აღორძინების კავშირად" წოდებულ ახლად ჩამოყალიბებულ ერთგვარ რეგიონალურ პარტიას წარმოადგენდა. მათი ლიდერი ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მოქმედი თავმჯდომარე ასლან აბაშიძე იყო.

ცვლილებები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მოქმედ საარჩევნო კანონში 1996 წლის 16 მაისს შეიტანა, არსებითად, მანამდე არსებული პროპორციული სისტემის 4%-იანი ბარიერის 5%-მდე გაზრდას გულისხმობდა.[113] საარჩევნო კანონის ყველა სხვა ძირითადი დებულება ძალაში დარჩა. უზენაეს საბჭოში კვლავ 80 წევრი უნდა აერჩიათ: 40 – პროპორციული სისტემით, ხოლო 40 – მაჟორიტარული სისტემით ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ არჩევნების თარიღად 1996 წლის 22 სექტემბერი გამოაცხადა. ცენტრალური საარჩევნო კომისია არსებული საარჩევნო კანონის შესატყვისად დაკომპლექტდა, კომისიის თავმჯდომარედ კი ამირან კომახიძე აირჩიეს. 1991 წლიდან უკვე არსებული 40 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის საზღვრები უმნიშვნელოდ შეიცვალა და საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობებიც დაკომპლექტდა.[114]

1996 წლის აგვისტოს დასაწყისში უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა გრაფიკი დამტკიცდა. წინასაარჩევნო ღონისძიებათაგან თითოეულის ვადები დეტალურად განისაზღვრა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცესკო 1996 წლის 3 აგვისტოდან უკვე არჩევნებში მონაწილეობის მოსურნე პოლიტიკურ სუბიექტთა რეგისტრაციას შეუდგა.[115]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცესკომ 1996 წლის 10 აგვისტოს სხდომაზე რეგისტრაციაში გაატარა შემდეგი პარტიები და ბლოკები: პოლიტიკური გაერთიანება „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების" აჭარის სამხარეო ორგანიზაცია; მერაბ კოსტავას საზოგადოების ბათუმის საქალაქო ორგანიზაცია; საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ქობულეთის რაიონული ორგანიზაცია; საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია – „სამშობლოს ფარის" ქობულეთის რაიონული ორგანიზაცია; ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია; საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია; საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანიზაცია; საქართველოს აგრარული პარტიის ქობულეთის რაიონული ორგანიზაცია; საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული აჭარა", რომელშიც საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია და სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავდანელთა) პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია შედიოდა; მემარცხენე ცენტრისტული ბლოკი „თავისუფლება", რომელიც აერთიანებდა საქართველოს სოციალისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკურ ორგანიზაციას, საქართველოს რეფორმატორთა კავშირის აჭარის ორგანიზაციასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას „პროფკავშირები არჩევნებზე".[116]

---

113 გაზ. „აჭარა", 1996 წლის 8 ივნისი, გვ. 1.
114 გაზ. „აჭარა", 1996 წლის 23 აგვისტო, გვ. 1-3.
115 გაზ. „აჭარა", 1996 წლის 7 აგვისტო, გვ. 1.
116 გაზ. „აჭარა", 1996 წლის 13 აგვისტო, გვ. 1.

შემდგომში პოლიტიკური სუბიექტები საარჩევნო ვადების დაცვით სხვადასხვა ბლოკებში გადანაწილდნენ. ვადის დასრულებამდე რეგისტრაცია კიდევ რამდენიმე პოლიტიკურმა სუბიექტმა გაიარა. საკანონმდებლო ნორმათა შეუსრულებლობის გამო, არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უთხრეს და რეგისტრაცია გააუქმეს რამდენიმე პოლიტიკურ სუბიექტს. საბოლოოდ, პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებიც საარჩევნო ბიულეტენში შეიტანეს, საარჩევნო ნომრები მიენიჭათ. ესენი იყვნენ:

2. ედპ-ის (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის) აჭარის სამხარეო ორგანიზაცია,

3. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია,

4. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია,

5. მემარცხენე ცენტრისტული ბლოკი „თავისუფლება“,

6. საარჩევნო ბლოკი „აღორძინება და მოქალაქეთა კავშირი“,

7. რესპუბლიკური პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია,

8. საქართველოს მწვანეთა აჭარის პარტიის რეგიონალური ორგანიზაცია,

9. „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების“ პოლიტიკური გაერთიანების აჭარის სამხარეო ორგანიზაცია,

10. საარჩევნო ბლოკი „ოჰოი ნანა“ (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, მერაბ კოსტავას საზოგადოებისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების რეგიონალური ორგანიზაციები),

11. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია,

12. საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული აჭარა“.[117]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმადაც საარჩევნო სუბიექტებს ეთმობოდათ აჭარის ტელერადიოსივრცე და რესპუბლიკური გაზეთები „აჭარა“ და „ადჟარია“. ცესკოს გადაწყვეტილებით, თითოეული საარჩევნო სუბიექტი აჭარის ტელევიზიის საეთერო დროით 2 კვირის განმავლობაში ისარგებლებდა, ხოლო აჭარის რადიოს მათთვის ყოველდღიურად 5 წუთი უნდა გამოეყო. ამავე განკარგულებით, რესპუბლიკურ და რაიონულ პრესაში წინასაარჩევნო პროგრამები, პლაკატები, მოწოდებები თუ სხვა სააგიტაციო-საინფორმაციო პუბლიკაციები დაიბეჭდებოდა.

გაზეთ „აჭარის“ 1996 წლის 3-4 სექტემბრის ნომრებში 11 საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიები გამოქვეყნდა. საარჩევნო სიებს, როგორც წესი, სათავეში ედგნენ ამა თუ იმ პარტიის რეგიონალური ორგანიზაციის ლიდერები. საარჩევნო ბლოკი „აღორძინება და მოქალაქეთა კავშირი“ საარჩევნო სიის პირველ ნომრად ასლან აბაშიძეს ასახელებდა.[118] პრესა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წამოყენებულ კანდიდატთა სიებს აქვეყნებდა.

წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთი „აჭარა“ არჩევნებში მონაწილე უკლებლივ ყველა პოლიტიკური სუბიექტის საარჩევნო პროგრამას ბეჭდავდა, თუმცა პრესის ფურცლებზეც და სატელევიზიო ეთერშიც მმართველ პარტიათა საარჩევნო ბლოკის მხარდამჭერთა განცხადებები ჭარბობდა.

გაზეთები მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ. პრესა თუ ტელევიზია მათ არჩევნების თარიღს ახსენებდა.




„აღორძინება და მოქალაქეთა კავშირის“ საარჩევნო ბლოკის საარჩევნო მოწოდება, გაზეთი „აჭარა“, 1996 წლის სექტემბერი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Electoral appeal of election bloc “Revival and Citizen’s Union”, the newspaper “Adjara”, September 1996
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

117 გაზ. „აჭარა“, 1996 წლის 27 სექტემბერი, გვ. 1.
118 გაზ. „აჭარა“, 1996 წლის 3-4 სექტემბერი.

# 22 SEPTEMBER 1996 ELECTIONS OF THE SUPREME COUNCIL OF AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

Election law which came into effect on 4 January 1991 by the Supreme Council of Autonomous Soviet Socialist Republic of Adjara, considered the election of a representative body of the autonomous unit for the 5-year term. Although the political bloc "Round Table - Free Georgia" was forcibly removed from power in the highest political echelons of the government in January 1992, politicians from this bloc's lists remained in power formally in the Autonomous Republic of Adjara on 23 June 1991. It should also be noted that a large part of the politicians in power in the Autonomous Republic of Adjara was no longer representing a bloc of the "Round Table - Free Georgia", but a newly formed regional party called the "All-Georgian Union for Revival". Their leader was Aslan Abashidze, the incumbent chairman of the Supreme Council of the Autonomous Republic.

The changes introduced by the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara in the current election law on 16 May 1996, essentially meant[114] increase of threshold of the previous proportional system from 4% to 5%. All other basic provisions of the election law remained in force. Still, 80 members had to be elected to the Supreme Council: 40 by the proportional system and 40 in the single-member electoral districts.

Chairman of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara announced 22 September 1996 as the election date. The Central Election Commission (CEC) was staffed in line with the current election law, and Amiran Komakhidze was elected chairman of the commission. Since 1991, the boundaries of the existing 40 single-member electoral districts have changed insignificantly, and compositions of District Election Commissions (DECs) were finalized[115].

In early August 1996, the schedule of activities for the Supreme Council elections was approved. The terms for each of the pre-election activities were determined in detail. Since 3 August 1996, the CEC of the Autonomous Republic of Adjara has begun[116] registering political subjects willing to take part in the elections.

The CEC of the Autonomous Republic of Adjara registered the following parties and blocs at the session held on 10 August 1996:

- Political union "Konstantine Gamsakhurdia Society's" regional organization in Adjara;
- Merab Kostava Society's local organization in Batumi city;
- National Independence Party of Georgia's local organization in Kobuleti district;
- State National Integrity Party of Georgia "Shield of Fatherland" local organization in Kobuleti district;
- Ilia Chavchavadze Society's regional organization in Adjara;
- Social Democratic Party of Georgia's regional organization in Adjara;
- United Republican Party of Georgia's local organization in Batumi;
- Agrarian Party of Georgia's local organization in Kobuleti district;
- Election bloc "Democratic Adjara" which included Communist Party of Georgia's regional organization in Adjara and Peace and Freedom (Afghan) Party of Georgia's regional organization in Adjara;
- Left Centrist Bloc "Freedom" which was uniting Socialist Party of Georgia's regional organization in Adjara, Georgian Union of Reformers' regional organization in Adjara and public-political organization "Trade Unions to the Elections".[117]

Subsequently, political subjects were divided into different blocs in accordance with the election deadlines. Several

114 Newspaper "Adjara", 8 June 1996, p.1.
115 Newspaper "Adjara", 23 August 1996, p. 1-3.
116 Newspaper "Adjara", 7 August 1996, p.1.
117 Newspaper "Adjara", 13 August 1996, p.1

political subjects registered before the deadline. Due to non-compliance with the legal norms, several political subjects were denied participation in the elections and their registration was revoked. Eventually, political subjects that were included in the ballot were given the election numbers. These were:

2. NDP's (National Democrat Party) regional organization in Adjara,
3. Union of Georgian Traditionalists' regional organization in Adjara,
4. United Communist Party of Georgia's regional organization in Adjara,
5. Left Centrist Bloc "Freedom",
6. Election Bloc "Revival and Citizen's Union",
7. Republican Party's regional organization in Adjara,
8. Green Party of Georgia's regional organization in Adjara,
9. Political Union "Konstantine Gamsakhurdia Society's" regional organization in Adjara,
10. Election Bloc "Ohoi Nana" (regional organizations of National Independence Party, Merab Kostava Society and Ilia Chavchavadze Society),
11. Social Democratic Party of Georgia's regional organization in Adjara,
12. Election Bloc "Democratic Adjara".[118]

The Central Election Commission (CEC) issued a special decree allocating Adjara TV and Radio space and local newspapers "Adjara" and "Adjaria" to election subjects. According to the CEC decision, each election subject would enjoy the airtime on Adjara TV for 2 weeks and Adjara Radio should have allocated 5 minutes to them every day. By the same decree, pre-election programs, posters, calls or other agitation-information publications would have been published in the republic's and district' press.

Party lists of 11 election subjects were published in the September 3-4, 1996 issues of the newspaper "Adjara". At the top of the election lists were, as a rule, the leaders of parties' regional leaders. Aslan Abashidze[119] was nominated number one on the election list by election bloc "Revival and Citizen's Union". The press was publishing the lists of candidates nominated in single-member districts.

During the pre-election period, the newspaper "Adjara" published the election programs of almost all political subjects participating in the elections, however, statements from supporters of the ruling party's election bloc were prevalent both in the press and on television.

The newspapers call on citizens to take part in elections. Press and TV was reminding them about the date of elections.


ხვალ აჭარის უზენაესი
საბჭოს არჩევნებია

გაზეთ „აჭარის“ საარჩევნო მოწოდება, 1996 წლის 21 სექტემბერი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Electoral appeal of newspaper "Adjara", 21 September 1996
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

118 Newspaper "Adjara", 27 September 1996, p. 1.
119 Newspaper "Adjara", 3-4 September 1996.

აჭარის უზენაეს საბჭოს 1996 წლის 22 სექტემბერს უყარეს კენჭი. საარჩევნო პროცესი მშვიდ, მაგრამ ნაკლებად თავისუფალ გარემოში წარიმართა. ერთიან საარჩევნო სიაში 234 095 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. დათქმულ დღეს საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა 93.6% გამოცხადდა.

22 სექტემბრის არჩევნების შემაჯამებელ ოქმში, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1996 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე დაამტკიცა, ნათქვამი იყო, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი 40 ერთმანდატიანი ოლქიდან 39-მა უზენაესი საბჭოს წევრი პირველივე ტურში აირჩია, ხოლო ერთგან – ბათუმის შავშეთის №3 ოლქში – ხელახალი არჩევნები დაინიშნა. მაჟორიტარულ ოლქებში, ძირითადად, გამარჯვებას ზეიმობდნენ კანდიდატები ბლოკიდან „აღორძინება და მოქალაქეთა კავშირი" ან კიდევ ისინი, ვინც კენჭს დამოუკიდებლად იყრიდა.

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, პროპორციული სისტემით ხმები პოლიტიკურ სუბიექტებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

2. ედპ-ის აჭარის სამხარეო ორგანიზაცია – 4 953 – 2.3%,
3. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 5 958 – 2.7%,
4. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 11 214 – 5.14%,
5. მემარცხენე ცენტრისტული ბლოკი „თავისუფლება" – 4 248 – 1.9%,
6. საარჩევნო ბლოკი „აღორძინება და მოქალაქეთა კავშირი" – 178 406 – 81.9%,
7. რესპუბლიკური პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 3 008 – 1.4%,
8. საქართველოს მწვანეთა აჭარის პარტიის რეგიონალური ორგანიზაცია – 1 250 – 0.6%,
9. „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების" პოლიტიკური გაერთიანების აჭარის სამხარეო ორგანიზაცია – 865 – 0.4%,
10. საარჩევნო ბლოკი „ოჰოი ნანა" – 1 323 – 0.6%,
11. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 405 – 0.2%,
12. საარჩევნო ბლოკი „დემოკრატიული აჭარა" – 2 733 – 1.3%.[119]

ცესკოს შემაჯამებელი ოქმის თანახმად, 5%-იანი საარჩევნო ბარიერი მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა გადალახა და პროპორციული სისტემის 40 მანდატი ამგვარად განაწილდა:

საარჩევნო ბლოკი „აღორძინება და მოქალაქეთა კავშირი" – 38 მანდატი,

ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 2 მანდატი.

1996 წლის 22 სექტემბერს 80 წევრისაგან შემდგარ უზენაეს საბჭოში 5 ქალი შევიდა, ეთნიკურ უმცირესობათაგან კი მანდატი სამმა კანდიდატმა მოიპოვა.

119 გაზ. „აჭარა", 1996 წლის 27 სექტემბერი, გვ. 1.

Elections of the Supreme Council of Adjara took place on 22 September 1996. The election process was held in a calm but less free environment. 234 095 voters were registered in the unified election list. 93.6% of voters came to the polling station on the scheduled day.

In the summary protocol of the September 22 elections, approved by the Central Election Commission of the Autonomous Republic of Adjara at the session held on 25 September 1996, said that out of 40 single-member districts in the Autonomous Republic, 39 members were elected to the Supreme Council in the first round; in one instance in Batumi Shavsheti N3 district repeat elections were called. Mainly candidates from "Revival and Citizen's Union" bloc were celebrating victory in the majoritarian districts or those who were running as independents.

According to the summary protocol, votes among political subjects by the proportional system were distributed as follows:

2. NDP's regional organization in Adjara – 4 953 – 2.3%,

3. Union of Georgian Traditionalists' regional organization in Adjara - 5 958 – 2.7%,

4. United Communist Party of Georgia's regional organization in Adjara – 11 214 – 5.14%,

5. Left-Centrist Bloc "Freedom" – 4 248 – 1.9%,

6. Election Bloc "Revival and Citizen's Union" – 178 406 – 81.9%,

7. Republican Party's regional organization in Adjara – 3 008 – 1.4%,

8. Green Party of Georgia's regional organization in Adjara – 1 250 – 0.6%,

9. Political Union "Konstantine Gamsakhurdia Society's" regional organization in Adjara – 865 – 0.4%,

10. Election Bloc "Ohoi Nana" – 1 323 – 0.6%,

11. Social Democratic Party of Georgia's regional organization in Adjara – 405 – 0.2%,

12. Election Bloc "Democratic Adjara" – 2 733 – 1.3%.[120]

According to the CEC summary protocol, only two political subjects crossed 5% electoral threshold and 40 mandates by the proportional system were distributed as follows:

Election Bloc "Revival and Citizen's Union" – 38 mandates,

United Communist Party's regional organization in Adjara – 2 mandates.

On 22 September 1996, five women and three candidates from ethnic minorities entered the Supreme Council consisting of 80 members.


2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1996 წლის 22 სექტემბრის არჩევნების შედეგები პროპორციული სისტემით
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა — 234095
არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა — 219185
ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობა — 217816 (93,6%)
ბათილი ბიულეტენების რაოდენობა — 3387
პარტიებისა და ბლოკების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

| | მიღებული ხმების რაოდენობა | % |
|---|---|---|
| 2. ეჰდპ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია) აჭარის სამხარეო ბიურო | 4953 | 2,3 |
| 3. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია | 5958 | 2,7 |
| 4. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია | 11214 | 5,14 |
| 5. მემარცხენე ცენტრისტული ბლოკი „თავისუფლება" | 4248 | 1,9 |
| 6. „აღორძინება და მოქალაქეთა კავშირი" | 178406 | 81,9 |
| 7. რესპუბლიკური პარტიის აჭარის ორგანიზაცია | 3008 | 1,4 |
| 8. საქართველოს მწვანეთა პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია | 1250 | 0,6 |
| 9. პოლიტიკური გაერთიანება „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების" აჭარის სამხარეო ორგანიზაცია | 865 | 0,4 |
| 10. „ოჰოი ნანა" — საარჩევნო ბლოკი | 1323 | 0,6 |
| 11. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია | 405 | 0,2 |
| 12. „დემოკრატიული აჭარა" — საარჩევნო ბლოკი | 2733 | 1,3 |

ხმის მიცემის მონაწილეთა 5%-იანი ზღვარი გადალახეს საარჩევნო ბლოკმა „აღორძინება და მოქალაქეთა კავშირი" — 178406 ხმა, 81,9%, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკურმა ორგანიზაციამ — 11214 ხმა, 5,14%. შესაბამისად საარჩევნო ბლოკმა „აღორძინება და მოქალაქეთა კავშირმა" პარტიული სიით მიიღო 38 მანდატი, ხოლო საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკურმა ორგანიზაციამ — 2 მანდატი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული შემაჯამებელი ოქმი, გაზეთი „აჭარა", 1996 წლის 27 სექტემბერი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Summary protocol adopted by the Central Election Commission of The Autonomous Republic of Adjara, the newspaper "Adjara", 27 September 1996
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

120 Newspaper "Adjara", 27 September 1996, p.1.

# საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა 1998 წლის 15 ნოემბრის არჩევნები

საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში 1918-1921 წლების შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობათა დემოკრატიული არჩევნები პირველად მხოლოდ 1991 წელს ჩატარდა, თუმცა საკანონმდებლო ბაზა გაუმართავი იყო, რის გამოც ცალკეულ სათემო საკრებულოთა საბოლოო შემაჯამებელი შედეგები ვერ დაზუსტდა. არცთუ უმნიშვნელო იყო ისიც, რომ 1992 წლის იანვარში უმაღლეს ეშელონებში პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" ხელისუფლებას ძალადობრივად ჩამოაცილეს და, შედეგად, რეალურ პოლიტიკურ პროცესებს მეტწილად ამ პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ადგილობრივი თვითმმართველობებიც ჩამოშორდნენ.

დასავლელი პარტნიორების დახმარებითა და რეკომენდაციებით საქართველოს პარლამენტმა 1998 წელს ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლება-კომპეტენციების შესახებ ნორმები შეიმუშავა და 30 ივლისს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ კანონი წარმოადგინა. ახალი საკანონმდებლო ჩარჩო რაიონულ/საქალაქო და სასოფლო თემთა დონეზე ორდონიანი თვითმმართველობის სისტემას განსაზღვრავდა. თუმცა, 1991 წლის კანონისაგან განსხვავებით, სასოფლო თემთა და საკრებულოს წევრთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად იკვეცებოდა. არჩევნები შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით ტარდებოდა, მაგრამ საქართველოს ადგილობრივ საკრებულოებში წარმომადგენლებს, ცესკოს 31 აგვისტოს დადგენილებით, მეტწილად, პროპორციული სისტემით ირჩევდნენ.[120] პროპორციული სისტემით არჩევნებისას საარჩევნო ბარიერად 5% განისაზღვრა.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნების თარიღად 1998 წლის 15 ნოემბერი გამოაცხადა.[121] არჩევნებისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიაც დაკომპლექტდა და მის თავმჯდომარედ ჯუმბერ ლომინაძე აირჩიეს. სექტემბერ-ოქტომბერში საოლქო და საუბნო კომისიები შეიქმნა. 1998 წლის სექტემბრის ბოლოს ცენტრალურმა და საოლქო საარჩევნო კომისიებმა პოლიტიკურ სუბიექტთა რეგისტრაცია დაიწყეს. მაჟორიტარობის კანდიდატებს ადგილობრივ დონეზე საოლქო კომისიები არეგისტრირებდნენ. 1998 წლის 30 სექტემბერს საარჩევნო კანონში ცვლილებები შევიდა და იმ პირთა წრე განისაზღვრა, რომლებიც წარმომადგენლობით ორგანოთა წევრობის კანდიდატებად ვერ დასახელდებოდნენ. ასეთებად მიიჩნეოდნენ საჯარო სამსახურების ხელმძღვანელი პირები, ძალოვან და საგამოძიებო უწყებათა თანამშრომლები, კონტროლის პალატისა და სხვა მარეგულირებელ ორგანოთა წარმომადგენლები.

სექტემბერში ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციას შეუდგა. არაერთ პოლიტიკურ სუბიექტს რეგისტრაციაზე უარი უთხრეს, ხოლო ბევრი შემდეგ არჩევნებიდან მოხსნეს. ძირითად დარღვევებად სიაში კანდიდატთა მონაცემების შეტანისას დაშვებული შეცდომები და მხარდამჭერთა მიერ ცესკოსათვის წარსადგენ ხელმოწერათა არარსებობა სახელდებოდა.

საბოლოოდ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებიდან 30 დღით ადრე რეგისტრაციაში 13 პოლიტიკური სუბიექტი გაატარა:

1. დემოკრატიული აღორძინების კავშირი,
3. საქართველოს თავისუფლების პარტია,
4. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი,
5. სახალხო პარტია,
6. სმკ – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი,
7. სოციალისტური პარტია,
8. სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი",

120 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1998 წლის 6-7 სექტემბერი, გვ. 2-4.

121 ეს თარიღი არჩევნებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ნებისმიერ საკრებულოში, ფაქტობრივად, იმთავითვე საფრთხეს უქმნიდა. კლიმატური ცვლილება, რომელიც ამ პერიოდისათვის იყო მოსალოდნელი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ნაწილსა და კოდორის ხეობაში არჩევნების გამართვას შეუძლებელს გახდიდა.

9. ბლოკი „ეროვნული თანხმობა“,

10. პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო“,

11. ედპ – ეროვნულ დემოკრატიული პარტია,

12. საქართველოს მწვანეთა პარტია,

13. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია,

14. ბლოკი „„საქართველო“ – მერაბ კოსტავას საზოგადოება“ (გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ღვთისშვილთა კავშირი).

საარჩევნო ფონდის მოცულობა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1998 წლის 16 სექტემბრის სხდომაზე დაამტკიცა. რაიონული და სათემო საკრებულოების არჩევნებისათვის სახსრები პოლიტიკურ სუბიექტებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს აქედან გამოეყოფოდათ. დადგენილების თანახმად, თითოეულ კანდიდატსა თუ სუბიექტს არჩევნების შემდეგ ფონდიდან მიღებული რესურსების ხარჯვის შესახებ დოკუმენტაცია უნდა წარედგინა.[122] პოლიტიკურ სუბიექტებს საეთერო დროც და სახელმწიფო პრესის ფურცლებიც უსასყიდლოდ ეთმობოდათ.

ოქტომბერ-ნოემბერში აქტიური საარჩევნო კამპანია გაჩაღდა – იმართებოდა წინასაარჩევნო შეხვედრები, საარჩევნო სუბიექტთა მხარდასაჭერი კონცერტები და ა.შ. ამომრჩევლის ინფორმირება პლაკატებითა და საინფორმაციო ბარათებით ხდებოდა.




საქართველოს მოქალაქეთა კავშირი მხარდამჭერებს ცნობილი მომღერლის, სოსო პავლიაშვილის, კონცერტზე უფასოდ ეპატიჟება, გაზეთი „7 დღე“, 1998 წლის ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Soso Pavliashvili, a famous singer invites supporters of Citizen's Union of Georgia to a free concert, the newspaper "7 Dghe", November 1998
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




საქართველოს მწვანეთა პარტიის საარჩევნო პლაკატები, 1998 წელი
*დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election posters of Green Party of Georgia, 1998
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

122 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წლის 27 სექტემბერი, გვ. 6-7.

# 15 NOVEMBER 1998 ELECTIONS OF LOCAL SELF-GOVERNMENT BODIES OF GEORGIA

In occupied Georgia by Soviet Russia, after 1918-1921, democratic local self-government elections were held for the first time only in 1991, although the legal framework was flawed and as a result, the final summary results of the separate community Sakrebulos could not be specified. It was not insignificant that in January 1992 the political bloc "Round Table – Free Georgia" was forcibly removed from power in the highest echelons of the government, which resulted in local self-governments composed of representatives of this political subject being largely moved away from real political processes.

With the support and recommendations of Western partners, the Parliament of Georgia developed norms on the rights and competencies of local self-governments in 1998, and on July 30 it presented the law on local representative bodies - Sakrebulo elections. the new legislative framework was defining a two-tier self-government system at district/urban and rural/community levels. However, unlike to 1991 law, the number of members of rural/community and Sakrebulo was significantly reduced. The elections were conducted by the mixed proportional-majoritarian system, though, the representatives of the local Sakrebulos of Georgia were mostly elected[121] by the proportional representation based on the CEC decree of August 31. 5% was determined as the electoral threshold during the elections under the proportional system.

Eduard Shevardnadze, President of Georgia announced[122] 15 November 1998 as the date for Local Self-Government Elections. The composition of the Central Election Commission (CEC) was concluded and Jumber Lominadze elected as chairperson for elections. District and precinct commissions were set up in September-October. In late September 1998, the Central and District Election Commissions (DECs) launched registering political subjects. Majoritarian candidates were registered at the local level by DECs. Amendments were made to the election law of 30 September 1998 and a circle of persons was defined who could not have been nominated as candidates for membership of the representative body. These included heads of public services, law enforcement and investigative officers, members of the Chamber of Control and other regulatory bodies.

The CEC started registering election subjects in September. Numerous political subjects were denied registration and subsequently many were removed from the election. The key violations were the mistakes made when entering candidates' data in the list and the absence of signatures to be submitted by the supporters to the CEC.

Eventually, the CEC registered 13 political subjects 30 days before the elections:

1. Democratic Union for Revival,
3. Freedom Party of Georgia,
4. Union of Georgian Traditionalists,
5. People's Party,
6. CUG – Citizen's Union of Georgia,
7. Socialist Party,
8. All-Georgian Political Organization "Lemi",
9. "National Concord" Bloc,
10. Political Union "Athletic Georgia",
11. NDP – National Democratic Party,
12. Green Party of Georgia,
13. Labour Party of Georgia,
14. Bloc "Georgia" – Merab Kostava Society" (United Republican Party, Ilia Chavchavadze Society, Merab Kostava Society, Union of God's Children).

The CEC approved the amount of election fund at the session held on 16 September 1998. Political subjects and independent candidates were allocated funds for district and community Sakrebulo elections. According to the decree, each candidate or subject must have provided[123] the documentation on the expenditure of resources received from the fund after the election. Both airtime and pages on the state press were given to political subjects free of charge.

In October-November, an active election campaign was in full swing – pre-election meetings, concerts in support of election subjects, etc. were held. Voters were informed with posters and information cards.

121 Newspaper "Sakartvelos Respublika", 6-7 September 1998, p. 2-4.

122 This date, in fact, threatened the elections in any Sakrebulo controlled by the central government. Climate change, which was expected during this period, would have made it impossible to hold elections in the mountainous part of eastern Georgia and in Kodori Valley.

123 Newspaper "Sakartvelos Respublika", 27 September 1998, p. 6-7.




სოციალისტური პარტიის საარჩევნო პლაკატი, 1998 წელი
*დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Socialist Party, 1998
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო პლაკატი, 1998 წელი
*დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Poster of Citizen's Union, 1998
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ბლოკ „„საქართველო" – მერაბ კოსტავას საზოგადოების" საარჩევნო პლაკატი, 1998 წელი
*დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of "Georgia -Merab Kostava Society" Bloc, 1998
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ოპოზიციის შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდში სახელისუფლებო პარტია „მოქალაქეთა კავშირი" ადმინისტრაციულ რესურსს უხვად იყენებდა, ოპოზიციური პარტიები კი საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად ფინანსურ მხარდაჭერას მოკლებულნი იყვნენ.

შეიძლება ითქვას, რომ თვითმმართველობის არჩევნებმა 1998 წლის 15 ნოემბერს მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიარა. არჩევნები არ ჩატარებულა კონფლიქტურ რეგიონებში – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის უმეტეს ნაწილში. კლიმატური პირობების გამო, კენჭისყრა ვერ შედგა ამა თუ იმ მაღალმთიან რეგიონში. გარდა ამისა, 20 თემში არჩევნები ან ვერ ჩატარდა, ან საარჩევნო კომისიის მიერ სულაც გაუქმებულად გამოცხადდა.[123]

123 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 1998 წლის 27 ნოემბერს გამოცემული ოქმი, დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

According to the opposition, during the pre-election period, the ruling "Citizen's Union of Georgia" party used its administrative resources abundantly, while the opposition parties lacked financial support to run the election campaign.

It can be said that the self-government elections took place on 15 November 1998 in a calm and democratic atmosphere. Elections were not held in the conflict regions – the Autonomous Republic of Abkhazia and most of the former Autonomous Region of South Ossetia. Due to the climatic conditions, voting was not possible in this or that highland region. In addition, elections in 20 communities were either not held or were declared[124] revoked by the election commission.



საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საარჩევნო უბანზე, 1998 წლის 15 ნოემბერი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1998 წლის 17 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Eduard Shevardnadze President of Georgia at the polling Station, 15 November 1998,
the newspaper "Sakartvelos Respublika", 17 November 1998
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ლეიბორისტული პარტიის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატის წინასაარჩევნო ინტერვიუს ანონსი, გაზეთი „7 დღე",
1998 წლის ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Preview of pre-election interview of the candidate for the chairmanship of the Tbilisi City Sakrebulo from Labor Party, the newspaper "7 Dghe",
November 1998
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



მოქალაქეები საარჩევნო უბანზე, 1998 წლის 15 ნოემბერი, გაზეთი „რეზონანსი", 1998 წლის 17 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Citizens at the polling station, 15 November 1998, the newspaper "Rezonansi", 17 November 1998
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



მოქალაქეები საარჩევნო უბანზე, 1998 წლის 15 ნოემბერი,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1998 წლის 17 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Citizens at polling station, 15 November 1998,
the newspaper "Sakartvelos Respublika", 17 November 1998
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

124 See the summary protocol of 27 November 1998 of the Central Election Commission. The document is preserved in the archives of the Central Election Commission.

ოქმის თანახმად, რომელიც თბილისის საკრებულოს არჩევნების შესახებ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1998 წლის 25 ნოემბერს გამოაქვეყნა, დედაქალაქში რეგისტრირებული 664 273 ამომრჩევლის ნაცვლად, საარჩევნო უბანზე მხოლოდ 258 095 მოქალაქე გამოცხადდა. არჩევნებზე მოქალაქეთა აქტივობამ 38.85%-ს მიაღწია, ხოლო პარტიათა შორის ხმები ამგვარად გადანაწილდა:

2. დემოკრატიული აღორძინების კავშირი – 18 116 – 7.02%,
3. საქართველოს თავისუფლების პარტია – 1 983 – 0.77%,
4. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 15 710 – 6.09%,
5. სახალხო პარტია – 19 100 – 7.40%,
6. სმკ – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 77 286 – 29.94%,
7. სოციალისტური პარტია – 32 685 – 12.66%,
8. სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“ – 0 – 0.00%,
9. ბლოკი „ეროვნული თანხმობა“ – 2 150 – 0.83%,
10. პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო“ – 5 238 – 2.03%,
11. ედპ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 17 152 – 6.65 %,
12. საქართველოს მწვანეთა პარტია – 2 389 – 0.93%,
13. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 46 206 – 17.90%,
14. ბლოკი „საქართველო“ – მერაბ კოსტავას საზოგადოება“ – 4 150 – 1.61%.[124]

დედაქალაქის საკრებულოს არჩევნებში 5%-იანი საარჩევნო ბარიერი შვიდმა პოლიტიკურმა სუბიექტმა გადალახა და 55 მანდატი შემდეგნაირად განაწილდა:[125]

დემოკრატიული აღორძინების კავშირი – 4 მანდატი,
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 3 მანდატი,
სახალხო პარტია – 4 მანდატი,
სმკ – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 20 მანდატი,
სოციალისტური პარტია – 9 მანდატი,
ედპ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 3 მანდატი,
საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 12 მანდატი.

თბილისის საკრებულოში 7 ქალი და ეთნიკურ უმცირესობათა 1 წარმომადგენელი აირჩიეს. ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლები, მართალია, უთანასწორო და უსამართლო საარჩევნო გარემოს უჩიოდნენ, მაგრამ იმ პროგრესის შესახებაც საუბრობდნენ, რომელსაც ქვეყანამ 1995 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მიაღწია.[126]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1998 წლის 25 ნოემბერს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების – ერთიანი შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. არჩევნებში მონაწილე 13 სუბიექტიდან თორმეტმა შეძლო, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით საკრებულოს წევრის ერთი მანდატი მაინც მოეპოვებინა. უმანდატოდ მხოლოდ თავისუფლების პარტია დარჩა. 1998 წლის 15 ნოემბერს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების – არჩევნები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ადგილობრივი ხელისუფლების მიზეზით, ნაკლებად თავისუფალ გარემოში მიმდინარეობდა. ამომრჩევლის აქტივობამ 90%-ს გადააჭარბა, ხოლო ბარიერი ადგილობრივ ოლქებში მხოლოდ რეგიონალურმა პარტიამ – „აღორძინების კავშირმა“ – გადალახა. მანდატების 100% სწორედ მას ერგო.[127] ოპოზიციურმა პარტიებმა რეგიონებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, საბოლოო ჯამში, პარტიებს შორის ხმები ამგვარად გადანაწილდა:

დემოკრატიული აღორძინების კავშირი – 296 263 – 17.42%,
საქართველოს თავისუფლების პარტია – 5 744 – 0.34%,
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 76 093 – 4.47%,
სახალხო პარტია – 104 060 – 6.12%,
სმკ – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 615 430 – 36.19%,
სოციალისტური პარტია – 127 528 – 7.50%,
სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“ – 20 185 – 1.19%,
ბლოკი „ეროვნული თანხმობა“ – 17 708 – 1.04%,
პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო“ – 23 199 – 1.36%,
ედპ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 125 944 – 7.41%,
საქართველოს მწვანეთა პარტია – 15 700 – 0.92%,
საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 151 532 – 8.91%,
ბლოკი „საქართველო“ – მერაბ კოსტავას საზოგადოება“ – 25 128 – 1.48%.[128]

124 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 1998 წლის 25 ნოემბერს გამოცემული თბილისის საკრებულოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

125 საარჩევნო ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებული ხმების პროპორციულად გაუნაწილებელი დარჩა 7 მანდატი, რომელთაგანაც, კანონის თანახმად, 3 მოქალაქეთა კავშირს გადაეცა, 2-2 კი ლეიბორისტულ და სოციალისტურ პარტიებს ერგო.

126 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წლის 18 ნოემბერი, გვ. 2.

127 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1998 წლის 25 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

128 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1998 წლის 25 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

According to the protocol published by the Central Election Commission about the Tbilisi Sakrebulo elections on 25 November 1998, instead of 664 273 registered voters in the capital, only 258 095 citizens came at the polling station. Citizens' turnout in the elections reached 38.85%, and the votes were distributed among the parties as follows:

2. Democratic Union for Revival – 18 116 – 7.02%,
3. Freedom Party of Georgia – 1 983 – 0.77%,
4. Union of Georgian Traditionalists – 15 710 – 6.09%,
5. People's Party – 19 100 – 7.40%,
6. CUG – Citizen's Union of Georgia – 77 286 – 29.94%,
7. Socialist Party – 32 685 – 12.66%,
8. All-Georgian Political Organization "Lemi" – 0 – 0.00%,
9. "National Concord" Bloc – 2 150 – 0.83%,
10. Political Union "Athletic Georgia" – 5 238 – 2.03%,
11. NDP – National Democratic Party – 17 152 – 6.75%,
12. Green Party of Georgia – 2 389 – 0.93%,
13. Labour Party of Georgia – 46 206 – 17.90%,
14. Bloc "Georgia" – Merab Kostava Society" – 4 150 – 1.61%[125]

Seven political subjects crossed 5% electoral threshold in the Tbilisi City Sakrebulo elections and 55 seats were distributed[126] as follows:

Democratic Union for Revival – 4 mandates,
Union of Georgian Traditionalists– 3 mandates,
People's Party – 4 mandates,
CUG – Citizen's Union of Georgia – 20 mandates,
Socialist Party – 9 mandates,
NDP – National Democratic Party – 3 mandates,
Labour Party of Georgia – 12 mandates.
Seven women and one representative from ethnic minority was elected to the Tbilisi Sakrebulo.

In fact, opposition parties were complaining about the unequal and unfair electoral environment, but they were also talking about the progress the country has achieved[127] since the 1995 Parliamentary Elections.

On 25 November 1998, the Central Election Commission (CEC) approved a unified summary report of the local self-government representative bodies – Sakrebulos. 12 of the 13 candidates running in the election were able to win at least one seat throughout the republic. Only Freedom Party was left without mandate. On 15 November 1998, local self-government representative bodies – Sakrebulos elections in the Autonomous Republic of Adjara were held in a less open environment due to local government. Voter turnout exceeded 90% and only regional party "Revival Union" crossed threshold in local districts. 100% of mandates was won[128] by this party. Opposition parties achieved significant success in regions. Throughout the republic, in the end, the votes were distributed among the parties as follows:

Democratic Union for Revival – 296 263 – 17.42%,
Freedom Party of Georgia – 5 744 – 0.34%,
Union of Georgian Traditionalists – 76 093 – 4.47%,
People's Party – 104 060 – 6.12%,
CUG – Citizen's Union of Georgia – 615 430 – 36.19%,
Socialist Party – 127 528 – 7.50%,
All-Georgia Political Organization "Lemi" – 20 185 – 1.19%,
"National Concord" Bloc – 17 708 – 1.04%,
Political Union "Athletic Georgia" – 23 199 – 1.36%,
NDP – National Democrat Party – 125 944 – 7.41%,
Green Party of Georgia – 15 700 – 0.92%,
Labour Party of Georgia – 151 532 – 8.91%,
Bloc "Georgia" – Merab Kostava Society – 25 128 – 1.48%.[129]



1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
პარტიებისა და ბლოკების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა

| # | პარტია (ბლოკი) | ხმა | პროცენტი |
|---|---|---|---|
| 1 | დემოკრატიული აღორძინების კავშირი | 296263 | 17.42% |
| 3 | საქართველოს თავისუფლების პარტია | 5744 | 0.34% |
| 4 | ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი | 76093 | 4.47% |
| 5 | სახალხო პარტია | 104060 | 6.12% |
| 6 | "სმკ - საქართველოს მოქალაქეთა კავშირი" | 615430 | 36.19% |
| 7 | სოციალისტური პარტია | 127528 | 7.50% |
| 8 | სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია "ლემი" | 20185 | 1.19% |
| 9 | ბლოკი "ეროვნული თანხმობა" | 17708 | 1.04% |
| 10 | პ/გ "ათლეტური საქართველო" | 23199 | 1.36% |
| 11 | ედპ - ეროვნულ-დემოკრატიული პარტია | 125944 | 7.41% |
| 12 | საქართველოს მწვანეთა პარტია | 15700 | 0.92% |
| 13 | საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია | 151532 | 8.91% |
| 14 | ბლოკი "საქართველო" - მერაბ კოსტავას საზოგადოება | 25128 | 1.48% |

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1998 წლის 25 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of the Central Election Commission of 25 November 1998
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

125 See the summary protocol of Tbilisi Sakrebulo elections issued on 25 November 1998 by the Central Election Commission. The document is preserved in the archives of the Central Election Commission.

126 The votes received by the parties remaining behind the electoral threshold remained disproportionate seven mandates, which according to law, three of them were given to Citizen's Union, two to Labour Party, and two to Socialist Party.

127 Newspaper "Sakartvelos Respublika", 18 November 1998, p. 2.

128 See the summary protocol of 25 November 1998 of the Central Election Commission. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

129 See the summary protocol of 25 November 1998 of the Central Election Commission. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

# საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები

საქართველოს პარლამენტის 1999 წლის არჩევნები, ძირითადად, 1995 წლის პირველ სექტემბერს მიღებული საარჩევნო კანონის შესატყვისად გაიმართა. საკანონმდებლო ორგანო შერეული სისტემით უნდა აერჩიათ. მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩასატარებლად ერთმანდატიანი ოლქები იქმნებოდა, ხოლო პროპორციული სისტემით კენჭისყრისთვის დაწესებული ბარიერი, 1995 წლის კანონისაგან განსხვავებით, 1999 წლის კანონმდებლობით, 5%-ის ნაცვლად, 7%-ით განისაზღვრა. საარჩევნო ბარიერის გაზრდა საქართველოს მსგავს ეკლექტიკურ პარტიულ სისტემებში ხმების გაფანტვის ალბათობას კიდევ უფრო ზრდიდა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ 1995 წელს 5%-იან საარჩევნო ზღურბლს მიღმა აღმოჩენილ და უმანდატოდ დარჩენილ პარტიებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 61%-ზე მეტმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საპარლამენტო არჩევნების თარიღად 1999 წლის 31 ოქტომბერი დაასახელა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც მოქმედმა პარლამენტმა და პოლიტიკურმა სუბიექტებმა დააკომპლექტეს, ჯუმბერ ლომინაძე თავმჯდომარეობდა. თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ზესაშვილი იყო, ხოლო მდივნად მამუკა კოპალეიშვილი აირჩიეს.[129] ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, თავის მხრივ, საოლქო საარჩევნო კომისიები ჩამოაყალიბა. რეგიონში შემავალ საოლქო კომისიათა საქმიანობას, იმავდროულად, კოორდინაციას გაუწევდნენ დიდ ქალაქებში არსებული რეგიონალური წარმომადგენლობები, რომლებსაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის უშუალო დავალებები უნდა შეესრულებინათ.[130]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საუბნო და საოლქო კომისიებისათვის შემაჯამებელი ოქმების ფორმები შეიმუშავა და მათი შევსების წესები დაამტკიცა.[131] ცესკომ საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების წევრთათვის საარჩევნო უბნებზე ვიზიტისა და კომისიის სხდომებზე დასწრების წესებიც განსაზღვრა.[132] კომისიამ ასევე კონფლიქტური რეგიონებიდან – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქიდან – იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში განაწილების წესები დაადგინა.

საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1999 წლის სექტემბერში დაიწყო. სუბიექტები, რომლებსაც მოქმედ პარლამენტში წარმომადგენლები ჰყავდათ, რეგისტრაციას ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნების შეუსრულებლად ავტომატურად გაივლიდნენ, ხოლო არასაპარლამენტო სუბიექტებს 50 000 მხარდამჭერის ხელმოწერა უნდა წარედგინათ. 1999 წლის ოქტომბერში პარლამენტის წევრობის დაახლოებით 500-მდე კანდიდატს, რომლებიც კენჭს იყრიდნენ ამა თუ იმ პარტიის სახლით ან დამოუკიდებლად, რეგისტრაციაზე უარი ეთქვა ან, ამ საკანონმდებლო მოთხოვნის უგულებელყოფის გამო, რეგისტრაცია გაუუქმდა.[133] ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავდაპირველად 49 საარჩევნო სუბიექტი დაარეგისტრირა, თუმცა საბოლოოდ არჩევნებამდე 30 დღით ადრე 16 პარტიას რეგისტრაცია გაუუქმა და საარჩევნო ბიულეტენში 33 სუბიექტი შეიყვანა:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი,
2. ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ – დემოკრატიული აღორძინების კავშირი, საქართველოს სოციალისტური პარტია, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, საქართველოს თავისუფლებისა და სამართლიანობის მოძრაობა „ჭყონდიდელი“, საქართველოს ხსნის მოძრაობა „ერის ძახილი“,
3. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია,
4. ბლოკი „ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი – მესამე გზა“ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია,
5. ბლოკი „სახალხო დიდგორი“ – სახალხო

129 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 7 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის არქივში.

130 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 15 სექტემბერი, გვ.2.

131 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 29 სექტემბერი, გვ.2.

132 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 31 ოქტომბერი, გვ.2.

133 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 3 ოქტომბერი, გვ. 3-5.

# 31 OCTOBER 1999 PARLIAMENTARY ELECTIONS OF GEORGIA

The 1999 Parliamentary Elections in Georgia were held mainly in accordance with the 1 September 1995 election law. The legislative body was to be elected with a mixed system. Single-member districts were being established for holding elections by the majoritarian system, and the threshold for voting by the proportional system, in contrast to the 1995 law, was set at 7% instead of 5% under the 1999 legislation. Increasing the electoral threshold in Georgian-like eclectic party systems has further increased the likelihood of scattering votes. It was also worth noting that in 1995, more than 61% of voters voted for parties that found themselves behind the 5% threshold and remained without seats.

The President of Georgia Eduard Shevardnadze set 31 October 1999 as the date for the Parliamentary Elections. Jumber Lominadze chaired the Central Election Commission (CEC), which was composed of the current parliament and political subjects. Deputy chairperson was Giorgi Zesashvili and Mamuka Kopaleishvili was elected[130] as secretary. The CEC in its part established District Election Commissions (DECs). At the same time, the activities of the district commissions in the region would be coordinated by the regional offices in the big cities, which were to perform[131] the direct tasks of the CEC.



ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე, თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ზესაშვილი და კომისიის მდივანი მამუკა კოპალეიშვილი,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Jumber Lominadze, chairperson of the Central Election Commission, Giorgi Zesashvili, deputy chairperson and Mamuka Kopaleishvili, secretary of the commission,
the newspaper "Sakartvelos Respublika", October 1999
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

The CEC developed summary protocol forms for precinct and district commissions and approved[132] the rules for filling them out. The CEC also determined[133] the rules for members of international and local observation missions of visiting polling stations and attending the commission's sessions. The commission also established rules for the allocation of IDPs from the conflict regions – the Autonomous Republic of Abkhazia and the former Autonomous Region of South Ossetia - to various electoral districts.

In September 1999 the CEC started registering the election subjects. Subjects that had representatives in the current parliament would automatically register without fulfilling any additional requirements while non-parliamentary subjects had to submit the signatures of 50 000 supporters. In October 1999, about 500 MP candidates running in favor of this or that party, or independently were refused to register or due to neglect of this legislative requirement, registration has been revoked1[34]. The CEC initially registered 49 election subjects, though, ultimately, 30 days before the election, revoked registration to 16 parties and included 33 subjects in the ballot paper:

1. Citizen's Union of Georgia,
2.“ Revival of Georgia" Bloc – Democratic Union for Revival, Socialist Party of Georgia, Konstantine Gamsakhurdia Society, Freedom and Justice Movement of Georgia "Chkondideli", Georgian Liberation Movement "Nation's Cry",
3. Labour Party of Georgia,
4. "National Democratic Alliance – The Third Way" Bloc – National Democratic Party, Republican Party of Georgia, Georgian Industry and Economic Development Party,
5. "People's Didgori" Bloc – People's Party, Georgian Independence and Unity Party "Didgori", People's Union,
6. "People's Front-Chavchavadze Society" Bloc – People's Front of Georgia, Ilia Chavchavadze Society,
7. "Industry Saves Georgia" Bloc – P/M "Industry Saves Georgia", political union "Movement for Georgian State", "Union of Reformers and Agrarians of Georgia", P/U National Movement "Georgia First of All", P/U "Athletic Georgia",
8. "United National Movement" Bloc – P/U "United National Movement", Union of Athletes' of Georgia,

130 See the summary protocol of 7 November 1999 of the Central Election Commission. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

131 Newspaper "Sakartvelos Respublika", 15 September 1999, p.2

132 Newspaper "Sakartvelos Respublika", 29 September 1999, p.2.

133 Newspaper "Sakartvelos Respublika", 31 October 1999, p.2.

134 Newspaper "Sakartvelos Respublika", 3 October 1999, p. 3-5.

პარტია, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის პარტია „დიდგორი“, სახალხო კავშირი,
6. ბლოკი „სახალხო ფრონტი – ჭავჭავაძის საზოგადოება“ – საქართველოს სახალხო ფრონტი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება,
7. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ქართული სახელმწიფოსათვის“, საქართველოს რეფორმატორთა და აგრარიკოსთა კავშირი, პ/გ ნაციონალური მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, პ/გ „სპორტული საქართველო“,
8. ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოს სპორტსმენთა კავშირი,
9. საქართველოს მწვანეთა პარტია,
10. საქართველოს თავისუფლების პარტია,
12. საქართველოს ეკონომიურად და სოციალურად დაზარალებულთა პარტია,
13. პოლიტიკური კავშირი „თანადგომა“,
14. სახალხო-დემოკრატიული პარტია,
15. ბლოკი „მძლეველი საქართველო – ღვთის ტაძარი“ – საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება „მძლეველი“, საქართველოს რეალისტთა კავშირი,
17. საქართველოს ვეტერანთა დაცვის პარტია,
18. საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია,
20. საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი,
22. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ლექტორთა კავშირი“,
23. მოქალაქეთა პ/გ სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი,
24. მერაბ კოსტავას საზოგადოება,
26. საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი,
29. ბლოკი „ერთიანი კომუნისტური პარტია (სტალინური) და მშრომელთა საბჭოები“ – საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, პ/გ „საქართველოს მშრომელთა საბჭო“,
30. ქართველ ნაციონალისტთა ერთობა,
31. ბლოკი „XXI საუკუნე – ქართული ნაციონალიზმი“ – პ/გ „საქართველოს გული – XXI“, პ/გ „სამშობლო“, ქალთა დაცვის ლიგა,
35. დავით აღმაშენებლის პარტია,
36. „დემოკრატიული ცენტრი“,
37. ბლოკი „კომუნისტები – სტალინელები“ – საქართველოს კომუნისტური პარტია, პარტია „სტალინელი“,
39. ბლოკი „საქართველოს ეროვნული თანხმობის პარტია“ – საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია, საქართველოს მთიელთა პოლიტიკური ლიგა,
40. ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ – საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია, საქართველოს სამეფო ლიგა, საქართველოს ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, სახალხო-დემოკრატიული კავშირი – ქრისტიან-დემოკრატები, სრულიად საქართველოს „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“,
41. პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს ბედი“
42. საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა,
43. საქართველოს ნაციონალისტური პარტია,
45. ბლოკი „აღორძინებული კომუნისტები და სახალხო პატრიოტები“ – საქართველოს აღორძინებული კომუნისტური პარტია, საქართველოს დემოკრატიული კავშირი.

საარჩევნო სუბიექტთა საკანდიდატო სიები სახელმწიფო გაზეთებში პოლიტიკურ სუბიექტთა რეგისტრაციაში გატარებიდან მალევე გამოქვეყნდა.[134]

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით, საარჩევნო სუბიექტებს სახელმწიფო ტელევიზიებმა საეთერო დრო დაუთმეს, პარტიათა საარჩევნო პროგრამები კი სახელმწიფო გაზეთების გვერდებზე იბეჭდებოდა.[135] პოლიტიკურ სუბიექტებს ფასიან საარჩევნო რეკლამას არაერთი კომერციული ტელევიზია და დამოუკიდებელი გაზეთი სთავაზობდა. პოლიტიკური სუბიექტები წინასაარჩევნო კამპანიისას პლაკატებსაც ხშირად იყენებდნენ.

134 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 12-20 ოქტომბერი; გაზ. „აჭარა“, 1999 წლის 6 ოქტომბერი.
135 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 13 ოქტომბერი, გვ.2-3.

9. Green Party of Georgia
10. Freedom Party of Georgia,
12. Party of Economically and Socially Deprived People in Georgia,
13. Political Union “Support”,
14. People’s Democratic Party,
15. “Victorious Georgia – God’s Cathedral” Bloc – Georgian National-State Union “Victorious”, Georgian Realists’ Union,
17. Georgian Veterans Protection Party,
18. National Ideology Party of Georgia,
20. Christian Democratic Union of Georgia,
22. Political Union of Citizens “Lecturers’ Union of Georgia”,
23. Political Union of Citizens - All-Georgian Farmers Union,
24. Merab Kostava Society,
26. Union of Social Justice of Georgia,
29. “United Communist Party (Stalinist) and Workers’ Councils” Bloc – United Communist Party of Georgia, P/U “Workers’ Councils of Georgia”,
30. Union of Georgian Nationalists,
31. “XXI Century – Georgian Nationalism” Bloc – P/U “Heart of Georgia - XXI“, P/U “Fatherland”, Women’s Protection Union,
35. Davit Aghmashenebeli Party,
36. “Democratic Center”,
37. Bloc “Communists – Stalinists” – Communist Party of Georgia, “Stalinist” Party,
39. “National Concord Party of Georgia” Bloc – National Concord Party of Georgia, Political League of Georgian Mountaineers,
40. “Round Table – Free Georgia” Bloc – Helsinki Union of Georgia – National Revival, Christian Conservative Party of Georgia, Royal League of Georgia, Christian Social Union of Georgia, People’s Democratic Union – Christian Democrats, All-Georgian “St. Ilia the Righteous Society”,
41. Political Movement “The Fate of Georgia”,
42. Intellectuals League of Georgia,
43. Nationalist Party of Georgia,
45. “Revived Communists and People’s Patriots” Bloc – Revived Communist Party of Georgia, Democratic Union of Georgia.

Candidate lists of election subjects were published[135] in state newspapers shortly after the registration of political subjects.

According to the CEC decree, the state TV stations gave airtime to the election subjects, and the election programs of the parties were published[136] on the pages of state newspapers. A number of commercial TV stations and independent newspapers were offering paid election advertisements to political subjects. Political subjects were frequently using posters during the election campaign.







მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო პლაკატები
*დოკუმენტები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election posters of Citizen’s Union
*The documents are preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

135 Newspaper “Sakartvelos Respublika”, 12-20 October 1999; the newspaper “Adjara”, 6 October 1999.
136 Newspaper “Sakartvelos Respublika”, 13 October 1999, p. 2-3.







„საქართველოს აღორძინების“ საარჩევნო ბლოკის საარჩევნო პლაკატები, გაზეთი „აჭარა“, 1999 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Election posters of “Revival of Georgia”, the newspaper “Adjara”, October 1999
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*







ბლოკ „საქართველოს აღორძინების“ საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Revival of Georgia” Bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ბლოკ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Industry Saves Georgia” Bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




„ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსის“ საარჩევნო ბლოკის პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “National Democratic Alliance” Bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




„სახალხო ფრონტი – ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ბლოკის საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “People’s Front-Chavchavadze Society” Bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის საარჩევნო პლაკატი, 1999 წელი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Round Table – Free Georgia” Bloc, 1999
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




მერაბ კოსტავას საზოგადოების საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Merab Kostava Society
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

პრესაში საარჩევნო შარჟები და კარიკატურებიც ხშირად იბეჭდებოდა.

Electoral cartoons and caricatures were often published in the press.




საარჩევნო შარჟი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“, 1999 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Electoral cartoon in the newspaper “Sakartvelos Respublika”, October 1999
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

1999 წლის 31 ოქტომბერს არჩევნებმა, მეტწილად, მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, თუმცა სხვადასხვა ოლქში არაერთი მნიშვნელოვანი ინციდენტი მოხდა. მაგალითად, ნაძალადევის ოლქში უცხო პირმა საარჩევნო უბანი დაარბია, ბოლნისის ოლქში და რამდენიმე სხვა უბანზე კი მოქალაქეები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

ათასობით ქართველი და 500-მდე საერთაშორისო დამკვირვებელი არჩევნებს თვალს ყურადღებით ადევნებდა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო მისია საარჩევნო პროცესს, მასში მონაწილე სუბიექტთა თანამშრომლობასა და კონსტრუქციულობას პოზიტიურად აფასებდა.[136] ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები, დიდწილად, არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხს აკრიტიკებდნენ. „სამართლიანი არჩევნების“ შეფასებით, საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიული არ იყო, თუმცა ეს ორგანიზაცია არც ცალსახა გაყალბებაზე საუბრობდა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, 1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ელექტორატის 67.9% მონაწილეობდა, საარჩევნო უბნებზე 2 133 878 ამომრჩეველი გამოცხადდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ოლქებში განსაკუთრებით მაღალი აქტივობა დაფიქსირდა.

1999 წლის 1-2 ოქტომბერს მედიასაშუალებებმა არჩევნების წინასწარი შედეგები გაავრცელეს. ამის თანახმად, 7%-იან საარჩევნო ბარიერს 3 პოლიტიკური სუბიექტი – მოქალაქეთა კავშირი, ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ და ლეიბორისტული პარტია – გადალახავდა, თუმცა წინასწარი მონაცემები, რომლებიც მხოლოდ 22 ოლქის შედეგებს ითვალისწინებდა, მომავალში მნიშვნელოვნად შეიცვალა.

1999 წლის 7 ნოემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. ოქმის თანახმად, პროპორციული სისტემით არჩევნებისას სუბიექტებს შორის ხმები ამგვარად გადანაწილდა:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 890 915 – 41.75%,
2. ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ – 537 297 – 25.18%,
3. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 140 595 – 6.59%,
4. ბლოკი „ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი – მესამე გზა“ – 95 039 – 4.45%,
5. ბლოკი „სახალხო დიდგორი“ – 87 781 – 4.11%,
6. ბლოკი „სახალხო ფრონტი – ჭავჭავაძის საზოგადოება“ – 4 339 – 0.20%,
7. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 151 038 – 7.08%,
8. ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 994 – 0.05%,
9. საქართველოს მწვანეთა პარტია – 11 400 – 0.53%,
10. საქართველოს თავისუფლების პარტია – 828 – 0.04%,
12. საქართველოს ეკონომიურად და სოციალურად დაზარალებულთა პარტია – 2 171 – 0.10%,
13. პოლიტიკური კავშირი „თანადგომა“ – 412 – 0.02%,
14. სახალხო-დემოკრატიული პარტია – 1 917 – 0.09%,

136 გაზ. „ახალი თაობა“, 1999 წლის 2 ნოემბერი, გვ.9.

The 31 October 1999 elections were largely peaceful, but a number of significant incidents took place in different districts. For example, in Nadzaladevi district, an unknown person dispersed the polling station, while in Bolnisi district and several other polling stations, citizens physically confronted each other.

Thousands of Georgians and about 500 international observers were closely monitoring the elections. Parliamentary Assembly of the Council of Europe (PACE) observation mission was positively assessing[137] the electoral process, cooperation and constructiveness of the subjects participating in it. Representatives of the local observation missions have largely criticized the degree of democracy in the election. According to the International Society for Fair Elections And Democracy (ISFED), the Parliamentary Elections were not democratic, although the organization did not speak of unequivocal falsification.

According to the CEC, 67.9% of the electorate participated in the 31 October 1999 Parliamentary Elections. 2 133 878 voters came to polling stations. A particularly high turnout was identified in electoral districts of the Autonomous Republic of Adjara.

On 1-2 October 1999 media outlets disseminated preliminary results of elections. According to it, 3 political subjects – Citizen's Union, "Revival of Georgia" bloc and Labour Party would have crossed the 7% electoral threshold, but, the preliminary data, which provided only the results of 22 districts, have changed significantly in the future.






მოქალაქეები საარჩევნო უბანზე 1999 წლის 31 ოქტომბერს,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1999 წლის 2 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Citizens at polling station on 31 October 1999, the newspaper "Sakartvelos Respublika", 2 November 1999
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



1. მოქკავშირი — 43,7%, 2. აღორძინება — 29,11%, 3. ლეიბორისტები — 6,94%.
4. მრეწველები — 4,14%, 5. ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი — 3,32%, 6. სახალხო — 3,06%
22 ოლქის წინასწარი მონაცემები, 1 ნოემბერი

საპარლამენტო არჩევნების შედეგების დათვლის პროცესი
გაზეთი „რეზონანსი", 1999 წლის 2 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

A process of counting results of Parliamentary Elections, the newspaper "Rezonansi", 2 November 1999
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

137 Newspaper "Akhali Taoba", 2 November 1999, p. 9.

15. ბლოკი „მძლეველი საქართველო – ღვთის ტაძარი“ – 4 275 – 0.20%,
17. საქართველოს ვეტერანთა დაცვის პარტია – 11 708 – 0.55%,
18. საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია – 529 – 0.02%,
20. საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი – 2 951 – 0.14%,
22. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ლექტორთა კავშირი“ – 643 – 0.03%,
23. მოქალაქეთა პ/გ სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი – 333 – 0.02%,
24. მერაბ კოსტავას საზოგადოება – 10 357 – 0.49%,
26. საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი – 1 200 – 0.06%,
29. ბლოკი „ერთიანი კომუნისტური პარტია (სტალინური) და მშრომელთა საბჭოები“ – 28 736 – 1.35%,
30. ქართველ ნაციონალისტთა ერთობა – 555 – 0.03%,
31. ბლოკი „XXI საუკუნე – ქართული ნაციონალიზმი“ – 1 058 – 0.5%,
35. დავით აღმაშენებლის პარტია – 758 – 0.04%,
36. „დემოკრატიული ცენტრი“ – 452 – 0.02%,
37. ბლოკი „კომუნისტები – სტალინელები“ – 3 778 – 0.18%,
39. ბლოკი „საქართველოს ეროვნული თანხმობის პარტია“ – 733 – 0.03%,
40. ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ – 5 657 – 0.27%,
41. პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს ბედი“ – 419 – 0.02%,
42. საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა – 344 – 0.02%,
43. საქართველოს ნაციონალისტური პარტია – 593 – 0.03%,
45. ბლოკი „აღორძინებული კომუნისტები და სახალხო პატრიოტები“ – 3 229 – 0.15%.[137]

სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა პროპორციული საარჩევნო სისტემით 7%-იანი ბარიერი გადალახა და საკანონმდებლო ორგანოს წევრობის მანდატები მოიპოვა. ესენი იყვნენ:

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 85 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „საქართველოს აღორძინება“ – 51 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 14 მანდატი.

შემდგომში პოლიტიკურმა სუბიექტებმა არჩევნების შედეგები უზენაეს სასამართლოში ორჯერ გაასაჩივრეს. უზენაესმა სასამართლომ ოპოზიციის საჩჩელი ამა თუ იმ უბანთან მიმართებით კიდეც დააკმაყოფილა. მცირედ შესწორდა მონაცემები, რომლებიც პოლიტიკურ სუბიექტთა მიერ მოპოვებული ხმების პროცენტულ განაწილებას შეეხებოდა. თუმცა 2000 წლის თებერვლის ინფორმაციით, სასამართლოს არსებულ გადაწყვეტილებებში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეუტანია.[138]

ოქმის თანახმად, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1999 წლის 7 ნოემბერს დაამტკიცა, ათობით საარჩევნო უბანზე არჩევნები გაუქმდა. ბათილად ცნეს ცალკეული ოლქის შედეგებიც.

მაჟორიტარული სისტემით 49 დეპუტატი პირველივე ტურში აირჩიეს, ხოლო დანარჩენ ოლქებში 1999 წლის 28 ნოემბერს არჩევნების მეორე ტური დაინიშნა. 1999 წლის 7 და 14 ნოემბერს ხელახალი კენჭისყრა გაუქმებულ უბნებზე და ოლქებშიც შედგა. რამდენიმე უბანზე, მნიშვნელოვანი დარღვევების გამო, მეორე ტურის შედეგების გაუქმება მოუწიათ. საბოლოოდ, მაჟორიტარული ოლქების აბსოლუტურ უმრავლესობაში საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიერ წარდგენილმა კანდიდატმა გაიმარჯვა. ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური ჩარევის წყალობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ოლქში ხმათა 95-99%-ით „საქართველოს აღორძინების“ ბლოკის მიერ დასახელებული კანდიდატები აირჩიეს. მხოლოდ რამდენიმე ერთმანდატიან ოლქში მიაღწიეს წარმატებას დამოუკიდებელმა კანდიდატებმა და მცირე ოპოზიციურ პარტიათა („ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსის“, ლეიბორისტული პარტიისა და სხვათა) წარმომადგენლებმა. გამარჯვებული კანდიდატები მანდატებზე უარს ამბობდნენ, რის გამოც 2000-2002 წლებში რამდენიმე ოლქში განმეორებითი მაჟორიტარული არჩევნები არაერთხელ გაიმართა. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისას მანდატი 18-მა ქალმა მოიპოვა, ხოლო ეთნიკურ უმცირესობათაგან პარლამენტში 14 წარმომადგენელი აირჩიეს.

137 იხ. 1999 წლის 31 ოქტომბრის შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 1999 წლის 7 ნოემბერს. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

138 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1999 წლის 7 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმის შესწორებები, 2000 წლის 22 თებერვალი. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

On 7 November 1999, the CEC adopted the summary protocol of Parliamentary Elections. Based on the protocol, the votes among subjects by the proportional system were distributed as follows:

1. Citizen's Union of Georgia – 890 915 – 41.75%,
2. "Revival of Georgia" Bloc – 537 297 – 25.18%,
3. Labour Party of Georgia – 140 595 – 6.59%,
4. "National Democratic Alliance - The Third Way" Bloc – 95 039 – 4.45%,
5. "People's Didgori" Bloc – 87 781 – 4.11%,
6. "People's Front-Chavchavadze Society" Bloc – 4 339 – 0.20%,
7. "Industry Saves Georgia" Bloc – 151 038 – 7.08%,
8. "United National Movement" Bloc – 994 – 0.05%,
9. Green Party of Georgia – 11 400 – 0.53%,
10. Freedom Party of Georgia – 828 – 0.04%,
12. Party of Economically and Socially Deprived People in Georgia – 2 171 – 0.10%,
13. Political Union "Support" – 412 – 0.02%,
14. People's Democratic Party -1 917 – 0.09%,
15. "Victorious Georgia-God's Cathedral" Bloc – 4 275 – 0.20%,
17. Georgian Veterans Protection Party – 11 708 – 0.55%,
18. National Ideology Party of Georgia– 529 – 0.02%,
20. Christian Democratic Union of Georgia – 2 951 – 0.14%,
22. Political Union of Citizens "Lecturers' Union of Georgia" – 643 – 0.03%,
23. Political Union of Citizens - Union of All Georgian Landowners – 333 – 0.02%,
24. Merab Kostava Society – 10 357 – 0.49%,
26. Union of Social Justice of Georgia – 1 200 – 0.06%,
29. "United Communist Party (Stalinist) and Workers' Councils" Bloc – 28 736 – 1.35%,
30. Union of Georgian Nationalists– 555 – 0.03%,
31. "XXI Century – Georgian Nationalism" Bloc – 1 058 – 0.5%,
35. Davit Aghmashenebeli Party – 758 – 0.04%,
36. "Democratic Center" – 452 – 0.02%,
37. "Communists – Stalinists" Bloc – 3 778 – 0.18%,
39. "National Concord Party of Georgia" Bloc – 733 – 0.03%,
40. Round Table – Free Georgia" Bloc – 5 657 – 0.27%,
41. Political Movement "The Fate of Georgia" – 419 – 0.02%,
42. Intellectuals League of Georgia – 344 – 0.02%,
43. Nationalist Party of Georgia – 593 – 0.03%,
45. "Revived Communists and People's Patriots" Bloc – 3 229 – 0.15%.[138]

Three political subjects crossed the 7% threshold under the proportional electoral system and won seats in the legislative body, namely:

Citizen's Union of Georgia – 85 mandates,

"Revival of Georgia" election bloc – 51 mandates,

"Industry Saves Georgia" election bloc – 14 mandates.

Subsequently, political subjects twice appealed the election results to the Supreme Court. The Supreme Court even upheld the opposition's complaint against this or that precinct. The data on the percentage distribution of votes obtained by political subjects were slightly corrected. However, according to the February 2000 report, the court did not make[139] any significant changes to existing rulings.

According to the protocol adopted by the CEC on 7 November 1999, elections in dozens of polling stations were revoked. The results of a separate district were also annulled.

49 deputies were elected in the first round by majoritarian system, and the second round of elections was scheduled on 28 November 1999 in the other districts. On November 7 and 14, 1999, repeat elections took place in the revoked precincts and districts. In several precincts, due to significant violations, the results of the second round had to be revoked. In the end, in vast majority of majoritarian districts, candidates of Citizen's Union of Georgia won. Owing to active intervention of the local authorities, candidates nominated by the "Revival of Georgia" Bloc were elected with 95-99% of the vote in all districts of the Autonomous Republic of Adjara. Only a few single-member districts were won by independent candidates and representatives of small opposition parties (the National Democratic Alliance, the Labor Party, and others). The winner candidates were refusing to take offices, prompting repeat majoritarian elections in several districts between 2000 and 2002. In the 1999 Parliamentary Elections, 18 women won seats, while 14 members of ethnic minorities were elected to parliament.

138 See the summary protocol of 31 October 1999 adopted by the Central Election Commission on 7 November 1999. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

139 See the corrections of 7 November 1999 summary protocol of the Central Election Commission, 22 February 2000. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

# საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 9 აპრილის არჩევნები

2000 წელს საპრეზიდენტო არჩევნები იმ კანონის შესაბამისად დაინიშნა და გაიმართა, რომელიც პარლამენტმა 1995 წლის პირველ სექტემბერს დაამტკიცა. ედუარდ შევარდნაძემ, იმ დროს ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა, კენჭისყრის ჩატარების თარიღად 2000 წლის 9 აპრილი დაასახელა.

საპრეზიდენტო არჩევნებისას 2000 წელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ცნობილი ფიზიკოსი და აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე ხელმძღვანელობდა, კომისიის მდივანი კი მამუკა კოპალეიშვილი იყო. თავმჯდომარის მოადგილედ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებამდე ორი დღით ადრე გივი კომახიძე აირჩია.[139] არჩევნების პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტში გარკვეული ცვლილებები შევიდა, ხოლო თავად საარჩევნო კანონმდებლობა, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქისა და მათ მიმდებარედ არსებული საარჩევნო ოლქების ამომრჩეველთან მიმართებით, სპეციალური დადგენილება მიიღო. ამ გადაწყვეტილებით, კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული საქართველოს მოქალაქეები ალტერნატიულ საარჩევნო უბნებს მიამაგრეს.[140]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 21 მარტის სხდომაზე საუბნო და საოლქო დონეზე ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელი ოქმების გაფორმებისა და შევსების წესები დაამტკიცა,[141] პირველი აპრილის სხდომაზე კი ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში დამატებით თითო-თითო წევრი დანიშნა.

30 მარტის სხდომაზე ცესკომ იმ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიათა ჩამონათვალი განსაზღვრა, რომლებმაც აკრედიტაცია კანონის შესაბამისად გაიარეს და საარჩევნო პროცესზე დაკვირვების უფლება მიიღეს. აკრედიტაციამინიჭებულ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიათა შორის იყვნენ:

1. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა,
2. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია,
3. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საარჩევნო დამკვირვებელთა მისია,
4. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი,
5. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი,
6. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი,
7. ევროპის მედიის ინსტიტუტი,
8. ჰელსინკის ადამიანის უფლებათა ბრიტანეთის ჯგუფი,
9. აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტი,
10. დსთ-ის აღმასრულებელი კომიტეტი,
11. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისია.[142]

არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ ცესკომ კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო.
1991 წლის პირველი სექტემბრის კანონის შესაბამისად, კანდიდატი ვალდებული იყო, რეგისტრაციისას მხარდამჭერთა 50 000-კაციანი სია წარედგინა. ცესკოს მხრიდან ამ სიების შემოწმებისას, სულ ცოტა, 40 000 მხარდამჭერის ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დადასტურებულიყო.

2000 წლის 9 აპრილის ოცდაოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. მათი განცხადებით, ხელისუფლება არჩევნების გაყალბებისათვის ემზადებოდა და არჩევნებში ოპოზიციის მონაწილეობა აზრს კარგავდა.[143] ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2000 წლის 10 მარტს, არჩევნებამდე 30 დღით ადრე, რეგისტრაციაში 7 კანდიდატი გაატარა: ედუარდ შევარდნაძე, ასლან აბაშიძე, ჯუმბერ პატიაშვილი, ავთანდილ ჯოგლიძე, ვაჟა ჟღენტი, თენგიზ ასანიძე და ქართლოს ღარიბაშვილი.

139 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წლის 9 აპრილი, გვ. 1.
140 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წლის 2-3 აპრილი, გვ. 3.
141 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წლის 23 მარტი, გვ. 3.
142 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წლის 2-3 აპრილი, გვ. 3.
143 გაზ. „ახალი თაობა", 2000 წლის 1 მარტი, გვ. 1.

# 9 APRIL 2000 PRESIDENTIAL ELECTIONS OF GEORGIA

In 2000, the presidential election was appointed and held in accordance with a law approved by Parliament on 1 September 1995. Eduard Shevardnadze, the then-incumbent president of the country, named 9 April 2000 as the date for elections.

Famous physicist and academic Jumber Lominadze chaired the Central Election Commission (CEC) during the 2000 presidential election, and Mamuka Kopaleishvili was the secretary of the commission. Givi Komakhidze was elected[140] Deputy Chairperson of the CEC two days before the elections. During the election period, some changes were made to the regulations of the CEC, but the election legislation itself remained virtually unchanged.

The CEC has adopted a special decree regarding voters from the electoral districts of the Autonomous Republic of Abkhazia, the former Autonomous Region of South Ossetia, and the districts adjacent to them. With this decision, displaced persons of Georgia as a result of the conflict joined[141] the alternative polling stations.

At the 21 March session, the CEC approved[142] the rules for drawing up and filling in the summary protocols of the elections held at the precinct and district level. At the 1 April session, the Commission appointed one additional member in all district election commissions (DECs).

At the 30 March session, the CEC defined a list of international observation missions that were accredited in accordance with the law and granted the right to observe the election process. Among the accredited international observation missions were:

1. The Parliamentary Assembly of the Council of Europe (PACE),
2. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE)
3. The OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR) election observation mission,
4. United States National Democratic Institute in Georgia (NDI),
5. International Foundation for Electoral Systems,
6. International Republican Institute,
7. European Institute for the Media
8. The British Helsinki Human Rights Group,
9. Executive Committee of Commonwealth of Independent States (CIS),
10. The Central Election Commission143 of the Russian Federation.

After the announcement of the election date, the CEC started registering candidates. Under the 1 September 1991 law, the candidate was required to submit a list of 50 000 supporters during registration. The CEC when verifying these lists, had to confirm the authenticity of the signatures of at least 40 000 supporters.

On 9 April 2000, 24 political parties boycotted the presidential election. According to them, the government was preparing to rig the elections and the participation of the opposition in the elections was meaningless.[144] On 10 March 2000, the CEC registered 7 candidates, 30 days before the elections: Eduard Shevardnadze, Aslan Abashidze, Jumber Patiashvili, Avtandil Joglidze, Vazha Zhgenti, Tengiz Asanidze and Kartlos Gharibashvili.

140 Newspaper “Sakartvelos Respublika”, 9 April 2000, p. 1.
141 Newspaper “Sakartvelos Respublika”, 2-3 April 2000, p.3.
142 Newspaper “Sakartvelos Respublika”, 23 March 2000, p. 3.
143 Newspaper “Sakartvelos Respublika”, 2-3 April 2000, p. 3.
144 Newspaper “Akhali Taoba”, 1 March 2000, p. 1.



მარათონი - 2000

საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაში 7 პრეტენდენტი გაატარა

10 მარტს, პრეზიდენტის 2000 წლის 9 აპრილის არჩევნებამდე 30 დღით ადრე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაში 7 კანდიდატობის პრეტენდენტი გაატარა.

საარჩევნო მარათონს თავდაპირველი 17 პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტიდან ათი გამოაკლდა.

პრეზიდენტობის კანდიდატებად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ედუარდ შევარდნაძე, ავთანდილ ჯოგლიძე, ვაჟა ჟღენტი, თენგიზ ასანიძე, ქართლოს ღარიბაშვილი, ასლან აბაშიძე, ჯუმბერ პატიაშვილი.

პრეზიდენტობის კანდიდატებს შეუძლიათ 11 მარტიდან უკვე დაიწყონ საარჩევნო კამპანია.

შესაბამისი მოწმობები პრეზიდენტობის კანდიდატებს კანონის თანახმად რეგისტრაციიდან სამი დღის ვადაში გადაეცემათ.

საქინფორმი.

საქინფორმის ცნობა პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციაში გატარების შესახებ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წლის 11 მარტი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Notice of sakinform on the registration of presidential candidates, the newspaper "Sakartvelos Respublika", 11 March 2000
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



9 აპრილს რინგზე მხოლოდ შვიდნი გამოვლენ

გვ.2

ცსკ-მ პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაასრულა

თუ პრეზიდენტობა ბინდათ, მილიონი ლარი მზესუმზირის ფულად არ გეყოფათ

გვ.9

გაზეთ „ახალი თაობის" ცნობა პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციასთან დაკავშირებით
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

A notice of newspaper "Akhali Taoba" on the registration of presidential candidates
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

2000 წლის 8 აპრილს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა და დააკმაყოფილა პრეზიდენტობის კანდიდატის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის განცხადება არჩევნებიდან მისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ.[144]

საპრეზიდენტო არჩევნებისას ცენტრალური საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას ცდილობდა და საამისოდ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად შესაბამის კამპანიასაც აწარმოებდა.

საარჩევნო კომისიის მიერ საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაციის შემდეგ წინასაარჩევნო კამპანია განსაკუთრებით გააქტიურდა. თუმცა, რესურსების არათანაბარი განაწილების გამო, საზოგადოებრივ სივრცეში, პრესის ფურცლებსა და სატელევიზიო ეთერში, ძირითადად, მოქმედი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, სააგიტაციო მასალა ვრცელდებოდა. ოპოზიციონერი კანდიდატების შეფასებით, ედუარდ შევარდნაძე მთელ სახელისუფლებო რესურსს საკუთარი საარჩევნო კამპანიის სასიკეთოდ იყენებდა. კანონის თანახმად, სახელმწიფო ტელევიზიასა და პრესაში თითოეულ კანდიდატს რეგლამენტირებული დრო უნდა დათმობოდა. მიუხედავად ამისა, ედუარდ შევარდნაძის საარჩევნო კამპანიას სახელმწიფო მედიასაშუალებები გაცილებით დიდ დროს უთმობდნენ და მეტი გულმოდგინებით აშუქებდნენ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ნომრები ლამის თავიდან ბოლომდე ედუარდ შევარდნაძის წარმოჩენას ეთმობოდა. მოქმედ პრეზიდენტს უამრავ დროს ახარჯავდა სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხიც, ოპოზიციის კანდიდატების უმრავლესობას კი, უსახსრობის გამო, კომერციულ რეკლამებზე უარის თქმა უწევდა.

კანდიდატთათვის საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო სააგიტაციო პლაკატები. ისინი პერმანენტულად ხვდებოდნენ ამომრჩევლებს ქალაქად თუ სოფლად.

წინასაარჩევნოდ ბეჭდურ მედიაში უხვად ქვეყნდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატთა პროგრამები.[145] პრესა მოსახლეობას საშუალებას არ აძლევდა, დაევიწყებინა, რომ არჩევნები ახლოვდებოდა და კენჭისყრის თარიღს გამუდმებით ახსენებდა. გაზეთებში პოლიტიკურ შარჟებსა თუ კარიკატურებსაც ხშირად გადააწყდებოდით.

144 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2000 წლის 9 აპრილი, გვ. 1.
145 გაზ. „ალია", 2000 წლის 25-26 მარტი; გაზ. „რეზონანსი", 2000 წლის 27 მარტი.

On 8 April 2000, the CEC discussed and approved the statement of the presidential candidate, Aslan Abashidze, Chair of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara, regarding[145] the withdrawal of his candidature from the elections.

During the presidential election, the CEC tried to raise voter awareness and for this matter, ran relevant campaigns with international partners.




ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინსტრუქციო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Poster of instruction of the Central Election Commission
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

After the registration of the presidential candidates by the election commission, the pre-election campaign became especially active. However, due to the unequal distribution of resources, agitation material spread in the public space, in the press, and on TV, was mainly of the incumbent President, Eduard Shevardnadze. According to the opposition candidates, Eduard Shevardnadze was using all the government resources for the benefit of his own election campaign. Based on the law, fixed time for each candidate on state television and in the press had to be allocated. Nevertheless, the state media outlets were devoting much more time to Eduard Shevardnadze's election campaign and were covering it with more diligence. The issues of the newspaper "Sakartvelos Respublika" from the beginning to the end were dedicated to the presentation of Eduard Shevardnadze. State television's first channel was spending a lot of time on incumbent president, and most opposition candidates had to opt out of commercials due to lack of funds.

The agitation posters were an important tool for the candidates to conduct the election campaign. They were constantly meeting voters in the city or in the countryside.

In the run-up to the election, the presidential candidates' programs[146] were widely covered in the print media. The press did not allow the population to forget that the elections were nearing and constantly reminded them of the election date. In the newspapers, one would often come across political cartoons or caricatures.



საარჩევნო კარიკატურა გაზეთ „რეზონანსში", 2000 წლის 21 მარტი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Electoral caricature in the newspaper "Rezonansi", 21 March 2000
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

145 Newspaper "Sakartvelos Respublika", 9 April 2000, p.1.

146 Newspaper "Alia", 25-26 March 2000; the newspaper "Rezonansi", 27 March 2000.







პრეზიდენტობის კანდიდატის ედუარდ შევარდნაძის პლაკატები ქართულ და სომხურ ენებზე
*დოკუმენტები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Poster of Eduard Shevardnadze, the presidential candidate in Georgian and Armenian languages
*The documents are preserved at the National Parliamentary Library of Georgia*





ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო შეხვედრები, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000 წლის აპრილი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Pre-election meetings of Eduard Shevardnadze, the newspaper “Sakartvelos Respublika”, April 2000
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

საპრეზიდენტო არჩევნებისას, რომელიც, მეტწილად, მშვიდ ვითარებაში ჩატარდა, არაერთი დარღვევა დაფიქსირდა. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები შემდგომში მომზადებულ რეკომენდაციებში საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცედურების დახვეწისა და მკაფიო საკანონმდებლო რეგლამენტირებისაკენ მოუწოდებდნენ. ადგილობრივი დამკვირვებლები, რომლებიც მთავრობისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ უფრო კრიტიკულები იყვნენ, მხარეებს სისტემური რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზე მიუთითებდნენ. ოპოზიციონერი კანდიდატები ხელისუფლებას არჩევნების ფართომასშტაბიან გაყალბებაში ადანაშაულებდნენ.



ასლან აბაშიძე საარჩევნო ყუთთან, 2000 წლის 9 აპრილი, ქალაქი ბათუმი, გაზეთი „აჭარა", 2000 წლის 11 აპრილი
*გაზეთი დაცულია ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Aslan Abashidze at the ballot box, 9 April 2000, Batumi City, the newspaper "Adjara", 11 April 2000
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

2000 წლის 10 აპრილს, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე დღეს, ტელევიზიამ და პრესამ საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგები გაავრცელა. ამ მონაცემთა მიხედვით, არჩევნების პირველ ტურში მოქმედმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, ამომრჩეველთა ხმების 81%-ზე მეტი მიიღო, საბჭოთა საქართველოს ყოფილმა პირველმა პირმა, ჯუმბერ პატიაშვილმა, მეორე ადგილი დაიკავა და ამომრჩეველთა 15%-ზე მეტის მხარდაჭერა მოიპოვა, სხვა კანდიდატებმა კი ამომრჩეველთა ხმების 1%-ზე ნაკლები დააგროვეს.[146] ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობამ 76% შეადგინა.

146 გაზ. „ახალი თაობა", 2000 წლის 10 აპრილი, გვ. 1.

Numerous violations were reported during the presidential election, which was largely held in a peaceful atmosphere. In subsequent recommendations, international observation missions called on the Georgian authorities to refine their electoral procedures and to establish clear legislative regulations. Local observers, who were more critical of the government and the Central Election Commission, pointed to parties to the need for systemic reform and legislative change. Opposition candidates have accused the government of large-scale falsification of the election.



მოქალაქეები საარჩევნო უბანზე, 2000 წლის 9 აპრილი, ქალაქი ბათუმი, გაზეთი „აჭარა", 2000 წლის 11 აპრილი
*გაზეთი დაცულია ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Citizens at polling station, 9 April 2000, Batumi City, the newspaper "Adjara", 11 April 2000
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

On 10 April 2000, on the second day of the presidential election, television and the press released the preliminary results of the presidential election. According to these data, the incumbent President Eduard Shevardnadze received more than 81% of the votes in the first round of elections, Jumber Patiashvili, the former head of Soviet Georgia, took second place and received more than 15% of the voter, and other candidates received[147] less than 1% of the votes. The voter turnout totaled to 76% on 9 April Presidential Elections, according to the CEC.

On 19 April 2000, the CEC issued a summary protocol of the 9 April 2000 presidential election. According to this document, out of 3 088 925 registered voters in the unified voter list, 2 343 176 citizens participated in the elections. Voters' votes were distributed as follows:

147 Newspaper "Akhali Taoba", 10 April 2000, p. 1.

2000 წლის 19 აპრილს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი გამოსცა. ამ დოკუმენტის თანახმად, ერთიან საარჩევნო სიაში რეგისტრირებული 3 088 925 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 343 176 მოქალაქემ, ამომრჩეველთა ხმები კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ედუარდ შევარდნაძე – 1 870 311 – 79.82%,
2. ავთანდილ ჯოგლიძე – 5 942 – 0.25%,
3. ვაჟა ჟღენტი – 3 363 – 0.15%,
4. თენგიზ ასანიძე – 2 793 – 0.12%,
5. ქართლოს ღარიბაშვილი – 7 863 – 0.34%,
6. ჯუმბერ პატიაშვილი – 390 486 – 16.66%.[147]

ცესკომ, დარღვევების გამო, 6 საარჩევნო უბნის შედეგები გააუქმა.

1. Eduard Shevardnadze – 1 870 311 – 79.82%,
2. Avtandil Joglidze – 5 942 – 0.25%,
3. Vazha Zhenti – 3 363 – 0.15%,
4. Tengiz Asandze – 2 793 – 0.12%,
5. Kartlos Gharibashvili – 7 863 – 0.34%,
6. Jumber Patiashvili – 390 486 – 16.66%.[148]

Due to violations, the CEC annulled results of 6 electoral precincts.


საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

2000 წლის 19 აპრილი

ოქმი

I. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 3 088 925

II. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 2 343 176

III. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგები:

| # | პრეზიდენტობის კანდიდატი | |
|---|---|---|
| 1. | ედუარდ შევარდნაძე | 1 870 311 |
| 2. | ავთანდილ ჯოგლიძე | 5 942 |
| 3. | ვაჟა ჟღენტი | 3 363 |
| 4. | თენგიზ ასანიძე | 2 793 |
| 5. | ქართლოს ღარიბაშვილი | 7 863 |
| 6. | ჯუმბერ პატიაშვილი | 390 486 |

IV. საქართველოს პრეზიდენტად არჩეულია:

ედუარდ შევარდნაძე



2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2000 წლის 19 აპრილს
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of 9 April 2000 Presidential Election adopted by the Central Election Commission on 19 April 2000
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

147 იხ. 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

148 See the summary protocol of 9 April presidential election. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის 2001 წლის 4 ნოემბრის არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოს მორიგი არჩევნები, ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი საკონსტიტუციო ნორმებით, 2001 წლის შემოდგომაზე იყო გათვალისწინებული. მართალია, არჩევნების გამართვის სავარაუდო ვადები უცვლელი დარჩა, მაგრამ ავტონომიურმა რესპუბლიკამ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ნორმები მნიშვნელოვნად შეცვალა. ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ახალი კონსტიტუციური სისტემის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტი ეწოდებოდა. საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო ორი – ქვედა და ზედა – პალატისაგან ანუ რესპუბლიკური საბჭოსა და სენატისაგან შედგებოდა. ამიერიდან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს თანამდებობად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პოსტი ითვლებოდა.

2001 წელს გატარებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა წარმომადგენლობით ორგანოში მანდატების რაოდენობა მნიშვნელოვნად შეკვეცა, კერძოდ, უზენაესი საბჭოსგან განსხვავებით, რომელიც 80 წევრისგან შედგებოდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალ პარლამენტში შერეული საარჩევნო სისტემით 42 წევრი უნდა აერჩიათ. პარლამენტის ქვედა პალატაში – რესპუბლიკურ საბჭოში – 35 წევრს პროპორციული სისტემით აირჩევდნენ, ხოლო საარჩევნო ბარიერი 7%-ით განისაზღვრებოდა. ახალი საარჩევნო კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე იქმნებოდა 7 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი – ქალაქ ბათუმისა და ქალაქ ქობულეთის, ასევე ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების ადმინისტრაციულ საზღვრებში. ერთმანდატიან ოლქებში არჩეული მაჟორიტარები შედიოდნენ პარლამენტის ზედა პალატაში – სენატში და მათ სენატორები ეწოდებოდათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის არჩევნებისათვის დაკომპლექტდა ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც ამირან კომახიძე ხელმძღვანელობდა. ცესკომ საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია დაიწყო. პოლიტიკურ სუბიექტთაგან ზოგიერთმა, ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე არადემოკრატიული ტენდენციებისა და არჩევნების მოსალოდნელი გაყალბების გამო, ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მმართველი პარტია – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – არჩევნებზე არ დარეგისტრირდა. საბოლოოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა შემდეგი პოლიტიკური სუბიექტები:

1. დემოკრატიული აღორძინების კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია,
2. საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია,
3. საქართველოს სოციალისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია,
4. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია,
5. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია,
6. „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია,
7. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ედპ) აჭარის სამხარეო ორგანიზაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის კანდიდატად ცესკომ დაარეგისტრირა აღორძინების კავშირის ლიდერი ასლან აბაშიძე, რომელიც 1991 წლიდან აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა.[148]

მას შემდეგ, რაც საარჩევნო სუბიექტებმა რეგისტრაცია გაიარეს, თითოეული საარჩევნო სუბიექტის საკანდიდატო სია გაზეთი „აჭარაში" სისტემატურად ქვეყნდებოდა.[149]

148 ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები აბაშიძის მმართველობას ავტორიტარულ რეჟიმად მიიჩნევდნენ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში შექმნილ 7 ერთმანდატიან ოლქში სულ 17 კანდიდატი დაარეგისტრირა. შუახევის რაიონის საარჩევნო ოლქში მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო წარდგენილი.

ცესკომ პოლიტიკურ პარტიებსა და მაჟორიტარობის კანდიდატებს საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად და უფასო რეკლამისათვის სახელმწიფო ტელევიზიით, რადიოთი და პრესით სარგებლობის წესები განუსაზღვრა. გაზეთებში პოლიტიკურ სუბიექტთა საარჩევნო პროგრამები იბეჭდებოდა.[150] მედია, რაღა თქმა უნდა, სხვაზე მეტ ყურადღებასა და დროს ავტონომიური რესპუბლიკის მმართველ პოლიტიკურ ძალასა და მის ლიდერს უთმობდა.

ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიები: ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტები, ევროპის რეგიონალური ასამბლეის (ერას) ურთიერთნდობის ბიურო და ა.შ.

პრესა და ტელევიზია ამომრჩევლებს საარჩევნო უბნებზე გამოცხადებისაკენ მოუწოდებდნენ.




წინასაარჩევნო მოწოდება გაზეთ „აჭარაში", 2001 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Pre-election appeal in the newspaper "Adjara", October 2001
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*




გაზეთ „აჭარის" მოწოდება, 2001 წლის ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Pre-election appeal in the newspaper "Adjara", October 2001
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*




წინასაარჩევნო მოწოდება გაზეთ „აჭარის" ფურცლებზე, 2001 წლის 3 ნოემბერი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Pre-election appeal on the pages of the newspaper "Adjara", 3 November 2001
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

149 გაზ. „აჭარა", 2001 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 2-6.
150 გაზ. „აჭარა", 2001 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 1-3.

# 4 NOVEMBER 2001 ELECTIONS OF THE PARLIAMENT OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA AND THE CHAIR OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

The regular elections of the representative body of the Autonomous Republic of Adjara, according to the current constitutional norms of the Autonomous Republic, were scheduled for the fall of 2001. The estimated dates of the elections has indeed remained unchanged, but the Autonomous Republic has significantly changed the constitutional norms related to the electoral system. The Supreme Council of the Autonomous Republic, under the new constitutional system, was called the Parliament of the Autonomous Republic of Adjara. According to the constitutional amendments, the legislative body of the Autonomous Republic consisted of two chambers, the lower house and the upper house, or the Republican Council and the Senate. From now on, the position of the Commander of the Autonomous Republic of Adjara was considered to be the highest position of the Autonomous Republic.

Legislative amendments made in 2001 significantly reduced the number of seats in the Representative Body, namely, unlike the Supreme Council which consisted of 80 members, 42 members should have been elected in the new parliament of the Autonomous Republic of Adjara with a mixed electoral system. In the lower house of parliament, the Republican Council, 35 members were elected by proportional representation, while the electoral threshold was set at 7%. According to the new election law, 7 single-member districts were established on the territory of the Autonomous Republic of Adjara - within the administrative boundaries of Batumi and Kobuleti city, as well as districts of Kobuleti, Khelvachauri, Keda, Shuakhevi and Khulo. Majoritarian candidates elected in single-member districts were included in the upper house of parliament, the Senate, and were called senators.

The Central Election Commission (CEC) of the Autonomous Republic, chaired by Amiran Komakhidze, has been formed for the elections of the Parliament of the Autonomous Republic of Adjara and the Commander-in-Chief of the Autonomous Republic. The CEC launched registration of election subjects. Some of the political subjects boycotted the Parliamentary Elections of the Autonomous Republic due to the ongoing undemocratic tendencies in the Autonomous Republic and the expected rigging of the elections. Interestingly, ruling party of central government of Georgia – Citizen's Union of Georgia did not register for elections. Eventually, CEC of Autonomous Republic of Adjara registered the following political subjects:

1. Democratic Union for Revival's regional organization in Adjara,
2. Communist Party of Georgia's republican organization in Adjara,
3. Socialist Party of Georgia's republican organization in Adjara,
4. United Communist Party of Georgia's regional organization in Adjara,
5. Union of Georgian Traditionalists' regional organization in Adjara,
6. Industry Saves Georgia's regional organization in Adjara,
7. National Democratic Party (NDP) of Georgia's regional organization in Adjara.

The CEC registered Aslan Abashidze, the leader of the Union of Revival, as the candidate for the position of the Chair of the Autonomous Republic of Adjara. He has served[149] as the Chair of the Supreme Council of Adjara since 1991.

After the election subjects were registered, the candidate list of each election subject was regularly published[150] in the newspaper "Adjara".

The CEC registered 17 candidates in 7 single-member districts formed within the boundaries of the autonomous republic. Only one candidate was nominated in Shuakhevi electoral district.

The CEC set rules for political parties and majoritarian candidates for electoral campaigning and free advertising on state television, radio, and the press. Election programs of political subjects were printed[151] in the newspapers. The media, of course, paid more attention to the ruling political force in the Autonomous Republic and its leader than others.

The CEC registered the local and international observation missions: the U.S. National Democratic Institute and International Republican Institute, Bureau of Confidence of Assembly European Regions, etc.

The press and television called on voters to go to the polling stations.

149 International and local human rights organizations considered Abashidze's rule an authoritarian regime.

150 Newspaper "Adjara", 20 October 2001, p. 2-6.

151 Newspaper "Adjara", 31 October 2001, p.1-3.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და მეთაურის არჩევნებმა ექსცესების გარეშე ჩაიარა, მაგრამ ვითარება დემოკრატიულობით არ გამოირჩეოდა. ამომრჩეველთა 96%-იანი აქტივობა მეტისმეტად მაღალი იყო და არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. ოპოზიცია ვარაუდობდა, რომ ამას საარჩევნო ყუთში კონვეიერული სისტემით მოხვედრილ ბიულეტენთა რაოდენობა განაპირობებდა.

წინასწარი შედეგები ცესკომ არჩევნების დასრულებიდან მალევე გამოაქვეყნა. ამ მონაცემებით, არჩევნებში გამარჯვება ხმათა დიდი უპირატესობით აღორძინების კავშირმა მოიპოვა, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურად ასლან აბაშიძე აირჩიეს და ამომრჩეველთა 99.3% ამას მხარს უჭერდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის ზედა პალატის, სენატის, შვიდივე ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში დემოკრატიული აღორძინების კავშირის კანდიდატებმა გაიმარჯვეს. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, ვინც 99.9%-იანი მხარდაჭერა მოიპოვა.

ცესკოს წინასწარი მონაცემებით, გარდა აღორძინების კავშირისა, პროპორციული სისტემით 7%-იანი ბარიერის გადალახვა შეძლო კიდევ ორმა საარჩევნო სუბიექტმა – ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს".

საბოლოო შედეგები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების დასრულების შემდეგ მალევე გამოაქვეყნა. პროპორციული სისტემით ხმები ამგვარად გადანაწილდა:

1. დემოკრატიული აღორძინების კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 190 159 – 83.6%,
2. საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია – 590 – 0.26%,
3. საქართველოს სოციალისტური პარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაცია – 1 226 – 0.5%,
4. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 2 172 – 0.9%,
5. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 340 – 0.2%,
6. „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია – 15 976 – 7.03%,
7. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ედპ) აჭარის სამხარეო ორგანიზაცია – 15 956 – 7.02%.

საბოლოო შედეგების შესაბამისად, პროპორციული სისტემით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტში მანდატები ამგვარად გადანაწილდა:

აღორძინების კავშირი – 30 მანდატი,
„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 3 მანდატი,
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 2 მანდატი.

The elections of the Parliament and the Commander-in-Chief of the Autonomous Republic of Adjara took place without excesses, but the situation was not democratic. 96% voter turnout was extremely high and unconvincing. The opposition suggested that this was due to the number of ballots cast in the ballot box by the conveyor system.

The CEC released the preliminary results shortly after the elections. According to these data, the victory in the elections was won by the Union of Revival with a large majority of votes. Aslan Abashidze was elected the head of the Autonomous Republic of Adjara with 99.3% of voters support. Candidates of the Democratic Union for Revival won in all seven single-member majoritarian districts of the upper chamber - the Senate of Parliament of the Autonomous Republic of Adjara. Among them were those who received more than 99.9% support.

According to preliminary data of the CEC, in addition to the Union of Revival, two political subjects also managed to cross a 7% threshold of a proportional system, namely, the National Democratic Party and political union "Industry Saves Georgia".

The final results were announced by the CEC shortly after the election. The votes by proportional representation were distributed as follows:

1. Democrat Union for Revival's regional organization in Adjara – 190 159 – 83.6,
2. Communist Party of Georgia's republican organization in Adjara – 590 – 0.26%,
3. Socialist Party of Georgia's republican organization in Adjara – 1 226 – 0.5%,
4. United Communist Party of Georgia's regional organization in Adjara – 2 172 – 0.9%,
5. Union of Georgian Traditionalists' regional organization in Adjara – 340 – 0.2%,
6. "Industry Saves Georgia's" regional organization in Adjara –– 15 976 – 7.03%,
7. National Democratic Party's (NDP) regional organization in Adjara – 15 956 – 7.02%.

According to the final results, mandates by proportional representation in the Parliament of the Autonomous Republic of Adjara were distributed as follows:

Union of Revival – 30 mandates,
"Industry Saves Georgia" – three mandates,
National Democratic Party – two mandates

# საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოების 2002 წლის 2 ივნისის არჩევნები

საქართველოს პარლამენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების შესახებ 1998 წელს დამტკიცებული კანონის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკაში თვითმმართველობების არჩევნები ყოველ 4 წელიწადში ერთხელ უნდა გამართულიყო. 2002 წლის აპრილში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნების დანიშვნის ბრძანება გამოსცა, არჩევნების თარიღად კი 2002 წლის 2 ივნისი გამოაცხადა. საინტერესოა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურისთვის, ასლან აბაშიძისთვის, ეს თარიღი მიუღებელი აღმოჩნდა და მან, საქართველოს პრეზიდენტის საპასუხოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თვითმმართველობათა არჩევნები 2002 წლის 16 ივნისს დანიშნა.

ადგილობრივი თვითმმართველობის იმ არჩევნებისგან განსხვავებით, რომელიც 1998 წლის 15 ნოემბერს გაიმართა, 2002 წელს ასარჩევ პირთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ცვლილებების გამო, რომლებიც პარლამენტმა კანონმდებლობაში შეიტანა, ორმოცზე მეტი ქალაქის გამგებლისა და დიდი ქალაქების მერთა პოსტები არჩევითი გახდა. ეს ცვლილება არ შეეხებოდა მხოლოდ დედაქალაქს – თბილისს. ქალაქების, რაიონებისა და ამ რაიონებში შემავალ სასოფლო თემთა საკრებულოს წევრების არჩევნები კვლავაც ძველებურად ტარდებოდა. მათგან ნაწილს პროპორციული სისტემით ირჩევდნენ, ნაწილს კი მაჟორიტარული სისტემით ეყრებოდა კენჭი.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2002 წელს ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნებისას კვლავ ჯუმბერ ლომინაძე ხელმძღვანელობდა.

თვითმმართველობის შესახებ საარჩევნო კანონი შეიცვალა და, ამის თანახმად, კონფლიქტური რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დიდი ნაწილის – გამოკლებით, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში სულ 4801 პირი უნდა აერჩიათ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, 2002 წლის 16 მაისის განკარგულებით, 40-ზე მეტი საარჩევნო სუბიექტი რეგისტრაციაში გაატარა, თუმცა მათი ნაწილი, საარჩევნო მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, რეგისტრაციიდან მალევე მოიხსნა. რეგისტრაციასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა მმართველ პოლიტიკურ ძალას – საქართველოს მოქალაქეთა კავშირს, რადგანაც არჩევნების წინ პარტია არაერთმა ლიდერმა დატოვა. პარტიის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად მათ შორის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიაც იყო. თავდაპირველად, 2002 წლის 13 მაისს, ცესკომ მოქალაქეთა კავშირის რეგისტრაციაზე უარი განაცხადა, თუმცა 2002 წლის 27 მაისს, არჩევნებამდე 5 დღით ადრე, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოქალაქეთა კავშირი რეგისტრაციაში მაინც გაატარა.

საბოლოოდ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებზე 22 პოლიტიკური სუბიექტი დაარეგისტრირა. თბილისის საკრებულოს წევრის მანდატის მოსაპოვებლად კენჭს 21 პარტია და საარჩევნო ბლოკი იყრიდა. 1998 წლისგან განსხვავებით, 2002 წელს არჩევნებისას თბილისის ქალაქის საკრებულოს წევრთა რაოდენობა 55-დან 49-მდე შემცირდა. დედაქალაქის საკრებულოს წევრები კვლავ პროპორციული სისტემით უნდა აერჩიათ.

ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა და საარჩევნო ნომერი მიენიჭა შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი,
2. საარჩევნო ბლოკი „აღორძინება – XXI“ – დემოკრატიული აღორძინების კავშირი, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება, საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა „ჭყონდიდელი“,
3. საარჩევნო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, პ/გ „სპორტული საქართველო“, პ/გ „რეფორმატორთა და აგრარიკოსთა კავშირი“,
4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია,
5. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია,
6. საარჩევნო ბლოკი „სახალხო პარტია – ტრადიციონალისტები“ – სახალხო პარტია, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი,
7. ბლოკი „ერთიანი კომუნისტური პარტია (სტალინური) და მშრომელთა საბჭოები“,

9. საქართველოს მწვანეთა პარტია,
10. მერაბ კოსტავას საზოგადოება,
11. საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება – ეროვნული ფორუმი,
24. საარჩევნო ბლოკი „საქართველოს ერთიანობის პარტია“ – საქართველოს ერთიანობის პარტია, საქართველოს მთიელთა პოლიტიკური ლიგა,
27. ნაციონალისტები,
31. პოლიტიკური კავშირი „თანადგომა“,
32. საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა,
34. საარჩევნო ბლოკი „„ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“ – სააკაშვილი, დავითაშვილი, შავიშვილი, ძიძიგური, ბერძენიშვილი“ – პ/გ „ნაციონალური მოძრაობა საქართველოს გადასარჩენად“, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის პარტია „დიდგორი“,
35. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია (კ.უ.დ.პ.),
36. „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – ზურაბ ჟვანიას გუნდი“,
37. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (სსდპ),
38. ახალი მემარჯვენეები (ახლები),
39. სოციალისტური პარტია,
40. ბლოკი „ერთობა“ – ჯ. პატიაშვილი, ალ. ჭქჭია – პ/გ „ერთობა“, საქართველოს რეალისტთა კავშირი,
41. პ/ო „ლემი“. [151]

პოლიტიკურ სუბიექტთა რაოდენობა მერყეობდა. ცესკოს მიერ რეგისტრირებული სუბიექტები ყველა დონისა თუ ყველა ოლქის არჩევნებში არ მონაწილეობდნენ, შესაბამისად, მათი ჩამონათვალი ქალაქებისა და საკრებულოების მიხედვით იცვლებოდა.

მას შემდეგ, რაც ცესკომ პარტიები რეგისტრაციაში გაატარა, პრესა კანდიდატთა სიებისა და პროგრამების გამოქვეყნებას შეუდგა.[152] ამა თუ იმ გაზეთის ფურცლებზე სოციოლოგიური კვლევითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები და პოლიტიკურ სუბიექტთა რეიტინგები იბეჭდებოდა.[153]

არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ტელევიზიასა და პრესაში აქტიური წინსაარჩევნო კამპანია გაჩაღდა – ვრცელდებოდა საგაზეთო რეკლამები, პლაკატები, ბროშურები თუ საცნობარო ბარათები.




ბლოკი „აღორძინება – XXI“, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of "Revival – XXI" bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election Poster of "National Movement – Democratic Front" bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

151 ამ პარტიის საარჩევნო ნომერი გაურკვეველია, რადგან მისი კანდიდატები მხოლოდ რამდენიმე ოლქში დარეგისტრირდნენ. ამასთანავე, ეს პოლიტიკური გაერთიანება დედაქალაქის საკრებულოს არჩევნებში არ მონაწილეობდა.

152 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წლის 18 მაისი, გვ. 2-4.

153 გაზ. „კვირის პალიტრა“, 2002 წლის 3-9 ივნისი.

# 2 JUNE 2002 ELECTIONS OF LOCAL SELF-GOVERNMENT BODIES OF GEORGIA

According to the Law on Local Self-Government Bodies approved by the Parliament of Georgia in 1998, self-government elections in the Republic of Georgia should be held every 4 years. In April 2002, the President of Georgia, Eduard Shevardnadze, issued an order appointing local self-government elections, announcing 2 June 2002 as the election date. Interestingly this date turned out to be unacceptable for Aslan Abashidze, the Leader of the Autonomous Republic of Adjara, and he, in response to the President of Georgia, appointed the self-government elections of the Autonomous Republic of Adjara on 16 June 2002.

Unlike the local self-government elections held on 15 November 1998, the number of persons to be elected expanded significantly in 2002. As a result of amendments made to the legislation by parliament, the seats of mayors and gamgebelis (heads) of more than forty cities have become elective. This change did not concern only the capital Tbilisi. The elections of the members of the Sakrebulos in the cities, districts, and rural communities of these districts were still held as before. Some of them were elected by the proportional system, and some were elected by the majoritarian system.

Jumber Lominadze was again the Chair of the Central Election Commission (CEC) of Georgia during the 2002 local self-government elections.

The law on self-government has been changed and due to this and except for the conflict regions – a large part of the former autonomous regions of Abkhazia and South Ossetia, a total of 4801 people should have been elected to the local self-government bodies of Georgia.

The CEC issued a decree on 16 May 2002 registering more than 40 election subjects, although some of them were soon removed from the registry due to non-compliance with election requirements. The ruling political force – the Citizen's Union of Georgia - has faced problems with registration, as many leaders left the party before the election. Among other high-ranking party officials was former Parliament Speaker Zurab Zhvania. Initially, on 13 May 2002 the CEC refused to register the Citizen's Union, but on 27 May 2002, five days before the elections, following the decision of the Supreme Court, the CEC registered the Citizen's Union.

Eventually, the CEC registered 22 political subjects for local self-government elections of Georgia. 21 parties and election blocs were running for the seats at Tbilisi Sakrebulo. Unlike in 1998, the number of members of the Tbilisi City Sakrebulo decreased from 55 to 49 during the 2002 elections. The members of the Sakrebulo of the capital should have been elected again by the proportional system.

The CEC registered and assigned the election number to the following political subjects:

1. Citizen's Union of Georgia,
2. Election Bloc "Revival – XXI" – Union of Democrat Revival, Konstantine Gamsakhurdia Society, Freedom and Unity Movement of Georgia "Chkondideli",
3. Election Bloc "Industry Saves Georgia" – P/M " Industry Saves Georgia", P/U "Athletic Georgia", P/U "Union of Reformers and Agrarians",
4. Labour Party of Georgia,
5. National Democrat Party,
6. Election Bloc "People's Party – "Traditionalists" – People's Party, Union of Georgian Traditionalists,
7. "United Communist Party (Stalinski) and Workers' Councils" Bloc,
9. Green Party of Georgia,
10. Merab Kostava Society,
11. The Helsinki Union of Georgia – National Revival-National Forum,
24. Election Bloc "Unity Party of Georgia"– Unity Party of Georgia, Political League of Georgian Mountaineers,
27. Nationalists,
31. Political Union "Support",
32. Intellectuals League of Georgia
34. Election Bloc – "National Movement – Democratic Front"- Saakashvili, Davitashvili, Shavishvili, Dzidziguri, Berdzenishvili"- P/U "National Movement to Save Georgia", Republican Party of Georgia, Georgian Independence and Unity Party "Didgori",
35. Party for the Protection of Constitutional Rights (P.P.C.R),
36. "Christian-Conservative Party of Georgia – Zurab Zhvania's Team",
37. Social Democrat Party (SDPG) of Georgia,
38. New Rights,
39. Socialist Party,
40. Bloc "Unity" – J. Patiashvili, Al. Tchatchia – P/U "Unity", Georgian Realists' Party,
41. P/O "Lemi".[152]

152 The election number of this party is unclear, as its candidates were registered in only a few districts. At the same time, this political union did not participate in the Tbilisi Sakrebulo elections.

A number of political subjects was fluctuating. The subjects registered by the CEC did not participate in the elections of all levels or all districts, therefore, their list changed according to the cities and Sakrebulos.

After the CEC registered the parties, the press started[153] publishing the lists and programs of the candidates. The results of the research conducted by polling organizations and the ratings of political subjects were published[154] on the pages of this or that newspaper.

One month before the election, television and the press launched an active pre-election campaign – newspaper advertisements, posters, brochures or note cards were distributed.




საარჩევნო პლაკატი – „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – ზურაბ ჟვანიას გუნდი“
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of "Christian-Conservative Party of Georgia – Zurab Zhvania's Team"
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ბლოკი „ერთობა“, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of "Unity" bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




სოციალისტური პარტიის საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Socialist Party
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ნუგზარ ფალიანი, ქუთაისის მერობის კანდიდატი ახალ მემარჯვენეთაგან და მისი საარჩევნო პლაკატი, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 2002 წლის 27 მაისი – 2 ივნისი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Nugzar Paliani, a mayoral candidate in Kutaisi from New Rights,
the newspaper "Kviris Palitra", 27 May - 2 June 2002
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

153 Newspaper "Sakartvelos Respublika", 18 May 2002, p. 2-4.

154 Newspaper "Kviris Palitra", 3-9 June 2002.

2002 წლის 2 ივნისს ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები არცთუ მშვიდ ვითარებაში წარიმართა – დაპირისპირებაც იყო და გაყალბების მცდელობაც. არჩევნები ჩაიშალა ზუგდიდში, რუსთავში, ხაშურსა და გორში.[154] ცესკოს გადაწყვეტილებით, იმ ოლქებსა და უბნებზე, სადაც კენჭისყრა არ შედგა, 2002 წლის 16 ივნისს განმეორებითი არჩევნები დაინიშნა. სასამართლოში გასაჩივრდა ქუთაისის მერის არჩევნების შედეგებიც, რომლის თანახმადაც გამარჯვება ახალი მემარჯვენეების კანდიდატმა ნუგზარ ფალიანმა გაიმარჯვა. სამართლებრივი დავა თვეების განმავლობაში გაგრძელდა.

2002 წლის 8 ივნისს ცესკომ თბილისისა თუ სხვა ოლქების საკრებულოთა არჩევნების შემაჯამებელი ოქმები გამოსცა. ცესკო დედაქალაქის მონაცემებს ამგვარად აჯამებდა:

ქალაქ თბილისში საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 634 257 ამომრჩეველი,

არჩევნებში მონაწილეობდა 283 855 ამომრჩეველი,

საარჩევნო აქტივობამ შეადგინა 44.75%,

გაბათილებულ ბიულეტენთა რაოდენობა იყო 13 344.

ამომრჩეველთა ხმები პოლიტიკურ სუბიექტთა შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 6 733 – 2.37%,
2. საარჩევნო ბლოკი „აღორძინება – XXI“ – 15 979 – 5.63%,
3. საარჩევნო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 19 322 – 6.81%,
4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 70 941 – 24.99%,
5. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 359 – 1.54%,
6. საარჩევნო ბლოკი „სახალხო პარტია – ტრადიციონალისტები“ – 5 118 – 1.80%,
7. ბლოკი „ერთიანი კომუნისტური პარტია (სტალინური) და მშრომელთა საბჭოები“ – 1 146 – 0.40%,
9. საქართველოს მწვანეთა პარტია – 949 – 0.33%,
10. მერაბ კოსტავას საზოგადოება – 571 – 0.20%,
11. საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება – ეროვნული ფორუმი – 474 – 0.17%,
24. საარჩევნო ბლოკი „საქართველოს ერთიანობის პარტია“ – 337 – 0.12%,
27. ნაციონალისტები – 1 115 – 0.39%,
31. პოლიტიკური კავშირი „თანადგომა“ – 1 133 – 0.40%,
32. საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა – 327 – 0.12%,
34. საარჩევნო ბლოკი „„ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“ – სააკაშვილი, დავითაშვილი, შავიშვილი, ძიძიგური, ბერძენიშვილი“ – 66 925 – 23.58%,
35. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია (კ.უ.დ.პ.) – 2 074 – 0.73%,
36. „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – ზურაბ ჟვანიას გუნდი“ – 20 441 – 7.20%,
37. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (სსდპ) – 758 – 0.27%,
38. ახალი მემარჯვენეები (ახლები) – 31 512 – 11.10%,
39. სოციალისტური პარტია – 7 934 – 2.8%,
40. ბლოკი „ერთობა“ – ჯ. პატიაშვილი, ალ. ჭაჭია – პ/გ „ერთობა“, საქართველოს რეალისტთა კავშირი – 11 434 – 4.03%.

ამ მონაცემებით, რომლებიც ცესკომ ოქმის სახით გამოსცა, დედაქალაქის საკრებულოს არჩევნებისას 4%-იანი ბარიერი გადალახეს და მანდატები[155] მოიპოვეს შემდეგმა საარჩევნო სუბიექტებმა:

საქართველოს ლეიბორისტული შრომის პარტია – 15 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „„ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“ – სააკაშვილი, დავითაშვილი, შავიშვილი, ძიძიგური, ბერძენიშვილი“ – 14 მანდატი,

ახალი მემარჯვენეები (ახლები) – 7 მანდატი,

„საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – ზურაბ ჟვანიას გუნდი“ – 4 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 4 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „აღორძინება XXI“ – 3 მანდატი,

ბლოკი „ერთობა“ – 2 მანდატი.[156]

აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის საკრებულოს წევრის მანდატი ხუთმა ქალმა კანდიდატმა მოიპოვა.

154 გაზ. „რეზონანსი“, 2002 წლის 3 ივნისი, გვ. 4.

155 საკრებულოს წევრობის 49 მანდატიდან 46 არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით გადანაწილდა, ხოლო გაუნაწილებელი 3 მანდატი არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე სამ პარტიას დაემატა.

156 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2002 წლის 8 ივნისს დამტკიცებული შემაჯამებელი ოქმი, დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

დედაქალაქის საკრებულოს არჩევნების შედეგები რამდენჯერმე გასაჩივრდა, რის გამოც ახლად არჩეული საკრებულოს შეკრება რამდენიმე თვით გადაიდო.

2002 წლის 16 ივნისს აჭარის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისას მანდატები მოიპოვეს კანდიდატებმა ბლოკიდან „აღორძინება XXI“, ქალაქ ბათუმის მერად კი ხმების თითქმის 100%-ით ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ვაჟი – გიორგი აბაშიძე – აირჩიეს. ოპოზიციურ პარტიებს თავისუფლად მოქმედების საშუალება, ფაქტობრივად, არ მიეცათ. ავტონომიურ რესპუბლიკაში, ადგილობრივი ცესკოს განცხადებით, საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა 96.1% გამოცხადდა.

საბოლოოდ, ცესკოს მიერ 2002 წლის 24 ივნისს გამოცემული 136-გვერდიანი შემაჯამებელი ოქმის თანახმად, 4 801 ასარჩევი წარმომადგენლიდან (საკრებულოს წევრები და გამგებლები/მერები) არჩეულ იქნა 4 750. რესპუბლიკის მასშტაბით, სხვადასხვა ოლქში საკრებულო წევრის მანდატი გადაეცა 15 პოლიტიკურ სუბიექტს, ხოლო მანდატების 58% (2 754 მანდატი) მოიპოვეს საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა. პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა ამგვარად ნაწილდებოდა:[157]

ახალი მემარჯვენეები (ახლები) – 551 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 481 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „აღორძინება XXI“ – 198 მანდატი,

სოციალისტური პარტია – 189 მანდატი ,

საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 152 მანდატი,

კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია – 116 მანდატი,

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 86 მანდატი,

პ/ო „ლემი“ – 73 მანდატი,

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – 70 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი“ – 15 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „სახალხო პარტია – ტრადიციონალისტთა კავშირი“ – 15 მანდატი,

მერაბ კოსტავას საზოგადოება – 9 მანდატი,

პ/კ „თანადგომა“ – 7 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „ერთობა“ – 4 მანდატი,

ერთიანი კომუნისტური პარტია და მშრომელთა საბჭოები – 1 მანდატი.

157 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2002 წლის 24 ივნისს გამოცემული ოქმი, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში. მანდატების შედეგები ასევე შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://www.ivote.ge/archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi-2002/14586-adgilobrivi-thvithmmarthvelobis-archevnebi-shedegebi-2002.html?lang=ka-GE

The 2 June 2002 local self-government elections were not held in a calm environment – a confrontation and an attempt of falsification have occurred. The elections failed in Zugdidi, Rustavi, Khashuri, and Gori.[155] Repeat elections were scheduled on 16 June 2002 in districts and precincts where polling did not take place, according to the CEC decision. Kutaisi mayoral election's results were also appealed in court, according to which the winner was pronounced the candidate of the New Rights, Nugzar Paliani. The legal dispute lasted for months.

On 8 June 2002, the CEC issued a summary protocol of elections of Tbilisi Sakrebulo and the Sakrebulos of other districts. The CEC summed up the data of the capital as follows:

634 257 voters were registered in the voter list of Tbilisi city,

283 855 voters took part in elections,

Voter turnout stood at 44.75%,

The number of annulled ballot papers amounted to 13 344.

The votes among political subjects were distributed as follows:

1. Citizen's Union of Georgia – 6 733 – 2.37%,
2. Election Bloc " Revival – XXI" – 15 979 – 5.63%,
3. Election Bloc "Industry Saves Georgia" – 19 322 – 6.81%,
4. Labour Party of Georgia – 70 941 – 24.99%,
5. National Democrat Party – 4 359 – 1.54%,
6. Election Bloc "People's Party – Traditionalists" – 5 118 – 1.80%,
7. "United Communist Party (Stalinski) and Workers' Councils" Bloc – 1 146 – 0.40%,
9. Green Party of Georgia – 949 – 0.33%,
10. Merab Kostava Society, – 571- 0.20%,
11. Helsinki Union of Georgia – National Revival – National Forum – 474 – 0.17%,
24. Election Bloc "Unity Party of Georgia" – 337 – 0.12%,
27. Nationalists – 1 115 – 0.39%,
31. Political Union "Support" – 1 133 – 0.40%,
32. Intellectuals League of Georgia – 327 – 0.12%,
34. Election Bloc – "National Movement – Democratic Front"- Saakashvili, Davitashvili, Shavishvili, Dzidziguri, Berdzenishvili"- 66 925 – 23.58%,
35. Party for the Protection of Constitutional Rights (P.P.C.R) – 2 074 – 0.73%,
36. "Christian-Conservative Party of Georgia – Zurab Zhvania's Team" – 20 441 – 7.20%,
37. Social Democrat Party (SDPG) of Georgia – 758 – 0.27%,
38. New Rights – 31 512 – 11.10%,
39. Socialist Party – 7 934 – 2.8%,
40. Bloc "Unity" – J. Patiashvili, Al. Tchatchia – P/U "Unity", Georgian Realists' Party – 11 434 – 4.03%.

According to the data released by the CEC in the form of protocol, the following elections subjects crossed the 4% threshold in the Tbilisi Sakrebulo elections and won the seats:

Labour Party of Georgia – 15 mandates,

Election Bloc – "National Movement – Democratic Front"- Saakashvili, Davitashvili, Shavishvili, Dzidziguri, Berdzenishvili" – 14 mandates,

New Rights – 7 mandates,

"Christian-Conservative Party of Georgia – Zurab Zhvania's Team" – 4 mandates,

Election Bloc "Industry Saves Georgia" – 4 mandates,

Election Bloc "Revival – XXI" – 3 mandates,

Bloc "Unity" – 2 mandates.[156]

It is noteworthy that five women candidates won the mandate at Tbilisi Sakrebulo.

The results of the Tbilisi City Sakrebulo elections have been appealed several times, due to which the meeting of the newly elected Sakrebulo has been postponed for several months.

Candidates from bloc "Revival – XXI" received mandates in local self-government elections of Adjara on 16 June 2002. Giorgi Abashidze, the son of the head of the Autonomous Republic, was elected as mayor of Batumi with almost 100% of the vote. In fact, opposition parties have not been allowed to act freely. 96.1% of voters went to the polling station in the Autonomous Republic, according to the local CEC.

Eventually, according to the 136-page summary protocol released by the CEC on 24 June 2002, out of 4801 elected representatives (sakrebulo members and gamgebelis/mayors), 4750 were elected. Throughout the republic, 15 political subjects were given the mandate of Sakrebulo members in different districts, and 58% (2 754 mandates) of the mandates were won by candidates nominated by the initiative groups. The number of seats won by political parties and blocs was distributed[157] as follows:

155 Newspaper "Rezonansi", 3 June 2002, p. 4.

156 See the summary protocol adopted by the Central Election Commission on 8 June 2002. The document is preserved in the archives of the Central Election Commission.

New Rights – 551 mandates,

Election Bloc “Industry Saves Georgia” – 481 mandates,

Election Bloc “Revival XXI“ – 198 mandates,

Socialist Party – 189 mandates,

Labour Party of Georgia – 152 mandates,

Party for the Protection of Constitutional Rights – 116 mandates,

National Democratic Party – 86 mandates,

P/Oპ “Lemi” – 73 mandates,

Citizen’s Union of Georgia – 70 mandates,

Election Bloc “National Movement – Democratic Front”– 15 mandates,

Election Bloc “People’s Party – Union of Traditionalists” – 15 mandates,

Merab Kostava Society – 9 mandates,

P/U “Support” – 7 mandates,

Election Bloc “Unity” – 4 mandates,

United Communist Party and Workers’ Councils Bloc – 1 mandate.

157 See the protocol released by the Central Election Commission on 24 June 2002. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia. You may also see the mandates at the following link: http://www.ivote.ge/archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi/adgilobrivi-thvithmarth-velobis-archevnebi-2002/14586-adgilobrivi-thvithmmarthvelobis-archevnebi-shedegebi-2002.html?lang=ka-GE

# საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნები

საქართველოში მორიგი საპარლამენტო არჩევნები, 1995 წლის 1 სექტემბრის პარლამენტის არჩევნების კანონის თანახმად, 2003 წლის შემოდგომაზე უნდა გამართულიყო. 2003 წლის სექტემბერში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საპარლამენტო არჩევნების თარიღად 2003 წლის 2 ნოემბერი დაასახელა. საარჩევნო კანონი 1999 წლის შემდეგ, ფაქტობრივად, არ შეცვლილა – საქართველოს პარლამენტის 235 წევრს მოქალაქეები კვლავ შერეული პროპორციული და შერეული სისტემით აირჩევდნენ. პროპორციული სისტემით საარჩევნო ბარიერი, 1999 წლის შესწორების თანახმად, 7% იქნებოდა.

თვითმმართველობის არჩევნებისას 2002 წელს მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ, საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა, მარცხი იწვნია და ადგილობრივ თვითმმართველობებში ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლები აირჩიეს. ამგვარი პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, მით უფრო საინტერესო იყო, საპარლამენტო არჩევნები როგორ ჩაივლიდა.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისას საქართველოს საარჩევნო კომისიას სოციალისტური პარტიის ყოფილი წევრი ნანა დევდარიანი ხელმძღვანელობდა, ხოლო კომისიის მდივანი გიორგი მიქანაძე იყო. 2003 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, პოლიტიკურ სუბიექტთა ყველა სარეგისტრაციო პროცედურის დასრულების შემდგომ, ცესკომ შემდეგი პარტიები და ბლოკები დაარეგისტრირა:[158]

1. სახელისუფლებო ბლოკი „ახალი საქართველო“,
2. დემოკრატიული აღორძინების კავშირი,
3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“,
4. ლეიბორისტული (შრომის) პარტია,
5. ბლოკი „სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა“,
6. ერთიანი კომუნისტური პარტია,
7. ბლოკი „ბურჯანაძე – დემოკრატები“,
8. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი“,
9. პ/გ „ერთიანი საქართველო“,
11. არასახელისუფლებო ბლოკი „სამშობლო“,
12. ბლოკი „ახალი მემარჯვენეები“,
13. ბლოკი „ჯუმბერ პატიაშვილი – პ/გ ერთობა“,
14. გაერთიანება „დედა-სამშობლო“,
15. ბლოკი „ეროვნული თანხმობა – იბერიის გაბრწყინება“,
16. კონსტიტუციური უფლებათა დაცვის პარტია,
17. მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია,
18. ბლოკი „მშვიდობიანი კავკასია“,
19. საქართველოს სახალხო კაპიტალისტური პარტია,
20. სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი,
21. პ/გ „ქალთა დაცვის კავშირი“,
22. საქართველოს ადვოკატები.







„ახალი მემარჯვენეების“ საარჩევნო ბლოკის პლაკატები, 2003 წელი
*დოკუმენტები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election posters of "New Rights", 2003
*The documents are preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

158 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003 წლის 9 ოქტომბერი, გვ. 3.

როგორც კი საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია დასრულდა, პრესა პროპორციული სისტემით მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების საკანდიდატო სიათა გამოქვეყნებას შეუდგა.[159] მოგვიანებით გაზეთებში სხვადასხვა ერთმანდატიან ოლქში რეგისტრირებული მაჟორიტარობის კანდიდატების სიებიც იბეჭდებოდა.[160]

წინასაარჩევნო პროცესში მრავლად იყო ძალადობის ფაქტები, განსაკუთრებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც ადგილობრივი რეჟიმის ძალოვანი უწყებები ოპოზიციურ პარტიათა საარჩევნო კამპანიას ხელს უშლიდნენ.

2003 წლის ოქტომბერში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა ასობით საერთაშორისო და ათასობით ადგილობრივი დამკვირვებელი. ეუთოსა და ევროსაბჭოს გრძელვადიანი საპარლამენტო სადამკვირვებლო მისიები არა მხოლოდ უშუალოდ არჩევნებს, არამედ წინასაარჩევნო პროცესსა და არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებსაც აკვირდებოდნენ.

2003 წლის ოქტომბრიდან საარჩევნო კამპანია განსაკუთრებით გააქტიურდა. სახელმწიფო ტელევიზია და პრესა საარჩევნო დისკუსიებსა და მოწოდებებს საეთერო დროსა თუ საგაზეთო სვეტებს უთმობდა, ამიტომაც ტელერადიოსივრცესა თუ ჟურნალ-გაზეთებში საარჩევნო სუბიექტთა სააგიტაციო-სარეკლამო მასალები ჭარბობდა. კერძო ტელემაუწყებლები და გაზეთები პოლიტიკურ სუბიექტებს ფასიან პოლიტიკურ რეკლამებს სთავაზობდნენ. პოლიტიკურ სუბიექტთა შეფასებით, სახელმწიფო ტელევიზიები და გაზეთები აგიტაციაში სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლოდ იყვნენ ჩართულები. პოლიტიკური სუბიექტები სარეკლამოდ კლიპებსა და საარჩევნო პლაკატებსაც უხვად იყენებდნენ.




ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და მისი საარჩევნო პლაკატი, 2003 წელი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Industry Saves Georgia”, 2003
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ბლოკი „ბურჯანაძე – დემოკრატები“, წინასაარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Pre-election poster of “Burjanadze – Democrats” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

159 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003 წლის 19 ოქტომბერი, გვ. 5-20; გაზ. „კვირის პალიტრა“, 2003 წლის 6-12 ოქტომბერი.
160 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003 წლის 25 ოქტომბერი, გვ. 5-7.

# 2 NOVEMBER 2003 PARLIAMENTARY ELECTIONS OF GEORGIA

The regular Parliamentary Elections in Georgia were due in the fall of 2003, according to the 1 September 1995 parliamentary election law. In September 2003, Eduard Shevardnadze, the President of Georgia, set 2 November 2003 as the date for the Parliamentary Elections. Since 1999, the election law had not practically changed, citizens again were electing 235 MPs to parliament of Georgia through the mixed parallel mixed system. The electoral threshold by a proportional system based on the amendments of 1999 was 7%.

The ruling political force, the Citizen's Union of Georgia lost in the 2002 local self-government elections and representatives of opposition parties were elected to local self-government. Given such political background, it was even more interesting how the Parliamentary Elections would unfold.

Nana Devdariani, a former member of the Socialist Party, chaired the Georgian Election Commission during the 2 November 2003 Parliamentary Elections, and Giorgi Mikanadze was the secretary of the commission. After completing all the registration procedures for political subjects in September-October 2003, the CEC registered[158] the following parties and blocs:

1. Government Bloc "New Georgia",
2. Democrat Union for Revival,
3. "Industry Saves Georgia" Bloc,
4. Labour Party of Georgia,
5. United National Movement" Bloc,
6. United Communist Party,
7. "Burjanadze – Democrats" Bloc,
8. Georgian National-State Union "Victorious",
9. P/U "United Georgia",
11. Non-Governmental Bloc "Homeland",
12. "New Rights" Bloc,
13. "Jumber Patiashvili – P/U Unity" Bloc,
14. "Motherland" Union,
15. "National Concord - Iberia Shines" Bloc,
16. Party for the Protection of Constitutional Rights,
17. Industry and Economic Development Party,
18. "Peaceful Caucasus" Bloc,
19. People's Capitalist Party of Georgia,
20. All-Georgian People's Alliance,
21. P/U "Women's Protection Union"
22. Georgian Advocates.



პოლიტიკური ორგანიზაციების ნუმერაცია:

1. სახელისუფლებო ბლოკი „ახალი საქართველოსთვის"
2. „დემოკრატიული აღორძინების კავშირი"
3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"
4. ლეიბორისტული (შრომის) პარტია
5. ბლოკი „სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა"
6. ერთიანი კომუნისტური პარტია
7. ბლოკი „ბურჯანაძე–დემოკრატები"
8. ეროვნულ–სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი"
9. პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი საქართველო"
11. არასახელისუფლებო ბლოკი „სამშობლო"
12. ბლოკი „ახალი მემარჯვენეები"
13. ბლოკი „ჯუმბერ პატიაშვილი – პოლიტიკური გაერთიანება ერთობა"
14. გაერთიანება „დედა–სამშობლო"
15. ბლოკი „ეროვნული თანხმობა – იბერიის გაბრწყინება"
16. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია
17. მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია
18. ბლოკი „მშვიდობიანი კავკასია"
19. საქართველოს სახალხო კაპიტალისტური პარტია
20. სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი
21. პოლიტიკური გაერთიანება „ქალთა დაცვის კავშირი"
22. საქართველოს ადვოკატები

საარჩევნო სუბიექტები 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისას,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა",
2003 წლის 9 ოქტომბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election subjects during 2 November 2003 Parliamentary Elections,
the newspaper "Sakartvelos Respublika",
9 October 2003
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

158 Newspaper "Sakartvelos Respublika", 9 October 2003, p. 3.

As soon as the election subjects were registered, the press started[159] releasing the candidate lists of parties and election blocs running by proportional system. Later the lists of majoritarian candidates registered in different single-member districts were also printed[160].

In the pre-election process, there were many cases of violence, especially in the Autonomous Republic of Adjara, where local law enforcement agencies were obstructing the election campaign of opposition parties.

In October 2003, the Central Election Commission (CEC) registered hundreds of international and thousands of local observers. The long-term parliamentary observation missions of the OSCE/ODIHR and the Council of Europe were monitoring not only the elections but also the pre-election process and post-election developments.

Since October 2003, the election campaign has particularly intensified. State television gave airtime and the press – newspaper columns to election discussions and appeals, so the TV and radio space or magazine-newspapers were dominated by election subjects' propaganda and advertising materials. Private TV stations and newspapers offered paid political advertisements to political subjects. According to political subjects, state television and newspapers were involved in the agitation in favor of the governmental bloc. Political subjects also used video footage and election posters in abundance for advertisements.




საარჩევნო ბლოკი „სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა" და მისი საარჩევნო პლაკატები, 2003 წელი
*დოკუმენტები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election posters of "Saakashvili – National Movement", 2003
*The documents are preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

159 Newspaper "Sakartvelos Respublika", 19 October 2003, p. 5-20; the newspaper "Kviris Palitra", 6-12 October 2003.
160 Newspaper "Sakartvelos Respublika", 25 October 2003, p. 5-7.

საარჩევნო სუბიექტებმა, რომლებიც არჩევნების გაყალბების თავიდან აცილებას გულმოდგინედ ცდილობდნენ, თავიანთ შტაბებში საგანგებო დანაყოფები შექმნეს და ისინი მოქალაქეებს მათთან კომუნიკაციისკენ მოუწოდებდნენ.

Election subjects that have diligently tried to prevent election fraud have set up special units at their headquarters and urged citizens to communicate with them.




საარჩევნო ბლოკი „ბურჯანაძე – დემოკრატები“ მოქალაქეებს მოწოდებით მიმართავს
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election bloc “Burjanadze –Democrats” calls on citizens
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

არჩევნების წინა დღეებში არაერთი სოციოლოგიური კვლევის შედეგები გამოქვეყნდა. მკვლევრები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ამომრჩეველთა ხმების 25%-ს პოლიტიკურ სუბიექტთაგან ვერავინ მიიღებდა, ხოლო პროპორციული სისტემის 7%-იან ბარიერს, სულ ცოტა, 5 პოლიტიკური სუბიექტი გადალახავდა.

საარჩევნო პროცესმა 2003 წლის 2 ნოემბერს, მეტწილად, დაძაბულობის, დაპირისპირებისა და გაყალბებათა მცდელობის ფონზე ჩაიარა. ამა თუ იმ საუბნო კომისიის პირველადი ოქმების მონაცემები, რომლებსაც ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიები 2003 წლის 3-4 ნოემბერს აქვეყნებდნენ, შემდგომში ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ ოქმთა შედეგებს არ ემთხვეოდა. მაგალითად, ოქმებში ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის (ძირითადად, სახელისუფლებო ბლოკისა და აღორძინების კავშირის) გასწვრივ დამატებული იყო ასეულები და, შესაბამისად, ხმათა რაოდენობაც ასეულებით იზრდებოდა.

The results of a number of sociological surveys were published in the days leading up to the elections. Researchers predicted that none of the political subjects would receive 25% of votes, while at least 5 political subjects would cross a 7% threshold of a proportional system.

The election process took place on 2 November 2003, largely amid tensions, confrontation, and fraud attempts. The data of the initial protocols of various precinct commission, which were published by the local observation missions on 3-4 November 2003, did not coincide with the results of the protocols published by the CEC. For example, hundreds were added along to different election subject (mostly to the ruling bloc and the Revival Union) in the protocols, accordingly, the number of votes was increased by hundreds.











მოქალაქეები საარჩევნო უბანზე, 2003 წლის 2 ნოემბერი, გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „რეზონანსი“
*გაზეთები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Citizens at polling station, 2 November 2003, the newspapers “Sakartvelos Respublika” and “Rezonansi”
*The newspapers are preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებზე მოქალაქეთა აქტივობამ 60%-ს გადააჭარბა.[161] მონაცემებით, რომლებსაც ცესკო 2003 წლის 4 ნოემბერს აქვეყნებდა, პირველ ადგილზე სახელისუფლებო ბლოკი „ახალი საქართველო" გავიდა, მეორეზე – ბლოკი „სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა", მესამეზე – საქართველოს ლეიბორისტული პარტია, მეოთხეზე – „დემოკრატიული აღორძინების კავშირი", ხოლო მეხუთეზე – ბლოკი „ბურჯანაძე – დემოკრატები".[162]

მას შემდეგ, რაც ცესკომ არჩევნების წინასწარი რეზულტატი გაასაჯაროვა, „სამართლიანმა არჩევნებმა", არასამთავრობო ორგანიზაციამ, საუბნო საარჩევნო კომისიათა მიერ დამტკიცებული ოქმების მიხედვით მომზადებული პარალელური დათვლის შედეგებიც გამოაქვეყნა. ეს მონაცემები ოფიციალური შედეგებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. პარალელური დათვლები ააშკარავებდა, რომ სახელისუფლებო ბლოკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველი პარტიის, დემოკრატიული აღორძინების კავშირის, მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, ცესკოს შედეგებით, გაზრდილი იყო, ხოლო ოპოზიციის მიერ მოპოვებული ხმათა რაოდენობა – შეკვეცილი.

ოპოზიციის ნაწილმა წინასწარი შედეგების გამოქვეყნებისთანავე ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები წამოიწყო. ოპოზიციას ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი მიხეილ სააკაშვილი, მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია მეთაურობდნენ. ოპოზიცია ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდა და თავდაპირველად – არჩევნების შედეგების გაუქმებას, შემდეგ კი პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომას მოითხოვდა. ოპოზიციური პარტიები აღმოჩენილ ხარვეზებზე საუბრობდნენ და განსაკუთრებით გაყალბების იმ შემთხვევებს აპროტესტებდნენ, რომლებიც ქვემო ქართლის რეგიონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო უბნებზე დაფიქსირდა. საპროტესტო აქციები რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. იმავდროულად, მხარდამჭერთა მობილიზაციას სახელისუფლებო ბლოკი და აჭარის მმართველი პარტიაც ცდილობდა და შესაბამის აქციებსაც მართავდა. ამ ვითარებაში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და ოპოზიციის ლიდერებს შორის რამდენიმერაუნდიანი შეხვედრა შედგა.

2003 წლის 20 ნოემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საყოველთაო მღელვარებისა და ფაქტობრივი პოლიტიკური კრიზისის ფონზე, საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი გამოსცა. ოქმში ვკითხულობდით:

ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიხედვით, რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა იყო 3 178 593,

არჩევნებში მონაწილეობდა 1 909 215 ამომრჩეველი,

აქტივობამ შეადგინა 60%,

გაბათილდა 65 641 ბიულეტენი,

ცესკომ 70-ზე მეტი საარჩევნო უბნის მონაცემები გააუქმა.

შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ბლოკი „ახალი საქართველო" – 407 045 – 21.32%,
2. დემოკრატიული აღორძინების კავშირი – 359 769 – 18.84%,
3. ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" – 117 785 – 6.17%,
4. ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 229 900 – 12.04%,
5. ბლოკი „სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა" – 345 197 – 18.08%,
6. ერთიანი კომუნისტური პარტია – 8 031 – 0.42%,
7. ბლოკი „ბურჯანაძე – დემოკრატები" – 197 908 – 8.79%,
8. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი" – 1 627 – 0.09%,
9. პ/გ „ერთიანი საქართველო" – 2 958 – 0.15%,
11. არასახელისუფლებო ბლოკი „სამშობლო" – 582 – 0.03%,
12. ბლოკი „ახალი მემარჯვენეები" – 140 259 – 7.35%,
13. ბლოკი „ჯუმბერ პატიაშვილი – პ/გ ერთობა" – 34 584 – 1.81%,
14. გაერთიანება „დედა-სამშობლო" – 1 247 – 0.07%,
15. ბლოკი „ეროვნული თანხმობა – იბერიის გაბრწყინება" – 15 772 – 0.83%,
16. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია – 342 – 0.02%,
17. მრეწველობისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტია – 2 659 – 0.14%,
18. ბლოკი „მშვიდობიანი კავკასია" – 2 403 – 0.13%,
19. საქართველოს სახალხო კაპიტალისტური პარტია – 506 – 0.03%,
20. სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი – 680 – 0.04%,

161 გაზ. „კვირის პალიტრა", 3-9 ნოემბერი, გვ. 1.

162 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2003 წლის 4 ნოემბერი, გვ. 1.

21. პ/გ „ქალთა დაცვის კავშირი“ – 902 – 0.05%,
22. საქართველოს ადვოკატები – 1 479 – 0.08%.[163]

ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 7%-იანი საარჩევნო ბარიერი გადალახა და მანდატები მოიპოვა ექვსმა პოლიტიკურმა სუბიექტმა. ესენი იყვნენ:

1. ბლოკი „ახალი საქართველო“ – 38 მანდატი,
2. დემოკრატიული აღორძინების კავშირი – 33 მანდატი,
4. ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 20 მანდატი,
5. ბლოკი „სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა“ – 32 მანდატი,
7. ბლოკი „ბურჯანაძე – დემოკრატები“ – 15 მანდატი,
12. ბლოკი „ახალი მემარჯვენეები“ – 12 მანდატი.[164]

ცესკოს განცხადებით, 3 ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში შედეგები გაუქმდა და განმეორებითი არჩევნები დაინიშნა, პოლიტიკურ სუბიექტთა შორის კი მაჟორიტარული მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ – 19,

ბლოკი „სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა“ – 10,

დემოკრატიული აღორძინების კავშირი – 6,

ბლოკი „ბურჯანაძე – დემოკრატები“ – 4,

ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 4,

საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 3,

დამოუკიდებელი კანდიდატები – 21.[165]

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები, რომლებიც არჩევნების საბოლოო შედეგებს მკაცრად აკრიტიკებდნენ და მწვავე შეფასებებს აქვეყნებდნენ, ყურადღებას განსაკუთრებით იმ ფაქტზე ამახვილებდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა და დემოკრატიული არჩევნები ვერ უზრუნველყო. სადამკვირვებლო მისიები უხეშ დარღვევათა ფაქტებს ამხეურებდნენ.

2003 წლის 23 ნოემბერს, როდესაც საქართველოს ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა დაინიშნა, ოპოზიციის ნაწილი პარლამენტის შენობის გარეთ, რუსთაველის გამზირზე, საპროტესტო აქციებს მართავდა და პარლამენტის სხდომას ბოიკოტს უცხადებდა. ოპოზიციონერები მოითხოვდნენ, რომ უზენაეს სასამართლოს საპარლამენტო არჩევნები გაეუქმებინა, ხელისუფლებას კი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აეღო. სხდომის მიმდინარეობისას ოპოზიციის ლიდერები და აქციის მონაწილეები პარლამენტის შენობაში შეიჭრნენ. სხდომა ჩაიშალა.

იმავე დღეს, ოპოზიციის ლიდერებთან გამართული შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თანამდებობიდან გადადგა, პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას კი მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარე და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ნინო ბურჯანაძე შეუდგა.

პრეზიდენტი გადადგა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კი არჩევნების პროპორციული ნაწილის გაუქმების შესახებ ოპოზიციის სარჩელი დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ უზენაესმა სასამართლომ არც მაჟორიტარული სისტემით გამართული არჩევნების შედეგები გააუქმა და არც არჩევნებთან ერთად ჩატარებული რეფერენდუმის შედეგი, რომლის მიხედვითაც პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150-მდე უნდა შემცირებულიყო.

მშვიდობიანმა რევოლუციამ საქართველოში მოქმედი პარლამენტის საქმიანობის ვადა დროებით გაახანგრძლივა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წლის 5 იანვრისათვის დანიშნა, ხოლო საპარლამენტო არჩევნები რამდენიმე თვით გადაიდო.

163 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003 წლის 21 ნოემბერი, გვ. 3.

164 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2003 წლის 21 ნოემბერი, გვ. 3.

165 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებისათვის იხ. ბმული: http://www.ivote.ge/archevnebi/saparlamento-archevnebi/saparlamento-archevnebi-2003/14579-saparlamento-archevnebis-shedegebi-2003-ts.html?lang=ka-GE

According to the CEC of Georgia, the voter turnout in the 2 November 2003 elections exceeded[161] 60%. Based on the data released by the CEC on 4 November 2003, the governmental bloc "New Georgia" took the first place, "Saakashvili-National Movement" bloc came in second, the Georgian Labor Party came in third, the "Democratic Union for Revival" came in fourth, and the "Burjanadze – Democrats"[162] bloc came in fifth.

After the CEC released the preliminary results of the elections, the "International Society for Fair Elections And Democracy (ISFED)", a non-governmental organization, also published the results of the parallel vote count (PVT) prepared according to the protocols approved by the precinct election commissions (PECs). This data differed significantly from the official results. PVT revealed that the number of votes received by the governmental bloc and "Democratic Union for Revival" - the ruling party of the Autonomous Republic of Adjara was increased by the CEC results, while the number of votes received by the opposition was reduced.

Immediately after releasing preliminary results, a part of the opposition launched large-scale protests. The opposition was led by Mikheil Saakashvili, the leader of the National Movement and former Justice Minister and former parliament chairs Nino Burjanadze and Zurab Zhvania. The opposition accused the government in election fraud and initially demanded the annulment of election results and then resignation of president and government. The opposition parties were discussing the shortcomings and were particularly protesting the cases of falsification identified in polling stations of Kvemo Kartli region and Autonomous Republic of Adjara. Protests continued for several weeks. At the same time, the governmental bloc and ruling party of Adjara were trying to mobilize its supporters and were holding respective rallies. In this situation, several multi-round meetings were held between President Eduard Shevardnadze and the opposition leaders.

On 20 November 2003, the CEC amid general unrest and practically political crisis released the summary protocol of Parliamentary Elections. The protocol stated:

According to the unified list of voters, the total number of registered voters stood at 3 178 593,

1 909 215 voters took part in elections,

Turnout amounted to 60%,

65 641 ballot papers were annulled,

The CEC annulled the data of more than 70 polling stations.

According to the summary protocol, the votes among political subjects were distributed as follows:

1. "New Georgia" bloc – 407 045 – 21.32%,
2. Democratic Union for Revival– 359 769 – 18.84%,
3. "Industry Saves Georgia" bloc – 117 785 – 6.17%,
4. Labour Party– 229 900 – 12.04%,
5. "Saakashvili – National Movement" bloc – 345 197 – 18.08%,
6. United Communist Party – 8 031 – 0.42%,
7. "Burjanadze – Democrats" bloc -197 908 – 8.79%,
8. National-State Political Union "Victorious" – 1627 – 0.09%,
9. P/U "United Georgia" – 2 958 – 0.15%,
11. Non-Governmental bloc "Homeland" – 582 – 0.03%,
12. "New Rights" bloc – 140 259 – 7.35%,
13. "Jumber Patiashvili – P/U Unity" bloc – 34 584 – 1.81%,
14. "Motherland" Union – 1 247 – 0.07%,
15. "National Concord - Iberia Shines" Bloc – 15 772 – 0.83%,
16. Party for the Protection of Constitutional Rights – 342 – 0.02%,
17. Georgian Industry and Economic Development Party – 2 659 – 0.14%,
18. "Peaceful Caucasus" bloc– 2 403 – 0.13%,
19. People's Capitalist Party of Georgia – 506 – 0.03%,
20. All-Georgian People's Alliance – 680 – 0.04%,
21. P/U "Women's Protection Union" – 902 – 0.05%,
22. Georgian Advocates -1 479 – 0.08%.[163]

Six political subjects crossed 7% electoral threshold and received mandates, according to data released by the CEC, namely:

1. "New Georgia" bloc – 38 mandates,
2. Democrat Union for Revival – 33 mandates,
4. Labour Party – 20 mandates,
5. "Saakashvili – National Movement" bloc – 32 mandates,
7. "Burjanadze – Democrats" bloc – 15 mandates,
12. "New Rights" bloc – 12 mandates.[164]

Results were annulled in 3 single-member majoritarian districts and repeat elections were appointed, according to the CEC. Majoritarian seats among political subjects were distributed as follows:

161 Newspaper "Kviris Palitra", 3-9 November, p.1.

162 Newspaper "Sakatvelos Respublika", 4 November 2003, p.1.

163 Newspaper "Sakartvelos Respublika", 21 November 2003, p. 3.

164 Newspaper "Sakartvelos Respublika", 21 November 2003, p. 3.

“New Georgia” bloc – 19,

“Saakashvili – National Movement” bloc – 10,

Democratic Union for Revival – 6,

“Burjanadze – Democrats” bloc – 4,

“Industry Saves Georgia” bloc – 4,

Labour Party of Georgia – 3,

Independent candidates – 21.[165]

International observer organizations who were strongly criticizing the final results of the election and issued harsh assessments drew particular attention to the fact that the Georgian government failed to meet its obligations and ensure democratic elections. Monitoring missions were exposing the facts of gross violations.

On 23 November 2003 when the first session of Georgia's newly elected parliament was convened, part of the opposition held rallies outside the parliament building on Rustaveli Avenue and boycotted the parliamentary session. Opposition members were demanding the Supreme Court to annul the Parliamentary Elections and to hold the government accountable. During the session, the opposition leaders broke into the parliament building. The opening session failed.

On the same day, following the meeting with the leaders of the opposition, President Eduard Shevardnadze resigned, and Nino Burjanadze, the incumbent Chair of the Parliament and one of the leaders of the opposition, took over the presidency.

The president resigned and the Supreme Court of Georgia upheld opposition complaint on annulling results of proportional elections. It should be noted that the Supreme Court neither annulled the results of the majoritarian elections nor the results of the referendum, which was supposed to reduce the number of members of parliament to 150.

The peaceful revolution has temporarily extended the term of the parliament in Georgia. Acting President appointed Presidential Elections on 5 January 2004 and Parliamentary Elections were postponed for several months.

165 See the results of 2003 Parliamentary Elections at the following link: http://www.ivote.ge/archevnebi/saparlamento-archevnebi/saparlamento-archevnebi-2003/14579-saparlamento-archevnebis-shedegebi-2003-ts.html?lang=ka-GE

# საქართველოს 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმი პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების შესახებ

მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა, საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობის შემცირების შესახებ დისკუსია კვლავაც გრძელდებოდა. 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი 235 წევრისგან შედგებოდა. ესა თუ ის პოლიტიკური პარტია, არასამთავრობო ორგანიზაცია და მოქალაქეთა გაერთიანება საქართველოს მსგავსი მცირემასშტაბიანი ქვეყნისათვის საკანონმდებლო ორგანოს ამდენად მრავალრიცხოვანი შემადგენლობის არსებობას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს წინ უძღვოდა ფართო კამპანია, რომელიც პარლამენტის წევრთა რაოდენობის შეკვეცას მოითხოვდა. შეგროვებული ხელმოწერების მიხედვით, 218 000-ზე მეტი მოქალაქე ამ პრობლემის გადასაწყვეტად რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვდა. თუმცა ამ ტიპის რეფერენდუმის სამართლებრივი საფუძვლები ერთობ სადავო იყო, რადგან რეფერენდუმი, კონსტიტუციის თანახმად, რომელიმე კანონის შემოსაღებად ან გასაუქმებლად ვერ ჩატარდებოდა. ამასთან ერთად, ხელყოფილი ტერიტორიული მთლიანობაც პრობლემას ქმნიდა. რეფერენდუმი, ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარებულიყო, არადა კონფლიქტური სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ამგვარი საერთო-სახალხო გამოკითხვისათვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დიდი ნაწილი მასში მონაწილეობას ვერ მიიღებდა.

საბოლოოდ, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის 2003 წლის 2 სექტემბრის ბრძანებით გადაწყდა, რომ 2003 წლის 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან ერთად რეფერენდუმიც ჩატარებულიყო. მოსახლეობას უნდა ეპასუხა შემდეგ შეკითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდეს და განისაზღვროს არა უმეტეს 150 დეპუტატით?"[166] იმთავითვე გაცხადდა ისიც, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, რეფერენდუმის შედეგები შემდეგი მოწვევის პარლამენტზე აისახებოდა.

წინასაარჩევნო პერიოდში ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ რეფერენდუმის მხარდამჭერი კამპანია გააჩაღა. ძირითადი პოლიტიკური პარტიები და მათი გულშემატკივრები მხარს უჭერდნენ საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

2003 წლის 20 ნოემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმის შედეგები შეაჯამა და ოქმად გამოსცა. შემაჯამებელ ოქმში თავმოყრილი იყო შემდეგი მონაცემები:

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა – 3 178 593,

რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა – 2 031 057,

ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა – 123 466,

იმ მოქალაქეთა რაოდენობა, ვინც კითხვას დადებითად უპასუხა – 1 590 309,

იმ მოქალაქეთა რაოდენობა, ვინც კითხვას უარყოფითად უპასუხა – 184 209.

მთლიანობაში, პარლამენტის შემადგენლობის შეკვეცას მხარი დაუჭირა და სარეფერენდუმო შეკითხვას დადებითად უპასუხა ამომრჩეველთა 89.61%-მა, განსხვავებულ პოზიციაზე იყო მხოლოდ 10.39%.[167]

2003 წლის 2 ნოემბერს პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები გაუქმდა, თუმცა მასთან ერთად გამართული რეფერენდუმის მონაცემები არ გასაჩივრებულა და ძალაში დარჩა.

კამათი და დავა იმის თაობაზე, თუ რამდენად კონსტიტუციური იყო ჩატარებული რეფერენდუმი, შემდგომშიც გაგრძელდა. 2007 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც პარლამენტის წევრების რაოდენობა 235-დან 150-მდე შემცირდა.

166 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 2003 წლის 4 სექტემბერი, გვ. 1.

167 გაზ. „ახალი თაობა", 2003 წლის 21 ნოემბერი, გვ. 4.

# 2 NOVEMBER 2003 GEORGIA'S REFERENDUM ON REDUCATION OF MEMBERS OF PARLIAMENT

After Georgia's independence was restored, discussions on reducing the number of members of the legislative body continued. According to the 1995 Constitution, the Parliament of Georgia consisted of 235 members. This or that political party, non-governmental organization, and citizens' union considered having such a large composition of the legislative body unreasonable for a small country like Georgia.

The 2003 Parliamentary Elections were preceded by a large-scale campaign to reduce the number of members of parliament. According to the collected signatures, more than 218 000 citizens demanded a referendum to solve this problem. However, the legal basis for this type of referendum was somewhat questionable, as according to the constitution, the referendum could not be held to adopt or annul any law. At the same time, the violation of territorial integrity caused a problem. According to the organic law, the referendum should have been held on the whole territory of Georgia, but the military-political situation and conflict was an important obstacle for such a public poll to take place. A large part of the former Autonomous Republic of Abkhazia and the former South Ossetian Autonomous Region were not able to participate in it.

In the end, by the order of President Eduard Shevardnadze of 2 September 2003, it was decided to hold a referendum on 2 November 2003 together with the Georgian Parliamentary Elections. The population had to answer the following question: "Do you agree that the number of members of the Parliament of Georgia should be reduced and determined by no more than 150 deputies[166]?" It was also announced that if the issue is resolved positively, the results of the referendum will be reflected in the next convocation of parliament.

In the pre-election period, some non-governmental organizations launched a campaign in support of the referendum. Key political parties and their supporters have been in favor of resolving the issue.

On 20 November 2003, the CEC summarized the results of the 2 November 2003 referendum and released the protocol. The following data were collected in the summary protocol:

The total number of voters was 3 178 593,

The number of participants in the referendum was 2 031 057,

The number of invalid ballot papers was 123 466,

The number of citizens with a positive answer on question – 1 590 309,

The number of citizens with a negative answer on question – 184 209.

Overall, 89.61% of voters supported the reduction of the composition of the parliament and answered positively on the referendum question, only 10.39%[167] expressed the opposite position.

The results of the 2 November 2003 elections by the proportional system were annulled, but the data of the referendum held with it were not appealed and remained in force.

The debate over how constitutional the referendum was has continued. In 2007, Georgian parliament approved constitutional amendments that reduced the number of members of parliament from 235 to 150.

166 Newspaper "Sakartvelos Respublika", 4 September 2003, p.1.

167 Newspaper "Akhali Taoba", 21 November 2003, p.4.

# საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 4 იანვრის რიგგარეშე არჩევნები

2003 წლის 23 ნოემბრის რევოლუციამ მმართველი პოლიტიკური ძალა – მოქალაქეთა კავშირი – ხელისუფლებას ჩამოაცილა. ეს პარტია, უწინ მმართველი პოლიტიკური ძალა, ძირეულად ვერ გარდაიქმნა და, ფაქტობრივად, დაიშალა. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ბურჯანაძემ, საპრეზიდენტო არჩევნები მალევე დანიშნა. არჩევნების თარიღად 2004 წლის 4 იანვარი გამოცხადდა.

ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ბათილად გამოცხადებული არჩევნების ორგანიზატორი იყო, რევოლუციის შემდეგ დაითხოვეს. ცესკოს ახალ თავმჯდომარედ ზურაბ ჭიაბერაშვილი დაინიშნა, მდივნის თანამდებობა დიმიტრი ქიტოშვილმა დაიკავა. ცესკომ არ დააყოვნა და საარჩევნო სიების დაზუსტება დაიწყო. ამომრჩეველთა რაოდენობა, უწინდელთან შედარებით, თითქმის 900 000-ით შემცირდა.

2003 წლის დეკემბერში ცესკო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მოსურნე კანდიდატთა რეგისტრაციას შეუდგა. კანდიდატობის მსურველებმა, ამ პერიოდისათვის მოქმედი საარჩევნო კანონის შესატყვისად, მოქალაქეთა ხელმოწერები წარადგინეს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა პრეზიდენტობის 6 კანდიდატი:

1. როინ ლიპარტელიანი,
2. ქართლოს ღარიბაშვილი,
3. ზურაბ ქელეხსაშვილი,
4. თეიმურაზ შაშიაშვილი,
5. მიხეილ სააკაშვილი,
6. ზაზა სიხარულიძე.

წინასაარჩევნო კამპანია კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მალევე დაიწყო, თუმცა პოსტრევოლუციურ პერიოდში მედიის მთელი ყურადღება მიხეილ სააკაშვილისადმი იყო მიპყრობილი, რადგან რევოლუციური მოძრაობის ლიდერი სწორედ ის გახლდათ. სხვა კანდიდატთა საქმიანობის ამსახველი სააგიტაციო მასალა, ფაქტობრივად, არ ვრცელდებოდა.

უშუალოდ საპრეზიდენტო არჩევნებმა 2004 წლის 4 იანვარს უმეტესად მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა, თუმცა დარღვევებიც იყო და რამდენიმე უბნის შედეგები კიდეც გაუქმდა. რაც შეეხება კოდორის ხეობასა და მის უბნებს, აქ არჩევნები სრულად ჩაიშალა.





მოქალაქეები საარჩევნო უბანზე, 2004 წლის 4 იანვარი, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Citizens at polling station, 4 January 2004,
the newspaper "Sakartvelos Respublika"
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

# 4 JANUARY 2004 EXTRAORDINARY PRESIDENTIAL ELECTIONS OF GEORGIA

The 23 November revolution overthrew the ruling political force, the Citizens' Union from the government. This party, a former ruling political force, could not be fundamentally transformed and, in fact, fell apart. Nino Burjanadze, acting President appointed the Presidential Elections shortly. 4 January 2004 was announced as the E-day.

The Central Election Commission (CEC), that organized the annulled election, was dissolved after the revolution. Zurab Chiaberishvili was appointed as the new chair of the CEC, Dimitri Kitoshvili took the position of Secretary. The CEC did not hesitate to start verifying the voter lists. The number of voters has decreased by almost 900 000 compared to the previous one.

In December 2003, the CEC started registering candidates for the presidential election. Candidates submitted citizens' signatures to comply with the current election law.

The CEC registered six presidential candidates:

1. Roin Liparteliani,
2. Kartlos Gharibashvili,
3. Zurab Kelekhsashvili,
4. Teimuraz Shashiashvili,
5. Mikheil Saakashvili,
6. Zaza Sikharulidze.

The pre-election campaign began shortly after the registration of candidates, but during the post-revolutionary period, all media attention was focused on Mikheil Saakashvili, as he was the leader of the revolutionary movement. The agitation material portraying the activities of other candidates, practically, did not spread.

4 January 2004 presidential election was mostly peaceful, but there were irregularities and the results of several polling stations were annulled. As for the Kodori Gorge and its polling stations, the elections there have completely failed.



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე საარჩევნო უბანზე, 2004 წლის 4 იანვარი,გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Eduard Shevardnadze, a former president of Georgia at the polling station, 4 January 2004, the newspaper “Sakartvelos Respublika”
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი საარჩევნო უბანზე, 2004 წლის 4 იანვარი, გაზეთი „ახალი თაობა“
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Mikheil Saakashvili, a presidential candidate at the polling station, 4 January 2004, the newspaper "Akhali Taoba"
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების დასრულებიდან მალევე განაცხადა, რომ მოქალაქეთა აქტივობამ საპრეზიდენტო არჩევნებში 88%-ს მიაღწია. წინასწარი შედეგების მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების 96%-ზე მეტი ანუ აბსოლუტური უმრავლესობა მიხეილ სააკაშვილმა მოიპოვა.

საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელ ოქმში, რომელიც საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2004 წლის 15 იანვარს გამოსცა, განცხადებული იყო:

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 2 231 986,

არჩევნებში მონაწილეობდა 1 963 556 ამომრჩეველი,

ბათილად ჩაითვალა 13 571 ბიულეტენი.

ამომრჩეველთა ხმები, ცესკოს ინფორმაციით, კანდიდატთა შორის ამგვარად გადანაწილდა:

როინ ლიპარტელიანი – 5 154 – 0.26%,

ქართლოს ღარიბაშვილი – 4 192 – 0.21%,

ზურაბ ქელეხსაშვილი – 1 901 – 0.10%,

თეიმურაზ შაშიაშვილი – 36 398 – 1.85%,

მიხეილ სააკაშვილი – 1 890 256 – 96.27%,

ზაზა სიხარულიძე – 4 782 – 0.24%.[168]

168 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2004 წლის 15 იანვრის შემაჯამებელი ოქმი, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

Shortly after the election, the CEC announced that the voter turnout in the presidential election reached 88%. According to preliminary results, Mikheil Saakashvili won more than 96% so an absolute majority of the vote in the presidential election.

The summary protocol of the Presidential Elections, published by the CEC of Georgia on 15 January 2004, stated:

The total number of voters was 2 231 986,

1 963 556 voters participated in elections,

13 571 ballot papers were deemed invalid.

According to the CEC, the votes were distributed among the candidates as follows:

Roin Liparteliani – 5 154 – 0.26%,

Kartlos Gharibashvili – 4 192 – 0.21%,

Zurab Kelekhsashvili – 1 901 – 0.10%,

Teimuraz Shashiashvili – 36 398 – 1.85%,

Mikheil Saakashvili – 1 890 256 – 96.27%,

Zaza Sikharulidze – 4 782 – 0.24%.[168]



2004 წლის 15 იანვარი

ოქმი

I. [illegible] 2,231,986

II. [illegible] 1,963,556

III. [illegible] 13,571

IV. [illegible] 324

V. [illegible] 67

VI. [illegible]

| № | [illegible] | [illegible] | % |
|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 5 154 | 0,26% |
| 2 | [illegible] | 4 192 | 0,21% |
| 3 | [illegible] | 1 901 | 0,10% |
| 4 | [illegible] | 36 398 | 1,85% |
| 5 | [illegible] | 1 890 256 | 96,27% |
| 6 | [illegible] | 4 782 | 0,24% |

VII. [illegible]

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2004 წლის 15 იანვრის შემაჯამებელი ოქმი
*დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of the Central Election Commission of 15 January 2004
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission*

168 See the summary protocol of the Central Election Commission of 15 January 2004. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

# საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 28 მარტის ხელახალი არჩევნები

2003 წლის 23 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული ნაწილის შედეგები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილებით, გაუქმდა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ არჩევნების პროპორციულ სისტემას შეეხო, ხოლო მაჟორიტარული სისტემით გამართული არჩევნების შედეგები ძალაში დარჩა.

„ვარდების რევოლუციისა“ და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ, პირველ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანად ახალი პრეზიდენტის არჩევა მიიჩნეოდა, ხოლო საპარლამენტო არჩევნები რამდენიმე თვით გადაიდო.

საპრეზიდენტო არჩევნები 2004 წლის 4 იანვარს ჩატარდა. მიხეილ სააკაშვილმა, ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, საპარლამენტო არჩევნების თარიღად 2004 წლის 28 მარტი გამოაცხადა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობა, რომელიც რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა და რომელსაც ზურაბ ჭიაბერაშვილი თავმჯდომარეობდა, არჩევნებისათვის სამზადისს შეუდგა. კომისიის მდივნის პოსტს დიმიტრი ქიტოშვილი იკავებდა. ხელახალ საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველი პროპორციული სისტემით 150 დეპუტატს აირჩევდა. ამასთანავე, 1999 წლის საკანონმდებლო ცვლილებათა თანახმად, პროპორციულ არჩევნებზე კვლავ 7%-იანი ბარიერი შენარჩუნდებოდა.

ცესკომ საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია 2004 წლის თებერვალში დაიწყო. საარჩევნო სუბიექტთა კონფიგურაცია, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, ყოფილი მმართველი პარტია, არჩევნებში აღარ მონაწილეობდა. სამაგიეროდ, ახალი საარჩევნო ბლოკები შეიქმნა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პროცედურათა დაცვით შემდეგი 17 საარჩევნო სუბიექტები დაარეგისტრირა:

1. სოციალისტური პარტია,
2. დემოკრატიული აღორძინების კავშირი,
3. ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლები“,
4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია,
5. ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები,
6. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია,
7. ედპ – ტრადიციონალისტები,
8. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პ/გ „მძლეველი“,
10. ნაციონალისტები,
11. ბლოკი „სამშობლო“,
12. ბლოკი „ნაციონალური აღორძინება“,
13. ბლოკი „ჯუმბერ პატიაშვილი პ/გ „ერთობა““,
14. დემოკრატიული სიმართლის პარტია,
15. საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია,
16. ნოდარ ნათაძე – სახალხო ფრონტი,
18. პ/მ „თავისუფლება – კონსტანტინე ზ. გამსახურდია“,
20. სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი.[169]

საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ძირითადი პარტიებისა და ბლოკების კანდიდატთა სიები პრესაში რეგულარულად ქვეყნდებოდა.[170]

მთავრობამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ხელახალი საპარლამენტო არჩევნების საორგანიზაციო ხარჯებისთვის 7 მილიონი ლარი გამოუყო.[171] წინასაარჩევნო სამზადისი დაიწყო, ცენტრალური ხელისუფლებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეჟიმის მესვეურთა ურთიერთობა კი უფრო და უფრო იძაბებოდა. ავტონომიურ რესპუბლიკაში არჩევნებისათვის სამზადისს ეს, ცხადია, ძლიერ აფერხებდა. თავის მხრივ, ასლან აბაშიძის რეჟიმი ოპოზიციურ პარტიებს თავისუფალი საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალებას კვლავაც არ აძლევდა.

169 იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2004 წლის 18 აპრილის შემაჯამებელი ოქმი, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

170 გაზ. „რეზონანსი“, 2004 წლის 27 თებერვალი, გვ. 2.

171 გაზ. „რეზონანსი“, 2004 წლის 2 მარტი, გვ. 5.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა ათობით საერთაშორისო და ადგილობრივმა სადამკვირვებლო მისიამ. მიმდინარე არჩევნების მონიტორინგი სწორედ მათ ეკისრებოდათ. ეუთოსა და ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციები წინასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობასაც აკვირდებოდნენ.[172]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო სუბიექტების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო რესურსების გამოყენების წესები დაადგინა. განისაზღვრა საეთერო დრო და საგაზეთო სვეტების მოცულობა, რომლებიც პოლიტიკურ სუბიექტებს დაეთმობოდათ. თუმცა, ოპოზიციის განცხადებით, ამ რესურსებით, ძირითადად, სამთავრობო ძალები სარგებლობდნენ, მასზე ხელი ყველას როდი მიუწვდებოდა.

პოლიტიკური სუბიექტები წინასაარჩევნო პერიოდში 2003 წლის 2 ნოემბრისათვის დამზადებულ პლაკატებს იყენებდნენ, თუმცა ახალი პოლიტიკური ძალები და ბლოკები საარჩევნო მასალებს აახლებდნენ.




ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლები“ – საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Rightist Opposition-Industrialists, New Rightists” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“ – საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “National Movement – Democrats” Bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ხელმეორე არჩევნებისას, რომელმაც 2004 წლის 28 მარტს, ძირითადად, მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, რამდენიმე ინციდენტი მაინც მოხდა. ცესკოს განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლების ძალოვანი უწყებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საუბნო კომისიათა მუშაობას ხელს უშლიდნენ და ოქმების შედგენის პროცესს აბრკოლებდნენ. აქ მართლაც ურთულესი ვითარება იყო.[173] სხვა მხრივ, მეტეოროლოგიური პირობების გამო, კოდორის ხეობაში არჩევნები 2004 წლის 8 აპრილამდე გადაიდო. ოპოზიცია ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდა. ლეიბორისტული პარტია, რომლის წევრებიც, მათივე განცხადებით, არჩევნების დღეებში ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიტაცეს, განსაკუთრებით მწვავე განცხადებებს აკეთებდა. საპარლამენტო არჩევნებს თვალს ადევნებდა ასობით საერთაშორისო და ათასობით ადგილობრივი დამკვირვებელი.

172 გაზ. „რეზონანსი“, 2004 წლის 16 მარტი, გვ. 7.
173 გაზ. „ახალი თაობა“, 2004 წლის 30 მარტი, გვ. 1.

# 28 MARCH 2004 REPEAT PARLIAMENTARY ELECTIONS OF GEORGIA

On 23 November 2003, the results of the proportional part of the 2 November 2003 Georgian Parliamentary Elections were annulled by a decree of the Supreme Court of Georgia. The decision of the Supreme Court concerned only elections by the proportional system, and the results of the elections held by the majoritarian system remained in force.

After the "Rose Revolution" and the resignation of President Eduard Shevardnadze, the election of a new president was considered to be the first important political task, and the Parliamentary Elections were postponed for several months.

Presidential Elections were held on 4 January 2004. Mikheil Saakashvili, the newly elected president, announced

28 March 2004 as the date for the Parliamentary Elections. The new composition of the Central Election Commission (CEC), which was formed after the revolution and was chaired by Zurab Chiaberishvili, has started preparations for the elections. Dimitri Kitoshvili held position of secretary of the Commission. In repeat Parliamentary Elections, voters would elect 150 deputies by proportional representation. At the same time, according to the 1999 legislative amendments, the 7% threshold would still be maintained in the proportional elections.

The CEC launched registration of election subjects in February 2004. The configuration of election subjects has changed significantly compared to the 2 November 2003 elections. Citizen's Union of Georgia, the former ruling party was not running in elections. Instead, new election blocs emerged. The CEC has registered the following 17 election subjects in accordance with the procedures:

1. Socialist Party,
2. Democratic Union for Revival,
3. "Rightist opposition – Industrialists, New Rights" Bloc,
4. Labour Party of Georgia,
5. National Movement – Democrats,
6. United Communist Party of Georgia,
7. NDP- Traditionalists,
8. Georgian National-State P/U "Victorious",
10. Nationalists,
11. "Fatherland" Bloc,
12. "National Revival" Bloc,
13. "Jumber Patiashvili P/U "Unity" Bloc,
14. Party of Democratic Truth,
15. National Ideology Party of Georgia,
16. Nodar Natadze – People's Front,
18. P/M "Freedom – Konstantine Z. Gamsakhurdia",
20. All-Georgian People's Alliance.[169]

After the registration of election subjects, the lists of candidates of the main parties and blocs were regularly released[170] in the press.

The government allocated[171] 7 million GEL to the CEC for organizational costs of the repeat Parliamentary Elections. Pre-election preparations have begun, and the relationship between the central government and the leaders of the regime of the Autonomous Republic of Adjara has become increasingly tense. This obviously strongly hindered the preparations for the elections in the Autonomous Republic. For its part, Aslan Abashidze's regime did not allow opposition parties to run a free election campaign.

Dozens of international and local observation missions registered with the CEC. They were in charge of monitoring the ongoing elections. The parliamentary delegations of the OSCE and the Council of Europe also observed[172] the progress of the pre-election process.

The CEC established the rules for the use of state resources by election subjects during the pre-election period. Airtime and amount of newspaper columns were determined to be dedicated to political subjects. However, according to the opposition, these resources were mainly used by government forces and not everyone had access to them.

During the pre-election period, political subjects used posters made for 2 November 2003, but new political forces and blocs renewed election materials.

169 See the summary protocol of the Central Election Commission of 18 April 2004. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

170 Newspaper "Rezonansi", 27 February 2004, p. 2.

171 Newspaper "Rezonansi", 2 March 2004, p. 5.

172 Newspaper "Rezonansi", 16 March 2004, p. 7.

The 28 March 2004 repeat elections were held mostly in a calm environment, but a few incidents still took place. According to the CEC, the law enforcement agencies of the local government were hindering the work of the precinct commissions in the Autonomous Republic of Adjara and impeding the process of drawing up the protocols. Indeed, it was an extremely difficult situation there. On the other hand, due to meteorological conditions, the elections in Kodori Gorge were postponed until 8 April 2004. The opposition accused the government of electoral fraud. The Labour Party, whose members were reportedly abducted by government officials in the days leading up to the elections, were making particularly harsh statements. Hundreds of international and thousands of local observers were monitoring the Parliamentary Elections.





მოქალაქეები საარჩევნო უბნებზე, 2004 წლის 28 მარტი, გაზეთი „კვირის პალიტრა“
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Citizens at polling stations, 28 March 2004, the newspaper “Kviris Palitra”
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*





ეუთოს დელეგაციის დამკვირვებლები საარჩევნო უბანზე, 2004 წლის 28 მარტი, გაზეთი „რეზონანსი“
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

OSCE/ODIHR delegation observers at polling station, 28 March 2004, the newspaper “Rezonansi”
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე საარჩევნო უბანზე, 2004 წლის 28 მარტი, გაზეთი „ახალი თაობა“, 2004 წლის 29 მარტი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Aslan Abashidze, a Leader of Autonomous Republic of Adjara at the polling station, 28 March 2004, the newspaper “Akhali Taoba”, 29 March 2004
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

არჩევნების დასრულებიდან რამდენიმე საათში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ ხელახალ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა დაახლოებით 64% მონაწილეობდა. წინასწარი შედეგებით, საარჩევნო ბარიერს, სავარაუდოდ, ორი პოლიტიკური სუბიექტი („ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“ და ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლები“) გადალახავდა, ხოლო ლეიბორისტული პარტია, რომელიც ბარიერს სხვებზე მეტად მიუახლოვდა, არსებული მონაცემებით, ხმათა დაახლოებით 6%-ს მოაგროვებდა.

2004 წლის 18 აპრილს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2004 წლის 28 მარტის ხელახალი საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი გამოსცა. ამ ოქმის თანახმად, უხეშ დარღვევათა გამო, ქობულეთისა და ხულოს ოლქების ყველა უბნის შედეგები სრულად გაუქმდა. ამასთანავე, საარჩევნო კოდექსის უგულებელყოფის გამო, სხვადასხვა ოლქის 50-მდე საარჩევნო უბნის შედეგებიც გაბათილდა.

2004 წლის 18 აპრილის შემაჯამებელი ოქმის თანახმად:

ერთიან სიაში რეგისტრირებული იყო 2 343 087 ამომრჩეველი,

არჩევნებში მონაწილეობდა 1 498 012 ამომრჩეველი

ბათილად ცნეს 33 329 ბიულეტენი.

საარჩევნო სუბიექტთა შორის ამომრჩეველთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. სოციალისტური პარტია – 7 229 – 0.48%,
2. დემოკრატიული აღორძინების კავშირი – 57 896 – 3.86%,
3. ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლები“ – 113 313 – 7.56%,
4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 89 981 – 6.01%,
5. ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები – 992 275 – 66.24%,
6. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია,[174]
7. ედპ – ტრადიციონალისტები – 38 247 – 2.55%,
8. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პ/გ „მძლეველი“ – 737 – 0.05%,
10. ნაციონალისტები – 4 039 – 0.27%,
11. ბლოკი „სამშობლო“ – 520 – 0.03%,
12. ბლოკი „ნაციონალური აღორძინება“ – 1 759 – 0.12%,
13. ბლოკი „ჯუმბერ პატიაშვილი პ/გ „ერთობა““ – 37 054 – 2.47%,
14. დემოკრატიული სიმართლის პარტია – 2 062 – 0.14%,
15. საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია – 477 – 0.03%,
16. ნოდარ ნათაძე – სახალხო ფრონტი – 2 184 – 0.15%,
18. პ/მ „თავისუფლება – კონსტანტინე ზ. გამსახურდია“ – 65 809 – 4.39%,
20. სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი – 349 – 0.02%.[175]


V. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

| # | პარტიის (ბლოკის) დასახელება | მიღებული ხმების რაოდენობა | % | მიღებული მანდატების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სოციალისტური პარტია | 7229 | 0.48% | |
| 2 | დემოკრატიული აღორძინების კავშირი (დაკ) | 57896 | 3.86% | |
| 3 | ბლოკი "მემარჯვენე ოპოზიცია-მრეწველები, ახლები" | 113313 | 7.56% | 15 |
| 4 | საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია | 89981 | 6.01% | |
| 5 | ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები | 992275 | 66.24 % | 135 |
| 7 | ედპ-ტრადიციონალისტები | 38247 | 2.55% | |
| 8 | საქართველოს ეროვნულ - სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება "მძლეველი" | 737 | 0.05% | |
| 10 | ნაციონალისტები | 4039 | 0.27% | |
| 11 | ბლოკი "სამშობლო" | 520 | 0.03% | |
| 12 | ბლოკი "ნაციონალური აღორძინება" | 1759 | 0.12% | |
| 13 | ბლოკი ჯუმბერ პატიაშვილი - პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" | 37054 | 2.47% | |
| 14 | დემოკრატიული სიმართლის პარტია | 2062 | 0.14% | |
| 15 | საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია | 477 | 0.03% | |
| 16 | ნოდარ ნათაძე-სახალხო ფრონტი | 2184 | 0.15% | |
| 18 | პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება-კონსტანტინე ზ. გამსახურდია" | 65809 | 4.39% | |
| 20 | სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი | 349 | 0.02% | |

პარლამენტის ხელახალი არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2004 წლის 18 აპრილის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of Repeat Parliamentary Elections adopted by the Central Election Commission at the session held on 18 April 2004
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission*

შემაჯამებელ ოქმში დასახელებული იყო მხოლოდ ორი საარჩევნო სუბიექტი, რომელმაც საარჩევნო ბარიერი გადალახა და მანდატები მოიპოვა:

ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები – 135 მანდატი,

ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლები“ – 15 მანდატი.

174 ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა შემაჯამებელ ოქმში არ შეუტანიათ, თუმცა წინასწარი შედეგებით ამ პარტიამ ხმათა 0.01%-ზე ნაკლები დააგროვა.

175 იხ. შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2004 წლის 18 აპრილის სხდომაზე, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

Within hours of the election, the CEC announced that about 64% of voters had cast their ballots in repeat Parliamentary Elections. According to preliminary results, the election threshold was likely to be crossed by two political subjects ("National Movement – Democrats" and "Rightist Opposition – Industrialists, New Rightists") while the Labor Party, which neared the threshold more than others, would reportedly gain about 6% of the vote.

On 18 April 2004, the CEC released the summary protocol of 28 March 2004 repeat Parliamentary Elections. According to this protocol, due to gross violations, the results of all polling stations in Kobuleti and Khulo districts have been completely revoked. In addition, due to the neglect of the Election Code, the results of about 50 polling stations in different districts were annulled.

According to 18 April 2004 summary protocol:

The number of registered voters in the unified list was 2 343 087,

1 498 012 voters participated in elections,

33 329 ballots were deemed invalid.

The votes among election subjects were distributed as follows:

1. Socialist Party – 7 229 – 0.48%,
2. Democratic Union for Revival – 57 896 – 3.86%,
3. "Rightist Opposition – Industrialists, New Rightists" – 113 313 – 7.56%,
4. Labour Party of Georgia – 89 981 – 6.01%,
5. National Movement – Democrats – 992 275 – 66.24%,
6. United Communist Party of Georgia,[174]
7. NDP – Traditionalists – 38 247 – 2.55%,
8. Georgian National-State P/U "Victorious" – 737 – 0.05%,
10. Nationalists – 4 039 – 0.27%,
11. "Fatherland" Bloc – 520 – 0.03%,
12. "National Revival" Bloc – 1 759 – 0.12%,
13. "Jumber Patiashvili P/U "Unity""– 37 054 – 2.47%,
14. Party of Democratic Truth – 2 062 – 0.14%,
15. National Ideology Party of Georgia – 477 – 0.03%,
16. Nodar Natadze – People's Front – 2 184 – 0.15%,
18. P/M " Freedom – Konstantine Z. Gamsakhurdia" – 65 809 – 4.39%,
20. All-Georgian People's Alliance – 349 – 0.02%.[175]

Only two election subjects were included in the summary protocol, which crossed the election threshold and won seats:

National Movement – Democrats – 135 mandates,

"Rightist Opposition – Industrialists, New Rightists" Bloc – 15 mandates.

174 The number of votes received by this election subject was not included in the summary protocol, although the party won less than 0.01% of the vote based on preliminary results.

175 See the summary protocol approved by the Central Election Commission at the session held on 18 April 2004. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნები

„ვარდების რევოლუციას“, რომელიც 2003 წლის 23 ნოემბრით თარიღდება, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყისიერი პოლიტიკური ცვლილებები არ გამოუწვევია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი რეჟიმიც და ასლან აბაშიძეც, მისი მეთაური, ცენტრალურ ხელისუფლებასთან თვეების განმავლობაში კონფრონტაციაში იყო. 2004 წლის გაზაფხულიდან რეგიონში მდგომარეობა უჩვეულოდ დაიძაბა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ საქართველოს დანარჩენ ნაწილთან დამაკავშირებელი ხიდები და გზები ააფეთქა და გადაკეტა. ადგილობრივ ოპოზიციაზე ზეწოლა სულ უფრო ძლიერდებოდა. მშვიდობიან საპროტესტო აქციებს უფრო და უფრო ხშირად არბევდნენ. 2004 წლის 6 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე გადადგა და რუსეთში წავიდა, ხელისუფლება კი რევოლუციის შემდეგ პრეზიდენტის მიერ დანიშნულ სპეციალურ დროებით საპრეზიდენტო საბჭოს გადაეცა. აჭარაში პრეზიდენტის დროებითი საგანგებო რწმუნებულის თანამდებობაც შემოიღეს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ პოსტზე ლევან ვარშალომიძე დანიშნა.

დროებითი საბჭოსა და პრეზიდენტის რწმუნებულის ფუნქცია-მოვალეობა, უპირველეს ყოვლისა, ავტონომიური რესპუბლიკის ახალი უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადება და ჩატარება იყო. 2004 წლის 22 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითმა საპრეზიდენტო საბჭომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი მიიღო. ახალი კანონის თანახმად, უქმდებოდა 2001 წლიდან შემოღებული აჭარის ორპალატიანი პარლამენტი და იქმნებოდა ერთპალატიანი უმაღლესი საბჭო, რომელიც 30 წევრისაგან შედგებოდა. უმაღლესი საბჭო შერეული საარჩევნო სისტემით უნდა აერჩიათ. კერძოდ, პროპორციული სისტემითა და 7%-იანი ბარიერით უმაღლესი საბჭოს 18 წევრს აირჩევდნენ, მაჟორიტარული სისტემით კი 12 წევრს უყრიდნენ კენჭს. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქალაქ ბათუმსა და 5 რაიონში 2-2 ერთმანდატიანი ოლქი იქმნებოდა.[176]

კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია უქმდებოდა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსკო) იქმნებოდა. უსკოს წევრის დანიშვნა პრეზიდენტის რწმუნებულს, საპრეზიდენტო საბჭოსა და პოლიტიკურ სუბიექტებს შეეძლოთ. უსკოს თავმჯდომარედ ირაკლი ფაღავა დაინიშნა, მდივნად კი – გიზო მჭედლიძე. ცენტრალური საარჩევნო კომისია უსკოს კონსულტაციას უწევდა. უსკომ საკუთარი საქმიანობის რეგლამენტი შექმნის შემდეგ მალევე დაამტკიცა.[177] 23 მაისიდანვე საარჩევნო გრაფიკის დადგენა და საარჩევნო ღონისძიებების დაგეგმვა დაიწყო.[178] თითოეული საარჩევნო უბნის საზღვრებიც და ამომრჩეველთა რაოდენობაც სწრაფად განისაზღვრა, საოლქო[179] და საუბნო[180] საარჩევნო კომისიების შემადგენლობაც ოპერატიულად დაკომპლექტდა. უსკომ, სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან მიწოდებული სიის შესატყვისად, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიან სიაში 158 421 ამომრჩეველი შეიყვანა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ, ახალი საარჩევნო კანონის თანახმად, რეგისტრაციაში 9 საარჩევნო სუბიექტი გაატარა:

1. ბერძენიშვილი – რესპუბლიკელები (საქართველოს რესპუბლიკური პარტია),
2. საქართველოს ახალი კომუნისტური პარტია,
3. პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“,
4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია,
5. სააკაშვილი – გამარჯვებული აჭარა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა),
6. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია,
7. ბლოკი „ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსთვის“,
8. საქართველოს მწვანეთა პარტია,
9. მერაბ კოსტავას საზოგადოება,
14. დემოკრატიული სიმართლის პარტია.[181]

176 გაზ. „აჭარა“, 2004 წლის 23 მაისი, გვ. 2-15; „მეგზური ამომრჩეველთათვის“, გაზ. „აჭარის“ დამატება, 2004 წლის 17 ივნისი, გვ. 4.
177 გაზ. „აჭარა“, 2004 წლის 28 მაისი, გვ. 3-4.
178 გაზ. „აჭარა“, 2004 წლის 28 მაისი, გვ. 5.
179 გაზ. „აჭარა“, 2004 წლის 1 ივნისი, გვ. 8.
180 გაზ. „აჭარა“, 2004 წლის 12 ივნისი, გვ. 8-18.
181 „მეგზური ამომრჩეველთათვის“, გაზ. „აჭარის“ დამატება, 2004 წლის 17 ივნისი, გვ. 6-7.

უსკომ საარჩევნო პროცესში სარეკლამო საშუალებათა უსასყიდლოდ გამოყენების წესებიც განსაზღვრა. ოფიციალური გაზეთი „აჭარა“ ბეჭდავდა ყველა იმ საარჩევნო სუბიექტის კანდიდატთა სიებს, რომლისთვისაც კენჭი პროპორციული სისტემით უნდა ეყარათ. თითოეული ოლქის მაჟორიტარ კანდიდატთა შესახებ ინფორმაციაც სისტემატურად ქვეყნდებოდა.[182]

გაჩნდა სპეციალური გამოცემაც, ერთგვარი მეგზური ამომრჩევლისათვის, რომელიც გაზეთ „აჭარის“ დამატებად გამოდიოდა. მისი მეშვეობით უსკო მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის ნორმებს, უშუალოდ არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე ქცევის წესებსა და თითოეული საარჩევნო სუბიექტის მოკლე ისტორიას აცნობდა.[183]

გაზეთი „აჭარა“ პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო პროგრამასა და სააგიტაციო მასალათა შინაარსსაც აქვეყნებდა.[184] ოპოზიციონერები აცხადებდნენ, რომ ხშირად წინასაარჩევნოდ სახელმწიფო რესურსს მხოლოდ მმართველი პარტია იყენებდა, ოპოზიციას კი ამგვარ შესაძლებლობა არ გააჩნდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიათა ასობით წარმომადგენელი აკვირდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლის 20 ივნისს არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა, თუმცა დარღვევათა შემთხვევებიც შეიმჩნეოდა. მაგალითად, ვენეციის კომისიის წარმომადგენლების შეფასებით, წინასაარჩევნო პროცესიც და უშუალოდ არჩევნებიც ამა თუ იმ ხარვეზით წარიმართა. აღნიშნავდნენ იმასაც, რომ ხმის დათვლის პროცედურა მნიშვნელოვნად უნდა გაემარტივებინათ და დაეხვეწათ.

უსკოს დასკვნით, 20 ივნისის არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობამ 75.8% შეადგინა. წინასწარი შედეგებით მოსალოდნელი იყო, რომ 7%-იან საარჩევნო ბარიერს მხოლოდ ორი საარჩევნო სუბიექტი – „სააკაშვილი – გამარჯვებული აჭარა“ და „ბერძენიშვილი – რესპუბლიკელები“ – გადალახავდა.

აჭარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ შემაჯამებელი ოქმი 2004 წლის 27 ივნისს, არჩევნებიდან ერთ კვირის გასვლის შემდეგ, გამოსცა. ოქმის თანახმად:

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 158 421,

არჩევნებში მონაწილეობდა 120 025 ამომრჩეველი,

გაბათილდა 4 369 ბიულეტენი.

შედეგები 2 საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კანონის უხეში დარღვევის გამო, ბათილად გამოცხადდა.

შემაჯამებელი ოქმი იუწყებოდა, რომ ამომრჩეველთა ხმები პოლიტიკურ სუბიექტთა შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. ბერძენიშვილი – რესპუბლიკელები – 16 216 – 13.51%,
2. საქართველოს ახალი კომუნისტური პარტია – 888 – 0.74%,
3. პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 6 022 – 5.02%,
4. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია – 1 516 – 1.26%,
5. სააკაშვილი – გამარჯვებული აჭარა – 86 428 – 72.01%,
6. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია – 1 098 – 0.92%,
7. ბლოკი „ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსთვის“ – 1 246 – 1.04%,
8. საქართველოს მწვანეთა პარტია – 0.08%,[185]
9. მერაბ კოსტავას საზოგადოება – 617 – 0.51%,
14. დემოკრატიული სიმართლის პარტია – 4 802 – 4%[186]

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის თორმეტივე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში გამარჯვება მოიპოვეს კანდიდატებმა ბლოკიდან „სააკაშვილი – გამარჯვებული აჭარა“.

182 გაზ. „აჭარა“, 2004 წლის 12 ივნისი, გვ. 3-6.

183 „მეგზური ამომრჩეველთათვის“, გაზ. „აჭარის“ დამატება, 2004 წლის 17 ივნისი, გვ. 6-7.

184 გაზ. „აჭარა“, 2004 წლის 15 ივნისი, გვ. 4-5.

185 შედეგების შესახებ ინფორმაციას ამოვიკითხავთ საგაზეთო ცნობებსა და უსკოს განცხადებებში, თუმცა შემაჯამებელ ოქმში მონაცემები არ იძებნება.

186 იხ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, გამოცემული 2004 წლის 27 ივნისს, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

# 20 JUNE 2004 ELECTIONS OF THE SUPREME COUNCIL OF AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

The "Rose Revolution", dated 23 November 2003, did not prompt an instant political change in the Autonomous Republic of Adjara. Both the local regime of the Autonomous Republic of Adjara and its leader - Aslan Abashidze, have been in confrontation with the central government for months. Since the spring of 2004, the situation in the region has become unusually tense. Local authorities blew up and blocked bridges and roads connecting to the rest of Georgia. The pressure on the local opposition was growing stronger. Peaceful protests were more and more frequently raided. On 6 May 2004, Aslan Abashidze, the leader of the Autonomous Republic of Adjara, resigned and went to Russia. The government was handed over to a special interim presidential council appointed by the president after the revolution. The position of the temporary special representative of the President has also been introduced in Adjara. President Saakashvili appointed Levan Varshalomidze on this position.

The function-responsibilities of the Interim Council and the Representative of the President were, first of all, to prepare and hold elections of the new Supreme Council of the Autonomous Republic. On 22 May 2004, the Interim Presidential Council of the Autonomous Republic of Adjara adopted the Law on Elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara. Under the new law, the two-chamber parliament of Adjara introduced in 2001 was abolished and a Unicameral Supreme Council was established, consisting of 30 members. The Supreme Council should have been elected by a mixed electoral system. In particular, 18 members of the Supreme Council were elected by the proportional system and the 7% threshold and 12 members by majoritarian system. 2 single-mandate districts were established[176] in Batumi and 5 districts on the territory of the Autonomous Republic.

According to the law, the Central Election Commission (CEC) of the Autonomous Republic of Adjara was abolished and the Supreme Election Commission (SEC) of the Autonomous Republic of Adjara was established. The representative of president, Presidential Council and political subjects could appoint the SEC member. Irakli Paghava has been appointed as the chair of the SEC, and Gizo Mchedlidze has been appointed as the secretary. The Central Election Commission was consulting the SEC. Shortly after its formation, the SEC approved[177] a regulation of its activities. From 23 May the defining of election schedule and planning of election activities began.[178] The boundaries of each polling station and the number of voters were quickly determined, and the composition of the district[179] and precinct[180] election commissions was promptly staffed. The SEC in line with the list provided by the state institutions, included 158 421 voters in the unified list of the autonomous republic.

The SEC of the Autonomous Republic, based on the new law, registered 9 political subjects:

1. Berdzenishvili – Republicans (Republican Party of Georgia),
2. New Communist Party of Georgia,
3. P/U "Industry Saves Georgia",
4. Labour Party of Georgia,
5. Saakashvili – Victorius Adjara (United National Movement),
6. United Communist Party of Georgia,
7. "Strong Adjara for United Georgia" Bloc,
8. Green Party of Georgia,
9. Merab Kostava Society,
14. Party of Democratic Truth.[181]

The SEC also set rules for the free use of advertising in the election process. The official newspaper "Adjara" published the lists of candidates of all the election subjects to be elected by the proportional system. Information about majoritarian candidates of each district was also systematically published.[182]

There was also a special addition to the newspaper "Adjara" released, a kind of guide for voters. And the SEC through it was informing[183] the citizens about the norms of participation in the elections, the rules of conduct at the polling station on E-day, and the short history of each election subject.

176 Newspaper "Adjara", 23 May 2004, p. 2-15; "Megzuri Amomrcheveltatvis", the addition of the newspaper "Adjara", 17 June 2004, p. 4.
177 Newspaper "Adjara", 28 May 2004, p. 3-4.
178 Newspaper "Adjara", 28 May 2004, p. 5.
179 Newspaper "Adjara", 1 June 2004, p. 8.
180 Newspaper "Adjara", 12 June 2004, p. 8-18.
181 "Megzuri Amomrchevltatvis", addition to the newspaper "Adjara, 17 June 2004, p. 6-7.
182 Newspaper "Adjara", 12 June 2004, p. 3-6.
183 "Megzuri Amomrchevltatvis", addition to the newspaper "Adjara, 17 June 2004, p. 6-7.

The newspaper "Adjara" was also publishing[184] the election program of political subjects and the content of agitation materials. The opposition was saying that only the ruling party was using state resources in the pre-election period and the opposition was deprived of such opportunity.

Hundreds of representatives of local and international observation missions observed the elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara.

It can be said that the 20 June 2004 elections passed peacefully, but there were also cases of violations. For example, according to the representatives of the Venice Commission, shortcomings were observed in both the pre-election process and the elections. They also noted that the vote counting procedure should be greatly simplified and improved.

Voter turnout in 20 June elections amounted to 75.8%, according to SEC. Based on preliminary results, it was expected that only two election subjects – "Saakashvili – Victorious Adjara" and "Berdzenishvili – Republicans" – would have exceeded the 7% electoral threshold.

The SEC of Adjara released the summary protocol on 27 June 2004 a week after the elections. According to the protocol:

The total number of voters was 158 421,

120 025 voters participated in elections,

4 369 ballots were annulled.

The results in two polling stations were annulled due to gross violation of election law.

The summary protocol reported that the votes distributed among the political subjects were as follows:

1. Berdzenishvili – Republicans – 16 216 – 13.51%,
2. New Communist Party of Georgia – 888 – 0.74%,
3. P/U "Industry Saves Georgia" – 6 022 – 5.02%,
4. Labour Party of Georgia – 1 516 – 1.26%,
5. Saakashvili – Victorious Adjara – 86 428 – 72.01%,
6. United Communist Party of Georgia – 1 098 – 0.92%,
7. "Strong Adjara for United Georgia" Bloc – 1 246 – 1.04%,
8. Green Party of Georgia – 0.08%,[185]
9. Meran Kostava Society – 617 – 0.51%,
14. Party of Democratic Truth – 4 802 – 4%.[186]

According to the summary protocol, the candidates from the bloc "Saakashvili – Victorious Adjara" won in all 12 single-member districts of the Autonomous Republic.

V. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

| № | პარტიის (ბლოკის) დასახელება | მიღებული ხმების რაოდენობა | % | მიღებული მანდატების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | ბერძენიშვილი რესპუბლიკელები | 16216 | 13,51 | 2 |
| 2. | საქართველოს ახალი კომუნისტური პარტია | 888 | 0,74 | 0 |
| 3. | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს „მგს" | 6022 | 5,02 | 0 |
| 4. | საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია სლ(შ)პ | 1516 | 1,26 | 0 |
| 5. | სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარა | 86428 | 72,01 | 16 |
| 6. | საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია | 1098 | 0,92 | 0 |
| 7. | ბლოკი „ძლიერი აჭარა ერთიანი საქართველოსათვის" | 1246 | 1,04 | 0 |
| 9. | მერაბ კოსტავას საზოგადოება | 617 | 0,51 | 0 |
| 14. | დემოკრატიული სიმართლის პარტია | 4802 | 4,0 | 0 |

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, 2004 წლის 27 ივნისი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

Summary protocol of the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara, 27 June 2004
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*



მოქალაქეები და ლევან ვარშალომიძე, პრეზიდენტის დროებითი რწმუნებული აჭარაში, 2004 წლის 20 ივნისს კენჭისყრისას, გაზეთი „აჭარა", 2004 წლის 21 ივნისი
*გაზეთი დაცულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში*

Citizens and Levan Varshalomidze, Temporary Representative of President in Adjara, 20 June 2004 Elections, the newspaper "Adjara", 21 June 2004
*The newspaper is preserved at Akaki Tsereteli Batumi Public Library*

184 Newspaper "Adjara", 15 June 2004, p. 4-5.

185 Information about the results can be found in the newspaper notices and the SEC's statements, but the summary protocol does not contain the data.

186 See the summary protocol of Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara released on 27 June 2004. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

# საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოების 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნები

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს პოლიტიკური სისტემა მნიშვნელოვნად გარდაიქმნა. რაღა თქმა უნდა, შეიცვალა ესა თუ ის პოლიტიკური ინსტიტუტი, მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებიც. ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით, უქმდებოდა თვითმმართველობის მეორე დონე, ე.წ. სასოფლო სათემო თვითმმართველობები. შენარჩუნდა მხოლოდ რაიონული და საქალაქო თვითმმართველობები. ქალაქის მერის პირდაპირი არჩევის წესიც გაუქმდა.

თვითმმართველობის ახალი კოდექსის თანახმად, წარმომადგენლობით ორგანოებს – საკრებულოებს – ყველა რაიონსა და ქალაქში შერეული სისტემით აირჩევდნენ. პროპორციული სისტემისათვის განისაზღვრა 5%-იანი საარჩევნო ბარიერი. საკრებულოს წევრებს მაჟორიტარული სისტემით აირჩევდნენ და საამისოდ რამდენიმე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი ყველა თვითმმართველ ერთეულში უნდა შექმნილიყო: რაიონებში – ძირითადად, სასოფლო თემთა ფარგლებში, ხოლო ქალაქებში – მასშტაბის გათვალისწინებით, გეოგრაფიული უბნების მიხედვით. მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისას გამარჯვებულად გამოცხადდებოდა კანდიდატი, რომელიც ხმების ყველაზე მეტ რაოდენობას მოაგროვებდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა, საკრებულოებში სულ ასარჩევი იყო 1 694 დეპუტატი: 680 – პროპორციული სისტემით, ხოლო 1 014 – მაჟორიტარულით. დედაქალაქის საკრებულოში უნდა აერჩიათ 37 დეპუტატი: 12 – პროპორციული სისტემით, ხოლო 25 – მაჟორიტარულით.

2006 წელს თვითმმართველობის არჩევნებისას ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გურამ ჩალაგაშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე იყო. თვითმმართველობის არჩევნები 2006 წლის 5 ოქტომბერს ჩატარდებოდა და ეს თარიღი პრეზიდენტმა სააკაშვილმა, როგორც ამას საარჩევნო კოდექსი მოითხოვდა, არჩევნებამდე ორი თვით ადრე დაასახელა.

მას შემდეგ, რაც არჩევნების თარიღი გამოცხადდა, იუსტიციის სამინისტრომ დაზუსტებული ერთიანი საარჩევნო სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადასცა. საყურადღებოა, რომ ამ მონაცემებით ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა – 3 205 634 – 2004 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების მონაწილეთა რიცხვობრივ მაჩვენებელს 900 000-ით აღემატებოდა და 2003 წლის ნოემბრის არჩევნების მაჩვენებელსაც აჭარბებდა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაცია დაიწყო, მაგრამ ოპოზიციურ პარტიათა ნაწილმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ისინი აცხადებდნენ, რომ ამგვარი არადემოკრატიული ხელისუფლების მმართველობისას არჩევნები წარმატებული ვერ იქნებოდა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, კანონის მიერ დადგენილი ვადების დაცვით, 6 პოლიტიკური სუბიექტი გაატარა რეგისტრაციაში:

3. „თოფაძე – მრეწველები“ (პ/გ მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს),
4. საქართველოს ლეიბორისტული პარტია – შალვა ნათელაშვილი,
5. „ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია“,
15. საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია,
21. სალომე ზურაბიშვილი – „საქართველოს გზა“,
22. საარჩევნო ბლოკი „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი“ (საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს კონსერვატიული პარტია).[187]

ოპოზიციურ საარჩევნო სუბიექტთა რესურსი შეზღუდული იყო, რის გამოც ისინი ყველა ოლქის არჩევნებში არ მონაწილეობდნენ. ამა თუ იმ ერთმანდატიან ოლქში, არცთუ იშვიათად, მხოლოდ მმართველი პარტიის კანდიდატი იყრიდა კენჭს.

არჩევნების მონიტორინგი 8 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა და 14 საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას დაეკისრა. მათში საქართველოში აკრედიტებული 9 საელჩოს წარმომადგენლობებიც შედიოდა. სარეგისტრაციო

187 ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/1325-partiebis-da-saarchevno-blokebis-rigitoba-4420

პროცედურა მათგან ყველამ გაიარა.[188] სადამკვირვებლო მისიათა ნაწილი წინასაარჩევნო ვითარებას თვეების განმავლობაში აკვირდებოდა, მერე კი უშუალოდ კენჭისყრასა და არჩევნების შემდგომ პროცესებსაც ზედამხედველობდა.

საარჩევნო სუბიექტებმა რეგისტრაცია გაიარეს და აქტიური წინასაარჩევნო კამპანია წამოიწყეს. ოპოზიცია სახელისუფლებო პარტიას ბრალად სდებდა, რომ ის მთელ სახელმწიფო ბიუჯეტსა თუ სამთავრობო რესურსს საარჩევნო კამპანიას ახარჯავდა, რითაც უსამართლო გარემოს ქმნიდა. ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც შემოწირულობებით არავინ ანებივრებდა, რეკლამისათვის, ძირითადად, მხოლოდ ცესკოს მიერ დადგენილ უფასო საეთერო დროს თუ იყენებდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში დამოუკიდებელი პრესა საარჩევნო სუბიექტთა მიერ წარდგენილ პროპორციულ საარჩევნო სიებსა და მაჟორიტარობის მსურველ იმ კანდიდატთა გვარებს აქვეყნებდა, რომლებიც დედაქალაქის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობდნენ.[189]

პარტიები აგიტაციისათვის, როგორც ყოველთვის, საარჩევნო პლაკატებს კვლავაც აქტიურად იყენებდნენ.




ბლოკი „თოფაძე – მრეწველები“ – საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Topadze –Industrialists” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




„ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია“ – საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “National Movement - List of Unification and Rebuilding of Georgia”
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

188 ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/1317-damkvirvebeli-saertashoriso-da-adgilobrivi-arasamtavrobo-organizaciebi-4422
189 გაზ. „რეზონანსი“, 2006 წლის 12 სექტემბერი, გვ. 2.

# 5 OCTOBER 2006 ELECTIONS OF LOCAL SELF-GOVERNMENT BODIES OF GEORGIA

After the "Rose Revolution", Georgia's political system changed significantly. Of course, various political institutions transformed, including the local self-government bodies. Under the new legislative framework, the second tier of self-government, the so-called rural community self-government was abolished. District and urban self-governments were retained. The rule of direct election of the mayor of the city was also abolished.

According to the new code of self-government, the representative bodies – Sakrebulos in all cities and districts should have been elected by a mixed system. A 5% electoral threshold was set for the proportional system. Sakrebulo members were elected by a majoritarian system, and several single-member districts would be established in all self-governing units: in districts mainly within the rural communities, while in cities – given the scale, according to geographical areas. The winner by the majoritarian system would be the candidate with the highest number of votes. A total of 1 694 deputies would be elected to the City Sakrebulos: 680 - by the proportional system, and 1 014 – by the majoritarian system throughout the territory of Georgia, which was controlled by the central government with the exception of the Autonomous Republic of Abkhazia and South Ossetia. 37 deputies would be elected to the Sakrebulo of the capital: 12 by the proportional system and 25 by the majoritarian system.

Guram Chalagashvili chaired the Central Election Commission (CEC) during the 2006 self-government elections, and Gizo Mchedlidze was the secretary of the commission. The self-government elections were to be held on 5 October 2006, and President Saakashvili announced this date two months before the elections, as required by the Election Code.

After the election date was announced, the Ministry of Justice handed over the specified unified voter list to the CEC. It is noteworthy that according to this data, the total number of voters – 3 205 634 exceeded the number of participants in the 2004 presidential and Parliamentary Elections by 900 000 and exceeded the number of voters in the November 2003 elections.

The CEC has started registering election subjects, but some opposition parties have boycotted the elections. They were arguing that elections would be unsuccessful under such an undemocratic government.

The CEC in line with the terms prescribed by the law registered 6 political subjects:

3. "Topadze – Industrialists" (P/U Industry Saves Georgia),
4. Labour Party of Georgia – Shalva Natelashvili,
5. "National Movement - List of Unification and Rebuilding of Georgia",
15. National Ideology Party of Georgia,
21. Salome Zourabichvili – "Georgia's Way",
22. "Davitashvili, Khidasheli, Berdzenishvili" (Republican Party of Georgia, Conservative Party of Georgia[187]) election bloc.

Opposition election subjects possessed limited resources, which is why they did not run in the elections in all districts. Only the candidate of the ruling party, not infrequently, ran in this or that single-member district.

Election monitoring was assigned to 8 local NGOs and 14 international observation missions. They also included representatives of 9 embassies accredited in Georgia. All of them went through[188] the registration procedure. Part of the monitoring missions observed the pre-election developments for months, then directly supervised the voting and post-election processes.

Upon registration, election subjects launched an active pre-election campaign. The opposition was accusing the ruling party of spending the entire state budget or government resources on an election campaign, creating an unfair environment. Opposition parties, which no one spoiled by donations, were mainly using free airtime set by the CEC.

In the pre-election period, the independent press published the proportional electoral lists submitted by the election subjects and the names of the majoritarian candidates who were running[189] in the Sakrebulo elections of capital.

As always, the parties have been actively using election posters for agitation.

187 See the decree of Central Election Commission at the following link: http://cesko.ge/geo/list/show/1325-partiebis-da-saarchevno-blokebis-rigitoba-4420

188 See the decree of Central Election Commission at the following link: http://cesko.ge/geo/list/show/1317-damkvirvebeli-saertashoriso-da-adgilobrivi-arasamtavro-bo-organizaciebi-4422

189 Newspaper "Rezonansi", 12 September 2006, p.2.




ბლოკი „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი" – საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Davitashvili, Khidasheli, Berdzenishvili” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

თვითმმართველობათა არჩევნებმა 2006 წლის 5 ოქტომბერს, მეტწილად, მშვიდად ჩაიარა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ოპოზიციურ საარჩევნო სუბიექტთა წარმომადგენლებზე ზეწოლის შემთხვევები ან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები არ ყოფილა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დასკვნით, თვითმმართველობათა არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობამ 47.29% შეადგინა. ამომრჩევლის ყველაზე მაღალი აქტივობა – 88.22% – აბაშის რაიონში დაფიქსირდა, მოგვიანებით აბაშის ოლქის შედეგები, მნიშვნელოვანი დარღვევების გამო, გაუქმდა. ამომრჩეველთა ყველაზე დაბალი აქტივობა – 24.78% – ქალაქ რუსთავში დაფიქსირდა. თბილისში კენჭისყრაზე ამომრჩეველთა 34.26% გამოცხადდა. დიდი ქალაქების საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველი საგრძნობლად პასიურობდა.[190]



პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საარჩევნო უბანზე, 2006 წლის 5 ოქტომბერი, გაზეთი „ახალი თაობა"
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

President Mikheil Saakashvili at the polling station, 5 October 2006 , the newspaper “Akhali Taoba”
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი საარჩევნო უბანზე, 2006 წლის 5 ოქტომბერი, გაზეთი „ახალი თაობა"
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Labour Party Leader Shalva Natelashvili at the polling station, 5 October 2006, the newspaper “Akhali Taoba”
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

190 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/1311-amomrchevelta-aqtivoba-4425#none

The 5 October 2006 self-government elections were largely peaceful. However, it is not possible to say that there were no cases of pressure on the representatives of the opposition election subjects or the facts of using administrative resources.

According to the CEC, the voter turnout in the self-government elections reached 47.29%. The highest voter turnout was 88.22% in Abasha district; later, the results of the Abasha district were revoked due to significant violations. The lowest voter turnout was 24.78% in Rustavi city. 34.26% of voters came at the polls in Tbilisi. Voters in the districts of major cities were significantly passive[190].



მოქალაქეები საარჩევნო უბანზე, 2006 წლის 5 ოქტომბერი, გაზეთი „ახალი თაობა"
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Citizens at a polling station, 5 October 2006 , the newspaper "Akhali Taoba"
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

2006 წლის 9 ოქტომბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დედაქალაქის საკრებულოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმი გამოსცა.

ოქმში განცხადებული იყო:

დედაქალაქში საარჩევნო სიებში რეგისტრირებული იყო 883 806 ამომრჩეველი,

კენჭისყრაში მონაწილეობდა 307 015 ამომრჩეველი,

გაფუჭებულად გამოცხადდა 2 497 ბიულეტენი,

ბათილად ცნეს 2 807 ბიულეტენი,

ყველას წინააღმდეგი აღმოჩნდა 2 901 ამომრჩეველი.

საარჩევნო სუბიექტებს შორის ხმები ამგვარად გადანაწილდა:

3. „თოფაძე – მრეწველები" – 18 671 – 6.08%,
4. საქართველოს ლეიბორისტული პარტია – შალვა ნათელაშვილი – 32 701 – 10.65%,
5. „ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია" – 204 261 – 66.53%,
15. საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია – 74 – 0.02%,
21. სალომე ზურაბიშვილი – „საქართველოს გზა" – 8 512 – 2.77%,
22. საარჩევნო ბლოკი „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი" – 36 973 – 12.04%.

დედაქალაქში პროპორციული სისტემით საარჩევნო ბარიერი გადალახა და მანდატები მოიპოვა ოთხმა პოლიტიკურმა სუბიექტმა. აი, როგორი იყო მათი ჩამონათვალი:

„თოფაძე – მრეწველები" – 1 მანდატი,

საქართველოს ლეიბორისტული პარტია – შალვა ნათელაშვილი – 1 მანდატი,

„ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია" – 9 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი" – 1 მანდატი.

დედაქალაქის ოცდახუთივე მაჟორიტარულ ოლქში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა გაიმარჯვა.[191] დედაქალაქის საკრებულოში არჩეული 37 დეპუტატიდან მხოლოდ 4 იყო ქალი.

190 See the report of the Central Election Commission at the following link: http://cesko.ge/geo/list/show/1311-amomrchevelta-aqtivoba-4425#none

191 See the summary protocol of 9 October 2006 of Central Election Commission of Georgia. The document is preserved in the archives of the Central Election Commission. See at the following link: http://cesko.ge/res/old/other/7/7117.pdf

On 9 October 2006 the CEC released the summary protocol of Sakrebulo Elections of the capital city.

The protocol stated that:

883 806 voters were registered in the electoral lists in the capital,

307 015 voters participated in the polling,

2 497 ballot papers were announced damaged,

2 807 ballot papers were deemed invalid,

2 901 voters voted against everyone.

The votes among election subjects were distributed as follows:

3. “Topadze – Industrialists” – 18 671 – 6.08%,
4. Labour Party of Georgia – Shalva Natelashvili – 32 701 – 10.65%,
5. “National Movement - List of Unification and Rebuilding of Georgia” – 204 261 – 66.53%,
15. National Ideology Party of Georgia – 74 – 0.02%,
21. Salome Zourabichvili – “Georgia’s Way” – 8 512 – 2.77%,
22. Davitashvili, Khidasheli, Berdzenishvili” election bloc – 36 973 – 12.04%.

4 political subjects crossed the electoral threshold of proportional system and received mandates in the capital, namely:

“Topadze – Industrialists”– 1 mandate,

Labour Party of Georgia – Shalva Natelashvili – 1 mandate,

“National Movement - List of Unification and Rebuilding of Georgia” – 9 mandates,

“Davitashvili, Khidasheli, Berdzenishvili” election bloc – 1 mandate.

Candidate of the National Movement won[191] in all 25 majoritarian districts of the capital. Of elected 37 deputies to the Sakrebulo of capital, only 4 were women.

| | |
|---|---|
| 1. არჩევნებში მონაწილეთა საერთო რაოდენობა: | 307015 |
| 2. მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | 902148 |
| 3. გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | 592589 |
| 4. გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: | 2497 |
| 5. ბათილად ცნობილ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა: | 2807 |
| 6. ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობა | 2901 |

7. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

| № | საარჩევნო სუბიექტის დასახელება | მიღებული ხმების რაოდენობა | % | მიღებული მანდატები |
|---|---|---|---|---|
| 3. | „თოფაძე, მრეწველები" („მგს") | 18671 | 6.08 | 1 |
| 4. | საქართველოს ლეიბორისტული პარტია – შალვა ნათელაშვილი | 32701 | 10.65 | 1 |
| 5. | „ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გაერთიანებისა და აღმშენებლობის სია" | 204261 | 66.53 | 9 |
| 15. | საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია | 74 | 0.02 | |
| 21. | სალომე ზურაბიშვილი – „საქართველოს გზა" | 8512 | 2.77 | |
| 22. | „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი" (საქართველოს რესპუბლიკური პარტია – საქართველოს კონსერვატიული პარტია) | 36973 | 12.04 | 1 |

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული 2006 წლის 9 ოქტომბერს
*დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

Summary protocol of the Central Election Commission of Georgia approved on 9 October 2006
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission*

191 იხ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2006 წლის 9 ოქტომბრის შემაჯამებელი ოქმი, დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში, იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/7/7117.pdf

1 694 მანდატი საქართველოს მასშტაბით პროპორციული სისტემით შემდეგნაირად გადანაწილდა:

„თოფაძე – მრეწველები“ – 23 მანდატი,

ლეიბორისტული პარტია – შალვა ნათელაშვილი – 34 მანდატი,

„ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია“ – 578 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი“ – 45 მანდატი.

მაჟორიტარული სისტემით მანდატები ამგვარად გადანაწილდა:

„თოფაძე – მრეწველები“ – 4 მანდატი,

ლეიბორისტული პარტია – შალვა ნათელაშვილი – 5 მანდატი,

„ნაციონალური მოძრაობა – საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია“ – 925 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი „დავითაშვილი, ხიდაშელი, ბერძენიშვილი“ – 9 მანდატი,

სალომე ზურაბიშვილი – 3 მანდატი,

დამოუკიდებელი კანდიდატები – 68 მანდატი.[192]

1 694 mandates were distributed throughout Georgia as follows:

By proportional system:

“Topadze – Industrialists” – 23 mandates,

Labour Party of Georgia – Shalva Natelashvili – 34 mandates,

“National Movement - List of Unification and Rebuilding of Georgia” – 578 mandates,

Davitashvili, Khidasheli, Berdzenishvili” election bloc – 45 mandates.

Mandates by the majoritarian system were distributed as follows:

“Topadze – Industrialists” – 4 mandates,

Labour Party of Georgia – Shalva Natelashvili – 5 mandates,

“National Movement - List of Unification and Rebuilding of Georgia” – 925 mandates,

Davitashvili, Khidasheli, Berdzenishvili” election bloc – 9 mandates,

Salome Zourabichvili – 3 mandates,

Independent Candidates – 68 mandates.

192 2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნების შედეგებისათვის იხ ბმული: http://www.ivote.ge/archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi-2006/14587-adgilobrivi-thvithmmarthvelobis-archevnebi-shedegebi-2006.html?lang=ka-GE

192 See the results of 5 October 2006 elections at the following link: http://www.ivote.ge/archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi/adgilobrivi-thvithmarthvelobis-archevnebi-2006/14587-adgilobrivi-thvithm-marthvelobis-archevnebi-shedegebi-2006.html?lang=ka-GE

# საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე არჩევნები

2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან გამომდინარე, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თანამდებობიდან გადადგა, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ხელისუფლებამ დამოუკიდებელი ტელევიზიები ძალისმიერი მეთოდებით დახურა.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შემდეგ, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა და კენჭისყრის თარიღად 2008 წლის 5 იანვარი დაასახელა.

ვიდრე რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდებოდა, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შეიტანეს, ამან კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის წესი შეცვალა. თუკი 2008 წლის არჩევნებამდე პარლამენტისათვის დასამტკიცებლად ცესკოს 13 წევრიდან 7 პრეზიდენტს უნდა წარედგინა, ხოლო 6 – საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე 6 პარტიას, საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ პროპორციები მცირედით შეიცვალა. ახლა ცესკოს 6 წევრს პარლამენტი ირჩევდა, ხოლო 7 წევრს პოლიტიკური პარტიები ნიშნავდნენ.[193] რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისას ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ლევან თარხნიშვილი თავმჯდომარეობდა, თავმჯდომარის მოადგილის პოსტს დავით კირთაძე იკავებდა, ხოლო კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე იყო. მას შემდეგ, რაც საარჩევნო კანონმდებლობა შეიცვალა, საარჩევნო კომისიებს უფლება მიეცათ, ამომრჩეველთა დამატებითი სიები შეედგინათ, რაც ერთიანი საარჩევნო სიის ნაკლოვანებით იყო განპირობებული.

2007 წლის ნოემბრის მიწურულს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყო. ოპოზიცია აცხადებდა, რომ იმ ერთიანი კანდიდატის შესარჩევად მოლაპარაკებას აწარმოებდა, რომელიც არჩევნებისას ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, დაუპირისპირდებოდა. საბოლოოდ, ოპოზიცია ვერაფერზე შეთანხმდა. თუმცა ოპოზიციური ძალების ნაწილმა, რომელიც 2007 წლის ნოემბრის ანტისამთავრობო აქციების ორგანიზებაში იყო ჩართული, საერთო კანდიდატი მაინც შეარჩია. დანარჩენმა ოპოზიციურ პარტიებმა საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატებად საკუთარი ლიდერები დაასახელეს.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრეზიდენტობის 7 კანდიდატი საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში დაარეგისტრირა და თითოეულს საარჩევნო ნომერიც მიანიჭა:

1. ლევან გაჩეჩილაძე – გაერთიანებული ოპოზიციის (ეროვნული საბჭოს) ლიდერი,
2. არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი – ბიზნესმენი, დამოუკიდებელი კანდიდატი,
3. დავით გამყრელიძე – პ/გ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი,
4. შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერი,
5. მიხეილ სააკაშვილი – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, ყოფილი პრეზიდენტი,
6. გიორგი მაისაშვილი – მომავლის პარტიის ლიდერი,
7. ირინა სარიშვილი-ჭანტურია – პ/გ „იმედის“ ლიდერი.[194]

193 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წლის 22 ნოემბერი, გვ. 3.

194 გაზ. „კვირის პალიტრა“, 2007 წლის 24-30 დეკემბერი, გვ. 1.

# 5 JANUARY 2008 EXTRAORDINARY PRESIDENTIAL ELECTIONS OF GEORGIA

Following the events of 7 November 2007, amid the political crisis in Georgia, President Mikheil Saakashvili resigned, while Nino Burjanadze, the Chairperson of the Parliament, started to perform the duties of the President. A state of emergency had been declared in the country. Authorities shut down independent television stations by force.

Following the resignation of Mikheil Saakashvili, the acting president called extraordinary Presidential Elections and set 5 January 2008 as the E-day.

Before the extraordinary presidential election, amendments were made to the Election Code, which changed the rules for electing members of the Central Election Commission (CEC). If 7 out of 13 CEC members had to be nominated by the president to the parliament before the 2008 elections, and 6 members – by 6 parties with the best results in parliamentary and self-government elections, after legislative amendments, the proportions have slightly changed. Now parliament was electing 6 CEC members and 7 members were appointed[193] by political parties. Levan Tarkhnishvili chaired the CEC during the extraordinary Presidential Elections, Davit Kirtadze took position of deputy chair, and Gizo Mchedlidze was the secretary of the commission. After the election legislation was amended, the election commissions were given the right to compile additional voter lists, which was due to the shortcomings of the unified voter list.

In late November 2007, the CEC began registering presidential candidates. The opposition was saying about negotiations being underway to select that single candidate who would confront former president Mikheil Saakashvili in elections. Eventually, the opposition did not come to an agreement. However, part of the opposition forces involved in organizing the November 2007 anti-government rallies managed to select the common candidate. The rest of the opposition parties have nominated their presidential candidates.

The CEC has registered 7 presidential candidates within the timeframe provided by the Election Code and has assigned the election number to each of them.

1. Levan Gachechiladze – Leader of United Opposition (National Council),
2. Arkadi (Badri) Patarkatsishvili – Businessman, Independent Candidate,
3. Davit Gamkrelidze – Leader of P/U "New Rights Party",
4. Shalva Natelashvili – Leader of the Labour Party
5. Mikheil Saakashvili – Leader of United National Movement, Former President,
6. Giorgi Maisashvili - Party of the Future,
7. Irina Sarishvili – Tchanturia – Leader[194] of P/U "Hope".




გაზეთი „კვირის პალიტრა" პრეზიდენტობის კანდიდატთა შესახებ, 2007 წლის 24-30 დეკემბერი
*გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

The newspaper "Kviris Palitra" about presidential candidates, 24-30 December 2007
*The newspaper is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

193 Newspaper "Sakartvelos Respublika", 22 November 2007, p. 3.
194 Newspaper "Kviris Palitra", 24-30 December 2007, p. 1.

რეგისტრაციის შემდეგ, საარჩევნო კოდექსის თანახმად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და კერძო კომერციულმა ტელევიზიებმა კანდიდატებისთვის საეთერო დრო უსასყიდლოდ გამოყვეს. თუმცა ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აცხადებდა, რომ ხშირად წინასაარჩევნო პერიოდში საეთერო დრო არათანაბრად იყო განაწილებული და, ძირითადად, ყოფილი პრეზიდენტის სააგიტაციო რეპორტაჟები ჭარბობდა. გარდა ამისა, ოპოზიციურად განწყობილი ტელევიზიები, რომლებიც 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ დახურეს, სრულფასოვნად ისედაც ვერ ფუნქციონირებდნენ. წინასაარჩევნო პროცესების აქტიური მონიტორინგი მიმდინარეობდა. არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და სახალხო დამცველის ოფისი, რომელიც წინასაარჩევნო პროცესების აქტიურ მონიტორინგს აწარმოებდა, ხშირად აცხადებდა, რომ შეჯიბრი არათანაბარზომიერი იყო.[195]




პრეზიდენტობის კანდიდატის, ლევან გაჩეჩილაძის, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Levan Gachechiladze, presidential candidate
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა 74 საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის 1904 წარმომადგენელი და 34 ადგილობრივი ორგანიზაციის ათასობით დამკვირვებელი, რომლებსაც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მეთვალყურეობა ევალებოდათ. ცესკომ 134 საერთაშორისო და ადგილობრივი მედიაორგანიზაციაც დაარეგისტრირა. მათ უფლება ჰქონდათ, ნებისმიერ უბანზე მიმდინარე პროცესი და ყველა დონის საარჩევნო კომისიის საქმიანობა გაეშუქებინათ.

დამოუკიდებელ გაზეთებში პრეზიდენტობის კანდიდატთაგან თითოეულის საარჩევნო პროგრამა ქვეყნდებოდა და მათთან ინტერვიუებიც სისტემატურად იბეჭდებოდა.[196]

კენჭისყრამდე რამდენიმე კვირით ადრე არკადი პატარკაციშვილმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, თუმცა ვიდრე არჩევნებიდან მისი კანდიდატურის მოხსნის იურიდიული პროცედურა დასრულდებოდა, გადაწყვეტილება კვლავ შეიცვალა. პრეზიდენტობის კანდიდატთათვის, როგორც ყოველთვის, ერთ-ერთი საუკეთესო სააგიტაციო საშუალება საცნობარო ბუკლეტები და პლაკატები იყო.




პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით გამყრელიძის, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Davit Gamkrelidze, presidential candidate
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

195 გაზ. „რეზონანსი", 2007 წლის 14 დეკემბერი, გვ. 4.
196 გაზ. „კვირის პალიტრა", 2007 წლის 24-30 დეკემბერი, გვ. 5-11

Following the registration, according to the Election Code, the Public Broadcaster and private commercial televisions allocated free airtime to candidates. However, some NGOs said that often during the pre-election period, airtime was unequally distributed and that mostly the former president's agitation reportage prevailed. Besides, the opposition television stations, which were shut down after 7 November 2007, could not function fully. Active monitoring of pre-election processes was underway. Numerous non-governmental organizations and the Public Defender's Office, which have been actively monitoring the pre-election process, have often stated that the competition was[195] unequal.

The CEC has registered 1904 representatives of 74 international observation missions and thousands of observers from 34 local organizations that were assigned to oversee the extraordinary presidential election. The CEC also registered 134 international and local media organizations. They had the right to cover the ongoing process at any polling station and the activities of all levels of the election commission.

Independent newspapers published the election programs of each presidential candidate and interviews with them were also systematically published[196].

A few weeks before the E-day, Arkady Patarkatsishvili refused to run in the election, but before the legal procedure for removal of his candidature from the election was completed, the decision was reversed. For presidential candidates, as always, one of the best agitation tools were booklets and posters.




პრეზიდენტობის კანდიდატის, შალვა ნათელაშვილის, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Shalva Natelashvili, presidential candidate
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




პრეზიდენტობის კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Mikheil Saakashvili, presidential candidate
*The docment is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

195 Newspaper "Rezonansi", 14 December 2007, p.4.
196 Newspaper "Kviris Palitra", 24-30 December 2007, p. 5-11.

ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები პერიოდულად წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებდნენ. მათი წარმომადგენლები ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებდნენ იმ ფაქტზე, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსიც და ბიუჯეტიც ყველაზე ინტენსიურად სწორედ სამთავრობო კანდიდატს ხმარდებოდა. მიუთითებდნენ იმაზეც, რომ ოპოზიციის კანდიდატთა დაშინების შემთხვევები ხშირი იყო. მიუხედავად ამგვარი კრიტიკისა, საბოლოო ჯამში, წინასაარჩევნო პროცესები მაინც დადებითად ფასდებოდა და, წინა არჩევნებთან შედარებით, აშკარა პროგრესიც აღინიშნებოდა.[197]

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისას შექმნილი იყო 3 512 საარჩევნო უბანი, რომლებიც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და ქვეყნის გარეთ არსებულ წარმომადგენლობებს ემსახურებოდნენ.

ქვეყნის მაღალმთიანი რაიონების ნაწილში, კლიმატური პირობების გამო, არჩევნები 2007 წლის 28 დეკემბერს გაიმართა, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე 2008 წლის 5 იანვარს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. სადამკვირვებლო მისიათა ანგარიშებში ასახული იყო ოპოზიციურ პარტიათა კანდიდატების მხარდამჭერებზე ძალადობის ცალკეული ფაქტები, ასევე მუქარისა და დაშინების რამდენიმეშემთხვევა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეფასებით, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 56.2%-მა.

2008 წლის 13 იანვარს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე არჩევნების შემაჯამებელი ოქმი გამოსცა.

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, ერთიან საარჩევნო სიაში რეგისტრირებული 3 527 964 ამომრჩევლიდან რიგგარეშე არჩევნებში 1 982 318 მოქალაქე მონაწილეობდა. საარჩევნო კომისიების მიერ ბათილად იქნა ცნობილი 33 129 ბიულეტენი, ხმები კი კანდიდატებს შორის ამგვარად გადანაწილდა:

1. ლევან გაჩეჩილაძე – 509 111 – 25.69%,
2. არკადი (ბადრი) პატარკაციშვილი – 140 801 – 7.10%,
3. დავით გამყრელიძე – 79 734 – 4.02%,
4. შალვა ნათელაშვილი – 128 564 – 6.49%,
5. მიხეილ სააკაშვილი – 1 059 647– 53.47%,
6. გიორგი მაისაშვილი – 15 247 – 0.77%,
7. ირინა სარიშვილი-ჭანტურია – 3 242 – 0.16%.[198]

ცენტრალური საარჩევნო კომისიის პარალელურად ხმებს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაც ითვლიდა. პარალელური დათვლის შედეგები ოფიციალურისგან 1-3%-ით განსხვავდებოდა. თუმცა მათი მონაცემებითაც მიხეილ სააკაშვილი ხმების 50%-ზე მეტს პირველივე ტურში აგროვებდა და არჩევნებში იმარჯვებდა. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა არჩევნების საბოლოო შედეგები გააპროტესტეს, საქართველოს პროკურატურაში სარჩელი შეიტანეს და განაცხადეს, რომ აქციებს იწყებდნენ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არსებული საჩივრები განიხილა, ზოგიერთი დააკმაყოფილა და, ამის საფუძველზე, შემაჯამებელ ოქმში მცირედი კორექტივები შეიტანა, თუმცა ეს ცვლილება საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვნად არ ასახულა.

197 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წლის 15 დეკემბერი, გვ. 5.

198 იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 13 იანვრის სხდომაზე, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

Local and international observation missions periodically published the results of pre-election monitoring. Their representatives paid special attention to the fact that both the administrative resources and the budget were spent most intensively on the government candidate during the pre-election period. It was also pointed out that cases of intimidation of opposition candidates were frequent. Despite such criticism, overall, the pre-election processes were still positively evaluated and when compared to the previous elections, obvious progress was noted .

During the extraordinary presidential election, 3 512 polling stations were set up to serve the territory controlled by the Georgian central government and representations outside the country.

Due to climatic conditions in some parts of the country's highlands, elections were held on 28 December 2007, and in the rest of the country extraordinary Presidential Elections were held on 5 January 2008 in a calm atmosphere. The observation missions' reports highlighted isolated incidents of violence against supporters of opposition party candidates, as well as some cases of threats and intimidation.

According to the CEC, 56.2% of voters cast their ballots in the 5 January 2008 presidential election.

On 13 January 2008, the CEC released the summary protocol of 5 January 2008 extraordinary Presidential Elections of Georgia.



1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 3 527 964
2. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა 1 982 318
3. ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა: 33 129

4. საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა:

| № | საარჩევნო სუბიექტის დასახელება | მიღებული ხმების რაოდენობა | % |
|---|---|---|---|
| 1. | ლევან გაჩეჩილაძე | 509 234 | 25.69 |
| 2. | არკადი პატარკაციშვილი | 140 826 | 7.10 |
| 3. | დავით გამყრელიძე | 79 747 | 4.02 |
| 4. | შალვა ნათელაშვილი | 128 589 | 6.49 |
| 5. | მიხეილ სააკაშვილი | 1 060 042 | 53.47 |
| 6 | გიორგი მაისაშვილი | 15 249 | 0.77 |
| 7 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 3 242 | 0.16 |

საქართველოს პრეზიდენტად არჩეულია მიხეილ სააკაშვილი.

კომისიის თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი

კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე

According to the summary protocol, out of 3 527 964 registered voters in the unified election list, 1 982 318 citizens participated in the extraordinary elections. 33 129 ballots were annulled by the election commissions. The votes among candidates were distributed as follows:

1. Levan Gachechiladze – 509 234 – 25.69%,
2. Arkadi (Badri) Patarkatsishvili – 140 826 – 7.10%,
3. Davit Gamkrelidze – 79 747 – 4.02%,
4. Shalva Natelashvili – 128 589 – 6.49%,
5. Mikheil Saakashvili – 1 060 042 – 53.47%,
6. Giorgi Maisashvili – 15 249 – 0.77%,
7. Irina Sarishvili – Tchanturia – 3 242 – 0.16%.

The summary protocol of 5 January 2008 Extraordinary Presidential Elections of Georgia adopted by Central Election Commission of Georgia at the session held on 13 January 2008

The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia

Several non-governmental organizations also counted the votes in parallel with the CEC. The results of parallel vote tabulation (PVT) differed from official data by 1-3%. However, according to their data, Mikheil Saakashvili was having more than 50% of the votes in the first round winning the elections. Candidates participating in the Presidential Elections protested the final results of the elections, filed a lawsuit with the Prosecutor's Office of Georgia, and stated that they were starting rallies. The CEC reviewed the existing complaints, upheld some of them, and made minor adjustments to the summary protocol, though, this change did not significantly affect the final result.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 13 იანვრის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of 5 January 2008 Extraordinary Presidential Elections of Georgia adopted by Central Election Commission of Georgia at the session held on 13 January 2008
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

197 Newspaper "Sakartvelos Respublika", 15 December 2007, p. 5.

198 See the summary protocol of 5 January 2008 extraordinary Presidential Elections of Georgia adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 13 January 2008. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

# საქართველოს 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შესახებ

1992 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, საქართველოს რესპუბლიკა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (NATO) ურთიერთთანამშრომლობის პროცესში აქტიურად ჩაება. ეს თანამშრომლობა საქმიანობის სხვადასხვა ფორმატს გულისხმობდა. ნატო, ამა თუ იმ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს წლების განმავლობაში ათეულობით მილიონი დოლარით ეხმარებოდა. 2002 წლის ივნისში საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის პრაღის სამიტზე ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანების სურვილსა და ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად მზაობას გამოთქვამდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური განცხადებები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების შესახებ მეტად გახშირდა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობამ და ძირითადმა პოლიტიკურმა ძალებმა მრავალპარტიული მხარდაჭერის დასადასტურებლად სპეციალური მემორანდუმიც კი გააფორმეს.

2007 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან გამომდინარე, მმართველი გუნდის გადაწყვეტილებით, ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ორი პლებისციტი ჩატარდა. თუმცა კონკრეტული თარიღის დასახელებამდე დებატებს უნდა გადაეწყვიტა, რეფერენდუმი ჩატარებულიყო თუ პლებისციტი დაენიშნათ. საკონსტიტუციო ჩანაწერის მიხედვით, რეფერენდუმს აუცილებლად საქართველოს მთელი ტერიტორია უნდა მოეცვა. ეს მოცემული მომენტისათვის შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ცენტრალური ხელისუფლება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის დიდ ნაწილს ვერ აკონტროლებდა. ამის გათვალისწინებით, საბოლოოდ გადაწყდა, დაენიშნათ პლებისციტი, რომლის შედეგიც ხელისუფლებას რეკომენდაციად უნდა გაეთვალისწინებინა.

2008 წლის 5 იანვარს საპლებისციტო შეკითხვა ამგვარად იყო ფორმულირებული: „უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოში)?“

პლებისციტის ორგანიზება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეკისრა. ცესკოს იმხანად ლევან თარხნიშვილი თავმჯდომარეობდა, თავმჯდომარის მოადგილის პოსტს დავით კირთაძე იკავებდა, ხოლო კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე იყო.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში, რომლითაც პლებისციტისას თუ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისას უნდა ესარგებლათ, 3 527 964 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.

წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების სააგიტაციო საქმიანობა იქითკენ იყო მიმართული, რომ პლებისციტის საკითხი დადებითად გადაეწყვიტათ. პრესაში პროპაგანდისტული სტატიები ქვეყნდებოდა, ტელევიზია კი შესაბამის სარეკლამო ვიდეორგოლებს ავრცელებდა.

საბოლოოდ, 2008 წლის 5 იანვარს საქართველოში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხზე ჩატარებულ პლებისციტში მონაწილეობა მიიღო 1 982 318 მოქალაქემ. ამომრჩეველთა აქტივობამ 56%-ს გადააჭარბა.

შემაჯამებელ ოქმში, რომელიც 2008 წლის 15 იანვარს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა, აღნიშნული იყო შემდეგი: 2008 წლის 5 იანვარს საპლებისციტო შეკითხვას, რომელიც ნატოში გაწევრიანების საკითხს უკავშირდებოდა, დათვლის შედეგებით, დადებითად უპასუხა 1 355 328 ამომრჩეველმა, რაც კენჭისყრის მონაწილეთა 77%-ს შეადგენდა, ხოლო უარყოფით პასუხს იძლეოდა 404 943 მოქალაქე ანუ მონაწილეთა 23%.[199]

199 იხ. 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 15 იანვარის სხდომაზე. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

# 5 JANUARY 2008 PLEBISCITE OF GEORGIA ON JOINING THE NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION

Since 1992 after gaining international recognition, Georgia has been actively involved in the process of cooperation with the North Atlantic Treaty Organization (NATO). This collaboration involved a variety of formats of activity. NATO has been helping Georgia with tens of millions of dollars over the years under this or that program. In June 2002, the President of Georgia, Eduard Shevardnadze, officially stated at the Prague Summit of the North Atlantic Treaty Organization that Georgia wanted to join NATO and expressed readiness to develop an individual action plan.

Political statements about Georgia's membership in NATO have frequented since the Rose Revolution. In this regard, the Government of Georgia and the main political forces have even signed a special memorandum to confirm multi-party support.

Due to the political crisis created after the events of November 2007, by the decision of the ruling team, two plebiscites were held along with the extraordinary Presidential Elections. However, before naming a specific date, the debate should have decided whether to hold a referendum or a plebiscite. According to the constitutional record, the referendum should have covered the entire territory of Georgia. This would have been impossible at the time, as the central government could not control much of the former Autonomous Republic of Abkhazia and the former South Ossetian Autonomous Region. Given the circumstances, it was finally decided to appoint a plebiscite, the outcome of which should have been considered by the authorities as a recommendation.

On 5 January 2008, the plebiscite question was formulated as follows: "Do you support Georgia's accession to the North Atlantic Treaty Organization (NATO)?"

The CEC of Georgia was assigned with organizing the plebiscite. Levan Tarkhnishvili was the CEC chairperson at that time, Davit Kirtadze deputy chairperson and Gizo Mchedlidze was the secretary of the commission.

3 527 964 voters were registered in the unified voters' list which should have been used in the plebiscite or in the presidential and Parliamentary Elections.

In the pre-election period, the government's agitation activities were aimed at resolving the plebiscite issue in a positive way. Propaganda articles were published in the press, and television broadcast appropriate advertising videos.

Finally, on 5 January 2008, 1 982 318 citizens participated in the plebiscite on Georgia's accession to the North Atlantic Treaty Organization. Voter turnout exceeded 56%.

The summary protocol released by the CEC of Georgia on 15 January 2008 stated the following: On 5 January 2008, on plebiscite question concerning NATO membership, based on the results, 1 355 328 voters answered positively, representing 77% of the electorate, 404 943 citizens or 23%[199] of the participants gave a negative answer.



1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 3 527 964
2. პლებისციტის მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა 1 982 318
3. ბათილად ცნობილ საპლებისციტო ბიულეტენთა რაოდენობა: 203 325

4. მიცემულ ხმათა რაოდენობა:

| | მიცემული ხმების რაოდენობა |
|---|---|
| "დიახ" | 1 355 328 |
| "არა" | 404 943 |

5. კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა 1 760 271
6. პლებისციტის დადებითად გადაწყვეტის მომხრე 1 355 328 – 77.00 %

7. საპლებისციტოდ შემოტანილი საკითხი "უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?" ჩაითვალა მიღებულად.

კომისიის თავმჯდომარე /ლევან თარხნიშვილი/
თავმჯდომარის მოადგილე /დავით კირთაძე/
კომისიის მდივანი /გიზო მჭედლიძე/

2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 15 იანვრის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

Summary protocol of 5 January 2008 Plebiscite adopted by Central Election Commission of Georgia at the session held on 15 January 2008
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

199 See the summary protocol of results of 5 January 2008 plebiscite adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 15 January 2008. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia.

# საქართველოს 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტი პარლამენტის არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების შესახებ

საქართველოს მოსახლეობას პარლამენტის მოქმედი შემადგენლობა 2003 წლის ნოემბერსა და 2004 წლის მარტში ჰყავდა არჩეული. ოთხწლიანი საარჩევნო ციკლი 2008 წლის მარტის ბოლოს სრულდებოდა, თუმცა, პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილების გამო, პარლამენტის შემადგენლობისათვის ამიერიდან ოთხ წელიწადში ერთხელ ოქტომბრის თვეში უნდა ეყარათ კენჭი. 2007 წლის ნოემბერში შექმნილი პოლიტიკური კრიზისისას ოპოზიციური გაერთიანებები საარჩევნოდ ახალი ვადის განსაზღვრის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. მათი ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა 2008 წლის დასაწყისისათვის კენჭისყრის ჩატარება იყო. თავდაპირველად ხელისუფლება ამგვარ ცვლილებას არ თანხმდებოდა, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ არჩევნების თარიღი მაინც განეხილათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტას რეფერენდუმი ან რაიმე სხვაგვარი გამოკითხვა არ ესაჭიროებოდა, აუცილებლად მიიჩნიეს, რომ პლებისციტი ჩაეტარებინათ. საპლებისციტო შეკითხვა ამგვარად ჩამოყალიბდა: „თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის გაზაფხულზე?“ პლებისციტში 1 982 318 ამომრჩეველი მონაწილეობდა. გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა, რომ მორიგი არჩევნების ვადების შეცვლას 1 410 269 ამომრჩეველი ანუ კენჭისყრის მონაწილეთა 79.74% უჭერდა მხარს და მხოლოდ 358 328 უარყოფდა.[200]

200 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგებისათვის იხ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული 2008 წლის 15 იანვარს, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში.

# 5 JANUARY 2008 PLEBISCITE OF GEORGIA ON HOLDING PARLIAMENTARY ELECTIONS IN SPRING

The people of Georgia have elected the current members of parliament in November 2003 and March 2004. The four-year election cycle was ending in late March 2008, but due to amendments to the constitution made by parliament, the parliament must have been elected once every four years in October. In the wake of November 2007 political crisis, opposition groups voiced the necessity of setting a new date for the election. One of their main demands was to hold a vote by early 2008. Initially, the government was against such a change but finally decided to discuss the date of the election. Although a referendum or other poll was not needed to resolve this issue, it was considered necessary to hold a plebiscite. The plebiscite question sounded as follows: “Do you agree that the next Parliamentary Elections in Georgia will be held in the spring of 2008?” 1 982 318 voters took part in the plebiscite. According to the poll, 1 410 269 voters, or 79.74% of the electorate, supported the change of the next election’s date and only 358 328 denied.[200]



1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 3 527 964
2. პლებისციტის მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა 1 982 318
3. ბათილად ცნობილ საპლებისციტო ბიულეტენთა რაოდენობა: 193 545

4. მიცემულ ხმათა რაოდენობა:

| | მიცემული ხმების რაოდენობა |
|---|---|
| “დიახ” | 1 410 269 |
| “არა” | 358 328 |

5. კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა 1 768 597
6. პლებისციტის დადებითად გადაწყვეტის მომხრე 1 410 269 – 79.74 %

7. საპლებისციტოდ შემოტანილი საკითხი “თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის გაზაფხულზე?” ჩაითვალა მიღებულად.

კომისიის თავმჯდომარე /ლევან თარხნიშვილი/
თავმჯდომარის მოადგილე /დავით კირთაძე/
კომისიის მდივანი /გიზო მჭედლიძე/
კომისიის წევრები:

2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 15 იანვრის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

Summary protocol of results of 5 January 2008 Plebiscite adopted by Central Election Commission approved at the session held on 15 January 2008
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

200 See the results of the plebiscite of 5 January 2008 in the summary protocol of the Central Election Commission of Georgia adopted on 15 January 2008. The document is preserved in the archives of the Central Election Commission Of Georgia.

# საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნები

პლებისციტს, რომელიც საქართველოში 2008 წლის 5 იანვარს ჩატარდა, პარლამენტის არჩევნების თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით მოსახლეობის პოზიცია უნდა გამოევლინა, თუმცაღა ხელისუფლებისათვის ეს მხოლოდ რეკომენდაცია იქნებოდა და არა დირექტივა. მიუხედავად ამისა, არსებული ვითარების გათვალისწინებითა და საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, პარლამენტმა კონსტიტუციის გარდამავალ მუხლებში შესწორებები შეიტანა. ამგვარმა ცვლილებამ, საბოლოოდ, შესაძლებელი გახდა, საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის გაზაფხულზე ჩაეტარებინათ. საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, არჩევნების თარიღად 2008 წლის 21 მაისი დაასახელა.

საქართველოს პარლამენტმა, ოპოზიციური პარტიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით, 2008 წლის 21 მარტს საარჩევნო კოდექსში კორექტივები შეიტანა. საპარლამენტო არჩევნები შერეული სისტემით გაიმართებოდა. მოქალაქეები არჩევნებზე პარლამენტის 150 წევრს უყრიდნენ კენჭს. 75 კანდიდატის ბედს გადაწყვეტდა პროპორციული საარჩევნო სისტემა 5%-იანი ბარიერით, პარლამენტის 75 წევრის ვინაობას კი განსაზღვრავდა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნები და კენჭისყრისას მოპოვებული ხმათა უმრავლესობა. არცთუ უმნიშვნელო იყო ისიც, რომ არჩევნები შემდგარად ჩაითვლებოდა, თუკი უბანზე ერთი ამომრჩეველი მაინც გამოცხადდებოდა.[201]

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებისას ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კვლავ ლევან თარხნიშვილი თავმჯდომარეობდა, თავმჯდომარის მოადგილის პოსტს დავით კირთაძე იკავებდა, გიზო მჭედლიძე კი ისევ კომისიის მდივანი იყო.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში რეგისტრაციაში გაატარა და საარჩევნო ნომრები მიანიჭა შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს:

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“,
2. საქართველოს რესპუბლიკური პარტია,
3. „მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე – მრეწველები (მგს, ერთობა, ედპ)“,
4. „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“,
5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“,
6. პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“,
7. „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“,
8. „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია“,
9. პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი (ქდა)“,
10. „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“,
11. „ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“,
12. საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“.[202]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა საარჩევნო სუბიექტთა პროპორციული საკანდიდატო სიები, რომლებიც ცესკოს ვებგვერდზე და გაზეთებში გამოქვეყნდა.[203] იმავდროულად, გამოქვეყნდა იმ მაჟორიტარ კანდიდტთა ჩამონათვალიც, რომლებიც კენჭს იყრიდნენ ერთმანდატიან ოლქებში.[204] პრესაში და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნდა პოლიტიკურ სუბიექტთა საარჩევნო პროგრამები.[205]

საარჩევნო კომისიამ, როგორც ამას საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებდა, რეგისტრაციაში გაატარა ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, მათთან ერთად კი – მასმედიის წარმომადგენლებიც. საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნებზე დარეგისტრირდა 62 საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებული იყო 1 848 წევრი.

201 გაზ. „რეზონანსი“, 2008 წლის 1 მაისი, გვ. 6.
202 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/2/2675.pdf
203 გაზ. „კვირის პალიტრა“, 2008 წლის 12-18 მაისი, გვ. 15-16. ცესკოს მონაცემებისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/0/329.pdf
204 გაზ. „კვირის პალიტრა“, 2008 წლის 12-18 მაისი, გვ. 16-18. იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/0/383.pdf
205 იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/3792-2008-wlis-21-mais-saqartvelos-saparlamento-archevnebishi-monawile-partiebis-programa-3299

# 21 MAY 2008 PARLIAMENTARY ELECTIONS OF GEORGIA

The plebiscite, which took place in Georgia on 5 January 2008, should have revealed the position of the population regarding the change of the date of the Parliamentary Elections, although it would be only a recommendation for the government and not an order. Nevertheless, given the current situation and presented by the President of Georgia, the Parliament has amended the transitional articles of the Constitution. Such a change eventually led to holding the Parliamentary Elections in spring of 2008. The President of Georgia, Mikheil Saakashvili, has set 21 May 2008 as the election date.

The Parliament of Georgia, at the request of opposition parties and international organizations, made amendments to the Election Code on 21 March 2008. Parliamentary Elections would be held under a mixed system. Citizens would cast their ballots for 150 members of parliament. The fate of 75 candidates was decided by a proportional electoral system with a 5% threshold and identity of 75 MPs was revealed in elections held by a majoritarian electoral system in single-member electoral districts and by a majority of votes cast. It was not insignificant that the elections would have been considered held if at least one voter came[201] at the polling station.

Levan Tarkhnishvili was again the chairperson of the Central Election Commission (CEC) during the 21 May 2008 Parliamentary Elections, Davit Kirtadze deputy chairperson and Gizo Mchedlidze was again the secretary of the commission.

The CEC registered political subjects in line with timeframe prescribed by the election code and assigned the election numbers to them:

1. Political Union of Citizens “Georgian Policy”,
2. Republican Party of Georgia,
3. “Rightist Alliance – Topadze Industrialists (ISG, Unity, NDP)“,
4. “Shalva Natelashvili – Labour Party of Georgia”,
5. “United National Movement – for Victorious Georgia”,
6. Political Union “Union of Georgian Sportsmen”,
7. United Opposition (National Council, New Rights),
8. “National Party of Radical Democrats of All Georgia”
9. Political Union “Christian-Democratic Alliance” (CDA)“,
10. “Giorgi Targamadze – Christian-Democrats”,
11. “Traditionalists – Our Georgia and Women’s Party”,
12. Georgian Political Party “Our Country“.[202]

The CEC approved the proportional candidate lists of election subjects, which were published[203] on the CEC website and in newspapers. At the same time, a list of majoritarian candidates who ran in single-member districts[204] was published. Election programs[205] of political subjects were released in the press and on the CEC website.



საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების ბიულეტენის ნიმუში, ამომრჩეველთა გზამკვლევი, 2008 წლის მაისი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Sample ballot paper of the 21 May 2008 Georgian Parliamentary Elections, Georgian Voters’ Guide, May 2008
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

201 Newspaper “Rezonansi”, 1 May 2008, p. 6.
202 For Central Election Commission data, see the link: http://cesko.ge/res/old/other/2/2675.pdf
203 Newspaper “Kviris Palitra”, 12-128 May 2008, p. 15-16. See the CEC data at the following link: http://cesko.ge/res/old/other/0/329.pdf
204 Newspaper “Kviris Palitra”, 12-18 May 2008, p. 16-18. See the link: http://cesko.ge/res/old/other/0/383.pdf
205 See the link: http://cesko.ge/geo/list/show/3792-2008-wlis-21-mais-saqartvelos-saparlamento-archevnebishi-monawile-partiebis-programa-3299

ცესკომ ასევე დაარეგისტრირა 33 ადგილობრივი სადამკვირვებლო მისია 13 195 დამკვირვებლით. რეგისტრაცია გაიარა მასმედიამაც 937 წარმომადგენლით.[206]

გარდა იმისა, რომ სადამკვირვებლო მისიები მონიტორინგს უწევდნენ წინასაარჩევნო პერიოდს, ისინი, საერთაშორისო დონორებსა თუ ცესკოსთან თანამშრომლობით, ამომრჩევლებისათვის გზამკვლევებსაც ამზადებდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებელი და კერძო ტელეკომპანიები რეგისტრირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს საეთერო დროსა და სივრცეს, ჩვეულებისამებრ, უსასყიდლოდ დაუთმობდნენ.

სადამკვირვებლო მისიათა წარმომადგენლები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში მიმდინარე პროცესს აკვირდებოდნენ, ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებზე მიუთითებდნენ და ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური სუბიექტებისა თუ მათი მხარდამჭერების დაშინება-შევიწროების შემთხვევებზეც საუბრობდნენ.[207]

საარჩევნო სუბიექტები მოსახლეობასთან შეხვედრებსაც მართავდნენ და ფართომასშტაბიან აქციებსაც აწყობდნენ, ხოლო ამომრჩევლის სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას სააგიტაციო-საცნობარო ბუკლეტებითა და პლაკატებით ცდილობდნენ.




ოპოზიციური ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)", საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of opposition bloc "United Opposition (National Council, New Rights)"
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის" ამომრჩევლებს რეზერვში წასვლისაკენ მოუწოდებს, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of "United National Movement – for Victorious Georgia" calling on voters to go to military reserve
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

206 იხ. ბმულები: http://cesko.ge/geo/list/show/3139-saqartvelos-parlamentis-2008-wlis-21-maisis-archevnebisatvis-saqartvelos-centralur-saarchevno-komisiashi-registrirebuli-saertashoriso-damkvirvebeli-organizaciebis-chamonatvali-3328; http://cesko.ge/geo/list/show/3138-saqartvelos-parlamentis-2008-wlis-21-maisis-archevnebisatvis-saqartvelos-centralur-saarchevno-komisiashi-registrirebuli-arasamtavrobo-adgilobrivi-damkvirvebeli-organizaciebis-chamonatvali-3329 და http://cesko.ge/res/old/other/7/7103.pdf

207 გაზ. „რეზონანსი", 2008 წლის 15 მაისი, გვ. 2.

The election commission, as envisaged by the Election Code, registered local and international election observation missions, as well as representatives of the mass media. 62 international observation groups were registered for the 21 May 2008 Parliamentary Elections in Georgia involving 1 848 members. The CEC also registered 33 local election observation missions with 13 195 observers. 937 representatives of mass media also went through the registration process.[206]

In addition to monitoring the pre-election period, observation missions, in collaboration with international donors or the CEC, also prepared guidelines for voters.

In the pre-election period, the public broadcaster and private television stations would usually give free airtime to registered political subjects.

Representatives of the observation missions, who were observing the ongoing process during the pre-election period, were pointing to the use of administrative resources by the government and voicing[207] the intimidation-pressure of opposition-minded political subjects and their supporters.

The election subjects were also holding meetings with the people and organizing large-scale rallies. They were trying to raise the civic self-awareness of the voters with agitation booklets and posters.




ბლოკი „ტრადიციონალისტები, ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of “Traditionalists – Our Georgia and Women’s Party” bloc
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




ზვიად ძიძიგური, ისნის ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „გაერთიანებული ოპოზიციის“ საარჩევნო ბლოკიდან, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Zviad Dzidziguri , a majoritarian candidate from “United Opposition” bloc in Isani district
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

206 See links: http://cesko.ge/geo/list/show/3139-saqartvelos-parlamentis-2008-wlis-21-maisis-archevnebisatvis-saqartvelos-centralur-saarchevno-komisiashi-registrirebuli-saertashoriso-damkvirvebeli-organizaciebis-chamonatvali-3328; http://cesko.ge/geo/list/show/3138-saqartvelos-parlamentis-2008-wlis-21-maisis-archevnebisatvis-saqartvelos-centralur-saarchevno-komisiashi-registrirebuli-arasamtavrobo-adgilobrivi-damkvirvebeli-organizaciebis-chamonatvali-3329 და http://cesko.ge/res/old/other/7/7103.pdf

207 Newspaper “Rezonansi”, 15 May 2008, p. 2.

შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის 21 მაისის არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, თუმცაღა ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლებზე, დამკვირვებლებსა თუ მედიაზე ზეწოლაც ხშირი იყო და მათი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მცდელობაც.[208] როგორც სადამკვირვებლო მისიათა წარმომადგენლები იუწყებოდნენ, იყო გაყალბების რამდენიმე შემთხვევაც.[209]

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობამ 53.4% შეადგინა. ოლქების მიხედვით, ამომრჩეველთა ყველაზე მაღალი აქტივობა – 85.84% – ახალციხეში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი – 39.82 – ზუგდიდის საარჩევნო ოლქში.[210]

წინასწარი შედეგებით, რომლებიც მეორე დღესვე გამოქვეყნდა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მოქმედი სახელისუფლებო პარტია, საკონსტიტუციო უმრავლესობით (მანდატების 2/3-ზე მეტით) იმარჯვებდა. ოპოზიციურ პარტიებში, რომლებმაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდობლობა გამოუცხადეს, ამ მონაცემებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება არჩევნების წინასწარ შედეგებს აპროტესტებდა.[211]

არჩევნების დასრულებიდან მალევე კომისია სხვადასხვა დონეზე უამრავ საჩივარს განიხილავდა. განხილვათა დასრულების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიამ შემაჯამებელი ოქმები დაამტკიცა.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2008 წლის 5 ივნისის სხდომაზე 2008 წლის 21 მაისის პარლამენტის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა.



№31 ახალგორის საარჩევნო ოლქის შედეგების შემაჯამებელი ოქმი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მიხედვით
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

Summary protocol of №31 Akhalgori electoral district's results by majoritarian electoral system
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

ამ ოქმის მიხედვით, 2008 წლის 21 მაისს ერთიან საარჩევნო სიაში აღნუსხული 3 465 736 მოქალაქიდან საპარლამენტო კენჭისყრაში მონაწილეობდა 1 850 407 ამომრჩეველი. 56 077 საარჩევნო ბიულეტენი ბათილად იქნა მიჩნეული, ხოლო შედეგები პოლიტიკურ სუბიექტთა შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“ – 8 231 – 0.46%,
2. საქართველოს რესპუბლიკური პარტია – 67 037 – 3.78%,
3. „მემარჯვენე ალიანსი, თოფაძე – მრეწველები (მგს, ერთობა, ედპ)“ – 16 440 – 0.93%,
4. „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 132 092 – 7.44%,
5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“ – 1 052 237 – 59.18%,
6. პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“ – 3 308 – 0.19%,
7. „გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“ – 314 668 – 17.73%,
8. „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია“ – 3 180 – 0.18%,

208 გაზ. რეზონანსი, 2008 წლის 24 მაისი, გვ. 3.
209 გაზ. „რეზონანსი“, 2008 წლის 24 მაისი, გვ. 4.
210 ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/0/588.pdf
211 გაზ. „რეზონანსი“, 2008 წლის 22 მაისი, გვ. 5; იქვე, 2008 წლის 23 მაისი, გვ. 2; იქვე, 2008 წლის 24 მაისი, გვ. 2.

It can be said that the 21 May 2008 elections were peaceful, although there was frequent pressure on representatives of opposition parties, observers and the media, and attempts[208] to obstruct their activities. As reported by the observation missions, there were several[209] cases of fraud.

According to the CEC, the voter turnout in the 21 May 2008 Parliamentary Elections was 53.4%. Based on the districts, the highest voter turnout – 85.84% was observed in Akhaltsikhe and the lowest – 39.82 in Zugdidi electoral districts.[210]

According to the preliminary results released the next day, the United National Movement, the current ruling party, was winning by a constitutional majority (more than two-thirds of the seats). Opposition parties have expressed no confidence in the CEC and this data caused great dissatisfaction. A society with oppositional sentiments was protesting[211] the preliminary results of elections.

Shortly after the elections, the commission was reviewing numerous complaints at various levels. After the review, the District Election Commission (DEC) approved the summary protocols.



№85 ლიახვის საარჩევნო ოლქის შედეგების შემაჯამებელი ოქმი პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

Summary protocol of №85 Liakhvi electoral district’s results by proportional electoral system
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*



№86 ზემო აფხაზეთის საარჩევნო ოლქის შედეგების შემაჯამებელი ოქმი პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

Summary protocol of №86 Zemo Apkhazeti electoral district’s results by proportional electoral system
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

208 Newspaper “Rezonansi”, 24 May 2008, p. 3.

209 Newspaper “Rezonansi”, 24 May 2008, p. 4.

210 See the data of the Central Election Commission at the following link: http://cesko.ge/res/old/other/0/588.pdf

211 Newspaper “Rezonansi”, 22 May 2008, p. 5; there, 23 May 2008, p. 2; there, 24 May 2008, p. 2.

9. პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი (ქდა)“ – 15 839 – 0.89%,
10. „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“ – 153 634 – 8.66%,
11. „ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“ – 7 880 – 0.44%,
12. საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“ – 2 101 – 0.12%.

შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, პროპორციული სისტემით 5%-იანი ბარიერი გადალახა და მანდატები მოიპოვა ოთხმა საარჩევნო სუბიექტმა:

„შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 6 მანდატი,

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“ – 48 მანდატი,

„გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“ – 15 მანდატი,

„გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“ – 6 მანდატი.[212]

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, მაჟორიტარული სისტემით მანდატები მხოლოდ სამმა საარჩევნო სუბიექტმა მოიპოვა:

„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ – 2 მანდატი,

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“ – 71 მანდატი,

„გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები)“ – 2 მანდატი.[213]

150 დეპუტატს შორის, რომლებითაც 2008 წლის 21 ივნისს კენჭისყრის შემდეგ საქართველოს პარლამენტი დაკომპლექტდა, მხოლოდ 9 იყო ქალი. მათგან 8 პროპორციული სისტემით აირჩიეს, ხოლო 1 – მაჟორიტარულით. კენჭისყრის შედეგებით, პარლამენტში შევიდა ეთნიკურ უმცირესობათა 5 წარმომადგენელი: 2 – პროპორციული საარჩევნო სისტემით, ხოლო 3 – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ოლქებიდან.



ოქმი

| № | [illegible] | [illegible] | % | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 8 231 | 0.46% | |
| 2 | [illegible] | 67 857 | [illegible] | |
| 3 | [illegible] | [illegible] | [illegible] | |
| 4 | [illegible] | 132 092 | 7.44% | 6 |
| 5 | [illegible] | 1 050 237 | 59.18% | 48 |
| 6 | [illegible] | 3 308 | 0.19% | |
| 7 | [illegible] | 314 668 | 17.73% | 15 |
| 8 | [illegible] | 3 100 | 0.18% | |
| 9 | [illegible] | 15 839 | 0.89% | |
| 10 | [illegible] | 153 634 | 8.66% | 6 |
| 11 | [illegible] | 7 880 | 0.44% | |
| 12 | [illegible] | 2 101 | 0.12% | |

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული 2008 წლის 5 ივნისს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Summary protocol of 21 May 2008 Georgian Parliamentary Elections adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 5 June 2008
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

212 იხ. საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 5 ივნისის სხდომაზე, დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

213 იხ. საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 21 მაისის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 5 ივნისის სხდომაზე, დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

At the 5 June 2008 session, the CEC of Georgia adopted the summary protocol of the 21 May 2008 Parliamentary Elections.

According to this protocol, 1 850 407 voters out of 3 465 736 citizens registered in the unified voter list participated in the Parliamentary Elections on 21 May 2008. 56 077 ballot papers were deemed invalid. The results of the votes were distributed among political subjects as follows:

1. Political Union of Citizens “Georgian Policy” – 8 231 – 0.46%,
2. Republican Party of Georgia – 67 037 – 3.78%,
3. “Rightist Alliance – Topadze Industrialists (ISG, Unity, NDP)“ – 16 440 – 0.93%,
4. “Shalva Natelashvili – Labour Party of Georgia” – 132 092 -7.44%,
5. “United National Movement – for Victorious Georgia” – 1 052 237 – 59.18%,
6. Political Union “Union of Georgian Sportsmen – 3 308 – 0.19%,
7. United Opposition (National Council, New Rights) – 314 668 – 17.73%,
8. “National Party of Radical Democrats of All Georgia” – 3 180 – 0.18%,
9. Political Union “Christian-Democratic Alliance (CDA) – 15 839 – 0.89%,
10. “Giorgi Targamadze – Christian-Democrats” – 153 634 – 8.66%,
11. “Traditionalists – Our Georgia and Women’s Party” – 7 880 – 0.44%,
12. Georgian Political Party “Our Country“ – 2 101 – 0.12%.

According to the summary protocol, four election subjects crossed the 5% threshold by the proportional system and won seats:

“Shalva Natelashvili – Labour Party of Georgia” – 6 mandates,

“United National Movement – for Victorious Georgia” – 48 mandates,

“United Opposition (National Council, New Rights)” – 15 mandates,

“Giorgi Targamadze – Christian-Democrats” – 6 mandates.[212]

According to the summary protocol, only three election subjects received mandates by the majoritarian system:

“Republican Party of Georgia” – 2 mandates,

“United National Movement – for Victorious Georgia” – 71 mandates,

“United Opposition (National Council, New Rights)” – 2 mandates.[213]

Of the 150 deputies elected to the Georgian parliament on 21 June 2008, only 9 were women. Of them, 8 were elected by the proportional system and 1 by majoritarian. Based on the polling outcome, 5 representatives of ethnic minorities entered the parliament, 2 by the proportional system, and 3 by the majoritarian system in districts densely populated by ethnic minorities.

212 See the summary protocol of 21 May 2008 Georgian Parliamentary Elections adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 5 June 2008. The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia.

213 See the summary protocol of 21 May 2008 Georgian Parliamentary Elections adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 5 June 2008. The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო პოსტრევოლუციურ პერიოდში, 2004 წლის 20 ივნისს, ოთხწლიანი ვადით იყო არჩეული და 2008 წლის ივნისში უფლებამოსილება უწყდებოდა. მიუხედავად ამისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებზე დაყრდნობით, მორიგი კენჭისყრის სავარაუდო თარიღად საარჩევნო წლის შემოდგომა განისაზღვრა. საკანონმდებლო ცვლილებებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობა 30-დან 18-მდე შეამცირა. შერეული საარჩევნო სისტემა ძალაში დარჩა, მაგრამ მანდატთა განაწილების პროპორციები შეიცვალა. 2008 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 12 წევრს პროპორციული სისტემით აირჩევდნენ, 6 წევრს კი – ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სისტემით. გადაწყდა, რომ ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ერთმანდატიანი ოლქები შეიქმნებოდა თვითმმართველ ქალაქ ბათუმში, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. პროპორციული სისტემით არჩევნებისას ბარიერი 5%-ით განისაზღვრა, ხოლო მაჟორიტარული სისტემით თითოეული ოლქი იმ კანდიდატს აირჩევდა, რომელიც ხმათა უმრავლესობას დააგროვებდა.

საქართველოს პრეზიდენტმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არჩევნები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით, 2008 წლის 3 ნოემბერს დანიშნა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ორგანიზება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას (უსკოს) დაევალა. 2008 წელს უსკოს თავმჯდომარე იყო არჩილ მიქელაძე, თავმჯდომარის მოადგილე – თამაზ შარმანაშვილი, ხოლო მდივანი კი – ქეთევან ჯიქია. უსკო, ისევე როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისია, 13 წევრისაგან შედგებოდა – 6 აჭარის უმაღლეს საბჭოს უნდა აერჩია, ხოლო 7 წევრს პოლიტიკური სუბიექტები ნიშნავდნენ.

უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ 2008 წლის 4 ოქტომბერს, არჩევნებამდე 30 დღით ადრე, პოლიტიკური სუბიექტები რეგისტრაციაში გაატარა და მათ საარჩევნო ნომრები მიანიჭა:

№1 „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ (სეკპ),

№2 პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“,

№3 პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (მგს),

№4 პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“,

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“,

№6 „საქართველოს კონსერვატიული პარტია“,

№7 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“,

№10 „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“.[214]

მომდევნო დღეების განმავლობაში რეგისტრაციიდან მოიხსნა „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ და მპგ „ქართული პოლიტიკა“. საარჩევნო ბიულეტენებში ექვსი საარჩევნო სუბიექტი შეიტანეს. უსკომ მაჟორიტარი კანდიდატები ექვს საარჩევნო ოლქში დაარეგისტრირა. თითოეულ საარჩევნო ოლქს 6-7 კანდიდატისთვის უნდა ეყარა კენჭი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ 22 საერთაშორისო[215] და 9 ადგილობრივი[216] სადამკვირვებლო მისიის

214 აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://sec.ge/?action=text&id=46
215 აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://sec.ge/?action=text&id=50
216 აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://sec.ge/?action=text&id=51

# 3 NOVEMBER 2008 ELECTIONS OF THE SUPREME COUNCIL OF AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

The Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara was elected for a four-year term on 20 June 2004 during the post-revolutionary period, and in June 2008 the term of its office was to be terminated. Nevertheless, based on the amendments made to the Constitution of the Autonomous Republic of Adjara, the approximate date for the next elections has been set the autumn of the election year. Legislative amendments have reduced the number of members of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara from 30 to 18. The mixed electoral system remained in force, but the proportions of the distribution of seats have changed. In 2008, the citizens of Georgia registered on the territory of the Autonomous Republic of Adjara would have elected 12 members of the Supreme Council of the Autonomous Republic by the proportional system and 6 members in single-member districts by the majoritarian system. It was decided that according to the administrative units, single-member districts would be established in the self-governing city of Batumi and Kobuleti, Khelvachauri, Keda, Shuakhevi and Khulo municipalities. In a proportional system election, the threshold was set at 5%, and in a majoritarian system, each district would elect the candidate who received the most votes.

The President of Georgia appointed the elections of the Autonomous Republic of Adjara on 3 November 2008 upon the nomination by the Head of the Government of the Autonomous Republic of Adjara. The Supreme Election Commission (SEC) of the Autonomous Republic of Adjara has been instructed to organize the elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara. In 2008, Archil Mikeladze was the chairperson of the SEC, Tamaz Sharmanashvili was the deputy chairperson, and Ketevan Jikia was the secretary. SEC, as well as the Central Election Commission (CEC), consisted of 13 members - 6 elected by the Supreme Council of Adjara, and 7 by political subjects.

On 4 October 2008, 30 days before the elections, the SEC registered political subjects and assigned election numbers to them:

№1 “United Communist Party of Georgia” (UCPG),

№2 Political Union “Georgian Troupe”,

№3 Political Movement “Industry Saves Georgia” (ISG),

№4 Political Union “On Our Own”

№5 “United National Movement”,

№6 “Conservative Party of Georgia”,

№7 Political Union of Citizens “Georgian Policy”,

№10 “Giorgi Targamadze – Christan-Democrats”.[214]

In the following days, the “Conservative Party of Georgia” and PUC “Georgian Policy” were removed from the registration. Six elections subjects were included in the ballot paper. The SEC registered majoritarian candidates in six electoral districts. Each electoral district should have voted for 6-7 candidates.

The SEC of the Autonomous Republic of Adjara registered hundreds of observers of 22 international[215] and 9 local observation missions. To ensure the work of representatives of press and mass media, the election commission granted accreditation to journalists[216] from 11 organizations.

If disregarding the significant violations and falsifications in Khelvachauri district, subsequently resulting in annulment of results of the district and prompting repeat elections on 16 November 2008, it can be said that the elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara were held in a calm atmosphere on 3 November 2008. Eventually, according to SEC, voter turnout in the 3-16 November 2008 Supreme Council elections was[217] 37.4%.

On 19 November 2008, the SEC of the Autonomous Republic of Adjara approved the results of the 3-16 November 2008 Supreme Council elections. According to the summary

214 See the data of the Supreme Election Commission of Adjara at the following link: http://sec.ge/?action=text&id=46

215 See the data of the Supreme Election Commission of Adjara at the following link: http://sec.ge/?action=text&id=50

216 See the data of the Supreme Election Commission of Adjara at the following link: http://sec.ge/?action=text&id=53

217 The summary protocol of Adjara’s Supreme Council Elections 3-16 November 2008 adopted by Supreme Election Commission of Adjara at the session held on 19 November 2008. The document is preserved at the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara, see the link at: http://sec.ge/uploads/usko2008.pdf

ასობით დამკვირვებელი დაარეგისტრირა. გარდა ამისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის წარმომადგენელთა მუშაობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო კომისიამ აკრედიტაცია მიანიჭა 11 ორგანიზაციის ჟურნალისტებსა და დამკვირვებლებს.[217]

თუ არ ჩავთვლით მნიშვნელოვან დარღვევებსა და გაყალბებას ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში, რის შემდეგაც ოლქის შედეგები გაუქმდა და 2008 წლის 16 ნოემბერს ხელახალი კენჭისყრა გაიმართა, შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა 2008 წლის 3 ნოემბერს მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. საბოლოოდ, უსკოს შეფასებით, 2008 წლის 3-16 ნოემბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობამ 37.4% შეადგინა.[218]

2008 წლის 19 ნოემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ 2008 წლის 3-16 ნოემბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები დაამტკიცა. შემაჯამებელი ოქმის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთიან საარჩევნო სიაში რეგისტრირებული 293 217 ამომრჩევლიდან საარჩევნო უბანზე 109 696 ამომრჩეველი გამოცხადდა. 2 842 ბიულეტენი ბათილად ჩაითვალა, ხოლო ხმები საარჩევნო სუბიექტებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

№1 „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ (სეკპ) – 1 821 – 1.70%,

№2 პგ „ქართული დასი“ – 1 628 – 1.52%,

№3 პმ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (მგს) – 1 584 – 1.48%,

№4 პგ „ჩვენ თვითონ“ – 3 018 – 2.82%,

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 81 095 – 75.89%.

N10 „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“ – 17 596 – 16.44%.[219]

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, პროპორციული სისტემით 5%-იანი საარჩევნო ბარიერი გადალახა და უმაღლეს საბჭოში მანდატები მოიპოვა ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა. ესენი იყვნენ:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 10 მანდატი,

„გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები“ – 2 მანდატი.

ხუთ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს, ხოლო კენჭისყრისას, რომელიც ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში 3 ნოემბრის არჩევნების შედეგების გაუქმების შემდეგ განმეორებით ჩატარდა, წარმატება მოიპოვა „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატების“ კანდიდატმა. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი არჩევნებისას ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მაჟორიტარობის კანდიდატი აღარ დაუსახელებია.[220]

აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას 2008 წლის ნოემბერში უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მანდატი მხოლოდ ერთმა ქალმა კანდიდატმა მოიპოვა.

217 აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://sec.ge/?action=text&id=53

218 აჭარის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3-16 ნოემბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე, დოკუმენტი დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, იხ. ბმული: http://sec.ge/uploads/usko2008.pdf

219 იხ. აჭარის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3-16 ნოემბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე. დოკუმენტი დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, იხ. ბმული: http://sec.ge/uploads/usko2008.pdf

220 იხ. აჭარის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3-16 ნოემბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე. დოკუმენტი დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში, იხ. ბმული: http://sec.ge/uploads/usko2008.pdf

protocol, out of 293 217 registered voters in the unified voter list of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara, 109 696 voters came at the polling station. 2 842 ballot papers were deemed invalid. The votes among election subjects were distributed as follows:

№1 "United Communist Party of Georgia" (UCPG) – 1 821 – 1.70%,

№2 P/U "Georgian Troupe"– 1 628 – 1.52%,

№3 P/M "Industry Saves Georgia" (ISG) – 1 584 – 1.48%,

№4 P/U "On Our Own" – 3 018 – 2.82%,

№5 "United National Movement"– 81 095 – 75.89%.

N10 "Giorgi Targamadze – Christian-Democrats" – 17 596 – 16.44%.[218]



I. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 293 217
II. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა: 109 696
III. ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა: 2 842
IV. საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

| № | პარტიის (ბლოკის) დასახელება | მიღებული ხმების რაოდენობა | % | მიღებული მანდატების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია" (სეკპ) | 1 821 | 1,70% | |
| 2 | მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი" | 1 628 | 1,52% | |
| 3 | მოქალაქეთა პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"(მგს) | 1 584 | 1,48% | |
| 4 | მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ" | 3 018 | 2,82% | |
| 5 | მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" | 81 095 | 75,89% | 10 |
| 10 | „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატები" | 17 569 | 16,44% | 2 |

აჭარის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3-16 ნოემბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2008 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ*

The summary protocol of Adjara's Supreme Council Elections 3-16 November 2008 adopted by Supreme Election Commission of Adjara at the session held on 19 November 2008
*The document is preserved at the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara*

According to the summary protocol, two political subjects crossed 5% electoral threshold by the proportional system and won seats in the Supreme Council. These were:

"United National Movement" – 10 mandates,

"Giorgi Targamadze – Christian-Democrats" – 2 mandates.

Candidates of the "United National Movement" won in five single-member electoral districts by the majoritarian system, while the candidate of "Giorgi Targamadze – Christian Democrats" was successful in repeat elections in the Khelvachauri district after the November 3 election results were annulled. It should be noted that the United National Movement did not nominate[219] a majoritarian candidate in the repeat elections.

In the November 2008 Supreme Council elections of Adjara, only one female candidate won the mandate of a member of the Supreme Council.

218 See the summary protocol of Adjara's Supreme Council Elections 3-16 November 2008 adopted by the Supreme Election Commission of Adjara at the session held on 19 November 2008. The document is preserved at the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara, see the link at: http://sec.ge/uploads/usko2008.pdf

219 See the summary protocol of Adjara's Supreme Council Elections 3-16 November 2008 adopted by the Supreme Election Commission of Adjara at the session held on 19 November 2008. The document is preserved at the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara, see the link at: http://sec.ge/uploads/usko2008.pdf

# საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოებისა და საქართველოს დედაქალაქის – თბილისის მერის 2010 წლის 30 მაისის არჩევნები

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მოქმედი საარჩევნო კოდექსის თანახმად, 4 წელიწადში ერთხელ იმართება. თვითმმართველობის ორგანოებს, რომელიც 2006 წელს აირჩიეს, 2010 წლის ივნისში ვადა ეწურებოდა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, საარჩევნო კანონზე დაყრდნობით, 2010 წლის მარტის თვეში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების თარიღად 2010 წლის 30 მაისი დაასახელა.

2010 წლის 30 მაისს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ზურაბ ხარატიშვილი უძღვებოდა, თავმჯდომარის მოადგილის პოსტს დავით კირთაძე იკავებდა, ხოლო კომისიის მდივნის პოსტს კი გიზო მჭედლიძე.

ვიდრე 2010 წელს ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები ჩატარდებოდა, საქართველოს საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. კერძოდ, დაადგინეს, რომ საქართველოს დედაქალაქის მერი პირდაპირი წესით უნდა აერჩიათ. ნებადართული იყო, თბილისის მერად აერჩიათ საქართველოს მოქალაქე, რომელიც არჩევნების მომენტისათვის 25 წელზე ახალგაზრდა არ იქნებოდა და, სულ მცირე, 5 წელი მაინც ქვეყანაში უწყვეტად ცხოვრობდა. არჩეულად ითვლებოდა კანდიდატი, რომელიც ამომრჩეველთა 30%-ის მხარდაჭერას მაინც მოიპოვებდა და, ამასთანავე, ხმათა უმრავლესობას დააგროვებდა. თუკი კენჭისყრისას ხმათა საკმარის რაოდენობას ანუ 30%-ს მერობის კანდიდატთაგან ვერავინ მიიღებდა, არჩევნების მეორე ტური დაინიშნებოდა.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – დედაქალაქის, ოთხი თვითმმართველი ქალაქისა და 59 მუნიციპალიტეტის საკრებულოები – შერეული საარჩევნო სისტემით უნდა აერჩიათ. თითოეული თვითმმართველი ქალაქი და რაიონი, ამომრჩეველთა რაოდენობის შესატყვისად, 10-15 წევრს პროპორციული სისტემითა და 5%-იანი საარჩევნო ბარიერით აირჩევდა, მაჟორიტარული სისტემით კი მუნიციპალიტეტებში კენჭს უყრიდნენ იმდენ წევრს, რამდენი თემისგანაც თავად ეს მუნიციპალიტეტი შედგებოდა. თვითმმართველი ქალაქები 5 ან 10 მცირე ოლქად (ქალაქის უბნად) იყოფოდა და საკრებულოს წევრები მაჟორიტარული სისტემით აქედან უნდა აერჩიათ. დედაქალაქის საკრებულოში, ახალი საარჩევნო კოდექსის თანახმად, 50 წევრი შევიდოდა: 25 – პროპორციული სისტემით, 25 – დედაქალაქის მასშტაბით შექმნილი ერთმანდატიანი ოლქებიდან. 2008 წლის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ომის გამო, საქართველოში რუსეთისაგან ოკუპირებული ტერიტორიები გაჩნდა. ამ მიზეზით, 2006 წლისგან განსხვავებით, ზემო აფხაზეთის, ლიახვის ხეობისა და ახალგორის რაიონის თემებში 2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები ვერ ჩატარდა.

საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში 17 პოლიტიკური სუბიექტი გაატარა და მათ საარჩევნო ნომრები მიანიჭა:

№2 საარჩევნო ბლოკი „ალიანსი საქართველოსთვის" (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი) – რესპუბლიკური პარტია, ახალი მემარჯვენეები, ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები, საქართველოს გზა,

№3 „თოფაძე – მრეწველები",

№5 პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა",

№6 საქართველოს სპორტსმენთა კავშირი,

№7 „ეროვნული საბჭო" – საქართველოს კონსერვატიული პარტია, ხალხის პარტია, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის",

# 30 MAY 2010 ELECTIONS OF THE LOCAL SELF-GOVERNMENT REPRESENTATIVE BODY OF GEORGIA – SAKREBULOS AND THE MAYOR OF THE CAPITAL OF GEORGIA – TBILISI

According to the current election code, local self-government elections in Georgia are held once in 4 years. The term of self-governing bodies elected in 2006 was expiring in June 2010. Based on the election law, the President of Georgia Mikheil Saakashvili in March 2010, set the date of the local self-government elections – 30 May 2010.

Zurab Kharatishvili chaired the Central Election Commission (CEC) during the 30 May 2010 local self-government elections in Georgia, Davit Kirtadze took position of deputy chairperson and Gizo Mchedlidze was the secretary of the commission.

Prior to the 2010 local elections, significant amendments were made to Georgia's Election Code. In particular, it was decided that the mayor of the Georgian capital should be directly elected. It was allowed to elect a citizen of Georgia as the mayor of Tbilisi, who would not have been younger than 25 at the time of the election and had lived in the country consecutively for at least 5 years. The candidate having won support of at least 30% of the electorate and, at the same time, having collected the majority of votes was considered elected. If a sufficient number of voters so 30% was not received by any of the mayoral candidates in elections, a second round of elections would be called.

Local self-government bodies – Sakrebulos of Georgia in the capital, in four self-governing cities and 59 municipalities - should have been elected by a mixed electoral system. Each self-governing city and district would elect 10-15 members in line with the number of voters by proportional system and the 5% electoral threshold, while by majoritarian system they would have voted for as many members of the municipalities as there were communities.The self-governing cities were divided into 5 or 10 small districts (city districts) and the members of the Sakrebulo were to be elected from here by the majoritarian system. According to the new election code, the Sakrebulo of the capital would include 50 members: 25 by proportional system and 25 from the single-member districts established across the capital. After 2008, due to the Russian-Georgian war, Russia occupied territories in Georgia. For this reason, unlike in 2006, local self-government elections were not held in Zemo Abkhazeti, Liakhvi gorge and Akhalgori district in 2010.

The CEC registered 17 political subjects within the timeframe provided by the Election Code and assigned election numbers to them:

№2 Election Bloc " Alliance for Georgia" (I. Alasania, S. Subari, D. Usupashvili, D. Gamkrelidze, S. Zourabichvili) – Republican Party, New Rights, Our Georgia – Free Democrats, Georgia's Way,

№3 "Topadze- Industrialists",

№5 Political Union "United National Movement",

№6 Union of Georgian Sportsmen,

№7 "National Council"– Conservative Party of Georgia, People's Party, Movement "For Georgia",

№8 "National Party of Radical Democrats of All Georgia",

№10 "Giorgi Targamadze, Inga Grigolia – Christian-Democratic Union – Christian-Democratic Movement – We Ourselves, Christian-Democratic People's Party,

№12 Political Party "Our Country",

№14 Political Party "Future Georgia",

№15 Political Movement "Freedom",

№16 "Future Party",

№17 National-Democrat Party (NDP),

№18 Political Movement "Solidarity",

№19 Political Movement of Armed Veterans, Patriots and Pensioners "Mamulishvili",

№21 "Tortladze – Democratic Party",

№8 სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია,

№10 „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა – ჩვენ თვითონ, ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია,

№12 პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“,

№14 პოლიტიკური პარტია „მომავალი საქართველო“,

№15 პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“,

№16 „მომავლის პარტია“,

№17 ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ),

№18 პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობა“,

№19 ძალოვანი ვეტერანების, პატრიოტთა და პენსიონერთა პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილი“,

№21 „თორთლაძე – დემოკრატიული პარტია“,

№23 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი“ (სსსა),

№25 ივანიშვილი – „სახალხო დემოკრატები“.[221]

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო, 10 პოლიტიკურ სუბიექტს რეგისტრაციაზე უარი უთხრა. ესენი გახლდათ:

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს მშრომელთა საბჭო“,
2. პარტია „ნეიტრალური საქართველო“,
3. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს მშრომელთა უფლებების დაცვის პარტია“,
4. საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია,
5. პ/გ „საქართველოს ადვოკატები“,
6. სახალხო პარტია,
7. მერაბ კოსტავას საზოგადოება,
8. პ/გ „მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო““,
9. პოლიტიკური ორგანიზაცია „მამული“,
10. საქართველოს მწვანეთა პარტია.[222]

ამას გარდა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დედაქალაქის მერობის 9 კანდიდატიც დაარეგისტრირა:

№2 ირაკლი ალასანია – საარჩევნო ბლოკი „ალიანსი საქართველოსთვის“,

№3 გიორგი თოფაძე – „თოფაძე – მრეწველები“,

№5 გიორგი უგულავა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა,

№7 ზვიად ძიძიგური – საარჩევნო ბლოკი „ეროვნული საბჭო“,

№10 გიორგი ჭანტურია – „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“,

№14 გიორგი ლაღიძე – პოლიტიკური პარტია „მომავალი საქართველო“,

№18 თამაზ ვაშაძე – პ/მ „სოლიდარობა“,

№21 დავით იაკობიძე – თორთლაძე – დემოკრატიული პარტია,

№25 ნიკოლოზ ივანიშვილი – ივანიშვილი – „სახალხო დემოკრატები“.[223]

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 56 მედიაორგანიზაციის ასობით წარმომადგენელი[224] და 26 არასამთავრობო გაერთიანების ათასობით ადგილობრივი დამკვირვებელი რეგისტრაციაში გაატარა.[225] გარდა ამისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაარეგისტრირა 28 საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია, რომლებსაც ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოების არჩევნების მონიტორინგი და მეთვალყურეობა ეკისრებოდათ.[226]

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი თუ კერძო ტელევიზია საეთერო დროსა და სივრცეს ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის უსასყიდლოდ გამოჰყოფდა. საინფორმაციო-სააგიტაციო ბუკლეტები და პლაკატები მოსახლეობაში კვლავ უხვად რიგდებოდა და ვრცელდებოდა.

221 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/6407-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-saarchevno-subieqtebis-rigitoba-10

222 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/6315-partiebi-romlebsac-2010-wlis-archevnebshi-registraciaze-uari-etqvat-1142

223 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://results2010.cec.gov.ge/

224 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/6524-2010-wlis-archevnebze-ceskoshi-akreditebuli-media-5295

225 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/6207-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-ceskoshi-registrirebuli-arasamtavrobo-adgilobrivi-damkvirvebeli-organizaciebi-2857

226 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/6204-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-saqartvelos-centralur-saarchevno-komisiashi-registrirebuli-saertashoriso-damkvirvebeli-organizaciebi-12

№23 Political Union of Citizens "All-Georgian People's Alliance" (AGPA),

№25 Ivanishvili – "People's Democrats". [220]

The CEC has refused to register 10 political subjects for violating the requirements of the Election Code. These were:

1. Political Union of Citizens "Workers' Councils of Georgia",
2. Party "Neutral Georgia",
3. Political Union of Citizens "Georgian Workers' Rights Protection Party",
4. Conservative (Monarchist) Party of Georgia,
5. P/U "Georgian Advocates",
6. People's Party,
7. Merab Kostava Society,
8. P/U "Patriots' Order "Samshoblo",
9. Political Organization "Fatherland",
10. Green Party of Georgia.[221]

In addition, the CEC has registered 9 candidates for mayor of the capital:

№2 Irakli Alasania – Election Bloc "Alliance for Georgia",

№3 Giorgi Topadze – "Topadze – Industrialists",

№5 Giorgi Ugulava – United National Movement,

№7 Zviad Dzidziguri – Election Bloc "National Council",

№10 Giorgi Tchanturia – "Giorgi Targamadze, Inga Grigolia – Christian-Democratic Union",

№14 Giorgi Laghidze – Political Party "Future Georgia",

№18 Tamaz Vashadze – P/M "Solidarity",

№21 Davit Iakobidze – Tortladze – Democratic Party,

№25 Nikoloz Ivanishvili – Ivanishvili – "People's Democrats".[222]

The CEC of Georgia registered[223] hundreds of representatives[224] of 56 media organizations and thousands of local observers of 26 non-governmental organizations. In addition, the CEC registered 28 international observation missions that were assigned[225] to monitor and oversee the elections of local self-government bodies.

According to the Election Code, the Public Broadcaster or private television was allocating free airtime to all election subjects. Information-agitation leaflets and posters were still abundantly distributed and spread among the population.







ბლოკი „ალიანსი საქართველოსთვის", საარჩევნო პლაკატები
*დოკუმენტები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ არქივში*

Election posters of "Alliance for Georgia" bloc
*The documents are preserved in the National Archives of the Parliament of Georgia*

220 For Central Election Commission data, see the link: http://cesko.ge/geo/list/show/6407-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-saarchevno-subieqtebis-rigitoba-10
For Central Election Commission data, see the link: http://cesko.ge/geo/list/show/6315-partiebi-romlebsac-2010-wlis-archevnebshi-registraciaze-uari-etqvat-1142

221 For Central Election Commission data, see the link: http://cesko.ge/geo/list/show/6315-partiebi-romlebsac-2010-wlis-archevnebshi-registraciaze-uari-etqvat-1142

222 For Central Election Commission data, see the link: http://results2010.cec.gov.ge/

223 For Central Election Commission data, see the link: http://cesko.ge/geo/list/show/6207-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-ceskoshi-registrirebuli-arasamtavrobo-adgilobrivi-damkvirvebeli-organizaciebi-2857

224 For Central Election Commission data, see the link: http://cesko.ge/geo/list/show/6524-2010-wlis-archevnebze-ceskoshi-akreditebuli-media-5295

225 For Central Election Commission data, see the link: http://cesko.ge/geo/list/show/6204-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-saqartvelos-centralur-saarchevno-komisiashi-registrirebuli-saertashoriso-damkvirvebeli-organizaciebi-12




„თოფაძე – მრეწველები“, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ არქივში*

Election poster of “Topadze – Industrialists”
*The document is preserved in the National Archives of the Parliament of Georgia*




თბილისის მერობის კანდიდატის, ზვიად ძიძიგურის, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ არქივში*

Election poster of Zviad Dzidziguri, Tbilisi mayoral candidate
*The document is preserved in the National Archives of the Parliament of Georgia*







ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პლაკატები
*დოკუმენტები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ არქივში*

Election posters of United National Movement
*The document is preserved in the National Archives of the Parliament of Georgia*




ბლოკ „ეროვნული საბჭოს“ წინასაარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ არქივში*

Pre-election poster of “National Council” bloc
*The document is preserved in the National Archives of the Parliament of Georgia*




ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ არქივში*

Election poster of Christian-Democratic Movement
*The document is preserved in the National Archives of the Parliament of Georgia*

სახელისუფლებო პარტია ხშირად იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსს, იყო ოპოზიციურ გაერთიანებათა მხარდამჭერებსა და წევრებზე ზეწოლის შემთხვევებიც. თავიანთ შუალედურ თუ საბოლოო ანგარიშებში ყოველივე ამაზე ყურადღებას ამახვილებდნენ ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიათა წარმომადგენლები. თავის მხრივ, ფინანსური თუ ადმინისტარციული რესურსის გადანაწილების უთანასწორობაზე წინასაარჩევნო პერიოდში ლაპარაკობდა ოპოზიციაც.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნებმა 2010 წლის 30 მაისს დემოკრატიულ გარემოში, საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, კენჭისყრაში ამომრჩევლის 49% მონაწილეობდა. მოსახლეობა ყველაზე მეტად ნინოწმინდის საარჩევნო ოლქში აქტიურობდა. აქ კენჭისყრაზე ამომრჩევლის 75.08% გამოცხადდა. ზუგდიდის ოლქში, სადაც უბნებზე მხოლოდ ამომრჩევლის 37.27% მივიდა, ყველაზე დაბალი აქტივობა დაფიქსირდა.[227]

ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნების შედეგებს, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მიხედვით, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ითვლიდა, დედაქალაქის მერისა და საკრებულოს არჩევნების შედეგებს კი ცესკო აჯამებდა. 2010 წლის 15 ივნისს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დედაქალაქის მერის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა.

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, დედაქალაქში რეგისტრირებული 981 505 ამომრჩევლიდან კენჭისყრაზე 462 979 გამოცხადდა, 11 598 ბიულეტენი კი გაბათილდა. მერობის კანდიდატებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

№2 ირაკლი ალასანია – 85 864 – 19.05%,

№3 გიორგი თოფაძე – 23 401 – 5.19%,

№5 გიორგი უგულავა – 248 954 – 55.23%,

№7 ზვიად ძიძიგური – 37 434 – 8.31%,

№10 გიორგი ჭანტურია – 48 223 – 10.70%,

№14 გიორგი ლაღიძე – 634 – 0.14%,

№18 თამაზ ვაშაძე – 2 951 – 0.65%,

№21 დავით იაკობიძე – 964 – 0.21%,

№25 ნიკოლოზ ივანიშვილი – 2 313 – 0.51%.[228]

227 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/29/29070.pdf

228 დედაქალაქის მერის 2010 წლის 30 მაისის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2010 წლის 15 ივნისის სხდომაზე, დოკუმენტი

The ruling party often used administrative resources, and there were cases of pressure on supporters and members of opposition unions. Representatives of local and international observation missions were focusing on matters noted above in their interim or final reports. On its part, the opposition was also speaking about the inequality in the distribution of financial or administrative resources in the pre-election period.

Georgia's local self-government elections were held in a democratic and pretty calm environment on 30 May 2010. According to the CEC, 49% of voters participated in the polling. The population was most active in Ninotsminda district. The total of 75.08% of voters came there. In Zugdidi district, where only 37.27% of voters went to the polling stations, the lowest activity was observed[226].

Relevant district election commission (DEC) was tabulating the results of the local self-government elections based on the results of municipalities and self-governing cities, and the CEC was summarizing the results of the mayoral elections of the capital and Sakrebulo. On 15 June 2010, the CEC of Georgia adopted the summary protocol of the mayoral elections of the capital.

According to the summary protocol, out of 981 505 registered voters in the capital, 462 979 cast their votes. 11 598 ballot papers have been annulled. The votes among the mayoral candidates were distributed as follows:

№2 Irakli Alasania – 85 864 – 19.05%,

№3 Giorgi Topadze – 23 401 – 5.19%,

№5 Giorgi Ugulava – 248 954 – 55.23%,

№7 Zviad Dzidziguri – 37 434 – 8.31%,

№10 Giorgi Tchanturia – 48 223 – 10.70%,

№14 Giorgi Laghidze – 634 – 0.14%,

№18 Tamaz Vashadze – 2 951 – 0.65%,

№21 Davit Iakobidze – 964 – 0.21%,

№25 Nikoloz Ivanishvili – 2 313 – 0.51%.[227]

226 For central election commission data, see the link: http://cesko.ge/res/old/other/29/29070.pdf

227 The summary protocol of 30 May 2010 Mayoral Elections of the capital adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 15 June 2010. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia. See the link: http://results2010.cec.gov.ge/




დედაქალაქის მერის 2010 წლის 30 მაისის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ბანერი, დამტკიცებული 2010 წლის 15 ივნისს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of 30 May 2010 Mayoral Elections of the capital adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 15 June 2010
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

ამავე სხდომაზე საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დედაქალაქის საკრებულოს არჩევნების შემაჯამებელი ოქმიც დაამტკიცა. დედაქალაქში ხმები საარჩევნო სუბიექტებს შორის პროპორციული სისტემით ამგვარად გადანაწილდა:

№2 საარჩევნო ბლოკი „ალიანსი საქართველოსთვის" – 80 166 – 17.97%,

№3 თოფაძე – მრეწველები – 27 791 – 6.23%,

№5 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 234 150 – 52.5%,

№6 საქართველოს სპორტსმენთა კავშირი – 1 580 – 0.35%,

№7 „ეროვნული საბჭო" – 36 850 – 8.26%,

№8 რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია – 1 636 -0.37%,

№10 „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება" – 53 748 – 12.05%,

№12 პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა" – 369 – 0.08%,

№14 პოლიტიკური პარტია „მომავალი საქართველო" – 520 – 0.12%,

№15 პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება" – 1 430 – 0.32%,

№18 პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობა" – 2 875 – 0.64%,

№21 „თორთლაძე – დემოკრატიული პარტია" – 1 342 -0.3%,

№23 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი" (სსსა) – 414 -0.09%,

№25 ივანიშვილი – „სახალხო დემოკრატები" – 3 141 – 0.7%.[229]

229 დედაქალაქის საკრებულოს 2010 წლის 30 მაისის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2010 წლის 15 ივნისის სხდომაზე. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში. იხ. ბმული: http://results2010.cec.gov.ge/

During the same session, the CEC of Georgia also adopted the summary protocol of Tbilisi Sakrebulo elections. In the capital, the votes have been distributed among the election subjects by a proportional system as follows:

№2 Election Bloc "Alliance for Georgia"– 80 166 – 17.97%,

№3 Topadze – Industrialists – 27 791 – 6.23%,

№5 United National Movement – 234 150 – 52.5%,

№6 Union of Georgian Sportsmen – 1 580 – 0.35%,

№7 "National Council" – 36 850 – 8.26%,

№8 National Party of Radical Democrats – 1 636 – 0.37%,

№10 "Giorgi Targamadze, Inga Grigolia – Christian Democratic Union"– 53 748 – 12.05%,

№12 Political Party "Our Country" – 369 – 0.08%,

№14 Political Party "Future Georgia" – 520 – 0.12%,

№15 Political Movement "Freedom" – 1 430 – 0.32%,

№18 Political Movement "Solidarity" – 2 875 – 0.64%,

№21 "Tortladze – Democratic Party"– 1 342 – 0.3%,

№23 Political Union of Citizens "All-Georgian People's Alliance" (AGPA) – 414 – 0.09%,

№25 Ivanishvili – "People's Democrats" – 3 141 – 0.7%.[228]

228 The summary protocol of 30 May 2010 Sakrebulo Elections of the capital adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 15 June 2010. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia. See the link: http://results2010.cec.gov.ge/




დედაქალაქის საკრებულოს 2010 წლის 30 მაისის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2010 წლის 15 ივნისის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of 30 May 2010 Sakrebulo Elections of the capital approved by the Central Election Commission of Georgia at the session held on 15 June 2010
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

დედაქალაქის საკრებულოს ოცდახუთივე მანდატი, მოპოვებული არჩევნებისას მაჟორიტარული სისტემით, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს გადაეცათ. საკრებულოში 7 ქალი აირჩიეს, მათგან 6 – პროპორციული, ხოლო 1 – მაჟორიტარული სისტემით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული მონაცემების გათვალისწინებით, საარჩევნო სუბიექტების მიერ ყველა საარჩევნო ოლქში დაგროვებული ხმების ჯამური განაწილების შედეგები გამოაქვეყნა. ამ საარჩევნო უბნების მონაცემთა მიხედვით, ერთიან სიაში რეგისტრირებული 3 544 770 ამომრჩევლიდან საარჩევნო უბანზე 1 740 652 მოქალაქე გამოცხადდა. ცესკოს მონაცემებით, საარჩევნო სუბიექტებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

№2 საარჩევნო ბლოკი „ალიანსი საქართველოსთვის" – 156 540 – 9.19%,

№3 თოფაძე – მრეწველები – 71 304 – 4.19%,

№5 პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – 1 119 641 – 65.75%,

№6 საქართველოს სპორტსმენთა კავშირი – 1 834 – 0.11%,

№7 „ეროვნული საბჭო" – 115 253 – 6.77%,

№8 სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია – 3 103 – 0.18%,

№10 „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება" – 203 371 – 11.94%,

№12 პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა" – 369 – 0.02%,

№14 პოლიტიკური პარტია „მომავალი საქართველო" – 520 – 0.03%

№15 პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება" – 5 526 – 0.32%,

№16 „მომავლის პარტია" – 57 – 0.00%,

№17 ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ) – 855 – 0.05%,

№18 პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობა" – 2 875 – 0.17%,

№19 ძალოვანი ვეტერანების, პატრიოტთა და პენსიონერთა პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილი" – 45 – 0.00%,

№21 „თორთლაძე – დემოკრატიული პარტია" – 16 967 – 1%,

№23 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი" (სსსა) – 1 343 – 0.08%,

№25 ივანიშვილი – „სახალხო დემოკრატები" – 3 298 – 0.19%.[230]

230 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა. იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/6407-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-saarchev-no-subieqtebis-rigitoba-10

All 25 mandates of the Tbilisi City Sakrebulo were given to the candidates of the National Movement by the majoritarian system during the elections. 7 women were elected to Sakrebulo, 6 of them by the proportional system, and 1 by the majoritarian system.

The CEC took into account the data received from the district election commissions and published the results of the total distribution of votes accumulated in all election districts by election subjects. According to the data of these polling stations, out of 3 544 770 voters registered in the unified list, 1 740 652 citizens came to the polling station. According to the CEC, the votes were distributed among the election subjects as follows:

№2 Election Bloc "Alliance for Georgia" – 156 540 – 9.19%,

№3 Topadze – Industrialists – 71 304 – 4.19%,

№5 Political Union "United National Movement" – 1 119 641 – 65.75%,

№6 Union of Georgian Sportsmen – 1 834 – 0.11%,

№7 "National Council" – 115 253 – 6.77%,

№8 National Party of Radical Democrats of All Georgia – 3 103 – 0.18%,

№10 "Giorgi Targamadze, Inga Grigolia – Christian Democratic Union" – 203 371 – 11.94%,

№12 Political Party "Our Country" – 369 – 0.02%,

№14 Political Party "Future Georgia"– – 520 – 0.035,

№15 Political Movement "Freedom"– 5 526 – 0.32%,

№16 "Future Party" – 57 – 0.00%,

№17 National Democrat Party (NDP) – 855 – 0.05%,

№18 Political Movement "Solidarity" – 2 875 – 0.17%,

№19 Political Movement of Armed Veterans, Patriots and Pensioners "Mamulishvili" – 45 – 0.00%,

№21 Tortladze – Democratic Party"– 16 967 – 1%,

№23 Political Union of Citizens "All-Georgian People's Alliance" (AGPA) – 1 343 – 0.08%,

№25 Ivanishvili – "People's Democrats" – 3 298 – 0.19%.[229]

229 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/geo/list/show/6407-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-saarchev-no-subieqtebis-rigitoba-10




ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ცნობა პროპორციული სისტემით საქართველოს თვითმმართველობის არჩევნების შესახებ
*წყარო: http://cesko.ge/geo/list/show/6407-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-saarchevno-subieqtebis-rigitoba-10*

The summary protocol of Georgia’s Self-Government Elections by proportional system released by Central Election Commission
*source:http://cesko.ge/geo/list/show/6407-2010-wlis-30-maisis-archevnebisatvis-saarchevno-subieqtebis-rigitoba-10*

# საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები

საქართველოს პარლამენტის არჩევნები, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ოთხ წელიწადში ერთხელ ოქტომბრის თვეში ინიშნებოდა. 2008 წლის 21 მაისს არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს ვადა 2012 წლის ოქტომბერში ეწურებოდა. 2012 წლის ზაფხულში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, საქართველოს პარლამენტის არჩევნების გამართვის თარიღად 2012 წლის 1ოქტომბერი გამოცხადდა.

საპარლამენტო არჩევნების დანიშვნამდე საქართველოს საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. პარლამენტს, რომელიც 150 დეპუტატისგან შედგებოდა, საქართველოს მოქალაქეები კვლავაც შერეული სისტემით აირჩევდნენ, თუმცა პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების თანაფარდობა მცირედით შეიცვალა. ამიერიდან პროპორციული სისტემით კენჭს უყრიდნენ 77 დეპუტატს, ხოლო მაჟორიტარული სისტემით კი პარლამენტის 73 წევრი შეირჩეოდა. საარჩევნო კოდექსის თანახმად, მაჟორიტარული სისტემით აირჩევდნენ კანდიდატს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებდა და ეს კენჭისყრაში მონაწილე მოქალაქეების ხმების 30% მაინც იქნებოდა. პროპორციული სისტემით არჩევნებისას ბარიერი კვლავ 5%-ით განისაზღვრა. საპარლამენტო არჩევნებისას ერთიან სიაში 3 613 851 ამომრჩეველი შედიოდა.

პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ზურაბ ხარატიშვილი თავმჯდომარეობდა, თავმჯდომარის მოადგილის პოსტს დავით კირთაძე იკავებდა, ხოლო კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე იყო.

მედია 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებს ფართოდ აშუქებდა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აკრედიტაცია მიანიჭა ჟურნალისტებს 146 ორგანიზაციიდან. მათ შორის იყვნენ ცნობილი მედიაკომპანიები – BBC, France 24, ZDF, Bloomberg, The New York Times, France Press, The Wall Street Journal და ა.შ.[231] ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 50 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ათი ათასზე მეტი დამკვირვებელი დარეგისტრირდა.[232] საპარლამენტო არჩევნებისადმი ინტერესი დიდი იყო. აქედან გამომდინარე, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა 61 საერთაშორისო ორგანიზაცია და მათი თანამშრომლები. მათ შორის იყვნენ ეუთოსა და ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების, სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისიებისა და საერთაშორისო ფონდების წარმომადგენლები.[233]

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინიციატივით არაერთი სპეციალური პროექტი წამოიწყეს. ეს მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საარჩევნო უფლებების განმტკიცებას. სპეციალურად შემუშავებული პროგრამები საარჩევნო გარემოსა და უშუალოდ არჩევნების პროცესის ინკლუზიურობას უკეთ უზრუნველყოფდა. ინფორმაცია არჩევნების შესახებ ეთნიკურ უმცირესობებს მშობლიურ ენაზე მიეწოდებოდათ, ხოლო შშმ პირებისათვის, ცესკოს ვებგვერდისა თუ სხვა დამხმარე საშუალებების მეშვეობით, ესა თუ ის საარჩევნო სერვისი ხელმისაწვდომი ხდებოდა. ყურადღება ექცეოდა იმასაც, რომ საარჩევნო უბნები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლის საჭიროებებთან ადაპტირებული ყოფილიყო.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო კოდექსის სხვადასხვა ნორმის შეუსრულებლობისა ან/და თავად პოლიტიკურ სუბიექტთა განცხადების საფუძველზე, 19 პოლიტიკურ სუბიექტს რეგისტრაცია გაუუქმა.

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში 16 საარჩევნო სუბიექტი და მათ შორის 2 საარჩევნო ბლოკიც დაარეგისტრირა. ცესკომ რეგისტრირებულ პოლიტიკურ სუბიექტებს საარჩევნო ნომრები მიანიჭა:

231 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/9299-2012-wlis-1-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-satvis-akreditebuli-media-organizaciebi-6638

232 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/9112-2012-wlis-1-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-stvis-registrirebuli-adgilobrivi-arasamtavrobo-organizaciebi-1008

233 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/9113-2012-wlis-1-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebi-satvis-registrirebuli-saertashoriso-organizaciebi-985

# 1 OCTOBER 2012 PARLIAMENTARY ELECTIONS OF GEORGIA

According to the Constitution of Georgia, the elections to the Parliament of Georgia have been held once every four years in October. The term of the legislative body elected on 21 May 2008 was expiring in October 2012. In the summer of 2012, by the ordinance of President Mikheil Saakashvili, 1 October 2012 was announced as the date of the Parliamentary Elections in Georgia.

Significant amendments were made to the Election Code of Georgia before appointing the Parliamentary Elections. The parliament, which consisted of 150 deputies, was still to be elected by the citizens of Georgia under a mixed system, although the ratio of proportional and majoritarian systems has changed slightly. 77 deputies were be elected by the proportional system and 73 members of parliament by the majoritarian system. According to the Election Code, the candidate would have been elected by the majoritarian representation who would receive the most votes, which would be at least 30% of the votes cast. The threshold was again set at 5% in the proportional system elections. 3 613 851 voters were included in the unified voter list during the Parliamentary Elections.

Zurab Kharatishvili chaired the Central Election Commission of Georgia during the 1 October Parliamentary Elections, Davit Kirtadze occupied position of deputy chairperson and Gizo Mchedlidze was the secretary of the commission.

The media widely covered the 1 October 2012 elections. The CEC granted accreditation to journalists from 146 organizations. Among them were well-known media companies – BBC, France 24, ZDF, Bloomberg, The New York Times, France Press, The Wall Street Journal, etc.[230] More than ten thousand observers from 50 local non-governmental organizations had registered[231] with the CEC. The interest in the Parliamentary Elections was great. Therefore, the CEC of Georgia registered 61 international organizations and their employees. Among them were representatives[232] of the parliamentary delegations of the OSCE and the Council of Europe, diplomatic missions accredited in Georgia, the Central Election Commissions of various countries, and international foundations.

Numerous special projects had been launched at the initiative of the CEC. It aimed at strengthening the electoral rights of ethnic minorities and people with disabilities. Specially designed programs had better ensured the inclusive electoral environment and particularly the election process. Ethnic minorities were provided with election-related information in their native language, and this or that election service was made available to persons with disabilities through the CEC website or other auxiliary means. Attention was also paid to the fact that the polling stations were adapted to the needs of the disabled voters.

The CEC revoked the registration of 19 political entities on the basis of non-compliance with various norms of the Election Code and / or the statements of political subjects.

The CEC of Georgia registered 16 election subjects, including 2 election blocs, within the timeframe provided by the Election Code. The CEC granted election numbers to registered political subjects:

№1 P/U “Kakha Kukava – Free Georgia”,

№4 “National Democrat Party”,

№5 “United National Movement – More Benefit to People”,

№9 “For Fair Georgia”,

№10 Election Bloc ”Giorgi Targamadze, Inga Grigolia – Christian Democratic Union“ – “Christian Democratic Union“, “European Democrats of Georgia”,

№17 “People’s Movement”,

№19 “Freedom – Zviad Gamsakhurdia’s Way”,

№23 P/U “Jondi Baghaturia – Georgian Troupe”,

№24 P/U “New Rights”,

№26 “People’s Party”,

230 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/geo/list/show/9299-2012-wlis-1-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebisat-vis-akreditebuli-media-organizaciebi-6638

231 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/geo/list/show/9112-2012-wlis-1-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebistvis-registrire-buli-adgilobrivi-arasamtavrobo-organizaciebi-1008

232 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/geo/list/show/9113-2012-wlis-1-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebisatvis-registrire-buli-saertashoriso-organizaciebi-985

№1 პ/გ „კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო“,

№4 „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“,

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“,

№9 „სამართლიანი საქართველოსთვის“,

№10 საარჩევნო ბლოკი „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ – „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“,

№17 „სახალხო მოძრაობა“,

№19 „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა“,

№23 პ/გ „ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი“,

№24 პ/გ „ახალი მემარჯვენეები“,

№26 „სახალხო პარტია“,

№30 „მერაბ კოსტავას საზოგადოება“,

№35 „მომავალი საქართველო“,

№36 „საქართველოს მშრომელთა საბჭო“,

№38 „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“,

№40 „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“,

№41 საარჩევნო ბლოკი – „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – პ/გ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“; პ/გ „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“, პ/გ „ეროვნული ფორუმი“.[234]

ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა 73 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის ასობით კანდიდატი, რომელებიც კენჭს იყრიდნენ სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის სახელითა თუ საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერით.

კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს – „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას“, „ერთიან ნაციონალური მოძრაობას“, „ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებასა“ და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ – საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და საქართველოში რეგისტრირებულმა დამოუკიდებელმა მაუწყებლებმა, საარჩევნო კოდექსის თანახმად, საეთერო დრო უფასოდ გამოუყვეს. არჩევნების წინ რეკლამისათვის ფასიან საეთერო დროს, ბეჭდურ თუ ონლაინგამოცემებს, გარე სარეკლამო სივრცეს, საინფორმაციო ბროშურებსა და პლაკატებსაც ხშირად იყენებდნენ.




ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო პლაკატი, 2012 წელი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of United National Movement, 2012
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

234 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/11/11040.pdf

№30 “Merab Kostava Society”,

№35 “Future Georgia”,

№36 “Workers’ Councils of Georgia”,

№38 “Shalva Natelashvili – Labour Party of Georgia”,

№40 “Union of Georgian Sportsmen”,

№41 Election Bloc – “Bidzina Ivanishvili – Georgian Dream” – P/U “Georgian Dream Democratic Georgia”, “Conservative Party of Georgia”, P/M “Industry Saves Georgia”, “Republican Party of Georgia”; P/U “ Our Georgia – Free Democrats”, P/U “National Council”.[233]

The CEC registered hundreds of majoritarian candidates in 73 single-member districts who were running on behalf of various election subjects or with the support of initiative groups.

The Georgian Public Broadcaster and independent broadcasters registered in Georgia, according to the election code, allocated free airtime to qualified election subjects, namely the Georgian Labor Party, the United National Movement, the Christian Democratic Union, and the Georgian Dream coalition. Prior to the election, paid airtime, print or online publications, outdoor advertising space, information brochures, and posters were often used for advertising.







ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“, წინასაარჩევნო პლაკატები, 2012 წელი
*დოკუმენტები დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Pre-election posters of “Bidzina Ivanishvili – Georgian Dream” bloc, 2012
*The documents are preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

233 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/res/old/other/11/11040.pdf




პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“, წინასაარჩევნო პლაკატი, 2012 წელი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Pre-election poster of political union “New Rights”, 2012
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




აკაკი ბობოხიძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი მაჟორიტარული არჩევნებისას წყალტუბოს ოლქში, წინასაარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Pre-election poster of Akaki Bobokhidze, the candidate of United National Movement in majoritarian elections in Tskaltubo district
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ და დავით უსუფაშვილი, კანდიდატი საბურთალოს ოლქში მაჟორიტარული არჩევნებისას, საინფორმაციო ბროშურა
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election bloc "Bidzina Ivanishvili – Georgian Dream" and Davit Usupashvili, candidate for Majoritarian Elections in Saburtalo district, information brochure
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

წინასაარჩევნო პროცესი, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების შეფასებით, დაძაბული იყო. წინასაარჩევნოდ ძალადობაც და მწვავე დაპირისპირებაც ხშირი იყო.

მიუხედავად უხეში ძალმომრეობისა, თუნდაც იმგვარი უსიამოვნო ფაქტისა, როგორიც სპეციალური დანიშნულების რაზმის უბანზე შეჭრაა, შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის პირველ ოქტომბერს კენჭისყრამ, მეტწილად, მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ამა თუ იმ დარღვევის გამო, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 16 საარჩევნო უბნის შედეგები ბათილად ცნო, ხოლო ხაშურის ოლქის 9 საარჩევნო უბანი გააუქმა.[235]

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, 2012 წლის 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებისას ამომრჩევლის აქტივობამ 60.8% შეადგინა. ყველაზე მაღალი აქტივობა – 76.9% – მთაწმინდის ოლქში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი – 35.59% – წალკის ოლქში.[236]

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში 2 215 661 ამომრჩეველი მონაწილეობდა, ბათილად ცნეს 62 874 ბიულეტენი, ხოლო საარჩევნო სუბიექტებს შორის ამომრჩეველთა ხმები პროპორციული სისტემით შემდეგნაირად გადანაწილდა:

№1 პ/გ „კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო“ – 5 865 – 0.27%,

№4 „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ – 3 023 – 0.14%,

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – 867 432 – 40.34%,

№9 „სამართლიანი საქართველოსთვის“ – 4 073 – 0.19%,

№10 საარჩევნო ბლოკი „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ – 43 805 – 2.04%,

№17 „სახალხო მოძრაობა“ – 546 – 0.03%,

№19 „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა“ – 1 013 – 0.05%,

№23 პ/გ „ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი“ – 2 324 – 0.11%,

№24 პ/გ „ახალი მემარჯვენეები“ – 9 255 – 0.43%,

№26 „სახალხო პარტია“ – 527 – 0.02%,

№30 „მერაბ კოსტავას საზოგადოება“ – 997 – 0.05%,

№35 „მომავალი საქართველო“ – 701 – 0.05%,

№36 „საქართველოს მშრომელთა საბჭო“ – 581 – 0.03%,

№38 „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 26 621 – 1.24%,

№40 „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“ – 1 572 – 0.07%,

№41 საარჩევნო ბლოკი – „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – 1 181 862 – 54.97%.[237]

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, პროპორციული სისტემით 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა გადალახა და 77 მანდატი მათ შორის ამგვარად გადანაწილდა:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – 33 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი – „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – 44 მანდატი.

მაჟორიტარული სისტემით მანდატები ორმა საარჩევნო სუბიექტმა მოიპოვა:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – 32 მანდატი,

საარჩევნო ბლოკი – „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – 41 მანდატი.[238]

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში პარლამენტის წევრის მანდატი 18-მა ქალმა მოიპოვა, მათგან 11 პროპორციული სისტემით აირჩიეს, ხოლო 7 – მაჟორიტარულით. პარლამენტში ეთნიკურ უმცირესობათა 4 წარმომადგენელიც შევიდა.

235 საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში. იხ. ბმული: http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2012.pdf

236 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/29/29081.pdf

237 საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში. იხ. ბმული: http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2012.pdf

238 საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში. იხ. ბმული: http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2012.pdf

The pre-election process, according to local and international observation missions, was tense and, to some extent, unfair.

Despite the gross violence, including the unpleasant fact of polling station being raided by a special purpose detachment, it can be said that 1 October 2012 voting took place, largely, in a calm atmosphere. Due to this or that violation, the CEC annulled the results of 16 polling stations and canceled[234] 9 polling stations in Khashuri district.

According to the CEC of Georgia, the voter turnout in the 1 October 2012 Parliamentary Elections was 60.8%. The highest activity - 76.9% was observed in Mtatsminda district, and the lowest - 35.59% in Tsalka district[235].

According to the summary protocol, 2 215 661 voters participated in the 1 October 2012 Georgia's Parliamentary Elections, and 62 874 ballot papers were deemed invalid. The votes among election subjects by the proportional system were distributed as follows:

№1 P/U "Kakha Kukava – Free Georgia" – 5 865 – 0.27%,

№4 "National Democrat Party" – 3 023 – 0.14%,

№5 "United National Movement – More Benefit to People" – 867 432 – 40.34%,

№9 "For Fair Georgia" – 4 073 – 0.19%,

№10 Election Bloc "Giorgi Targamadze – Christian Democratic Union" – 43 805 – 2.04%,

№17 "People's Movement" – 546 – 0.03%,

№19 "Freedom – Zviad Gamsakhurdia's Way" – 1 013 – 0.05%,

№23 P/U "Jondi Baghaturia – Georgian Troupe" – 2 324 – 0.11%,

№24 P/U "New Rights" – 9 255 – 0.43%,

№26 "People's Party" – 527 – 0.02%,

№30 "Merab Kostava Society"– 997 – 0.05%,

№35 "Free Georgia" – 701 – 0.05%,

№36 "Workers' Councils of Georgia" – 581 – 0.03%,

№38 "Shalva Natelashvili – Labour Party of Georgia" – 26 621 – 1.24%,

№40 "Union of Georgian Sportsmen"– 1 572 – 0.07%,

№41 Election Bloc – "Bidzina Ivanishvili – Georgian Dream"– 1 181 862 – 54.97%.[236]

According to the summary protocol, two political subjects crossed electoral the threshold 5% of the proportional system and 77 seats were distributed among them:

"United National Movement – More Benefit to People"– 33 mandates,

Election Bloc – "Bidzina Ivanishvili – Georgian Dream"– 44 mandates.

Two political subjects received mandates by the majoritarian system:

"United National Movement – More Benefit to People" – 32 mandates,

Election Bloc – "Bidzina Ivanishvili – Georgian Dream"– 41 mandates.[237]

In the 1 October 2012 Parliamentary Elections in Georgia, 18 women won the seats in the legislature, 11 of them were elected by the proportional system and 7 by the majoritarian system. 4 representatives from ethnic minorities entered the parliament.



I. [illegible] 3 613 851

II. [illegible] 2 215 661

III. [illegible] 62 874

IV. [illegible]

| № | [illegible] | [illegible] | % | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 5 865 | 0.27 | |
| 4 | [illegible] | 3 023 | 0.14 | |
| 5 | [illegible] | 867 432 | 40.34 | 33 |
| 9 | [illegible] | 4 073 | 0.19 | |
| 10 | [illegible] | 43 805 | 2.04 | |
| 17 | [illegible] | 546 | 0.03 | |
| 19 | [illegible] | 1 013 | 0.05 | |
| 23 | [illegible] | 2 324 | 0.11 | |
| 24 | [illegible] | 9 255 | 0.43 | |
| 26 | [illegible] | 527 | 0.02 | |
| 30 | [illegible] | 997 | 0.05 | |
| 35 | [illegible] | 701 | 0.03 | |
| 36 | [illegible] | 581 | 0.03 | |
| 38 | [illegible] | 26 621 | 1.24 | |
| 40 | [illegible] | 1 572 | 0.07 | |
| 41 | [illegible] | 1 181 862 | 54.97 | 44 |

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of 1 October 2012 Georgia's Parliamentary Elections approved by the Central Election Commission of Georgia at the session held on 19 October 2012.
*The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia*

234 The summary protocol of 1 October 2012 Georgian Parliamentary Elections approved by the Central Election Commission of Georgia at the session held on 19 October 2012. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia, see the link: http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2012.pdf

235 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/res/old/other/29/29081.pdf

236 The summary protocol of 1 October 2012 Georgia's Parliamentary Elections approved by the Central Election Commission of Georgia at the session held on 19 October 2012. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia, see the link: http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2012.pdf

237 The summary protocol of 1 October 2012 Georgia's Parliamentary Elections approved by the Central Election Commission of Georgia at the session held on 19 October 2012. The document is preserved in the archives of the Central Election Commission of Georgia, see the link: http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2012.pdf

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები

პრეზიდენტის განკარგულებით, 2012 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოს – უმაღლესი საბჭოს – შემადგენლობაც უნდა აერჩიათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ამ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა. ამის თანახმად, უმაღლესი საბჭოს წევრებს შერეული საარჩევნო სისტემით ირჩევდნენ, თუმცა პროპორციული კენჭისყრით ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა 12-დან 15-მდე გაიზარდა. სხვა მხრივ, უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში უწინდებურად კვლავაც მოხვდებოდა 6 წევრი, რომლებსაც ამომრჩეველი ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სისტემით აირჩევდა. უმაღლეს საბჭოში სულ 21 დეპუტატი უნდა აერჩიათ.

2012 წლის 1 ოქტომბერს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიან საარჩევნო სიაში 304 930 ამომრჩეველი ფიქსირდებოდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას (უსკოს) 2012 წელს ირაკლი მიქელაძე თავმჯდომარეობდა, ხოლო კომისიის მდივანი ქეთევან ჯიქია იყო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, 7 პოლიტიკური სუბიექტი რეგისტრაციაში გაატარა და მათ შემდეგი საარჩევნო ნომრები მიანიჭა:

№1 „კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო“,

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“,

№9 მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“,

№10 საარჩევნო ბლოკი „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, საქართველოს ევროპელი დემოკრატები,

№24 „ახალი მემარჯვენეები“,

№38 „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“,

№41 საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო, საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი.[239]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უსკომ პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატები დაარეგისტრირა. საინიციატივო ჯგუფებს ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარობის კანდიდატები არ წარუდგენიათ.[240]

ოთხი პოლიტიკური სუბიექტი – „ხალხის პარტია“, „ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი“, „სახალხო მოძრაობა“, „დემოკრატიული სიმართლის პარტია“ – საარჩევნო მარათონს გამოეთიშა, რადგან უსკომ, ამა თუ იმ მიზეზით, მათ რეგისტრაციაზე უარი განუცხადა.[241]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მონიტორინგს აწარმოებდა 6 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ დაარეგისტრირა.[242] ამასთანავე, უსკოში აკრედიტაცია გაიარეს პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებმა. ესენი იყვნენ: „ტელე 25“, „მეცხრე არხის ინფო“, გაზეთები „აჭარა“ და „ადჟარია“.[243]

საარჩევნო კანონის თანახმად, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს „აჭარის ტელევიზიისა“ და რადიო „აჭარის“ საეთერო დრო უსასყიდლოდ გამოეყოთ. ვინაიდან უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის არჩევნები ერთდროულად მიმდინარეობდა, საპარლამენტო არჩევნების პროგრამა საარჩევნო სუბიექტთა უმთავრესი სააგიტაციო მასალა იყო, თუმცა პროპაგანდისათვის პლაკატებსა და საცნობარო ბროშურებსაც ხშირად იყენებდნენ.

239 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://sec.ge/?action=text&id=75

240 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://sec.ge/?action=text&id=76

241 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://sec.ge/uploads/2012_gaukmebuli_carmomadgenlebi.pdf

242 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://sec.ge/?action=text&id=81

243 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://sec.ge/?action=text&id=85

# 1 OCTOBER 2012 ELECTIONS OF THE SUPREME COUNCIL OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA

On 1 October 2012, by the ordinance of the President, in addition to the Parliament of Georgia, the representative body of the Autonomous Republic of Adjara – the Supreme Council – should have also been elected.

Shortly before the elections to the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara, amendments were made to the law on elections of the Supreme Council of the Autonomous Republic. According to this, the members of the Supreme Council were elected by a mixed electoral system, though, the number of deputies elected by proportional voting increased from 12 to 15. Apart from that, the Supreme Council would again include 6 members, who would have been elected by voters through the majoritarian system in single-member districts. A total of 21 deputies were to be elected to the Supreme Council.

During the 1 October 2012 elections to the Supreme Council, 304 930 voters were registered in the unified voter list of the Autonomous Republic of Adjara. Irakli Mikeladze chaired the Supreme Election Commission (SEC) of the Autonomous Republic of Adjara in 2012, and Ketevan Jikia was the secretary of the commission.

The SEC of the Autonomous Republic of Adjara registered 7 political subjects in accordance with the procedures provided by the election law and were given the following election numbers:

№1 “Kakha Kukava – Free Georgia”,

№5 “United National Movement – More Benefit to People”,

№9 Movement “For Fair Georgia”,

№10 Election Bloc “Giorgi Targamadze – Christian Democratic Union” – Christian Democratic Movement, European Democrats of Georgia,

№24 “New Rights”,

№38 “Shalva Natelashvili – Labour Party of Georgia“,

№41 Election Bloc – “Bidzina Ivanishvili – Georgian Dream”– Georgian Dream - Democratic Georgia, Conservative Party of Georgia, Republican Party of Georgia, Industry Saves Georgia, Our Georgia – Free Democrats, National Forum.[238]

SEC of the Autonomous Republic of Adjara registered majoritarian candidates nominated by political subjects. Initiative groups did not nominate majoritarian candidates in single-member districts.[239]

Four political subjects – “People’s Party”, “Jondi Baghaturia – Georgian Troupe”, “People’s Movement”, “Party of Democratic Truth” – were excluded from the election marathon because SEC for one reason or another, refused[240] to register them.

The total of 6 non-governmental organizations monitored the Supreme Council elections of Autonomous Republic of Adjara which were registered[241] by the SEC. At the same time, the representatives of the press and other news media were accredited in SEC namely “TV 25“, “Ninth Channel Info”, newspapers “Adjara” and “Adjaria”.[242]

According to the election law, free airtime was allocated by “Adjara Television” and Radio “Adjara” to the qualified election subjects. As the elections to the Supreme Council and the Parliament of Georgia took place simultaneously, the program for the parliamentary election was the main agitation material for the election subjects, although posters and brochures were often used for propaganda.

The elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara was held on 1 October 2012 in a calm and democratic atmosphere. Following the elections, the SEC stated that the voter turnout amounted to 60.4%. Due to irregularities in the election process of the Supreme Council, according to SEC, the election commission faced 145 complainants at different levels. The absolute majority of the complaints were considered groundless by the

238 For information of the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara see the link: http://sec.ge/?action=text&id=75
239 For information of the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara see the link: http://sec.ge/?action=text&id=76
240 For information of the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara see the link: http://sec.ge/uploads/2012_gaukmebuli_carmomadgenlebi.pdf
241 For information of the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara see the link: http://sec.ge/?action=text&id=81
242 For information of the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara see the link: http://sec.ge/?action=text&id=85

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა 2012 წლის 1 ოქტომბერს მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიარა. უსკომ არჩევნების დასრულებისთანავე განაცხადა, რომ კენჭისყრისას ამომრჩეველთა აქტივობამ 60.4% შეადგინა. უმაღლესი საბჭოს არჩევნების პროცესში არსებული დარღვევების გამო, უსკოს ცნობით, საარჩევნო კომისიას სხვადასხვა დონეზე 145 მომჩივანი ჰყავდა. საჩივართა აბსოლუტური უმრავლესობა კომისიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა. შედეგები გაუქმდა მხოლოდ ხულოს საარჩევნო ოლქის ერთ უბანზე, სადაც მნიშვნელოვანი დარღვევები გამომჟღავნდა.[244]

2012 წლის 18 ოქტომბერს უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ სხდომაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა.

შემაჯამებელი ოქმში განცხადებული იყო შემდეგი:

ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა 304 930,

არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა იყო 184 310,

ბათილად მიიჩნიეს 5 072 ბიულეტენი,

საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, დათვლის შედეგად, იყო 178 905.

საარჩევნო სუბიექტებს შორის ხმები ამგვარად გადანაწილდა:

№1 „კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო“ – 750 – 0.42%,

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – 66 206 – 36.94%,

№9 მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ – 457 – 0.25%,

№10 „გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ – 5 053 – 2.82%,

№24 „ახალი მემარჯვენეები“ – 993 – 0.55%,

№38 „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ – 2 286 – 1.28%,

№41 „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – 103 160 – 57.55%.[245]

შემაჯამებელი ოქმის თანახმად, რომელიც უსკომ დაამტკიცა, პროპორციული სისტემით 5%-იანი საარჩევნო ბარიერი გადალახა და უმაღლეს საბჭოს მანდატები მოიპოვა ორმა საარჩევნო სუბიექტმა:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – 5 მანდატი,

„ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – 10 მანდატი.

რაც შეეხება არჩევნებს მაჟორიტარული სისტემით, 2012 წლის 1 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთმანდატიან ოლქებში კენჭისყრის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა ორი საარჩევნო სუბიექტი:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ – 3 მანდატი,

„ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“ – 3 მანდატი.[246]

იმ 21 დეპუტატს შორის, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შევიდნენ, 3 ქალი იყო და სამივე მათგანი პროპორციული სისტემით აირჩიეს.

I. ამომრჩეველთა რაოდენობა: 304 930
II. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა: 184 310
III. ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა: 5 072
IV. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა: 178 905

V. საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

| N | პარტიის/ბლოკის დასახელება | მიღებული ხმების რაოდენობა | % | მიღებული მანდატების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“ | 750 | 0,42% | |
| 5 | „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“ | 66206 | 36,94% | 5 |
| 9 | მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ | 457 | 0,25% | |
| 10 | „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ | 5053 | 2,82% | |
| 24 | „ახალი მემარჯვენეები“ | 993 | 0,55% | |
| 38 | „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ | 2286 | 1,28% | |
| 41 | „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ | 103160 | 57,555% | 10 |

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 18 ოქტომბრის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის არქივში*

The summary protocol of 1 October 2012 Elections of Supreme Council of Autonomous Republic of Adjara adopted by the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara at the session held on 18 October
*The document is preserved in the archives of the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara*

244 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ანგარიში, გვ. 12, გვ. 29, იხ. ბმული: http://sec.ge/uploads/angarishi%20%2018.12.2012.pdf

245 შდრ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ 2012 წლის 18 ოქტომბრის სხდომაზე. დოკუმენტი დაცულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის არქივში, იხ. ბმული: http://sec.ge/uploads/usko2012.pdf

246 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://results2012.sec.ge/

Commission and were rejected. The results were revoked only in one polling station of Khulo electoral district, where significant violations were revealed.[243]

On 18 October 2012, the Supreme Election Commission adopted the summary protocol of the 1 October 2012 elections of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara.

The summary protocol stated the following:

The number of voters was 304 930,

The number of voters participating in the elections was 184 310,

5 072 ballot papers were deemed invalid,

Following the tabulation, the number of votes cast for election subjects was 178 905.

The votes among election subjects were distributed as follows:

№1 "Kakha Kukava – Free Georgia" – 750 – 0.42%,

№5 "United National Movement – More Benefit to People" – 66 206 – 36.94%,

№9 Movement "For Fair Georgia" – 457 – 0.25%,

№10 "Giorgi Targamadze – Christian Democratic Union" – 5 053 – 2.82%,

№24 "New Rights" – 993 – 0.55%,

№38 "Shalva Natelashvili – Labour Party of Georgia" – 2 286 – 1.28%,

№41 "Bidzina Ivanishvili – Georgian Dream" – 103 160 – 57.55%.[244]

According to the summary protocol, adopted by the SEC, two election subjects crossed the 5% electoral threshold under the proportional system and received mandates to the Supreme Council:

"United National Movement – More Benefit to People" – 5 mandates,

"Bidzina Ivanishvili – Georgian Dream" – 10 mandates.

As for the elections by the majoritarian system, on 1 October 2012, two election subjects were announced as the winners of elections in the single-member districts of the Autonomous Republic of Adjara:

"United National Movement – More Benefit to People"– 3 mandates,

"Bidzina Ivanishvili – Georgian Dream" – 3 mandates.[245]

| ოლქი | 1 | 5 | 9 | 10 | 24 | 38 | 41 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 421<br>0.54% | 23350<br>29.89% | 167<br>0.21% | 1679<br>2.15% | 383<br>0.49% | 998<br>1.28% | 51132<br>65.44% |
| ქედა | 30<br>0.27% | 5244<br>47.86% | 55<br>0.5% | 450<br>4.11% | 125<br>1.14% | 117<br>1.07% | 4937<br>45.05% |
| ქობულეთი | 88<br>0.23% | 15104<br>38.92% | 82<br>0.21% | 931<br>2.4% | 107<br>0.28% | 506<br>1.3% | 21986<br>56.66% |
| შუახევი | 34<br>0.36% | 5839<br>61.66% | 34<br>0.36% | 634<br>6.69% | 80<br>0.84% | 159<br>1.67% | 2690<br>28.40% |
| ხელვაჩაური | 93<br>0.34% | 8353<br>30.59% | 88<br>0.32% | 800<br>2.93% | 133<br>0.49% | 338<br>1.24% | 17498<br>64.09% |
| ხულო | 84<br>0.58% | 8413<br>58.21% | 42<br>0.29% | 569<br>3.94% | 165<br>1.14% | 168<br>1.16% | 5011<br>34.67% |

Among the 21 deputies who entered the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara during the 1 October 2012 elections, 3 were women and all three were elected by the proportional system.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგები პროპორციული სისტემით, ოლქებისა და საარჩევნო სუბიექტთა მონაცემები
*წყარო: http://results2012.sec.ge/*

Results of the 1 October 2012 Elections to the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara under the proportional system, data of districts and election subjects
*source: http://results2012.sec.ge/*

243 2012 report of the Supreme Election Commission of Autonomous Republic, p. 12, p. 29, see the link: http://sec.ge/uploads/angarishi%20%2018.12.2012.pdf

244 The summary protocol of 1 October 2012 elections of the Supreme Council of Autonomous Republic of Adjara adopted by the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara at the session held on 18 October. The document is preserved in the archives of the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara, see the link: http://sec.ge/uploads/usko2012.pdf

245 For information of the Supreme Election Commission of Autonomous Republic of Adjara see the link: http://results2012.sec.ge/

# საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნები

კონსტიტუცია განსაზღვრავდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ყოველი მორიგი არჩევნები საარჩევნო წლის ოქტომბრის თვეში უნდა ჩატარებულიყო. მიხეილ სააკაშვილს, 2008 წლის იანვარში არჩეულ პრეზიდენტს, უფლებამოსილების ვადა 2013 წლის ოქტომბერში უკვე ეწურებოდა. ამიტომაც მოქმედმა პრეზიდენტმა მორიგი კენჭისყრა საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში დანიშნა და თარიღად 2013 წლის 27 ოქტომბერი გამოაცხადა. პრეზიდენტობის მოსურნეთათვის აუცილებელი მოთხოვნები კვლავ უცვლელი რჩებოდა: პრეზიდენტად აირჩევდნენ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც 35 წელი უკვე შესრულებოდა და რომელიც უკანასკნელი 5 წელი საქართველოში ცხოვრობდა.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული იყო 3 537 719 ამომრჩეველი. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას თამარ ჟვანია თავმჯდომარეობდა, კომისიის მდივანი კი კვლავ გიზო მჭედლიძე გახლდათ.

საპრეზიდენტო არჩევნებს 65 საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის 1 241 დამკვირვებელი მეთვალყურეობდა. მათ შორის, ვინც საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა, იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებიც და ეუთოსა თუ ევროსაბჭოს საპარლამენტო მისიათა წევრებიც.[247] ცესკოს მიერ დარეგისტრირებულ 60 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა და მათ 19 746 დამკვირვებელსაც იგივე ფუნქცია ეკისრებოდა.[248] საპრეზიდენტო არჩევნები ფართოდ შუქდებოდა. ამ პროცესში 152 საერთაშორისო თუ ადგილობრივი მედიაორგანიზაცია და 1 381 აკრედიტებული მედიამუშაკი მონაწილეობდა.[249]

ცენტრალური საარჩევნო კომისია საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საგულდაგულოდ მოემზადა. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით დაინერგა ახლებური მიდგომები, რომლებიც საარჩევნო პროცესის ინკლუზიურობასა და, მაშასადამე, ამომრჩევლის მეტ ჩართულობას განაპირობებდა როგორც კენჭისყრამდე, ასევე უშუალოდ არჩევნებისას უბნებზე. ეთნიკურად არაქართველებს, მაგალითად, საქართველოს აზერბაიჯანელ და სომეხ მოქალაქეებს, ინფორმაციას მშობლიურ ენაზე აწვდიდნენ. ამა თუ იმ შეზღუდვის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ცნობების მოპოვება ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხვადასხვა სერვისის თაობაზე და, ზოგადად, არჩევნების შესახებ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინიციატივით, გაიზარდა იმ საარჩევნო უბანთა რიცხვი, რომლებიც პანდუსებითა თუ სხვა დამხმარე საშუალებებით აღიჭურვა და მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის შეზღუდულ შესაძლებლობებთან ადაპტირდა.

საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის 23 კანდიდატი საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადებში დაარეგისტრირა და მათ საარჩევნო ნომრები მიანიჭა:

№1 თამაზ ბიბილური,
№2 გიორგი ლილუაშვილი,
№3 სერგო ჯავახაძე,
№4 კობა დავითაშვილი,
№5 დავით ბაქრაძე,
№6 აკაკი ასათიანი,
№7 ნინო ჭანიშვილი,
№8 თეიმურაზ ბობოხიძე,
№9 შალვა ნათელაშვილი,
№10 გიორგი თარგამაძე,
№11 ლევან ჩაჩუა,
№12 ნესტან კირთაძე,
№13 გიორგი ჩიხლაძე,
№14 ნინო ბურჯანაძე,
№15 ზურაბ ხარატიშვილი,
№16 მიხეილ სალუაშვილი,
№17 ქართლოს ღარიბაშვილი,
№18 მამუკა ჭოხონელიძე,
№19 ავთანდილ მარგიანი,

247 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/25/25931.pdf
248 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/25/25923.pdf
249 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/25/25924.pdf

# 27 OCTOBER 2013 PRESIDENTIAL ELECTIONS OF GEORGIA

The constitution stipulated that each regular presidential election in Georgia should have been held in October. Mikheil Saakashvili elected president in January 2008, his term of office was already expiring in October 2013. That is why the incumbent president appointed another election within the timeframe set by the Election Code and announced 27 October 2013 as the date. The requirements for the president remained unchanged: Georgian citizen, aged 35, having lived in Georgia for the past five years.

3 537 719 voters were registered in the unified voter's list of for the Presidential Elections in Georgia. Tamar Zhvania chaired the Central Election Commission (CEC) during the 2013 presidential election, and Gizo Mchedlidze was again the secretary of the commission.

The total of 1 241 observers from 65 international observation missions monitored the presidential election. Among those registered by the CEC of Georgia were also representatives of the diplomatic missions accredited in Georgia and members[246] of the OSCE or Council of Europe parliamentary missions. 60 local NGOs registered by the CEC and its 19 746 observers were assigned[247] the same functions. Presidential Elections were widely covered. 152 international or local media organizations and 1 381 accredited media workers were involved[248] in this process.

The CEC thoroughly prepared for the presidential election. In cooperation with international partners, new approaches have been introduced, which have led to the inclusive electoral process and, therefore, greater voter involvement, both before and during the elections at precincts. Ethnic non-Georgians, for example, Azerbaijani and Armenian speaking citizens of Georgia, were provided information in their native languages. People with certain disabilities had access to information about various services of the Central Election Commission and the elections in general. At the initiative of the CEC, the number of polling stations equipped with ramps or other aids increased and were adapted to meet specific needs of persons with the disabilities.

The CEC of Georgia registered 23 presidential candidates nominated by the initiative groups within the timeframes established by the Election Code and assigned election numbers to them:

№1 Tamaz Bibiluri,

№2 Giorgi Liluashvili,

№3 Sergo Javakhadze,

№4 Koba Davitashvili,

№5 Davit Bakradze,

№6 Akaki Asatiani,

№7 Nino Tchanishvili,

№8 Teimuraz Bobokhidze,

№9 Shalva Natelashvili,

№10 Giorgi Targamadze,

№11 Levan Chachua,

№12 Nestan Kirtadze,

№13 Giorgi Chikhladze,

№14 Nino Burjanadze,

№15 Zurab Kharatishvili,

№16 Mikheil Saluashvili,

№17 Kartlos Gharibashvili,

№18 Mamuka Tchokhonelidze,

№19 Avtandil Margiani,

№20 Nugzar Avaliani,

№21 Mamuka Melikishvili,

№22 Teimuraz Mzhavia,

№41 Giorgi Margvelashvili.[249]

Based on this list, only 3 women participated in the presidential election.

According to the Election Code, presidential candidates nominated by qualified subjects would have enjoyed free airtime on public broadcasters and private televisions. Some of the presidential candidates also used paid TV commercials, used online space (electronic resources of news agencies) for agitation, and distributed information brochures or posters.

246 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/res/old/other/25/25931.pdf

247 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/res/old/other/25/25923.pdf

248 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/res/old/other/25/25924.pdf

249 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/geo/list/show/13229-2013-wlis-27-oqtombris-prezidentis-archevnebistvis-registrirebuli-saprezidento-kandidatebi-3134

№20 ნუგზარ ავალიანი,

№21 მამუკა მელიქიშვილი,

№22 თეიმურაზ მჟავია,

№41 გიორგი მარგველაშვილი.[250]

ამ ჩამონათვალის მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ 3 ქალი მონაწილეობდა.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, კვალიფიციური სუბიექტების მიერ წარდგენილ პრეზიდენტობის კანდიდატებს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და კერძო ტელევიზიებში უფასო საეთერო დრო გამოეყოფოდათ. პრეზიდენტობის კანდიდატთა ნაწილი ფასიანი სატელევიზიო რეკლამითაც სარგებლობდა, სააგიტაციოდ ონლაინსივრცესაც (საინფორმაციო სააგენტოების ელექტრონულ რესურსებს) იყენებდა და საინფორმაციო ბროშურებსა თუ პლაკატებსაც ავრცელებდა.




„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Davit Bakradze, presidential candidate of "United National Movement"
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




„ქართული ოცნების“ კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Giorgi Margvelashvili, presidential candidate of “Georgian Dream” Coalition
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*




„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, საარჩევნო პლაკატი
*დოკუმენტი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში*

Election poster of Nino Burjanadze, presidential candidate of "Democratic Movement – United Georgia"
*The document is preserved at the National Parliamentary Library of Georgia*

250 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/geo/list/show/13229-2013-wlis-27-oqtombris-prezidentis-archevnebist-vis-registrirebuli-saprezidento-kandidatebi-3134

Though, supporters of the ruling and opposition parties physically confronted each other several times, it still can be said that the 27 November 2013 Presidential Elections in Georgia were largely peaceful and democratic. Representatives of the observation missions noted that the voting took place in a much healthier environment and that the election process was conducted with fewer procedural irregularities than before.

According to the Central Election Commission, the voter turnout in the 27 October 2013 presidential election in Georgia amounted to 46.6%. The lowest voter turnout - 29.32% was in Tsalka electoral district and the highest – 64.7% was observed[250] in Sachkhere electoral district.

On 12 November 2013, the CEC of Georgia approved the summary protocol of the 27 October 2013 presidential election. The protocol stated:

The total number of voters amounted to 3 537 719,

1 660 976 voters participated in the voting,

30 101 ballot papers were deemed invalid.

The votes among presidential candidates were distributed as follows:

№1 Tamaz Bibiluri – 687 – 0.04%,

№2 Giorgi Liluashvili – 1 909 – 0.12%,

№3 Sergo Javakhadze – 2 107 – 0.13%,

№4 Koba Davitashvili – 9 838 – 0.6%,

№5 Davit Bakradze – 354 103 – 21.72%,

№6 Akaki Asatiani – 1 559 – 0.1%,

№7 Nino Tchanishvili – 2 276 – 0.14%,

№8 Teimuraz Bobokhidze – 356 – 0.02%,

№9 Shalva Natelashvili – 46 984 – 2.88%,

№10 Giorgi Targamadze – 17 354 – 1.06%,

№11 Levan Chachua – 3 093 – 0.19%,

№12 Nestan Kirtadze – 762 – 0.05%,

№13 Giorgi Chikhladze – 820 – 0.05%,

№14 Nino Burjanadze – 166 061 – 10.19%,

№15 Zurab Kharatishvili – 3 718 – 0.23%,

№16 Mikheil Saluashvili – 1 376 – 0.08%,

№17 Kartlos Gharibashvili – 530- 0.03%,

№18 Mamuka Tchokhonelidze – 315 – 0.02%,

№19 Avtandil Margiani – 627 – 0.04%,

№20 Nugzar Avaliani – 664 – 0.04%,

№21 Mamuka Melikishvili – 995 – 0.06%,

№22 Teimuraz Mzhavia – 1 285 – 0.08%,

№41 Giorgi Margvelashvili – 1 012 569 – 62.12%.[251]

Giorgi Margvelashvili won the presidential election. According to the summary protocol, the candidate of the ruling political coalition – "Georgian Dream" gained the majority of votes in the first round of elections.


I. [illegible] 3 537 719

II. [illegible] 1 660 976

III. [illegible] 30 101

IV. [illegible]

| № | [illegible] | [illegible] | % |
|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 687 | 0.04 |
| 2 | [illegible] | 1 909 | 0.12 |
| 3 | [illegible] | 2 107 | 0.13 |
| 4 | [illegible] | 9 838 | 0.6 |
| 5 | [illegible] | 354 103 | 21.72 |
| 6 | [illegible] | 1 559 | 0.1 |
| 7 | [illegible] | 2 276 | 0.14 |
| 8 | [illegible] | 356 | 0.02 |
| 9 | [illegible] | 46 984 | 2.88 |
| 10 | [illegible] | 17 354 | 1.06 |
| 11 | [illegible] | 3 093 | 0.19 |
| 12 | [illegible] | 762 | 0.05 |
| 13 | [illegible] | 820 | 0.05 |
| 14 | [illegible] | 166 061 | 10.19 |
| 15 | [illegible] | 3 718 | 0.23 |
| 16 | [illegible] | 1 376 | 0.08 |
| 17 | [illegible] | 530 | 0.03 |
| 18 | [illegible] | 315 | 0.02 |
| 19 | [illegible] | 627 | 0.04 |
| 20 | [illegible] | 664 | 0.04 |
| 21 | [illegible] | 995 | 0.06 |
| 22 | [illegible] | 1 285 | 0.08 |
| 41 | [illegible] | 1 012 569 | 62.12 |

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2013 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე
*დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში*
*წყარო: http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2013president.pdf*

The summary protocol of the 27 October 2013 Presidential Election adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 12 November 2013.
*The document is preserved in the archives of the Central Election Commissioon*
*source: http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2013president.pdf*

250 For Central Election Commission data see the link: http://cesko.ge/res/old/other/29/29071.pdf

251 The summary protocol of the 27 October 2013 Presidential Election adopted by the Central Election Commission of Georgia at the session held on 12 November 2013. The document is preserved in the archives of the Central Election Commissioon, see the link: http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2013president.pdf

თუმცა სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიათა მხარდამჭერები ერთმანეთს რამდენჯერმე ფიზიკურადაც კი დაუპირისპირდნენ, შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლის 27 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებმა, დიდწილად, მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში ჩაიარა. სადამკვირვებლო მისიათა წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ კენჭისყრა გაცილებით ჯანსაღ გარემოში ჩატარდა და საარჩევნო პროცესი, უწინდელთან შედარებით, ნაკლები პროცედურული დარღვევებით წარიმართა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას 2013 წლის 27 ოქტომბერს ამომრჩეველთა აქტივობამ 46.6% შეადგინა. ამომრჩეველთა ყველაზე დაბალი აქტივობა – 29.32% – წალკის საარჩევნო ოლქში, ხოლო ყველაზე მაღალი – 64.7% – საჩხერის საარჩევნო ოლქში დაფიქსირდა.[251]

2013 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. ოქმში განცხადებული იყო:

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 3 537 719,

კენჭისყრაში მონაწილეობდა 1 660 976 ამომრჩეველი,

ბათილად ჩაითვალა 30 101 ბიულეტენი.

პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ამომრჩეველთა ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

№1 თამაზ ბიბილური – 687 – 0.04%,
№2 გიორგი ლილუაშვილი – 1 909 – 0.12%,
№3 სერგო ჯავახიძე – 2 107 – 0.13%,
№4 კობა დავითაშვილი – 9 838 – 0.6%,
№5 დავით ბაქრაძე – 354 103 – 21.72%,
№6 აკაკი ასათიანი – 1 559 – 0.1%,
№7 ნინო ჭანიშვილი – 2 276 – 0.14%,
№8 თეიმურაზ ბობოხიძე – 356 – 0.02%,
№9 შალვა ნათელაშვილი – 46 984 – 2.88%,
№10 გიორგი თარგამაძე – 17 354 – 1.06%,
№11 ლევან ჩაჩუა – 3 093 – 0.19%,
№12 ნესტან კირთაძე – 762 – 0.05%,
№13 გიორგი ჩიხლაძე – 820 – 0.05%,
№14 ნინო ბურჯანაძე – 166 061 – 10.19%,
№15 ზურაბ ხარატიშვილი – 3 718 – 0.23%,
№16 მიხეილ სალუაშვილი – 1 376 – 0.08%,
№17 ქართლოს ღარიბაშვილი – 530- 0.03%,
№18 მამუკა ჭოხონელიძე – 315 – 0.02%,
№19 ავთანდილ მარგიანი – 627 – 0.04%,
№20 ნუგზარ ავალიანი – 664 – 0.04%,
№21 მამუკა მელიქიშვილი – 995 – 0.06%,
№22 თეიმურაზ მჟავია – 1 285 – 0.08%,
№41 გიორგი მარგველაშვილი – 1 012 569 – 62.12%.[252]

საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილმა გაიმარჯვა. შემაჯამებელი ოქმის თანახმად, მმართველი პოლიტიკური კოალიციის – „ქართული ოცნების“ – კანდიდატმა არჩევნების პირველივე ტურში ხმათა უმრავლესობა მოაგროვა.




პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ამსახველი დიაგრამა
*წყარო: http://results2013p.cec.gov.ge/*

The diagram of the results of 27 October 2013 Presidential Election
*source: http://results2013p.cec.gov.ge/*

251 ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობისათვის იხ. ბმული: http://cesko.ge/res/old/other/29/29071.pdf

252 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2013 წლის 12 ნოემბრის სხდომაზე. დოკუმენტი დაცულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არქივში. იხ. ბმული: http://cesko.ge/res/docs/shema-jamebeli2013president.pdf

# საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნები

2013 წელს საქართველოს პარლამენტი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმირებას შეუდგა და საამისოდ ფართომასშტაბიანი საკანონმდებლო გარდაქმნები წამოიწყო. ცვლილებათა პაკეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირის – მერისა და გამგებლის პირდაპირი გზით არჩევის წესის შემოღებას გულისხმობდა. ამასთანავე, 2013 წლამდე არსებული თვითმმართველი ქალაქების რაოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. დედაქალაქ თბილისსა და ოთხ თვითმმართველ ქალაქს – ბათუმს, ქუთაისს, რუსთავსა და ფოთს – 7 სხვა ქალაქიც დაემატა. იმავდროულად, ახალ თვითმმართველ ქალაქთაგან თითოეული – ზუგდიდი, ოზურგეთი, ამბროლაური, ახალციხე, გორი, მცხეთა თუ თელავი – სამხარეო ცენტრიც იყო. შვიდივე ქალაქი მანამდე არსებულ მუნიციპალიტეტებს უნდა გამოყოფოდა. ეს საქალაქო ერთეულები დამოუკიდებელ თვითმმართველობებად ფორმირდებოდა, ხოლო მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში მყოფი სოფლები თუ დაბები კვლავაც ადრე არსებულ მუნიციპალურ თვითმმართველობას დაექვემდებარებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ჩატარებული არჩევნები 2014 წელს თვითმმართველობათა ერთგვარ საცდელ მოდელს ქმნიდა. ამიტომ, ამ არჩევნების შედეგად დაკომპლექტებული თვითმმართველობები, გამონაკლისის წესით, ნაცვლად 4 წლისა, მხოლოდ 3 წელი იფუნქციონირებდა. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას მთელი საქართველოს მასშტაბით 12 თვითმმართველი ქალაქის მერი და 59 თვითმმართველი თემის – მუნიციპალიტეტის – გამგებელი უნდა აერჩიათ. საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც თვითმმართველი ქალაქის მერად და თემის გამგებლად აირჩევდნენ, მოეთხოვებოდა, რომ 25 წელზე ახალგაზრდა არ ყოფილიყო, საქართველოში ეცხოვრა ხუთი წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის მომენტისათვის, სულ ცოტა, 2 წელი საქართველოში მუდმივად ეცხოვრა. მერსა და გამგებელს კენჭს უყრიდა კონკრეტულ თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული ამომრჩეველი. ესა თუ ის კანდიდატი მერად არჩეულად ჩაითვლებოდა, თუკი ამომრჩევლის 50%-ზე მეტი მხარს მას დაუჭერდა. თუ ხმათა 50%-ზე მეტს ვერავინ მოაგროვებდა, არჩევნების მეორე ტური დაინიშნებოდა და ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი კენჭს ხელმეორედ იყრიდა.

